

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“

ლია ჩხარტიშვილი

**ვაჟა-ფშაველას პოემების („ გველისმჭამელი“, „სტუმარ-
მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“) ინგლისური
თარგმანები**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი რევაზ ხვედელიძე*

თბილისი

2012

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი

ანოტაცია (ქართულად).....	3
ანოტაცია (ინგლისურად).....	6
შესავალი.....	9
თავი I ვაჟა-ფშაველას ფენომენი და მისი პოეზიის თარგმნის მნიშვნელობა	
§ 1.1 ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ასპექტების ზოგადი დახასიათება.....	17
§ 1.2 ვაჟას პოეზიის თარგმანები და მათი მნიშვნელობა.....	26
თავი II თარგმანის კვლევის პრინციპები, დიალექტის თარგმნის თავისებურება	
§ 2.1 მხატვრული თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, ეკვივალენტობის პრობლემა	34
§ 2.2 დიალექტის თარგმნის თავისებურება, ფშავ-ხევსურული დიალექტი ვაჟას შემოქმედებაში.....	40
თავი III ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები	
§ 3.1 ვაჟა - ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ ვენერა ურუმადისეული თარგმანი.....	44
§ 3.2 ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ დონალდ რეიფილდისეული თარგმანი.....	59
§ 3.3 „გველისმჭამელის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი.....	67
§ 3.4 ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ დონალდ რეიფილდისეული თარგმანი.....	71
§ 3.5 ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ლელა ჯგერენაისეული თარგმანი.....	86
§ 3.6 „სტუმარ-მასპინძლის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი.....	99
§ 3.7 ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ დონალდ რეიფილდისეული თარგმანი.....	106
§ 3.8 ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ნინო რამიშვილისეული თარგმანი.....	127
§ 3.9 „ალუდა ქეთელაურის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი.....	145
დასკვნა.....	153
გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია.....	159

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები; შეფასებულია, რამდენად ადეკვატურად შეძლეს ქართველმა თუ ინგლისელმა მთარგმნელებმა ვაჟას გენიის წარმოჩენა ინგლისურ ენაზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან.

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველი თავი მოიცავს ორ პარაგრაფს. § 1.1-ში ახსნილია ვაჟა-ფშაველას ფენომენი და დახასიათებულია მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტები; ვაჟას შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს ეხება, რომლებიც დღეს მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონის ადამიანისთვის შეიძლება იყოს საინტერესო. ღრმა აზროვნებისა და მაღალი მხატვრული ნიჭის შერწყმით ვაჟა დიდი ხელოვანია, რომელსაც აუცილებლად უნდა იცნობდეს მსოფლიო.

§1.2-ში ზოგადად განხილულია ვაჟას ნაწარმოებების მხატვრული თარგმანები სხვადასხვა ენაზე და ხაზგასმულია, რატომ არის მნიშვნელოვანი ვაჟას შემოქმედების თარგმნა ინგლისურ ენაზე.

მეორე თავში, რომელიც ასევე ორი პარაგრაფისგან შედგება, ჩამოყალიბებულია ის კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება თარგმანების შეფასება; გამოყოფილია თარგმანში დინამიური ეკვივალენტობის პრობლემა და დიალექტის თარგმნის თავისებურება; შეფასებულია ფშავ-ხევსურული დიალექტის როლი ვაჟას შემოქმედებაში.

მესამე თავში გაანალიზებულია ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები. იგი შედგება ცხრა პარაგრაფისაგან. §3.1-ში შეფასებულია ვაჟას პოემა "გველისმჭამელის" ვ. ურუშაძისეული თარგმანი და აღნიშნულია, რომ პოემის შინაარსი, იდეა, განწყობილებები ძირითადად სწორად არის გადმოცემული; თარგმანის ღირსებადაა აღიარებული აგრეთვე რითმა, თუმცა ვ. ურუშაძის მეტისმეტად თავისუფალი მიდგომა დედნისადმი და მისი საკმაოდ ვრცელი მონაკვეთების შინაარსის პროზაული გადმოცემა ნაკლად უნდა მივიჩნიოთ;

§ 3.2-ში განხილულია პოემის დ. რეიფილდისეული თარგმანი. მართალია, მთარგმნელმა ვერ მოახერხა ვაჟას რითმის შენარჩუნება, ისევე როგორც

ფშავ-ხევსურული დიალექტის ეკვივალენტის მოძებნა, მაგრამ თარგმანში გადმოცემულია ვაჟას პოემის რიტმი და ინტონაცია, პოეტური მეტყველების ექსპრესიულობა და დინამიურობა, შთამბეჭდავი პოეტური სახეები.

§ 3.3-ში შედარებულია „გველისმჭამელის“ ზემოხსენებული ორი თარგმანი; აღნიშნულია, რომ დ. რეიფილდის თარგმანი უფრო ახლოსაა დედანთან სიზუსტით, ექსპრესიულობით, სისადავით და პოეტური სახეების შთამბეჭდაობით, დედნისეული მხატვრული ხერხების ინგლისურ ენაზე ადეკვატური გადატანით. ვ. ურუშაძის თარგმანის ღირსებაა რითმა; გარდა ამისა, იგი ცდილობს ფშავ-ხევსურული დიალექტის ასოციაცია შექმნას ინგლისური ხალხური მეტყველების ფორმების და ბალადური ლექსთაწყობის გამოყენებით.

§3.4-ში შეფასებულია ვაჟას პოემის "სტუმარ-მასპინძლის" დ. რეიფილდისეული თარგმანი, რომლის ნაკლად მიჩნეულია ვაჟასეული რითმისა და ხალხური ენის უგულებელყოფა; მაგრამ პოეტური სახეები, ექსპრესიული თხრობა, სწორად გადმოცემული შინაარსი, ტროპებისა და ფრაზეოლოგიის ადეკვატური შესატყვისები, დედნისეული რიტმის შენარჩუნება აღნიშნულ თარგმანს ლიტერატურული სამყაროს მნიშვნელოვან შენამენად აქცევს.

§3.5-ში განხილულია პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ ლ. ჯგერენაიასეული თარგმანი. აღნიშნულია რომ, მიუხედავად რამდენიმე პოზიტიური მომენტისა, ჯგერენაიას თარგმანში, სერიოზული ხარვეზების, შინაარსობრივი უზუსტობების, ვაჟასეული რითმის უგულებელყოფის, ორიგინალის ტროპების, იდიომებისა და ფრაზეოლოგიის არაადეკვატური შესატყვისების გამო, ინგლისურენოვანი მკითხველი ვერ აღმოაჩენს დიდი ვაჟას გენიას.

§3.6-ში მოცემულია „სტუმარ - მასპინძლის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი, რომელიც ცხადყოფს, რომ დედანთან ადეკვატურობისა და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ამ ორ თარგმანს შორის დიდი სხვაობაა.

§3.7-ში განხილულია პოემა „ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისეული ინგლისური თარგმანი, რომლის უმნიშვნელოვანეს ღირსებად მიჩნეულია მეცნიერული სიზუსტე შინაარსობრივი და პოეტური სახეების შენარჩუნების თვალსაზრისით; დასანანი ნაკლია უგულებელყოფა ვაჟას რითმისა და ფშავ-ხევსურული დიალექტისა. ორიგინალის ტროპების და ფრაზეოლოგიის ადეკვატური შესატყვისები, თხრობის

ვაჟასეული დინამიზმი, დედნის რიტმი და ინტონაცია ამ თარგმანის მნიშვნელოვანი ღირსებებია.

§3.8-ში გაანალიზებულია „ალუდა ქეთელაურის“ ნ. რამიშვილისეული თარგმანი. აღნიშნულია, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, მთარგმნელმა შეძლო ინგლისურ ენობრივ გარემოშიც ადეკვატურად აეჟღერებინა ვაჟას პოემის არა მხოლოდ იდეურ-აზრობრივი შინაარსი, არამედ მისი რიტმი და მხატვრულ ფერთა პალიტრაც. ნ. რამიშვილმა შეძლო ბუნებრივი ინგლისურით ინგლისურენოვან მკითხველამდე მიეტანა ვაჟას გენია და მისი სამყაროს მშვენიერება.

§3.9-ში მოცემულია „ალუდა ქეთელაურის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი. აღნიშნულია, რომ ორივე თარგმანს ბევრი რამ აქვს საერთო როგორც ღირსებების, ისე ნაკლოვანებების თვალსაზრისით. თუმცა ნ. რამიშვილის თარგმანი უფრო ახლოსაა ორიგინალთან საზომისა და მელოდიკის მხრივ, დ. რეიფილდის ნაშრომის ენა უფრო ეპიკურია და დახვეწილი; მისი ფრაზეოლოგია და მეტაფორები უფრო ადეკვატურია.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები და შეფასებულია მიმდინარე ეტაპზე ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისურენოვანი თარგმანების სფეროში არსებული მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ განხილულმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჟას გენიის მსოფლიოსთვის გაცნობის უადრესად მნიშვნელოვან საქმეში. წინამორბედთა მიღწევების და შეცდომების გათვალისწინება დაეხმარება ნიჭიერ მთარგმნელებს, რომ კიდევ უფრო სრულყოფილი თარგმანები შესრულდეს მომავალში.

Annotation

In the present thesis the English translations of Vazha-Pshavela's narrative poems are studied. They are compared with the originals in terms of different aspects of translation. On the basis of the conducted analysis it is estimated, to what extent of adequacy the Georgian and British translators were able to present the genius of Vazha in the English language.

The work comprises: an introduction, three chapters and a conclusion. The introduction presents the reasons of the importance of the studied theme, novelty of the study, its theoretical and practical value. It sets the issues addressed in the thesis.

The first chapter consists of two paragraphs. In §1.1 the phenomenon of Vazha is explained and description of the main aspects of his creation is given. It is noted that Vazha-Pshavela's creative works address the issues of global importance which may be interesting for people from all over the world. Blending of his deep intellect of great magnitude with highest creativity makes him a phenomenon that the whole world must be aware of.

In §1.2 the translations of Vazha's creative works in different languages are reviewed and analysis is given regarding the importance of translating Vazha's works in English and studying existing English translations.

In the second chapter, consisting of two paragraphs, the criteria of estimating literary translations are considered; the problems of Dynamic Equivalence and dialect translation are underlined; the role of Pshav-Khevsurian dialect in Vazha's creation is evaluated.

In the third chapter the English translations of Vazha-Pshavela's narrative poems are analyzed. It consists of nine paragraphs. In §3.1 the English translation of Vazha's narrative poem Snake –Eater by V. Urushadze is evaluated. It is noted that the main idea, content and dispositions of the original, in general, are adequately presented in translation. Another positive side is its rhyme. Nevertheless, too free approach towards the translation process and prosaic narration of the content of rather extensive passages of the original are considered shortcomings of the translation.

In §3.2 the English translation of the same poem by D. Rayfield is discussed. It is noted that although the translator did not manage to maintain Vazha's rhyme or to find an equivalent of Pshav-Khevsurian dialect, the translation vividly shows the poem's brilliant simplicity, rhythm, intonation, expressiveness and dynamism, its impressive poetic imagery.

In §3.3 the above mentioned two translations of Snake Eater are compared. It is concluded that the translation of D. Rayfield is more adequate regarding its accuracy, expressiveness, simplicity and poetic images, equivalents of original metaphors. The translation of V. Urushadze is credited with its rhyme; besides, it is noted that she tried to create the association of Pshav dialect by using English folk speech forms and ballad arrangement of the verse.

In §3.4 The English translation of Vazha's poem Host and Guest by D. Rayfield is evaluated. Ignoring rhyme and folk speech of the original are considered shortcomings of the translation. However, it is noted that impressive poetic imagery, expressive narrative, accurate content, adequate equivalents of different kinds of tropes and phraseology, maintaining the rhythm of the original make this translation an important contribution to the literary world.

In §3.5 the translation of the poem Host and Guest by L. Jgerenaya is considered. It is emphasized that despite some positive moments in the translation, the reader cannot discover Vazha's genius and creativity because of serious shortcomings: inaccuracy in terms of the content, ignoring Vazha's rhyme and dialect, inadequate translations of different kinds of tropes, idioms and phraseology.

In §3.6 the comparative analysis of the English translations of Host and Guest is given. It is concluded that there is a huge difference between these translations in terms of adequacy and poetic value.

In §3.7 the English translation of narrative poem Aluda Ketelauri by D. Rayfield is evaluated. It is noted that the most important virtue of the translation is its scientific accuracy in terms of the content, philosophy of the original and poetic imagery. The lack of the rhyme and dialect throws some shadow on it. However, adequate translations of tropes and phrases, maintaining Vazha's rhythm, dynamism and intonation are important virtues of this creation.

In §3.8 the translation of Aluda Ketelauri by N. Ramishvili is analyzed. It is admitted that despite some insignificant shortcomings, the translator managed to transfer to the English medium not only the main idea and content of the poem, but also its expressive rhythm and whole palette of its poetic colors. N. Ramishvili, by employing natural and laconic English, once again opened up the genius of Vazha and the beauty of its poetic world to the readers in English.

In §3.9 the comparative analysis of the English translations of Aluda Ketelauri is given. It is concluded that both translations have a lot in common in terms of virtues (accuracy, rhythm, intonation) and flaws (lack of rhyme and dialect). Although the translation of N. Ramishvili is closer to the original with its metrics and melody, the language of D. Rayfield's creation is more epic and refined. His phraseology and metaphors are considered to be more adequate translations.

In the conclusion of the thesis the results of the research are summed up and the present situation in the sphere of English translations of Vazha- Pshavela's narrative poems is evaluated. It is concluded that although the analyzed translations made significant contribution to the pursuit of introducing Vazha's genius to the whole world, a lot more is to be done. Taking into account the achievements and mistakes of the predecessors will help talented translators to create more adequate translations in the future.

შესავალი

თარგმნილი ლიტერატურა ქართული მწერლობის ისტორიის სათავეებიდან მოდის. მე-5 საუკუნის ძეგლი „შუმანიკის წამება“ უკვე გვაუწყებს ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანების არსებობას, ხოლო მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში შესრულებული პროზაული თარგმანი სპარსული პოემისა „ვისრამიანი“ თარგმნითი ხელოვნების სრულყოფილების კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

ქართული ლიტერატურის ძეგლების თარგმნას სხვა ენებზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ სფეროში ყოველ დროსა და ეპოქაში გამოჩნდებოდა ხოლმე ქართველი და ზოგჯერ უცხოელი მოღვაწეც, რომელთა წვლილს ქართული საზოგადოება დიდად აფასებდა. რაც შეეხება ევროპას, მხოლოდ რამდენიმე მთარგმნელის წყალობით გაიცნეს ევროპელებმა ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები.

ინგლისელმა ლიტერატურათმცოდნემ დევიდ მარშალ ლენგმა 1953 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნავს, რომ ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპას პირველად მარი ბროსემ გააცნო წერილების სერიით, რომლის გამოაქვეყნება 1830 წელს დაიწყო საფრანგეთში. ზოგიერთი მათგანი იმავე პერიოდიდან იბეჭდებოდა ბრიტანეთის Asiatic Journal-ის ფურცლებზე (ოძელი, 1998: 58).

ინგლისელმა სასულიერო პირმა - სოლომონ ცეზარ მალანმა, რომელიც უმთავრესად ქართული ეკლესიით იყო დაინტერესებული, 1866 წელს დაბეჭდა პლატონ იოსელიანის წიგნის „ქართული ეკლესიის ისტორიის“ ინგლისური თარგმანი. მოგვიანებით მალანმა თარგმნა გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“. კიდევ ერთი ინგლისელი, რომელიც ქართული სამყაროთი დაინტერესდა, იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. მორფილი (1834-1905 წ.წ.). მან დაწერა გამოკვლევა „ქართული ენა და ლიტერატურა“. ეს ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას, შეუქმნას ინგლისელ მკითხველს წარმოდგენა ქართული ენის რაობაზე და თავისებურად განსაზღვროს ქართული ენის ადგილი ენათა მრავალფეროვან ოჯახებს შორის.

იმ უცხოელთა შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ევროპისათვის ქართული კულტურის გაცნობის და ქართული ლიტერატურის ინგლისურად თარგმნის საქმეში, ყველაზე დიდი დამსახურება ინგლისელ და-ძმას მარჯორი და ოლივერ

უორდროპებს მიუძღვით. “მარჯორი უორდროპმა თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“. „ვეფხისტყაოსანის“ მისივე პროზაული თარგმანი დის სიკვდილის შემდეგ დასტამბა ოლივერმა ლონდონში. მარჯორისა და ოლივერის ერთობლივი თარგმანია „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ოლივერ უორდროპმა თარგმნა და გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, “გიორგი V-ის კანონები” და ა.შ.“ (ოძელი, 1998: 61). უორდროპებს შესრულებული აქვთ აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების თარგმანები, რომლებიც ოქსფორდის ბოდლის უნივერსიტეტის უორდროპების ფონდში ინახება.

„ქართულ-ინგლისური კულტურული კონტაქტების გადრმავეებისა და ინგლისში ქართული მწერლობის აღქმაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა ინგლისელმა ლიტერატურათმცოდნემ, ისტორიკოსმა, ლონდონის უნივერსიტეტის კავკასიათმცოდნეობის პროფესორმა, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა დევიდ მარშალ ლენგმა. მან არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა შექმნა...დ. ლენგმა ასევე მნიშვნელოვანი თარგმანებით შეავსო ინგლისური მწერლობა... დევიდ ლენგმა ახალ საფეხურზე აიყვანა ფ. კონიბირის მიერ დაწყებული ქართული სასულიერო მწერლობის მეცნიერული შესწავლა. მან ინგლისურ ენაზე გამოსცა ქართველი წმინდანების ცხოვრებათა და წამებათა კრებული“ (ოძელი 1998: 66).

იგივე წყაროს მიხედვით, ინგლისელმა მწერალმა, მეცნიერმა და მთარგმნელმა ქეთრინ ვივიენმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“(1977წ.), „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“(1982წ.) და ქართული საისტორიო ძეგლები. შუასაუკუნეების ქართული კულტურის შესწავლისა და თარგმნის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლიტერატურათმცოდნემ და მთარგმნელმა რობერტ სტივენსონმა. მას ქართულიდან ნათარგმნი აქვს „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“.

ნაყოფიერ მთარგმნელობით და ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწევა ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ რეიფილდი. მან თარგმნა და გამოსცა ვაჟა-ფშაველას პოემები: „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ და „გველისმჭამელი“. წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის გამოკვლევა ვაჟას შემოქმედების შესახებ. მას ნათარგმნი აქვს აგრეთვე გ. ტაბიძის ლექსები, ი. ჭავჭავაძის პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“. დ. რეიფილდმა არაერთხელ იმოგზაურა საქართველოში, საფუძვლიანად შეისწავლა ქართული კულტურა, მეცნიერულად

დაამუშავა ქართული ხელნაწერები, საარქივო მასალები და შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ლიტერატურა (ისტორია)“, რომელიც ოქსფორდში გამოსცა 1994 წელს. მასში მკვლევარი იხილავს ქართულ სალიტერატურო ცხოვრებას მე-5 საუკუნიდან ჩვენს თანამედროვეობამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას მოთხრობები თარგმნა ინგლისელმა ენათმეცნიერმა ბრაიან ჯორჯ ჰიუიტმა. გარდა ამისა, მას კიდევ რამდენიმე თარგმანი აქვს შესრულებული ქართული მწერლობიდან.

„ქართული მწერლობის ძეგლების ინგლისურ ენაზე ამეცყველების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მთარგმნელებმაც. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ვენერა ურუშაძის ღვაწლი. გარდა იმისა, რომ მან შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ჯერჯერობით ერთადერთი ინგლისური პოეტური თარგმანი, შეადგინა ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (ოძელი 1998: 75). ვ. ურუშაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ვაჟას პოემა „გველისმჭამელის“ ინგლისური თარგმანი.

თანამედროვე მსოფლიოში ინტენსიური საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს კულტურათა გაცვლა, რაც მნიშვნელოვანწილად თარგმნის გზით უნდა განხორციელდეს. ქართული კულტურა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მთელ მსოფლიოში, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლებად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმანებით არის ცნობილი. დღეს, ქართული კულტურის საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების პერიოდში, ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის მნიშვნელობა ძალიან დიდია. აუცილებელია "გაიჭრას სარკმელი იდუმალებით შებურული, შორი და მიუწვდომელი ქართული კულტურის სამყაროსკენ" (გამსახურდია 1972: 14).

ქართველ კლასიკოსთა შორის ვაჟა-ფშაველას გამორჩეული ადგილი უჭირავს. ვაჟას 150 წლის იუბილე 2011 წელს იუნესკომ მსოფლიო დღესასწაულების სიაში შეიტანა. იგი კიდევ ერთი დიდი ქართველი პოეტია, რომლის იუბილეს მსოფლიომ აღნიშნა, რაც მისი დიდი აღიარების მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ, ვაჟას შედეგების თარგმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის საერთაშორისო პრესტიჟისათვის.

ვაჟას შემოქმედება, ბუნებრივია, ყოველთვის იდგა ქართველი ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების ცენტრში და მას მრავალი სამეცნიერო

ნაშრომი მიემდგვნა. რაც შეეხება მისი მემკვიდრეობის ინგლისურენოვან თარგმანებს, ისინი აქამდე სპეციალური დაკვირვების საგანი არ გამხდარა. არადა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ინგლისური ენის ფაქტობრივი საერთაშორისო სტატუსი საშუალებას იძლევა ქართველი გენიოსი მსოფლიომ გაიცნოს. მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად ადეკვატური თარგმანით წარუდგება ვაჟა საერთაშორისო საზოგადოებრიობას; როგორ მიეწოდება ვაჟას პოეტური ნააზრევი უშუალოდ ინგლისურენოვან მკითხველს. ამდენად, უდავოა, რომ ვაჟას პოეზიის ინგლისური თარგმანები მრავალმხრივ გამოკვლევას საჭიროებს.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანების შესწავლა და ორიგინალებთან შეპირისპირება; თარგმანების ანალიზის საფუძველზე იმის დადგენა, თუ რამდენად გახდა შესაძლებელი ვაჟას გენიის წარმოჩენა ინგლისურად.

ვაჟას პოეზიის ინგლისური თარგმანები, სამწუხაროდ, დღესდღეობით საკმაოდ მწირია, ამიტომ მისი შედეგების თარგმნის ყოველი სერიოზული ცდა მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა ამ თარგმანების ყოველმხრივი შესწავლა - ანალიზი, ვინაიდან არსებითად მთარგმნელებზეა დამოკიდებული ქართველი კლასიკოსების და, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. ამდენად, ყოველი შეგნებული თუ უნებლიე შეცდომა უნდა იქნას აღნუსხული და შეფასებული, ხოლო მთარგმნელის წარმატება - დაფასებული. ასე რომ, წარმოდგენილი ნაშრომის პრობლემატიკა დღეს მეტად აქტუალურია.

ვაჟას შემოქმედების, კერძოდ, მისი პოემების ინგლისური თარგმანები აქამდე არ იყო შესწავლილი. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს. მასში გაანალიზებულია, თუ რამდენად ეკვივალენტურია ცალკეული თარგმანი მხატვრული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით; სწორად არის გადმოცემული თუ არა თარგმანში დედნის ძირითადი იდეურ-ესთეტიკური პრობლემატიკა და მისი აზრობრივი მხარე; არის თუ არა თარგმანში კუპიურები და ინტერპოლაციები, შენარჩუნებულია თუ არა მასში ორიგინალის ავტორის სტილი, ორიგინალის რიტმი, ინტონაცია, რითმა; სწორად არის თუ არა მოძებნილი დედნის იდიომების, ფრაზეოლოგიისა და ტროპების ზუსტი შესატყვისები და ა. შ.

თარგმანების ანალიზისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოზიტიურის

შეფასებას. ნაშრომში ციტირებულია პოემების თარგმანების ის მონაკვეთები, სადაც მთარგმნელმა შეძლო დედნისეული მხატვრული სამყაროს სწორი ანალოგი შეექმნა და გაანალიზებულია, რა მხატვრული ხერხებით მოახერხა მან ეს.

ვაჟას პოემების ინგლისურენოვანი თარგმანების ანალიზის დროს ვყვრდნობოდი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და თარგმანათმცოდნეობის მიღწევებს, თარგმანების შეფასების თანამედროვე კრიტერიუმებს. კვლევის ასპექტში ჩვენთვის ამოსავალი იყო დინამიური ეკვივალენტურობის პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია „ეკვივალენტურ ეფექტზე“, როცა ურთიერთობა შეტყობინებასა და მის აღმქმელს შორის თარგმანის ენაზე არსებითად იგივე უნდა იყოს, რაც არსებობდა ორიგინალის ენაზე მოცემულ შეტყობინებასა და მის აღმქმელს შორის. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის ბუნებრიობას.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები მაღალმხატვრული ფორმითა და ღრმა ფილოსოფიური გააზრებით არის გადმოცემული. ფართო მასშტაბის აზროვნებისა და ორიგინალური პოეტური ფორმის შერწყმა მას ნამდვილად წარმოგვიდგენს მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანად.

თავად უცხოელი მეცნიერებიც აღნიშნავენ ვაჟას ინგლისურენოვანი თარგმანების სიმწირეს და მისი შემოქმედების თარგმნის საჭიროებას. აღნიშნულია, რომ ვაჟას პოეზია პრობლემების ორიგინალური დასმითა და მათი მაღალმხატვრული გადაწყვეტით გაამდიდრებს მსოფლიო ლიტერატურას.

თარგმნა დღეს ობიექტური აუცილებლობაა: იგი კულტურათა ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამაშია თარგმნის დიდი ეროვნული ფუნქცია. მართალია, აბსოლუტურად ზუსტი თარგმანის მიღწევა ძნელია, მაგრამ „მიუღწევლობა თარგმანში არ ნიშნავს პრინციპში მიუღწევლობას“ (Федорин 2002: 139). შესაძლებელია ადეკვატური თარგმანი, რაც გულისხმობს ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, დედნის ძირითადი მხატვრული კომპონენტების, რაც შეიძლება, ზუსტ გადმოცემას მთარგმნელის ენაზე. სწორედ ამგვარი თარგმანის შესრულება უნდა იყოს მთარგმნელის მიზანი.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვაჟას პოემებიდან დღემდე ინგლისურად თარგმნილია მხოლოდ სამი: „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“. თითოეული პოემის ორ-ორი თარგმანი არსებობს. „გველისმჭამელი“ ინგლისურად თარგმნეს დ. რეიფილდმა და ვ. ურუშაძემ; „სტუმარ-

მასპინძელი“ - დ. რეიფილდმა და ლ. ჯგერენაიამ; ხოლო „ალუდა ქეთელაური“ - დ. რეიფილდმა და ნ. რამიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული თარგმანები სამი სხვადასხვა თაობის მთარგმნელებს ეკუთვნით, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია. „გველისმჭამელის“ ვ. ურუშაძისეული თარგმანი 1958 წელს გამოიცა; დ. რეიფილდის თარგმანები - 1981 წელს; „სტუმარ-მასპინძლის“ ლ. ჯგერენაიასეული და „ალუდა ქეთელაურის“ ნ. რამიშვილისეული თარგმანები - 2011წელს. რატომ ითარგმნა სხვადასხვა მთარგმნელების მიერ ვაჟას ეს სამი პოემა და არა, მაგალითად, „ბახტრიონი“ ან „გოგოთურ და აფმინა“? სავარაუდოა იმიტომ, რომ ამ პოემებში უფრო ნათლადაა წარმოჩენილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ადამიანისთვის შეიძლება იყოს საინტერესო.

ვაჟას პოემების თითოეული თარგმანი შემოქმედებითი მთლიანობაა, რომელშიც ასახულია პოემის ავტორის თვალთახედვა, გარდატეხილი მთარგმნელის მსოფლმხედველობით პრიზმაში. აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი დამოუკიდებლად შესწავლა, რათა თვალსაჩინოდ შევაფასოთ, რამდენად სწორად გადმოსცემს თითოეული მათგანი ორიგინალის აზრსა და პოეტურ სამყაროს. ცალკეული თარგმანების ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების გამთლიანება, სინთეზი მოგვცემს სრულ სურათს, როგორ არის წარმოჩენილი ვაჟას პოემები ინგლისურ ენაზე მოცემულ ეტაპზე. შესაძლებელი გახდება დაისახოს ის ორიენტირები, რომლებსაც უნდა გაჰყვნენ ამ პოემების მთარგმნელები მომავალში, წინამორბედთა შეცდომების გათვალისწინებით, რათა რაც შეიძლება ადეკვატურად წარმოჩინდეს ვაჟას გენია ინგლისურენოვან სამყაროში.

სადისერტაციო ნაშრომში დასმულმა პრობლემატიკამ და საკვლევი მასალის თავისებურებამ განსაზღვრა მისი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სამ თავს (ცამეტ ქვეთავს) ანოტაციებით ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესავლით და დასკვნით; ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის პირველ თავში („ვაჟა-ფშაველას ფენომენი და მისი პოეზიის თარგმნის მნიშვნელობა“), რომელიც ორი ქვეთავისაგან შედგება, ახსნილია ვაჟა-ფშაველას ფენომენი და დახასიათებულია მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტები; აღნიშნულია, რომ ვაჟას შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს ეხება, რომლებიც დღეს მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონის ადამიანისთვის შეიძლება

იყოს საინტერესო. ამავე თავში ზოგადად განხილულია ვაჟას პოეზიის მხატვრული თარგმანები სხვადასხვა ენაზე და ხაზგასმულია, რატომ არის მნიშვნელოვანი ვაჟას შემოქმედების თარგმნი ინგლისურ ენაზე. აღნიშნულია, რომ ვაჟას ორიგინალური შემოქმედების გაცნობა ხელს შეუწყობს როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ასევე, ცალკეული ნაციონალური ლიტერატურების გამდიდრებას.

ნაშრომის მეორე თავში („თარგმანის კვლევის პრინციპები, დიალექტის თარგმნის თავისებურება“), რომელიც ასევე ორი ქვეთავისაგან შედგება, მოხმობილია ის კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება თარგმანების შეფასება; გამოყოფილია დინამიური ეკვივალენტობის პრობლემა და დიალექტის თარგმნის თავისებურება; შეფასებულია ფშავ-ხევსურული დიალექტის როლი ვაჟას შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველას მხატვრული ენა (ფშავ-ხევსურული დიალექტის და ძველი ქართული ლექსიკური ფორმების გამოყენება) მისი პოეტური სამყაროს ესთეტიკური ღირებულების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომ მისი პოემების თარგმნისას, ისევე როგორც მათი ანალიზისას, არსებითია ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება. უადრესად მნიშვნელოვანია, ცდილობს თუ არა და რა პოეტური გზებით ახერხებს მთარგმნელი საქართველოს მთის კოლორიტის, მის მცხოვრებთა ყოფის თავისთავადობის წარმოჩენას.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი („ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები“), საკვლევი მასალის დეტალურად შესწავლის მიზნით, დაყოფილია ცხრა ქვეთავად, რომლებშიც განხილულია ვაჟას სამი პოემის ორ-ორი თარგმანი („გველისმჭამელის“ ვ. ურუმუძისა და დ. რეიფილდისეული, „სტუმარ-მასპინძლის“ დ. რეიფილდისა და ლ. ჯგერენაიასეული, „ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისა და ნ. რამიშვილისეული თარგმანები). თითოეული თარგმანის დედანთან შეპირისპირებასთან ერთად, მოცემულია არსებული თარგმანების შედარებითი ანალიზი, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს მთარგმნელების წარმატებასა და შეცდომებს, მათ შორის განსხვავებასა და მსგავსებას. ამასთან, შესაძლებელი ხდება შევასოთ, თუ რამდენად იცნობს მთარგმნელი უკვე არსებულ თარგმანს და ითვალისწინებს თუ არა იგი წინამორბედის შეცდომებს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები და შეფასებულია მიმდინარე ეტაპზე ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისურენოვანი

თარგმანების სფეროში არსებული მდგომარეობა.

წარმოდგენილ ნაშრომს თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მასში მოცემულია ინგლისურენოვან თარგმანებში ვაჟას პოემების შინაარსობრივი და მხატვრული ასახვის ანალიზი თანამედროვე თარგმანთმცოდნეობის და ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციიდან. ყოველივე ეს სადისერტაციო ნაშრომს საჭიროდ ხდის როგორც ვაჟას შემოქმედების თარგმანებით დაინტერესებული მეცნიერებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის. ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი სპეცურსის მოსამზადებლად.

სადისერტაციო ნაშრომი მომზადდა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) თარგმანთმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, გამოქვეყნდა ცალკეული სტატიების სახით ქართულ ენაზე. დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებით წაკითხული იქნა მოხსენებები წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა და ი. ჭავჭავაძის სახ. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. ნაშრომის საკვალიფიკაციო განხილვა და აპრობაცია განხორციელდა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

თავი I. ვაჟა-ფშაველას ფენომენი და მისი პოეზიის თარგმნის

მნიშვნელობა

§1. 1 ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ასპექტების ზოგადი დახასიათება

მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II –ის სიტყვით, ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ფენომენია, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ღირსება და დიდებაც.

რით გამოირჩევა ვაჟა, რაში მდგომარეობს მისი ფენომენი? „თანამედროვე ქართველ პოეტებს შორის ვაჟა-ფშაველა - მოვლენაა ყველაზე იდუმალი და თვითმყოფადი. ნებისმიერი ლიტერატურული სკოლისა თუ მიმართულების მიღმა დგას იგი“, - აღნიშნავს გრიგოლ რობაქიძე ნარკვევში „ვაჟა-ფშაველა“ (რობაქიძე: <http://www.ireporter.ge/გრიგოლ-რობაქიძე-ვაჟა-ფშა/>).

დიდად აფასებდა ვაჟა - ფშაველას კონსტანტინე გამსახურდიაც, რომელიც ვაჟას ძველი საქართველოს რაინდული წარსულის ბარდად მიიჩნევდა: „მსოფლიოში მე არ მეგულება მისი ბადალი პოეტი, ასეთი თავისთავადი, ორიგინალობით მოსილი...“

(კ. გამსახურდია http://www.myvideo.ge/?video_id=871759).

„ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება.“ (ილიას ფაქსიმილე, 1905 წ. 21 მარტი), ყუბანეიშვილი 1961: 6) - ეს საოცარი შეფასება ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მართლაც, გარესამყაროს და ბუნების, როგორც ერთიანი ორგანული სისტემის, ვაჟასეული აღქმა, ისევე როგორც მისი პოეტური ენა, მეტად ინდივიდუალური და უნიკალურია.

ვაჟა კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას და დასავლეთის ფილოსოფიურსა და სოციალურ დოქტრინებს. მან ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი თემები. მისი პოეტური სამყარო აღსავსეა გასაოცარი ორიგინალობითა და მრავალფეროვნებით, აზროვნების სიღრმით და ფართო თვალსაწიერით.

ვაჟა-ფშაველას შთამომავლის ლელა რაზიკაშვილის სიტყვით, „მან (ვაჟამ) თავისი შემოქმედებით საზოგადოებას უთხრა, რომ ადამიანისათვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: სამშობლო და რწმენა შეიძლება იქცეს უდიდეს ბოროტებად, თუ მას არ ახლავს მესამე და მთავარი – კაცთმოყვარეობა და ღირსება“. ვაჟამ შეძლო

პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის შეხამება: "ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისევე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უშაბდებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას..." (ვაჟა-ფშაველა 1962: 137).

ვაჟას შემოქმედებაში მძაფრად იგრძნობა ბუნების იდუმალი კანონების წვდომის დაუცხრომელი წყურვილი. "მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა-ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების სადუმლოების ასახსნელად და მისი მშვენიერების ასათვისებლად... მისი სული თითქოს ბუნებრივ დიალოგს მართავს არა მხოლოდ ცხოველებსა და მცენარეებთან, არამედ კლდეებსა და ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პეიზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე" (ქიქოძე 1935: 42).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ბუნებას შერჩენილი აქვს თავისთავადი ღირსება და მნიშვნელობა, რომ პოეტი ბუნებას საკუთარი განწყობილების და ემოციების შესაბამისად კი არ გვიხატავს, არამედ იგი მოხიბლულია ბუნებით და ცდილობს მკითხველსაც აგრძნობინოს ეს. „ვაჟა სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე მგოსანია; როგორც ყველა ჩვენი დიდი პოეტისთვის, მისთვის ჩვენს მშვენიერსა და საუცხოო ბუნებას ჩაუნერგავს ის დაუშრეტელი გრძნობა აღტაცებისა, სიცოცხლისა და სიცოცხლის დამამშვენებელი და შემამკობელი საგნისა და მოვლენისადმი, რომელიც შეადგენს მთელი ჩვენი მწერლობის ნიშანდობლივ და მეტად ორიგინალურ თვისებას. მისთვის ბუნებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იქ სიცოცხლე სდულს და გადმოსდულს" - წერს კ. აბაშიძე ნაშრომში „ვაჟა-ფშაველა“.

„ვაჟა-ფშაველა ბუნების გრძნობის განვითარებაში ახალ საფეხურზე ადის. იგი სცილდება სიმპათიკური გაგების ფარგლებს და ბუნების თავისთავადი ღირებულების განსახიერებამდე მალღდება... ბუნების ყოველ ნაკვთსა და წარმონაქმნს ვაჟას შემოქმედებაში ინდივიდუალური სახე აქვს და საკუთარი სახელი გააჩნია. ამიტომაცაა

ვაჟას ბუნების პოეზია მარად მოუბეზრებელი და წარმტაცი. ეს, შეიძლება ითქვას, ბუნების უჩვეულო გრძნობით თვალეზანთებული პოეზიაა. ვაჟამ ისეთი გრძნობა ჩააქსოვა ბუნების ხოტბაში, რომ დანარჩენ ჩვენ პოეტებს აღარ ყოფნიდათ ძალა რამენაირად მაინც მიახლოებოდნენ ვაჟას მიერ დაპყრობილ სიმაღლეს. ” (კიკნაძე 1957: 112).

ვაჟა კომპოზიციის უბადლო ოსტატია, მისი შედარებები და ეპიტეტები მოულოდნელი და ორიგინალურია, სტილი - დინამიური და ენერგიული. მისი მხატვრული სახეები უაღრესად შთამბეჭდავია; ამ მხრივ მას ბევრი შემოქმედი ვერ შეედრება. ვაჟას განუმეორებელ, არნახულ, მაგრამ ამასთანავე ბუნებრივი ხატების სამყაროში შევყავართ. იგი, მეტაფორული სტილის გამოყენებით, განსაკუთრებით მძაფრ მხედველობით ხატებს ქმნის. „ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველების ანალიზის პროცესში მკაფიოდ გამოიხატება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი: მისი ტროპები და შედარებები გამოირჩევიან განსაკუთრებული ორიგინალურობით... თითქმის შეუძლებელია ხოლმე მათი წინასწარმეტყველება ტექსტში, ვაჟას სამყაროში ყველაფერი სუნთქავს სიდიადით, სიმშვიდით და სინათლით... ძნელია ისეთი მაგალითის პოვნა ვაჟას ნაწარმოებებში, სადაც ხელოვნურობა, ან პოეტური გემოვნების ნაკლულობა იგრძნობოდეს" (ქორდანიას 1982: 68). ვაჟას ტროპები და შედარებები უშუალო კავშირშია ნაწარმოების ლოგიკურ შინაარსთან.

ვაჟა-ფშაველას მხატვრული სტილის დამახასიათებელია უსულო საგნების გასულიერება და გაადამიანურება, რაც ესთეტიკური ხედვისა და ხელოვნების მახასიათებლად არის მიჩნეული. გარდა ამისა, მისი სტილისათვის ნიშანდობლივია თვალსაჩინოება და მხატვრული სახეების დინამიურობა. „ვაჟას მხატვრულ სამყაროში არსებული ყოველგვარი მოვლენა, უმთავრესად მხედველობით შეგრძნებასთან არის დაკავშირებული. მხედველობითი შეგრძნება ასრულებს ყველაზე მნიშვნელოვან როლს ვაჟას მიერ სამყაროს აღქმაში" (სულხანიშვილი 1970: 118). ვაჟას პოეტურ სამყაროში ყველა მოვლენა პლასტიური და დინამიურია: მთანი აქ ხელ-პირის დასაბანად გადმოხრილან წყალზე, გათენებისას ნამძინარევი დევებივით აღმართულან, კლდეები მიყრილ-მოყრილან, მთებს გულ-მკერდი ჩამოჰღარვიათ და ა.შ.

მე-19 საუკუნის ქართველ დიდკაცთა “ორკესტრში ძალზე გამოკვეთილად გაისმის ვაჟა-ფშაველას ხმა. პირველყოფილი, სტიქიური ძალა მის შემოქმედებას ისეთ კანონზომიერებებზე აფუძნებს, რომლებიც უცნობია იმდროინდელ ცივილიზებულ

სამყაროში მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისთვის. ვაჟას ეპიკური ქმნილებები თავიათი განწყობით, დინამიკით და აღნაგობით სულ სხვაა, ვიდრე მე-19 საუკუნის დრამა ანდა რომანი. მასალის დამუშავება, ნაწარმოების ქარგის დახვეწა, გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტის თანდათანობით შექმნა აქ სრულიად სხვა მეთოდებით ხდება. ვაჟას ზოგიერთი პოემა თავისი ჰომერული ლაიტმოტივით, რეალისტური ჰეროიზმის მხატვრული ასახვით აღემატება კიდევ ეპოქის სხვა ქმნილებებს.... მისი პოემების სიტყვიერი ქსოვილი და შინაგანი სიუჟეტური ფორმა როდი ჰგავს თუნდაც ნიკორწმინდის უნატიფესად დახვეწილ ჩუქურთმებს, არამედ თავისი ზეადამიანური დამაბულობით, ყოველგვარი ჩარჩოების ამფეთქებელი ზნეობრიობით და სიწრფოებით უმაღლეს სვეტიცხოველის კუმბ, მასიურ, ნაკლებად გამშვენებულ ბურჯებს და კლდეებს. ვაჟასთან საზღვარი არა აქვს სიმართლის, ჭეშმარიტების წყურვილს და ამის განცდის სიმძაფრე მის შემთხვევაში არანაკლებია, ვიდრე ბეთჰოვენის მე-5 ან მე-9 სიმფონიებში” (გამსახურდია 2005: 69).

ვაჟას პერსონაჟების სულიერი თვალსაწიერი ზოგჯერ ვერ თავსდება დაკანონებული ზნეობრივი კოდექსის ჩარჩოებში (ზვიადაური, ალუდა). პიროვნების და საზოგადოების კონფლიქტის საუკეთესო გამომხატველია ალუდა ქეთელაური, რომელმაც უარყო მამა-პაპათაგან დაკანონებული ჩვეულება, არ მოსჭრა მოკლულ მტერს მარჯვენა. მან ყველა ადამიანი, განურჩევლად რჯულისა და მოდგმისა, აღიარა სიყვარულის ღირსად. ი. ვართაგავას აზრით, ალუდას მიერ კურატის შეწირვა მუცალის სულის მოსახსენებლად რელიგიური შემწყნარებლობის და დიდი ჰუმანისტური გრძნობის გამოხატულებაა. "ალუდა ნამდვილი განხორციელებაა ძველი ქართველისა - მისი ვაჟკაცობისა, დიდსულოვნებისა, ღრმა და შეგნებული მორწმუნეობისა... ამავდროს ალუდა საუცხოო მსოფლიო (ზოგადსაკაცობრიო) ტიპია, ქართულ ისტორიულ-კულტურულ ნიადაგზე დაბადებული და გაზრდილი" (ვართაგავა 1958: 65).

ლიტერატურის კრიტიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის თაობაზე. მათი ერთი ნაწილი (ი. გომართელი, გ. ქიქოძე, ა. ხახანაშვილი) მის მსოფლმხედველობას წარმართობის და პანთეიზმის შერწყმად მიიჩნევდა. გ. ქიქოძის აზრით, ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობას ორი მთავარი წყარო აქვს: ერთია მთელ დედამიწის ზურგზე გავრცელებული ხალხური რწმენა, რომ ყოველი საგანი ბუნებაში სულჩადგმულია... მეორე საფუძველი კი პანთეიზმია, ე.ი. წარმოდგენა, რომ მთელი ბუნება ღვთაებრივი სულითაა

გაჟღენთილი და რომ ღმერთი არ არსებობს ბუნებისგან დამოუკიდებლად და მის გარეშე.

თანამედროვე კრიტიკის შეფასებით, ვაჟა არ არის არც წარმართი და არც პანთეისტი. იგი ანიმისტურ, წარმართულ მოდელს იყენებს თავისი ფილოსოფიური მრწამსის, ფიქრების და განცდების უფრო თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად. ეს ერთგვარი მხატვრული ხერხია, ისევე როგორც ფშაურ კილოზე წერა.

გრ. კიკნაძის აზრით, კრიტიკოსთა შეცდომის სათავე ვაჟას მეტყველების ფორმის (მხატვრული ხერხის) და თვალსაზრისის გაიგივებაში მდგომარეობდა; და რომ, სინამდვილეში, დაწყებული მწერლის ეთიკური პრინციპებიდან, მისი რეალისტური პოზიციიდან და დამთავრებული სინამდვილის ასახვის მხატვრული გზით, ყველაფერი უარყოფს აზრს, რომ ვაჟა არის წარმართი, პანთეისტი და ანიმისტი. ვაჟას შემოქმედება „ეს არის გზა რეალისტისა... ეს არის რეალიზმის უძირითადესი ტენდენცია: დაინახოს და ხილულს თავისთავად მიანიჭოს ღირებულება... ვაჟამ საგანი და აზრი ერთიმეორეს შეუთავსა და ამით რეალისტური ტენდენცია ბოლომდე განახორციელა“ (კიკნაძე 1957: 200).

"ვაჟა-ფშაველას პოეზია ახალი ნაბიჯია ქართული რეალიზმის განვითარების გზაზე" - მიიჩნევს გ. ასათიანი - "მხატვრული რეალიზმი აქ თავის მწვერვალს აღწევს. აქ კვლავ აღორძინებულია სიცოცხლის კულტი, რომელიც თავისი შინაარსით და ფართო მნიშვნელობით საკუთრივ კლასიკურ მსოფლგანცდას უახლოვდება... მის მიერ შექმნილ პოეტურ სისტემაში გენიალური ნათელხილვით განჭვრეტილია "რეალურის" და "იდეალურის" ურთიერთგამსჭვალავი ერთიანობა. ეს არის არსებითად "გასულდგმულელებული", "ფრთაშესხმული" რეალიზმი... ვაჟა-ფშაველას რეალიზმი ჰეროიკული რეალიზმია".

იუნესკოს ვებსაიტზე (<http://www.unesco.org/new/en/unesco/events/prizes-and-celebrations/celebrations/anniversaries-celebrated-by-member-states/2011/>) ვაჟას 150 წლის იუბილისადმი მიძღვნილ წერილში ნათქვამია: "Vazha Pshavela (the pseudonym of Luka Razikashvili, 1861-1915) was a Georgian thinker, poet and writer. Vazha Pshavela's poetry represents the summit of nineteenth-century Georgian realism." (ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილის ფსევდონიმი, 1861-1915წ.წ.) იყო ქართველი მოაზროვნე, პოეტი და მწერალი. ვაჟა-ფშაველას პოეზია მე-19 საუკუნის ქართული რეალიზმის მწვერვალს წარმოადგენს“, თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა).

ვაჟა-ფშაველას ფენომენის ერთ-ერთ ნიშნად გრ. კიკნაძეს მიაჩნია ის, რომ ვაჟას შემოქმედებაში საქმე გვაქვს გრძნობათა და იდეათა პერსონიფიკაციასთან. ამ თვალთახედვით, მას დამახასიათებელი აქვს სამ პერსონაჟში პერსონიფიცირებული სამი მოტივი: ზვიადაურის სახეში პერსონიფიცირებული შეუპოვრობის და გამძლეობის მოტივი, ანუ ზვიადაურის მოტივი, პიროვნული ღირსების დაცვის, ანუ ჯოყოლას მოტივი და სულგრძელობისა და ქველმოქმედების - გოგოთურის მოტივი.

ვაჟას შემოქმედების გათვალისწინებით, მისი ლიტერატურული ფენომენის შინაარსად გრ. კიკნაძეს მიაჩნდა შემდეგი მომენტების შერწყმა: ვაჟას შემოქმედებაში მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით აღიარებულია მოვლენების და საგნების თანაბარღირებულება; ამასთან, ვაჟას პოეტურ ხილვაში თითქმის ყველა მოვლენას მიეწერება თვითღირებულება. გრ. კიკნაძე ხაზს უსვამდა აგრეთვე მითთაქმნადობის ტენდენციას ვაჟას შემოქმედებაში, რაც ყველა დროის დიდი ხელოვანის დამახასიათებელი თვისებაა.

ღრმა ჰუმანური იდეალებითაა შთაგონებული და ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული ვაჟას ლირიკული პოეზიის უნიკალური ნიმუშები: "ხმელი წიფელი", "მთანი მაღალნი", "შვლის ნუკრის ნაამბობი"... მთიანი ლანდშაფტის და ბუნების მშვენიერების ვაჟასეული აღწერა მართლაც შეუდარებელია. მის ნაწარმოებებში ბუნების ყოველი საგანი, მოვლენა გასულდგმულებულია, ცოცხალია.

ვაჟას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფილოსოფიური მიდგომა სინამდვილისადმი. იგი შუშანას პირით ამბობს, რომ „მგელს არ შეიძლება მოვთხოვოთ, რომ ის არ იყოს მგელი და ყორანს - რომ ის არ იყოს ყორანი, რადგან მხოლოდ ასეთია მათი არსებობის ფორმა... ეს მთელი სამყაროს წონასწორობის პრინციპია“ (სულხანიშვილი, 1970: 102). ამგვარი ფილოსოფიური მიდგომა ჩანს სიკვდილისადმი ვაჟას დამოკიდებულებაშიც:

"ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენსც სიკვდილო, ფასი გპე,
სიცოცხლის ნაწყენობითა..."

ვაჟა-ფშაველას პოეტური სტილი მკვეთრად გამოირჩევა XIX საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ფონზე. მისი ხატოვანი აზროვნების პირველწყარო ხალხური შემოქმედებაა. ვაჟას ენა საკამათო იყო მის სიცოცხლეშივე და საინტერესო

თემად რჩება დღესაც. ის, რაც ერთ დროს მის ნაკლად მიიჩნეოდა, ამჟამად მისი მხატვრული სამყაროს ესთეტიკური ღირებულების ძლიერ ფაქტორად ითვლება. ვაჟამ დიალექტური და ძველქართული ფორმების შემოტანით გააფართოვა ქართული პოეტური მეტყველების ჩარჩოები, გაამდიდრა ლექსიკა.

„არცერთი ქართველი პოეტი ისე უშუალოდ არ დასწაფებია ქართული ფოლკლორის პირველწყაროებს, როგორც ვაჟა. ამ გარემოებამ მისი ისედაც მდიდარი ლექსიკონი კიდევ უფრო გაამდიდრა კონკრეტული მარღვიანი სიტყვებით და გამოთქმებით, მის სახეებს ბიბლიური უბრალოება და მონუმენტალურობა მისცა“ (ქიქოძე 1935: 42).

ვაჟას შემოქმედების მნიშვნელოვანი თვისებაა ხალხური შემოქმედებისთვის დამახასიათებელი სიფაქიზე. მისთვის ხალხურ მეტყველებას აზრის უკეთესად ნათელყოფის და პოეტური ხატების უფრო ძლიერად გამოკვეთის ფუნქცია აქვს. მის ქმნილებებში თავისუფალი, ბუნებრივი ხალხური ენა საოცრად ოსტატურადაა შერწყმული ინდივიდუალურ მხატვრულ გენიასთან.

ვაჟას თხზულებების ენამ დიდი ყურადღება მიიქცია. მის გარშემო დიდი დავა და აზრთა სხვაობა არსებობდა და ამ დავამ და კამათმა გარკვეული სახით დღემდე მოაღწია. ვაჟა-ფშაველა ცდილობდა მისი სალიტერატურო ენის სისწორე მეცნიერულად დაესაბუთებინა და ფშავ-ხევსურული კილოს საჭიროება დაემტკიცებინა. ერთხელ მან დავით კლდიაშვილს უთხრა: „მე ამ ჩემი ენით მომწონს თავიო“. იგი თავის წერილებში ამტკიცებდა, რომ ქართული ენა მთამ უფრო შემოინახა, ვიდრე ბარმა. ვაჟას თავისი შემოქმედების განუყრელ თვისებად მიაჩნდა მის მიერ შემუშავებული სამწერლო ენა, რომელიც დიდი ფიქრის, მასალის შესწავლისა და პოეტური მუშაობის შედეგად დაიბადა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვაჟას პროზა დაწერილია ლიტერატურული ხატოვანი ქართული ენით; მის მხატვრულ პროზაში თითქმის არ იგრძნობა ფშავ-ხევსურული კილოს ზეგავლენა. იმ პოემებში, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს საქართველოს გარეთ, ქისტეთის და ჩერქეზეთის ფონზე, უმთავრესად ზოგად ქართული ხალხური იერის სალიტერატურო ენა გამოიყენება; ხოლო თუ პოემაში მოქმედება გაშლილია ფშავ-ხევსურეთის ფონზე – ჭარბად არის ფშავ-ხევსურული კუთხური მეტყველება.

„ვაჟა - ფშაველა სალიტერატურო ენას ამუშავებდა ამა თუ იმ

თემის საფუძველზე. როდესაც პოეტი ფშავ-ხევსურული ცხოვრების მასალაზე ნაწარმოებს ქმნიდა, მეტ ყურადღებას აქცევდა სიტყვიერი მასალის ელფერს და ცდილობდა თავისი კუთხის კოლორიტი ნაწარმოების ენობრივ ქსოვილშიც შეენარჩუნებინა. ამიტომ, იმ პოემებში, სადაც მოქმედება ფშავ-ხევსურეთში ხდება, ყველგან იგრძნობა კუთხური კილო” (ჩიქოვანი 1960: <http://armuri.4forum.biz/t71p15-topic>).

ვაჟას პოემების განუმეორებლობა და სილამაზე, ნაწილობრივ, სწორედ მთის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი მეტყველებაა. მას ახასიათებს ლაკონურობა და არ ესაჭიროება განვრცობილი სინტაქსი, ამიტომ ფშავ-ხევსურული კილო უფრო გამოსადეგი იყო ამისთვის. „ვაჟას ქმნილებებში ფშავ-ხევსურული კილო სასწორის მხოლოდ ერთ პინაზეა განთავსებული. მეორე პინაზე მას აწონასწორებს ძველი ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი განწყობილება ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო სემანტიკასთან ერთად.....რაც უფრო მეტად გადმოსცემს სპირიტუალური სამყაროს განცდებს” (გამსახურდია 2005: 70).

პერსონაჟების - ადამიანების დახასიათებისას ვაჟა საგანგებოდ არ აღწერს მათ გარეგნობას. მიუხედავად ამისა, მკითხველის წინაშე ისინი სრულიად ნათლად წარმოდგებიან. ამ ხატოვანების მიზეზი ვაჟას მხატვრულ საშუალებებშია - იგი გმირის სულიერი მოძრაობის, მისი მოქმედებების, განცდების, მოქმედ პირთა შორის ურთიერთობის აღწერით ახერხებს პერსონაჟის ძლიერი მხატვრული სახის შექმნას. სრულიად განსხვავებული სიტუაციაა მცენარეების, ცხოველების, ფრინველების და, საერთოდ, ბუნების დახასიათებისას. ვაჟა ამ შემთხვევაში სულიერი მდგომარეობის წარმოჩენასთან ერთად (გასულიერება), მკაფიო გარეგნულ სახესაც ქმნის, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ვაჟა არა მხოლოდ სულიერი სფეროს ხატვის ოსტატია, არამედ ბრწყინვალე გარეგნული სახეებისაც; მაგრამ როცა საქმე ეხება ადამიანს, ვაჟასთვის მთავარია მისი სული, შინაგანი სამყაროს მრავალფეროვნება და არა გარეგნობა. ამ უკანასკნელს მხოლოდ დამხმარე ფუნქცია ენიჭება.

გმირის ევოლუცია და ფინალი ვაჟას პოემებში თავისებური პასუხია ურთულეს კითხვაზე, თუ რა არის ადამიანური თავისუფლება და არის თუ არა ის შესაძლებელი. ვაჟასთვის თავისუფლება ეთიკური გმირობის გზით მოიპოვება და ამის მაგალითები არიან მინდია, ალუდა, ჯოყოლა, ლუხუმი, კვირია.

„ვაჟა, როგორც პოეტი, ბრძენია - ზედმეტს არას ამბობს და არ ლაყობს, თუმცა

ერთობ მჭევრმეტყველია და ზემთაგონებული, როდესაც ლაპარაკს საჭიროდ თვლის; ვაჟას მოსმენა ძალუმს და ხილვა იზიდავს. იგი არ ამბობს ყველაფერს, რისი თქმაც შეუძლია... ჩვენს მიერ ადრე დანახულ გარემოში ვაჟამ ახალი შინაარსი ჩასდო, ამოიკითხა და აქამდე უნახავ სამყაროდ გადაგვიშალა" (კიკნაძე 1957: 306).

თავის ესეში „ნიჭიერი მწერალი“ ვაჟას ამომწურავად აქვს ჩამოყალიბებული მწერლის შეფასების კრიტერიუმები: „ვინ არის ნიჭიერი მწერალი?... მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან ენა სახეა მწერლისა... უკეთესად რომ ვსთქვათ, - მწერლის სულია. ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“.....

ხოლო შინაგანი ღირსება ისაა, თუ რა მოვლენანი გაუხდია მას თავის მწერლობის საგნად და რა ღირებულებებისაა ეს მოვლენანი... რამდენად ცხოვლად, ნათლად, მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენათ, რამდენად გვიტაცებს, გვიმორჩილებს მისი ნაწარმოები, - ჩვენზე რამდენად ძლიერად მოქმედობს. ყოველი ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ მწერალი რამდენად ღრმადაა ჩახედული ცხოვრებაში, რამდენად ესმის საჭირობოროტო კითხვები ამ ცხოვრებისა...

ვინ არის ნიჭიერი მწერალი? ვისაც დიდად უყვარს ადამიანი, დიდად მოწადინებულია გააბედნიეროს იგი, ვისაც დიდად უყვარს ცხოვრება და ენიაზება მისი გაუკეთესება, ამისათვის საჭიროა დიდი გრძნობა, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა.

იგია ნიჭიერი მწერალი, ვინც, რასაც თავად ჰგრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი სხვასაც ისე აგრძნობინოს და აფიქრებინოს, ვისშიაც ძლიერად სჩქეფს ეროვნული სისხლი, ვინაიდან ეს უმთავრესი ფესვია იმის შემოქმედებისა.”(ვაჟა-ფშაველა 1910: www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=1524).

ყოველივე ზემოთაღნიშნული იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ ვაჟა-ფშაველას დონის ხელოვანები მსოფლიოში არცთუ ბევრია. თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტის და იმავდროულად კოსმოპოლიტის (ამ სიტყვის საუკეთესო, გაგებით) შემოქმედებაში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემების მხატვრული გააზრება, ღრმა ფილოსოფიური აზროვნება და მაღალი პოეტური მგრძნობელობა მას ნამდვილად იმ ფენომენად აქცევს, რომელიც აუცილებლად უნდა გაიცნოს მსოფლიომ.

§ 1.2 ვაჟას პოეზიის თარგმანები და მათი მნიშვნელობა

ვაჟას პოეზიას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობენ და აფასებენ (თუმცა არასაკმარისად). "ვაჟა-ფშაველა თანამედროვე საქართველოს უდიდესი გენიოსია. მისი უმშვენიერესი ნაწარმოებების რიცხვს განეკუთვნება პოემები, რომლებშიც კავკასიური ხალხური მითოლოგია შერწყმულია პიროვნების ტრაგედიასთან (თარგმანი ინგლისურიდან ლ. ჩხარტიშვილისა)" - აღნიშნულია ინტერნეტში განთავსებულ ბრიტანულ ენციკლოპედიაში Encyclopedia Britannica (Encyclopedia Britannica 2010: <http://www.britannica.com/EBchecked/topic/481396/Vazha-Pshavela>).

დევიდ მარშალ ლენგი მის წიგნში „საქართველოს თანამედროვე ისტორია“ (A Modern History of Georgia) (Lang: <http://www.questia.com/PM.qst?a=o&d=7727750>) აღფრთოვანებით წერს: "ვაჟა-ფშაველამ - ბუნების ჭეშმარიტმა შვილმა, ცხოვრების უმეტესი ნაწილი საქართველოს მთებში მდებარე პატარა სოფელში გაატარა. დიდებული მთის პეიზაჟი, მთიელ ხალხთა ცხოვრების სტილი და ჩვეულებები, მათი ვაჟკაცური და მეზრძოლი სული, მათი მდიდარი ხალხური ტრადიციები მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი შთაგონებისთვის. თავის ეპიკურ ნაწარმოებებში იგი აღწერს ზებუნებრივ ძალებთან მეზრძოლ ტიტანური ძალის მქონე ადამიანებს, რომლებიც ღრმა ფსიქოლოგიური კონფლიქტებისაგან იხლიჩებიან. მან დიდებულად შეძლო ხალხური პოეზიის ამალღებული, ინდივიდუალური შემოქმედებითი ფორმით გადმოცემა" (თარგმანი ინგლისურიდან, ლ. ჩხარტიშვილი).

ევროპულ ენებზე ვაჟას შედეგები თანდათანობით იკავებს მსოფლიო ლიტერატურაში მისთვის კუთვნილ ადგილს. ვაჟას თხზულებათა თარგმანებმა დიდი აღიარება მოიპოვეს რუსულ, უკრაინულ და ევროპის სხვა ხალხთა ენებზე. მისი შემოქმედება სხვადასხვა დროს ოცზე მეტ ენაზე ითარგმნა: იტალიურად (ლუიჯი მაგაროტო), ფრანგულად (გასტონ ბუაჩიძე), რუსულად (ნ. ზაბოლოცკი, ვ. დერჟავინი, ი. მანდელშტამი, ბ. პასტერნაკი, მ. ცვეტაევა...), უკრაინულად (ა. მალიშკო, პ. ტიჩინა. მ. ბაჟანი...), გერმანულად (ი. მარჩევი, ს. ხოტივარი-იუნგერი), ინგლისურად (ვ. ურუშაძე, დ. რეიფილდი, ნ. რამიშვილი, ლ. ჯგერენაია, ჯ. ჰიუიტი...) და სხვა; მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი.

ვაჟა-ფშაველას პოემები იტალიურად თარგმნა ცნობილმა იტალიელმა

ქართველოლოგმა და ქართული ლიტერატურის მთარგმნელმა ლუიჯი მაგაროტომ. მან 1996 წელს გამოსცა წიგნი: Magarotto, Luigi & Giacoberto Sarcia, tr. 1996, Vaza-Psavela. "L'Uomo che mangio carne di serpente e altri poemetti" („გველისმჭამელი“ და სხვა პოემები“) Parisian di Piato: Capanotto Editore ([http://www.nato.int/acad/fellow/94-96/elguja/notes.htm#\(41\)](http://www.nato.int/acad/fellow/94-96/elguja/notes.htm#(41))). 1998 წელს ქართველოლოგიური კვლევების ფონდმა ლ. მაგაროტო მარჯორი უორდროპის პრიზით დააჯილდოვა ამ სფეროში მის მიერ გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად. ლ. მაგაროტო ვენეციის უნივერსიტეტის Università Ca Foscari-ის ამერიკული კვლევების, იბერისტიკისა და სლავისტიკის ფაკულტეტის პროფესორია, 2002 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი. 1982 წელს ვენეციაში გამოცემულ წიგნში „ავანგარდიზმი“ იგი წერს: „თანამედროვე ევროპული გადასახედიდან საქართველო მოიაზრება, როგორც ხიდი ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს შორის“. (<http://www.kartvfund.org.ge/index.php?act=page&id=33&lang=en>).

ვაჟას სხვა ნაწარმოებებთან ერთად მისი ექვსი პოემა (მათ შორის „გველისმჭამელი“) თარგმნა ფრანგულად ნანტის უნივერსიტეტის პროფესორმა გასტონ ბუაჩიდემ, რომელიც თბილისშია დაბადებული, მამა ქართველი ჰყავდა, დედა-ფრანგი, 1991-2001 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა ფრანგული ენის პროფესორად, ავტორია წიგნისა: Bouatchidze, Gaston, tr. 1989, Vaja-Pchavela, Le mangeur de serpent et autres poemes („გველისმჭამელი და სხვა პოემები“), Paris: Publications Orientalistes de France. რადიო „თავისუფლებისათვის“ მომზადებულ ნარკვევში „თავისუფლების დღიურები“ გ. ბუაჩიძე წერს: „ახლანდელ ე.წ. „მწვანეთა“ მოძრაობას სინამდვილეში ვაჟას უაღრესად ჰუმანურმა თვალთახედვამ ჩაუყარა საფუძველი“ (<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2195310.html>.) 2010 წელს 23 სექტემბერს გ. ბუაჩიძემ თსუ-ში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ქართული ლიტერატურის კოლექცია ფრანგულად“.

1950-იანი წლების ბოლოს სლოვაკმა მილოშ კრნომ სლოვაკურად თარგმნა ვაჟას პოემები, რომლებიც მის მიერ გამოცემულ „ქართული კულტურის ანთოლოგიაში“ შევიდა. 1982 წელს კი ჩეხმა მწერალმა ვალერიან ჩერნიმ გამოსცა ვაჟას პოემების ჩეხური თარგმანები და მას საკუთარი მეცნიერულ-კრიტიკული კომენტარებიც დაურთო (<http://www.kartvfund.org.ge/index.php?act=page&id=49.64&lang=ge>).

ვაჟას შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს რუსმა

მთარგმნელებმა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. ზაბოლოცკის თარგმანები, რომლებიც, რუს კრიტიკოსთა აღიარებით, რუსული პოეზიის საუკეთესო მონაპოვრად იქცა. ზაბოლოცკიმ თარგმნა და რუს მკითხველსაც შეაყვარა ვაჟას შედეგები. მისი თარგმანები არის საუკეთესო ნიმუში მთარგმნელის ტალანტის და მეცნიერული კეთილსინდისიერების შერწყმისა. თარგმანის დაწყებამდე ზაბოლოცკი გულმოდგინედ სწავლობდა არა მხოლოდ დედანს, არამედ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ეროვნულ რეალობას, რომელშიც შეიქმნა ნაწარმოები. მართალია, იგი, როგორც რუსი მთარგმნელების უმრავლესობა, პწკარედიდან თარგმნიდა (მისთვის პწკარედს აკეთებდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები), მაგრამ ცდილობდა ქართველი პოეტებისა და მეცნიერ-ფილოლოგების დახმარებით გაერკვია ტექსტის ცალკეული აზრობრივი და სახეობრივი დეტალები.

ზაბოლოცკის, როგორც მთარგმნელის, წარმატება განაპირობა იმან, რომ მას, როგორც ხელოვანს, გარკვეული შეხების წერტილები ჰქონდა ვაჟასთან. არის რაღაც ვაჟასეული რუსი პოეტის მიერ ბუნების აღქმაში. მის ლექსებშიც ისმის ბუნების იდუმალებათა წვდომის შეუწელებელი წყურვილი, მისი მარად მფეთქავი ხმა. მის პოეზიაშიც არის ბრძოლა სუსტისა და ძლიერისა, სიცოცხლისა და სიკვდილისა. თარგმანი, ზაბოლოცკის აზრით, რუსული ორიგინალური პოეზიის განცდას უნდა ქმნიდეს, ამიტომ ზოგჯერ იგი უარს ამბობდა შინაარსის ზედმიწევნით გადატანაზე, თუ ის არღვევდა თარგმანში პოეტური ტექსტის ბუნებრიობას, ოღონდ ეს არ ნიშნავდა დედნის დამახინჯებას.

„თავის მთარგმნელობით მუშაობაში ზაბოლოცკი ხელმძღვანელობდა პრინციპით: ეთარგმნა არა სიტყვები, წინადადებები, ნაწყვეტები, არამედ პოეზია: სახეები, განწყობილებანი, ის ძირითადი ღერძი, რაზეც აგებულია ნაწარმოები“ (კონტრიძე 1982: 250-251). მის თარგმანებში მკითხველი ვერ შეხვდება ხელოვნურ, არაბუნებრივ მეტყველებას. პოეტური ხატები თარგმანში მკითხველს წარმოუდგება არა გაშუალებულად, აღწერილობით, არამედ უშუალოდ, ვაჟასეულად. მთარგმნელის უმთავრესი მიზანია შეიყვანოს მკითხველი ვაჟას სამყაროში და წარუდგინოს იგი მკითხველს ისეთი, როგორიც იყო: პოეზიის ბუმბერაზად. თუმცა ზაბოლოცკის თარგმანებს უდავო ღირსებებთან ერთად გარკვეული ნაკლიც აქვთ. მათ ტექსტში არის კუპიურები –გამოტოვებული ადგილები და ჩანართები.ზოგჯერ კუპიურებში ხვდება აზრობრივად მნიშვნელოვანი ნიუანსი ან ხატი, რომელსაც ძირითადი მხატვრული

ფუნქცია აკისრია. ადგილი აქვს ჩანართებს, რომლებიც ცვლიან ვაჟას პოეტურ სახეებს.

ნ. ზაბოლოცკიმ მოახერხა შესაბამისი ფორმები მოენახა ვაჟას პოეტური მეტყველების დიალექტური ფორმებისთვის, რომელთაც პოეტის შემოქმედებაში ძლიერი ემოცია შემოაქვთ.

ნ. ზაბოლოცკის გარდა, ვაჟა-ფშაველას პოეზიას რუსულად თარგმნიდნენ ო. მანდელშტამი, ბ. პასტერნაკი, მ. ცვეტაევა, ვ. დერჟავინი და სხვები. XIX საუკუნის არცერთ ქართველ კლასიკოსს არ ჰყოლია იმდენი რუსი მთარგმნელი, რამდენიც ვაჟას. ზოგი პოემა თითქმის პარალელურად ითარგმნებოდა განსხვავებული ნიჭისა და პოეტური ხელწერის მქონე ხელოვანთა მიერ, რაც აისახებოდა კიდევ თარგმანში.

„ოსიპ მანდელშტამი პირველი უცხოელი იყო, რომელმაც აღიარა ვაჟა-ფშაველას მნიშვნელობა. 1921 წელს მან თარგმნა „გოგოთურ და აფშინა“... 1922 წელს კი გამოაქვეყნა სტატია: „ცოტა რამ ქართული ხელოვნების შესახებ“, რომელშიც ვაჟა სიტყვის ნამდვილ ქარიშხლად გამოაცხადა, რომელმაც საქართველოს გადაუარა და ხეები ძირფესვიანად ამოთხარა... გამოიყენა რა ქართული ფონეტიკის ტემპერამენტი“ (რეიფილდი 1994: 187). ო. მანდელშტამმა პირველმა დაიწყო ვაჟას პოეზიის თარგმნა რუსულად. მან რუსული ბილინების ფორმა აირჩია, მაგრამ ამ საზომმა ვაჟას პოეტური ინტონაცია ვერ გადმოიტანა თარგმანში.

ვაჟას პოეზიის რუსულად მთარგმნელთა შორის გამოირჩევა მარინა ცვეტაევა. მას თარგმნილი აქვს „ გოგოთურ და აფშინა“, „ეთერი“ და „ დაჭრილი ვეფხვი“. ცვეტაევას თარგმანები ინტონაციურად თითქმის იმეორებს დედანს და მის შინაარსსაც თითქმის უცვლელად გამოხატავს. მთარგმნელი იყენებს ზომიერ არქაულ ლექსიკას, თუმცა ეს ვერ იქნება კომპენსაცია ვაჟას პოემებში გამოყენებული ფშავ-ხევსურული დიალექტისა. უნდა აღინიშნოს, რომ ცვეტაევამ მოახერხა ვაჟასეული თხრობის დინამიკის ანალოგის შექმნა თარგმანში, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა. მთარგმნელს ზოგჯერ უწევს ტექსტის გავრცობა და დროდადრო დედნის თანაბარი ღირებულების ორიგინალურ ხატებს ქმნის. ეს მას სჭირდება, რათა მკითხველს განუმარტოს ვაჟას სამყაროს ორიგინალური და ეროვნული თავისებურება. პოემა „ეთერის“ თარგმანში ცვეტაევა ვაჟასეულ სურათს მის მიერ შექმნილი სურათით ცვლის, მაგრამ ეს სურათი პოეტურად ტოლფასია დედნისა. არსებობს მოსაზრება, რომ ცვეტაევას თარგმანებს სისადავე და უბრალოება აკლია, თუმცა ეს მოსაზრება სადაოა. შეცდომებისაგან არცერთი თარგმანი არ არის დაზღვეული, მაგრამ მ. ცვეტაევას არაარსებით შეცდომებს

ფარავს მისი დიდი ნიჭიერება.

დიდი მწერლის კონგენიალური თარგმანი ყოველთვის ვერ ხერხდება, თუმცა თარგმანის ისტორია გვეუბნება, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ენებშიც შეიძლება თანაბარი ღირებულების პოეტური ფორმების მონახვა. ყველაფერი დამოკიდებულია მთარგმნელის წვდომისა და წარმოსახვის უნარზე. თუმცა ვაჟას პოეზიის განსაკვიფრებელი თავისთავადობა, ბუნებრივია, მის თარგმანს ართულებს. საინტერესოა ვაჟას ლირიკის ანდრეი მალიშკოსეული უკრაინულ თარგმანებიც. „პოეტური სახეებით, რიტმითა და ხალხური პოეზიისთვის ტიპური გამოხატვის საშუალებებით მალიშკო აზროვნების იმავე რკალში შემოდის, რომელშიც გარკვეულად სახიერდება ვაჟა, როგორც ხელოვანი, თუმცა, ცხადია, ამით არც ის შეიძლება ითქვას, თითქოს მხოლოდ ეს გარემოება არის თარგმნისას წარმატების აუცილებელი პირობა“ (ხვედელიძე 1982: 292).

მალიშკომ თხრობის სასაუბრო ფორმით შეინარჩუნა ვაჟას ლირიკის გარეგნული იერი. ზოგჯერ მთარგმნელი უკრაინული ყოფის მიმანიშნებელ მხატვრულ მასალას იყენებს და ამით ლექსს ბუნებრივ ჟღერადობას ანიჭებს. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში თარგმნისას ამგვარი თავისუფლება ქართული კოლორიტის დაკარგვას იწვევს. მალიშკოს თარგმანებში ყურადღებას იპყრობს საზომების მრავალფეროვნება მაშინ, როცა დედანში ერთი საზომი ფიგურირებს. მალიშკო განსაკუთრებულ წარმატებას იქ აღწევს, სადაც ვაჟას რვამარცვლიან საზომს იმეორებს. თუმცა მალიშკოს თარგმანებში არის დასანანი შეცდომებიც. ზოგჯერ იგი ლექსის ვაჟასეულ სიუჟეტს საყოველთაოდ გავრცელებული ვარიანტით ცვლის („ამირანი“), სხვა შემთხვევაში კი მისი წარმოსახვა ვაჟასეულისგან სრულიად განსხვავებულია. მთლიანობაში, „ვაჟას ლირიკის თარგმნის ამოცანა ანდრეი მალიშკომ ძირითადად სწორად გადაჭრა. მან სცადა პოეტური აზრისთვის უკრაინულ ენაზეც ვაჟასეული უშუალობა მიეცა და ხშირად ეს კიდევ შეძლო. თარგმანში საკმარისად არის მალიშკოსეული ორიგინალური, თუმცა პოეტურად დედნის ტოლფასი სახეები, მაგრამ მისი წარმატება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია იქ, სადაც დედნის ერთგული რჩება“ (ხვედელიძე 1982: 292).

ინგლისურად ვაჟას შემოქმედების თარგმანები ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ რაც არის, ის უაღრესად მნიშვნელოვანია. ვაჟას თვითმყოფადობა, რაც მის სტილსა და ენის განსაკუთრებულობაში ვლინდება, ძნელად ემორჩილება თარგმნას. ამიტომ მისი

თარგმნის ყოველი სერიოზული მცდელობა ნამდვილად დასაფასებელია და ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების გარეთ არ უნდა დარჩეს. ვაჟას პოემებიდან დღესდღეობით ინგლისურად თარგმნილია მხოლოდ სამი: „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“. ამასთან, თითოეული მათგანის ორ-ორი თარგმანი არსებობს. „გველისმჭამელი“ ინგლისურად თარგმნეს დ. რეიფილდმა და ვ. ურუშაძემ, „სტუმარ-მასპინძელი“ - დ. რეიფილდმა და ლ. ჯგერენაიამ, ხოლო „ალუდა ქეთელაური“ - დ. რეიფილდმა და ნ. რამიშვილმა.

2008 წლის 15 აგვისტოს ბრიტანულ გაზეთში The Times დაიბეჭდა მწერლისა და ჟურნალისტის ჯეიმს ჰოპკინის სტატია სახელწოდებით: “James Hopkin Takes a Journey Through Georgia's Literary Heritage” („ჯეიმს ჰოპკინი მოგზაურობს საქართველოს ლიტერატურული მემკვიდრეობის სამყაროში“), რომელშიც ავტორი გაოცებას ვერ მალავს: „პირველი კითხვა, რომელიც ჩნდება, არის შემდეგი: რატომ ითარგმნა ქართული ლიტერატურა ასეთი მცირედი რაოდენობით ინგლისურად? ქართული ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენაა მშვენიერი დამწერლობით, რომელიც დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვით 430 წლით თარიღდება. ამ ენაზე შეიქმნა შუასაუკუნეების მრავალფეროვანი და მდიდრული ლიტერატურა, ბიბლიური ტექსტები, მითოლოგია და ფოლკლორი.“

ეხება რა, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას, ჯეიმს ჰოპკინი უყოყმანოდ აცხადებს: "ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დიდი ხნის წინ უნდა თარგმნილიყო ინგლისურად სრულად" (თარგმანი ინგლისურიდან ლ. ჩხარტიშვილის).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 2010 წელს ამერიკულმა თეატრალურმა ჯგუფმა Synetic Theatre (რეჟისორი: პაატა წიქურიშვილი, სცენარის ავტორი: როლანდ რიიდი) ნიუ-იორკ სიტის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე დიდი წარმატებით წარმოადგინა ინგლისურად „სტუმარ-მასპინძელი" (Host and Guest), რასაც უცხოელ კრიტიკოსთა აღფრთოვანებული რეცენზიები მოჰყვა: „ ეს არ არის მხოლოდ გართობა, სპექტაკლი ბევრ რამეზე ჩააფიქრებს მაყურებელს..." რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ ვაჟას პოემა უაღრესად მნიშვნელოვან ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება (ომი, ძალადობა და პიროვნული ურთიერთობები, სტუმრის პატივისცემა, სხვა ერების მიმართ შემწყნარებლობა და სხვა), რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე დღესაც აქტუალურია.

აღსანიშნავია, რომ Synetic Theatre-ის მიერ „სტუმარ-მასპინძელი" 2002 წლიდან

წარმატებით იდგმება ამერიკის სხვადასხვა ქალაქში და მას მრავალმა ამერიკულმა გაზეთმა და ჟურნალმა მიუძღვნა აღფრთოვანებული სტატია, მათ შორისაა: "Washington Post", "Washington Time", "New-York Magazine" და სხვა. ჟურნალის New-York Magazine ჟურნალისტი ჯადა იუანი აღნიშნავს: „პირველი სცენის ხილვისას შესაძლოა პალესტინა წარმოგიდგეთ თვალწინ, მაგრამ ეს პალესტინა არ არის, საქართველოა... რელიგიური შეუწყნარებლობის, შურისძიების, სტუმართმოყვარეობის და ღალატის თემები მრავალი ქვეყნის ისტორიისთვის არის დამახასიათებელი“.

კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის დირექტორის განცხადებით, Washington Post -მა სპექტაკლი Host and Guest (სტუმარ-მასპინძელი) ბოლო ათწლეულის საუკეთესო თეატრალური დადგმების ხუთეულში შეიყვანა. 2003 წელს სპექტაკლი საერთაშორისო ფესტივალზე Helen Hayes Awards ოთხ კატეგორიაში იყო ნომინირებული, 2011 წელს კი - 14 კატეგორიაში, რაც ვაჟას შემოქმედებისადმი საერთაშორისო ინტერესის გამოხატულებაა.

რამდენიმე წლის წინ ვაჟას პოემა “გველისმჭამელი” დონალდ რეიფილდის მოთავეობით რადიოდადგმის სახით განხორციელდა დიდ ბრიტანეთში, BBC- ის რადიო-3-ში და მას პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა კრიტიკის მხრიდან. რადიოდადგმაში შოტლანდიელი მსახიობები მონაწილეობდნენ, რომელთა დამახასიათებელი აქცენტი მთიელთა მეტყველების ასოციაციას ქმნიდა, რითაც დ.რეიფილდმა, გარკვეულწილად, თარგმანში ფშავ-ხევსურული დიალექტის უგულებელყოფის კომპენსირება შეძლო.

ვაჟას ფენომენისადმი აღტაცებას ვერ მალავენ მისი შემოქმედების უცხოელი მთარგმნელები, რომლებიც დანაზებით აღნიშნავენ თარგმანების სიმწირესაც. ვაჟას ინგლისურად მთარგმნელი დონალდ რეიფილდი მის მიერ თარგმნილი ვაჟას სამი პოემის შესავალში წერს: „თქმა იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა იმსახურებს, რომ მას საქართველოს საზღვრებს გარეთაც იცნობდნენ, მისი შემოქმედების მეტად თავშეკავებული შეფასებაა. რუსეთში იგი ცნობილია ზაბოლოცკის, პასტერნაკის, მანდელშტამის და ცვეტაევის თარგმანებით, მაგრამ ინგლისსა და ამერიკაში მის შესახებ ცოტას თუ სმენია. ვაჟას ენაში, პოეტურ ხედვასა და თემებში არის ის პირველქმნილი ძალა, რომელიც ამ უცოდინარობას დანაშაულის ტოლფასად აქცევს... საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო პოეტები... დაეწაფნენ მისი შემოქმედების წყაროს და განავითარეს მისი თემები. დროა, რომ სხვა ერების პოეტებიც ეზიარონ ამ

წყაროს და ამით გაძლიერდნენ" (Vazha – Pshavela 1981: 7) (თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა).

სასიამოვნოა, რომ უცხოელმა მეცნიერმა და მთარგმნელმა შეძლო ასე ღრმად ჩაწვდომოდა და განეცადა ქართველი მწერლის მხატვრული სამყარო. ვაჟას გენიალური შემოქმედების გაცნობა ხელს შეუწყობს როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ასევე, ცალკეული ნაციონალური ლიტერატურების გამდიდრებას.

თავი II. თარგმანის კვლევის

პრინციპები, დიალექტის თარგმნის თავისებურება

§ 2.1 მხატვრული თარგმანის შეფასების კრიტერიუმები,

ეკვივალენტობის პრობლემა

შესაძლებელია კი მხატვრული ლიტერატურის შედეგების თარგმნა? ეს კითხვა დიდი ხანია დგას მთარგმნელთა წინაშე და განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როცა საქმე ეხება ისეთი კლასიკოსების თარგმნას, როგორც ვაჟა-ფშაველაა. თარგმანთმცოდნეობაში ამ კითხვაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. არიან სკეპტიკოსები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მხატვრული შედეგების, განსაკუთრებით პოეზიის, თარგმნა შეუძლებელია. ვიქტორ ჰუმბოლდტი შლეგელისადმი მიწერილ წერილში (Morgan 1959: 275) წერდა: „ყოველი თარგმანი განუხორციელებელი პრობლემის გადაჭრის მცდელობაა. მთარგმნელი აუცილებლად შეხვდება ორიდან ერთ წყალქვეშა კლდეს: ის ან ძალზე ზუსტად მიყვება დედანს საკუთარი ხალხის გემოვნებისა და ენის საშუალებით; ან პირიქით, იხელმძღვანელებს თავისი ხალხის თავისებურებებით დედანზე დაყრდნობით“. სკეპტიკურია ხშირად თვით სიტყვის დიდოსტატთა დამოკიდებულება თარგმანისადმი.

მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის დიდი მონაპოვარი რომ არ თარგმნილიყო, კაცობრიობა ვერასოდეს გაიცნობდა შექსპირის, ბაირონის, გოეთეს, დანტეს, რუსთაველის, ვაჟას და სხვათა შემოქმედებას. თარგმანი გამოწვეულია ობიექტური აუცილებლობით, რომ ერთ ენაზე განცდილი და გააზრებული გასცდეს ენობრივ საზღვრებს და რაც შეიძლება მეტი ერის საკუთრებად იქცეს. იგი რჩება კულტურათა ურთიერთობის აუცილებელ პირობად. სწორედ ამაშია თარგმნის დიდი ეროვნული ფუნქცია.

სკეპტიკოსები ერთ საკითხში არიან მართალნი: აბსოლუტურად ზუსტი თარგმანის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ადეკვატური თარგმანი, რაც გულისხმობს ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, რაც შეიძლება, ზუსტად აღმოცემას მთარგმნელის ენაზე. სწორედ ამგვარი თარგმანის შესრულება უნდა იყოს მთარგმნელის მიზანი. ა. სმირნოვი ამგვარად განმარტავს ადეკვატური თარგმანის ცნებას: „ადეკვატურად უნდა ვადიაროთ ის თარგმანი, რომელშიც გადმოცემულია

ავტორის ყველა განზრახვა მკითხველზე გარკვეული იდეურ-ემოციური მხატვრული ზემოქმედების თვალსაზრისით (როგორც მის მიერ გააზრებული, ისე ქვეცნობიერი); ამასთან შესაძლებლობის ფარგლებში შენარჩუნებულია (ზუსტი ეკვივალენტების ან დამაკმაყოფილებელი შემცვლელების მეშვეობით) ავტორის მიერ გამოყენებული ყველა მხატვრული რესურსი: პოეტური სახეები, კოლორიტი, რიტმი და ა. შ. ოღონდ, ეს უკანასკნელნი უნდა წარმოადგენდნენ არა თვითმიზანს, არამედ საშუალებას საერთო ეფექტის მისაღწევად. რა თქმა უნდა, ამ დროს მთარგმნელი იძულებულია გაიღოს გარკვეული მსხვერპლი, არჩევს რა ტექსტის ნაკლებად არსებით ელემენტებს“ (Смирнов 1934 : 527) (თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა).

თარგმანი – არა მხოლოდ შემოქმედებაა; ის, პირველ რიგში, ფილოლოგიური კვლევაა, საკმაოდ რთული, სერიოზული, მაგრამ საინტერესო კვლევა. აუცილებელი არაა მთარგმნელი შექსპირის, გოეთეს, ვაჟას თუ გალაკტიონის ტოლფასი გენიოსი იყოს თავის ორიგინალურ შემოქმედებაში, რომ მათი შედეგები თარგმნოს. ,, ამ შემთხვევაში მთარგმნელი უფრო მთასვლელს ჰგავს, რომელსაც შესწევს უნარი საკუთარი გონებისა და წარმოსახვის მოქნილობით დალაშქროს ამ მათა მწვერვალები, რათა შემდგომ უკვე მისთვის ჩვეული არტისტიზმის წყალობით, როგორც შემოქმედმა, თავის ენაზე გააცოცხლოს ნანახი და განცდილი...ამდენად, მხატვრული ტექსტის თარგმანი თავად წარმოადგენს შემოქმედებით აქტსა და ნიმუშს“ (არაბული 1999: 6). როგორც ბელინსკი აღნიშნავდა, ნიჭიერი მთარგმნელი უფრო იშვიათი მოვლენაა, ვიდრე ორიგინალური და დამოუკიდებელი პოეტი.

ბუნებრივია, მთარგმნელი უნდა მოერიდოს როგორც დედნის „კალკირებას“, მეტისმეტად მიჯაჭულობას ტექსტზე, ასევე ორიგინალი ტექსტისგან მეტისმეტ თავისუფლებას, ინტერპრეტაციასაც. უნდა მოიძებნოს ერთგვარი ოქროს შუაღედი, დაცული იქნას ზომიერება, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ მიიღწევა. მთარგმნელს მოეთხოვება ორიგინალის ავტორის მხატვრული სამყაროს, მისი მსოფლმხედველობის ღრმა წვდომა და დიდი ოსტატობა იმისთვის, რომ უცხო ენაზე შექმნას ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი.

ცნობილი თანამედროვე თეორეტიკოსის ე. ნაიდას თანახმად, სასურველია ე.წ. „დინამიური ეკვივალენტობის“ მიღწევა. ნაიდას თარგმანის თეორიაში განხილულია ორი ტიპის ეკვივალენტურობა: ფორმალური და დინამიური. ფორმალური ეკვივალენტურობის შემთხვევაში მთარგმნელი ფოკუსირებულია თავად

შეტყობინებაზე, მის ფორმასა და შინაარსზე და მოითხოვება დიდი მსგავსება საწყის ენასა და თარგმნის ენაზე მოცემულ შეტყობინებებს შორის. რაც შეეხება დინამიურ ეკვივალენტობას, ნაიდა აღნიშნავს, რომ ის დაფუძნებულია „ეკვივალენტური ეფექტის“ პრინციპზე, როცა ურთიერთობა შეტყობინებასა და მის აღმქმელს შორის თარგმანის ენაზე არსებითად იგივე უნდა იყოს, რაც არსებობდა ორიგინალის ენაზე მოცემულ შეტყობინებასა და მის აღმქმელს შორის: „ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადექვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა“ (Nida 1975: 202).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბუნებრიობის“ ცნებას, მთავარი მიზანია მიღწეულ იქნას საწყის ენაზე მოცემული შეტყობინების უახლოესი ბუნებრივი ეკვივალენტი. ფაქტიურად, „ბუნებრიობა“ მთავარი ტერმინია ნაიდას თეორიაში და ის ეყრდნობა საწყისი ტექსტის გრამატიკის, კულტურული მიმართებების და ლექსიკის ადაპტირებას. რა თქმა უნდა, ნაიდა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორიგინალის აზრისა და სტილის შენარჩუნებას, რადგან ეს საშუალებას აძლევს მთარგმნელს შექმნას ეკვივალენტური ეფექტი.

ე. ნაიდამ უარყო მოსაზრება, რომ სიტყვების მნიშვნელობა ფიქსირებულია და უცვლელი. მისი შეხედულებით, სიტყვები აზრს იძენენ კონტექსტის შესაბამისად და შეიძლება ეს მნიშვნელობა შეიცვალოს იმ კულტურის ზეგავლენით, რომელშიც გამოიყენებიან.

ე. ნაიდა ნაშრომში *Towards the Science of Translating* (Nida 1964: 159-160) განსაზღვრავს თარგმნის პრინციპებს. ადარებს რა ტექსტების ფორმასა და შინაარსს, იგი აღნიშნავს, რომ უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შინაარსს. ნაიდა მიუთითებს, რომ ფორმალური ეკვივალენტურობის მოძიებე მთარგმნელები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ძირითადად ფორმაზე, უფრო მეტად აღმოჩნდებიან იმ საშიშროების წინაშე, რომ არასწორად გაიგონ ავტორის განზრახვა და დაამახინჯონ აზრი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიუმარკი თავის წიგნში *Approaches to Translation* (Newmark 1981: 213) განასხვავებს „კომუნიკაციურ თარგმანს“ და „სემანტიკურ თარგმანს“, რაც ნაიდას ეკვივალენტურობის ტიპების ანალოგიურია. თუმცა ნიუმარკი ნაიდას „ეკვივალენტურ ეფექტს“ ხედავს, როგორც სასურველ შედეგს და არა როგორც თარგმანის მიზანს. ამგვარი შედეგის მიღება, მისი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა შემდეგ

შემთხვევებში: 1. თუ საწყისი ტექსტის მიზანია ეფექტის მოხდენა, ხოლო თარგმანის - ინფორმირება ან პირიქით, 2. თუ მნიშვნელოვანი კულტურული ბზარია საწყის ტექსტსა და თარგმანს შორის. ნიუმარკი თვლის, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვანი „ეკვივალენტური ეფექტის“ მიღწევა, თუ ტექსტი „უნივერსალურია“, ანუ როცა საწყისი ტექსტი არ არის ერთი რომელიმე კულტურით შემოფარგლული.

ამჟამად მხატვრული თარგმანის შეფასების კანონიზირებული დებულება არ არსებობს. კამათი იმის თაობაზეც კი მიმდინარეობს, თარგმანი ლინგვისტიკის სფეროა თუ ლიტერატურათმცოდნეობის. დღესდღეობით თარგმანის ზოგიერთი სახეობის, კერძოდ მხატვრული თარგმანის, კვლევისას ლინგვისტიკას დაქვემდებარებულ როლს ანიჭებენ, რომელსაც შეუძლია აღწეროს თარგმანის პროცესის მექანიზმი, ახსნას სტილისტური დანაკარგის არსი, გამოიკვლიოს თარგმანის ენის თავისებურებები. თუმცა ეს თარგმანის მხოლოდ ერთი ასპექტია.

ვ. კომისაროვი (Комиссаров 1990) თარგმანის კვლევის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შეპირისპირებით სტილისტიკას, რომელიც თარგმანის სტილისტიკის საძირკვლად ითვლება. იგი იკვლევს თარგმანის ენას, როგორ სტილისტურ ფენომენს და აზუსტებს მის მსგავსება-განსხვავებას ორიგინალისაგან.

ლინგვისტურ ჩარჩოებში თარგმანის, განსაკუთრებით მხატვრული თარგმანის ჩასმა ბევრ კითხვას უპასუხოდ ტოვებს, ამიტომ არის ცდა გაფართოვდეს ლინგვისტური კვლევის ჩარჩოები და მასში მოთავსდეს წმინდა ლიტერატურული ფაქტორები. ამ მიზნით თარგმანის თეორია თავსდება არა მიკროლინგვისტიკაში, რომელიც შეისწავლის ენას „თავის თავში და თავისთვის“, არამედ მაკროლინგვისტიკაში, რომელსაც მიეკუთვნება ენათმეცნიერების ის მიმართულებანი, რომლებიც შეისწავლიან ენას მის მიღმა არსებულ ფაქტორებთან კავშირში. ეს ვლინდება ბარხუდაროვის სქემაშიც, (Бархударов 1975, http://samlib.ru/w/wagapow_a_s/barhud-trdoc.shtml), რომელიც აღწერს თარგმანის თეორიის საკვლევი ობიექტური ტექსტის არსებობისათვის აუცილებელ სამ მომენტს: 1. შინაგანი შეტყობინება; 2. ურთიერთობის სიტუაცია, სადაც ხორციელდება ენობრივი კომუნიკაცია; 3. სამეტყველო შტოს მონაწილენი: ე.ი. „გამგზავნი“(მოლაპარაკე ან დამწერი) და „ მიმღები“ (მსმენელი, მკითხველი ან ადრესატი), სადაც ორივე მხარეს აქვს როგორც არალინგვისტური, ასევე ლინგვისტური გამოცდილება.

შვეიცერის აზრით (Швейцер 1976), თარგმანი შეიძლება გახდეს როგორც

ლინგვისტიკის, ისე ლიტერატურათმცოდნეობის, ფსიქოლოგიის და ეთნოგრაფიის კვლევის საგანი. იგი ორ პლანს გამოყოფს ნაწარმოებში: შინაარსსა და ფორმას და, ისევე როგორც გ. გაჩეჩილაძე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მათ ერთიანობას. შვეიცერი აღიარებს თარგმანში შემოქმედებითი საწყისის არსებობას, რომელთა შეფარდება თარგმანის ჟანრის მიხედვით იცვლება. შემოქმედებითობა ყველაზე მეტია მხატვრულ თარგმანში. ლინგვისტური თეორიის უპირატესობად მას მიაჩნია ის, რომ იგი მოიცავს ყველა ჟანრს. შვეიცერის მსჯელობის ერთი ნაწილი უკავშირდება „ინვარიანტის“ ცნებას. „ინვარიანტი“ არის ის, რაც თარგმნის პროცესში უცვლელი რჩება. მისი აზრით, უცვლელი რჩება საწყისი შეტყობინების ფუნქციური შინაარსი, ე.ი. მისი აზრობრივი მხარე.

ბუნებრივია, შეუძლებელი ხდება დედნის ყველა შტრიხის თარგმანში გადმოცემა, რისი მიზეზიცაა ენათა განსხვავებული სინტაქსური წყობა და მხატვრული ემოციის გამოხატვის განსხვავებული ფორმები. თარგმანი “მსხვერპლის” გარეშე არ არსებობს, ვინაიდან სიზუსტე და მხატვრულობა მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფებიან. უნდა განისაზღვროს მხატვრულობის დარღვევის შესაძლებლობა სიზუსტის სასარგებლოდ და პირიქით. გ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ „მიზანი, რომლისადმი სწრაფვა აწონასწორებს ორივე მხარეს დარღვევის ხარისხს, არის დედნის სინამდვილის, მისი ფორმისა და შინაარსის ერთიანობის მაქსიმალური გადმოცემა ახალ ენაზე“ (გაჩეჩილაძე 1959: 80). მხოლოდ ასეთი თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან მხატვრულ თარგმანად.

გ. გაჩეჩილაძის აზრით, პოეტურ თარგმანს იგივე მეთოდოლოგიური საფუძვლები აქვს, როგორც პროზაულს, მაგრამ ამ ჟანრს მაინც თავისებურებები გააჩნია. „პოეტური თარგმანის უმთავრესი და ძირითადი თვისებურება პროზაულთან შედარებით მისი პირობითი თავისუფალი ხასიათია: ლექსის მკაცრი კომპოზიცია და პირობითი ხასიათი პირდაპირი შესატყვისების პოვნის საშუალებას არ იძლევა... არა მარტო პირდაპირი ენობრივი შესატყვისები, არამედ პირდაპირი მეტრული შესატყვისებიც კი შეუძლებელია, თუმცა პოეზიის, როგორც მეტყველების ორგანიზებული ფორმის, ძირითადი ნიშანი სწორედ მეტრშია გამოხატული...“ (გაჩეჩილაძე 1966: 310).

პოეზიის თარგმნის სპეციფიკური თვისებაა აგრეთვე რითმათა სისტემის თარგმანში გადატანის პრობლემა, რაც მრავალ სირთულეს უქმნის პოეზიის

მთარგმნელს.

მთარგმნელის ოსტატობა იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა შეძლოს ღრმად ჩაწვდეს ორიგინალის მხატვრულ თავისებურებას და მოძებნოს მისი ადეკვატური შესატყვისი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დედნის შესაბამისი პოეტური ინტონაციის პოვნა, რაშიც დიდ როლს თამაშობს პოეტური საზომისა და რითმის სწორი შერჩევა. მთარგმნელის ენა უნდა იყოს პლასტიური, მოქნილი, ცოცხალი სიტყვიერი საღებავებით მოვარაყებელი. დიალექტური ფორმები ზოგჯერ უფრო ზუსტად გამოხატავენ მხატვრული ვითარების არსს.

პოეტურ თარგმანშიც, გ. გაჩეჩილაძის აზრით, მნიშვნელოვანია „არსებითის დაცვა და არაარსებითის გამოტოვება, შეცვლა ან შევსება დედნის მხატვრული სინამდვილის შესაბამისად. არსებითში ვგულისხმობთ დედნის ეპოქის, მისი ეროვნული და სოციალური სპეციფიკის, ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის და ნაწარმოების ჟანრის დამახასიათებელ მხარეთა შენარჩუნებას, დედნის შინაარსისა და ფორმის მთლიანობის, მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების გადმოცემას თარგმანში და ამ გზით დედნის ანალოგიური მხატვრული შთაბეჭდილების საბოლოო მიღწევას“ (გაჩეჩილაძე 1966: 311).

„ტექსტის დამუშავების პროცესი ამ სახის (მხატვრულ) თარგმანში განუზომლად უფრო რთულია, ვიდრე თარგმნის სხვა ჟანრულ სახეობებში, რადგან მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს ამ შემთხვევაში ეკვივალენტურობის ყველაზე რთული სახეობის - ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტურობის შექმნა შეადგენს. ეს კი ნიშნავს ორიგინალის იმ სტილისმიერ ნიშანთა გამეორებას თარგმანის ტექსტში, რომლებშიც განსხეულებულია ორიგინალის ავტორის მხატვრული აზროვნება“ (საყვარელიძე 2001: 34).

როგორც გ. წიბახაშვილი აღნიშნავს: “თუ მთარგმნელის ძირითად ამოცანად ვაღიარებთ დედნისა და თარგმანის იდეალური ეკვივალენტობის მიღწევას, მაშინ მთარგმნელის ერთადერთი უფლება იქნება არა საკუთარი პიროვნების წარმოჩენის მცდელობა, არამედ თარგმანისა და დედნის ისეთი სიახლოვის მიღწევა, როდესაც თარგმანი მკითხველს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორი უშუალოდ ელაპარაკება მას, მკითხველს, ყოველგვარი შუაკაცის (მთარგმნელის) გარეშე.“ (წიბახაშვილი 2000: 195).

პოეტური ნაწარმოების თარგმანის შეფასებისას უმნიშვნელოვანესია მისი

მხატვრულობის ხარისხი და დედნის აზრის სწორად გადმოცემა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, თუ როგორია მთლიანობაში თარგმანი, ცდილობს თუ არა მთარგმნელი შექმნას დედნის ფუნქციონალური ეკვივალენტი, ისმის თუ არა თარგმანში ჭეშმარიტი პოეზიის ხმა, გამოხატავს თუ არა იგი დედნის ძირითად იდეას, ორიგინალის ავტორის სათქმელს. საყურადღებოა ნაწარმოების ინტონაცია, რომელიც ძირითადად ექვიმეტრიაზეა დამოკიდებული. გაანალიზებული უნდა იყოს, თუ რამდენად ეკვივალენტურია თითოეული თარგმანი მხატვრული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით, წარმოადგენენ თუ არა ისინი დედნის მაღალმხატვრულ შესატყვისს ფორმითაც და შინაარსითაც, არის თუ არა თარგმანში კუპიურები და ინტერპოლაციები, შენარჩუნებულია თუ არა მასში ორიგინალის ავტორის სტილი, ორიგინალის რიტმი, ინტონაცია, რითმა, სწორად არის თუ არა მოძებნილი დედნის იდიომების, ფრაზეოლოგიისა და ტროპების ზუსტი შესატყვისები და ა. შ.

§2.2 დიალექტის თარგმნის თავისებურება, ფშავ-ხევსურული

დიალექტი ვაჟას შემოქმედებაში

მხატვრული ნაწარმოებების თარგმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დიალექტური ფორმების შესატყვისების ძიება. მთარგმნელთა ერთი ნაწილი ადვილ გზას ირჩევს, დიალექტს უგულვებელყოფს, რაც არ არის ორიგინალისადმი ერთგულების გამომხატველი მიდგომა. დედნის ავტორი გარკვეული მიზნით იყენებს დიალექტს თავის ნაწარმოებში და მისი უგულვებელყოფა არ არის ავტორისა და მისი ნაწარმოებისადმი პატივისცემის გამოხატულება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში დიალექტის იგნორირება, შესაძლოა, ერთადერთი გზა იყოს.

მაგრამ თუ მთარგმნელმა გადაწყვიტა დიალექტის თარგმნა, რა არჩევანია მის წინაშე? ძირითადი მეთოდებია: თარგმნა “გეოგრაფიულად” და “სოციოეკონომიკურად”. როგორც ეს ხშირად ხდება თარგმნისას, არ არსებობს ერთი სწორი გზა. კონკრეტულ შემთხვევაში მთარგმნელი არჩევანს აკეთებს სიტუაციიდან და კონტექსტიდან გამომდინარე.

”გეოგრაფიული” თარგმანი ნიშნავს, რომ მთარგმნელი ირჩევს დაახლოებით ეკვივალენტურ რეგიონს თარგმანის ენის კულტურაში და მის დიალექტს. ეს არ ნიშნავს, რომ ის სტერეოტიპები და გრძნობები, რომლებიც დაკავშირებულია დედანში

გამოყენებულ დიალექტთან, სწორად იქნება თარგმნილი, თუმცა ეს შეიძლება მოხდეს. თუ, მაგალითად, ორიგინალში სამხრეთ ამერიკული დიალექტია გამოყენებული, შვედმა მთარგმნელმა შეიძლება სამხრეთ შვედეთის დიალექტი გამოიყენოს. ორივე დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, გარკვეულწილად, დინჯი და “სოფლები” არიან. ასე რომ, ამგვარმა თარგმანმა, შესაძლოა, მსგავსი გრძნობები და შთაბეჭდილებები აღძრას თარგმანის მკითხველში. რა თქმა უნდა, ამგვარი “გეოგრაფიული” თარგმანი შეიძლება პრობლემად იქცეს, როდესაც ორიგინალის და თარგმნის ენების ქვეყნებს განსხვავებული ტიპის რეგიონები ან განსხვავებული სტერეოტიპები აქვთ ამ რეგიონების შესახებ.

“სოციო-ეკონომიკური” ტექსტების თარგმნისას, თუ დედანში მაღალი კლასების ენაა გამოყენებული, მაშინ მთარგმნელიც მაღალი კლასების ენას იყენებს. მთავარი ისაა, რომ წყაროსა და თარგმანის ენების დიალექტები დაახლოებით ერთსა და იმავე სოციალურ კლასს წარმოადგენდნენ. “სოციო-ეკონომიკური” თარგმანი შეიძლება პრობლემური იყოს, თუ დედნის და თარგმანის ენის კულტურებში განსხვავებული სოციალური სისტემებია. ასე რომ, თითოეულ ზემოთმოყვანილ მეთოდს თავისი სიმძნელე და ნაკლი გააჩნია. დიალექტს მეტად ფრთხილი თარგმანი სჭირდება, რათა სწორად იქნას დახასიათებული მოქმედი პირები, მოქმედების ადგილი და ნაწარმოებში აღწერილი ისტორია. მთარგმნელმა უნდა გამოიყენოს გარკვეული ლექსიკური, ორთოგრაფიული და მორფო-სინტაქსური დიალექტური მარკერები.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, მისი მხატვრული ენა (ფშავ-ხევსურული დიალექტის და ძველი ქართული ფორმების გამოყენება) მისი პოეტური სამყაროს ესთეტიკური ღირებულების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხალხური მეტყველება მისთვის აზრის უფრო ნათლად გამოხატვისა და პოეტური ხატების უფრო ღრმად გამოკვეთის საშუალებაა. ვაჟას პოეტური ნაწარმოებების განუმეორებლობა მნიშვნელოვანწილად სწორედ მთის მკვიდრთათვის დამახასიათებელი მეტყველებაა. ამიტომ მისი პოემების თარგმნისას, ისევე როგორც მათი ანალიზისას, მეტად მნიშვნელოვანია ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება.

ვაჟას თავისი შემოქმედების განუყრელ თავისებურებად მიაჩნდა მისივე სამწერლო ენა, რომელიც დიდი ფიქრის, მასალის შესწავლისა და პოეტური მუშაობის შედეგად დაიბადა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი პროზა დაწერილია ლიტერატურული ხატოვანი ქართული ენით; მის მხატვრულ პროზაში თითქმის არ იგრძნობა ფშავ-

ხევსურული კილოს ზეგავლენა. პოემები „სტუმარ-მასპინძელი“ და „სისხლის ძიება“ დაწერილია ძირითადად ზოგად ქართული ხალხური ენით და ენობრივი კუთხურობა აქ დაძლეულია, ხოლო ისეთ პოემებში, როგორებიცაა „ალუდა ქეთელაური“, „გოგოთური და აფშინა“, „ბახტრიონი“, „გველისმჭამელი“, ჭარბად შეიმჩნევა კუთხური მეტყველება და მისთვის ნიშანდობლივი ფორმები. ამრიგად, იმ პოემებში, რომლებშიც მოქმედება მიმდინარეობს საქართველოს გარეთ, ქისტეთის და ჩერქეზეთის ფონზე, უმთავრესად ზოგად ქართული ხალხური იერის სალიტერატურო ენა გამოიყენება, ხოლო თუ პოემაში მოქმედება გაშლილია ფშავ-ხევსურეთის ფონზე – ჭარბად გამოიყენება ფშავ-ხევსურული კუთხური მეტყველება.

მართალია, ფშავ - ხევსურული დიალექტური ფორმების უშუალოდ თარგმნა ინგლისურად, ამ კულტურებს შორის არსებული დიდი განსხვავების გამო, შეუძლებელია, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, ცდილობს თუ არა და რა პოეტური გზებით ახერხებს მთარგმნელი საქართველოს მთის კოლორიტის, მის მცხოვრებთა ყოფის თავისთავადობის წარმოჩენას.

ნელი საყვარელიძის აზრით, „პერსონაჟის დიალექტური მეტყველების ტრასპოზიციისას თარგმანში საჭიროა გამოინახოს ისეთი ზომიერი და ... ეროვნული კოლორიტით შეუფერავი საშუალებები, რომლებიც მარტოდენ მიგვანიშნებენ პერსონაჟის მეტყველების სუბსტანდარტულ ხასიათზე. ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი ფორმების გამონახვა პოტენციაში შესაძლებელია, თუმცა ბევრი მთარგმნელი თავს არიდებს ამ მძიმე ამოცანის გადაწყვეტას. რიგ შემთხვევაში კი ასეთი „მინიშნება“ და თითო-ოროლა ელემენტის სპონტანური ხმარების საფუძველზე ირადიაციის ეფექტის მოქმედებაც, თავის მხრივ, მაინც გვიქმნის მიახლოებით წარმოდგენას პერსონაჟის სამეტყველო ჩვევაზე. ეს „მინიშნება“ კი, ისევ და ისევ, კომპენსაციის მეთოდითაა შესაძლებელი“ (საყვარელიძე 2001: 192).

ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები ჯერ შესწავლილი არ არის . ამ თემას, სამწუხაროდ, ნაკლებად ეხმაურება ინგლისურენოვანი კრიტიკაც. მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება არსებობს და ისინიც ძირითადად დაინტერესებულ მხარეს, ანუ თვით მთარგმნელებს ეკუთვნით. ნაშრომის მესამე თავში, ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციიდან გამომდინარე, განვიხილავთ ვაჟას პოემების ვენერა ურუშაძის, დონალდ რეიფილდის, ნინო რამიშვილის და ლელა ჯგერენაიას მიერ შესრულებულ ინგლისურ

თარგმანებს. ნაშრომში არის ცდა შეფასდეს, რამდენად შეძლეს მთარგმნელებმა ორიგინალის ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, რაც შეიძლება, ზუსტად გადმოცემა და დედნის ძირითადი მხატვრული კომპონენტების შენარჩუნება. ანალიზის პროცესში ჩვენთვის ამოსავალია „დინამიური ეკვივალენტობის“ პრინციპი.

თავი III. ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები

§ 3.1 ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ ვენერა ურუმადისეული თარგმანი

„გველისმჭამელი“ ვაჟას ერთ-ერთი საუკეთესო პოემაა, რომლის დედააზრი საკამათო აღმოჩნდა მკვლევართათვის. ჯერ კიდევ ა. ხახანაშვილმა მიუთითა, რომ მინდია დაილუპა მას შემდეგ, რაც ცხოვრების მოთხოვნილებებსა და მიწიერ სურვილებს დაემორჩილა (ხახანაშვილი 1913: 209). დაახლოებით ასეთივე აზრი განავითარა კ. აბაშიძემ (აბაშიძე 1912: 223-224). მან მინდიას ტრაგედია საკუთარი რწმენის, იდეალის უარყოფაში დაინახა. სხვაგვარად გაიგო და შეაფასა „გველისმჭამელის“ დედააზრი ი. ვართაგავამ (ვართაგავა 1958: 110). მისი სიტყვით, „გამეცნიერება“ ადამიანისა, რა გზითაც უნდა მოხდეს ეს, განსაკუთრებულ „ჭკუას“ აძლევს მას. გამეცნიერებული ადამიანი წვდება სიცოცხლის საიდუმლოებას, მაგრამ ეს ცოდნა, სასარგებლო სხვათათვის, თვით ამ ცოდნის მფლობელისთვის ტრაგედიის წყაროდ იქცევა, რადგან იწყება კონფლიქტი „გამეცნიერებული“ პიროვნების მისწრაფებებსა და ცხოვრებას შორის, იდეალი და სინამდვილე არ ემთხვევა ერთმანეთს.

„გველისმჭამელში“ ვაჟამ ყველაზე უკეთ დაგვიხატა ადამიანის სულიერი დრამის სურათი. აქ „განსაკუთრებით გამომჟღავნდა ვაჟას ბრწყინვალე უნარი ადამიანის სულიერი სიღრმეების წვდომისა“ (კიკნაძე 1957: 154).

პოემის ცენტრში დგას მინდია, ტრაგიკული პიროვნება, რომელმაც დაკარგა განსაკუთრებული ცოდნა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის პერსპექტივას ქმნიდა. ამ ტრაგედიის გამოხატვას მიიჩნევდა თავის დამსახურებად ვაჟა-ფშაველა. მინდიას დრამამ „გველისმჭამელში“ ხალხური თქმულება საკაცობრიო სიმაღლემდე აიყვანა.

მინდიას ცოდნა არ არის ინტელექტუალური, ნამდვილი ცოდნა. ეს უფრო ინსტიქტური, ინტუიციური ცოდნაა. ვაჟამ დაგვანახა, რომ გარემოში გარკვევის და ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედებისთვის გონების გარდა სხვა საშუალებაც არსებობს - ინტუიცია, ადამიანური ინსტინქტი, რომლის წარმმართველი პრინციპია ჰუმანურობა და არა მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისკენ სწრაფვა. თ. ჩხენკელის თქმით, „მინდიას შინაგანი, ინტუიციური სიბრძნის მოხვეჭას ვაჟა ხსნის მითოსური

მოდელით, ქვესკნელში შთახდომით და გველის ხორცის ჭამით... ზეკაცურ ცოდნასთან ზიარება და მისი მაღალი დანიშნულება ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფას ვეღარ ითავსებს”(ჩხენკელი 1970: <http://armuri.4forum.biz/t596-topic>).

„რეალურსა და მითოსურს შორის საზღვრის წაშლით ვაჟა პოემის მრავალი ასპექტით წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის“ (სირაძე 1975: 390). გ. არაბულის აზრით, პოემის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად უნდა მივიჩნიოთ რწმენისა და ზნეობრივი პრინციპების დაცვა და ამ საქმეში მინდიას ნებისყოფის მნიშვნელობა; მაგრამ „გველისმჭამელში“ უფრო ზოგადი და უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაც დგას. აქ წარმოჩინდება რჩეული პიროვნების, ხალხის წინამძღოლის სახე, მისი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობის საკითხი საზოგადოების წინაშე. „ „გველისმჭამელი“ უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანის ტრაგედია... ის გაიაზრება, როგორც ტრაგედია მთელი ხალხისა, ვინც თავისი ბედი და მომავალი რჩეული კაცის, მეთაურის უკვე არარსებულ შესაძლებლობებს დაუკავშირა; მთლიანად მიენდო კაცს, რომელსაც დაკარგული ჰქონდა საზოგადოებრივ მოვლენებზე ზემოქმედების უნარი. ამას მოჰყვა საერთო-სახალხო უბედურება“ (არაბული 1999: 62).

„გველისმჭამელი“ სიმბოლური პოემაა. „მინდიას მიერ ხორცის ჭამას მხოლოდ პირობითი (სიმბოლური) მნიშვნელობა აქვს. როგორც ვაჟა წერს: „სიბრძნე აჩვენებს გველსადა, რომ ჰზიზღებოდა საჭმელად“ ... მინდიას ცოდნა და რწმენა იქნებ იმიტომაც არის არამყარი და საზოგადოებისთვის მიუღებელი, რომ ის მოდის არა უფლისგან, არამედ წარმართული, ქაჯური (იგივე დევური) სამყაროდან, რომელიც ღვთაებრივი წესრიგისაგან (ქრისტიანული გაგებით) დაძლეული და უარყოფილია“ (არაბული 1999: 64).

„გველისმჭამელში“ ყოველივე - ხე, ბალახი, წყალი დაჯილდოებულია სიცოცხლისა და ფიქრის უნარით. ამ პოემაში, ისევე როგორც ვაჟას სხვა ნაწარმოებებში, დახატულია ბუნების ობიექტური მშვენიერება. ვაჟასთვის ბუნება, მისი ყოველი წარმონაქმნი ცოცხალი არსებაა, გასულიერებულია. პოემაში ჩანს ვაჟას სტილის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება - სინამდვილის დინამიური და პლასტიური ხედვა. პოეტური სახეები, შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები შთამბეჭდავია და ორიგინალური.

„გველისმჭამელმა“ მთარგმნელთა საკმაოდ დიდი ინტერესიც გამოიწვია, მიუხედავად პოემის სიმბოლური ხასიათისა და მისი სხვადასხვაგვარი

ინტერპრეტაციის შესაძლებლობისა. დღესდღეობით ინგლისურად პოემა ორ ავტორს აქვს თარგმნილი: ვენერა ურუშაძეს და დონალდ რეიფილდს.

ვენერა გიორგის ასული ურუშაძე (1909–1991წ.წ.) ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისში გიორგი ბარამიძე (ვენერა ურუშაძის მამა), პოლიტიკური შეხედულებების გამო საქართველოდან გერმანიაში წავიდა, შემდეგ კი - ამერიკაში. გარკვეული ხნის შემდეგ მან ცოლ-შვილიც ჩაიყვანა იქ.

ვენერა ურუშაძემ ამერიკული კოლეჯი ოქროს მედალზე დაამთავრა. შემდეგ შევიდა «ჯულიარდის» სასწავლებელში ფორტეპიანოს განხრით, საიდანაც როგორც ვუნდერკინდი, ნიუ-იორკის კონსერვატორიაში გადაიყვანეს... ქალბატონი ვენერა პირველი ქართველია, ვინც ჯულიარდის სასწავლებელი დაამთავრა. ვ. ურუშაძის მუსიკალურმა ნიჭმა განაპირობა, ალბათ, ის, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანები მუსიკალურობით გამოირჩევა. იგი 17 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა.

ვენერა ბარამიძემ გათხოვების მერე ქალიშვილობის გვარი შეიცვალა და ურუშაძე გახდა. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; 1950 წლიდან ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის ინგლისური ენის კათედრაზე; ინგლისურ ენაზე პირველი მხატვრული თარგმანები (მათ შორის ნ. ბარათაშვილის "მერანი"-ს თარგმანი) 1945 წელს გამოაქვეყნა (<http://24saati.ge/index.php/category/culture/2011-02-19/14179>).

ვენერა ურუშაძემ, უდავოა, დიდი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის ინგლისურად თარგმნის უმნიშვნელოვანეს საქმეში. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ მას ეკუთვნის "ვეფხისტყაოსნის" პირველი ინგლისური პოეტური თარგმანი (პირველად გამოიცა 1960 წელს). მანვე ინგლისურ ენაზე გამოსცა "ქართული პოეზიის ანთოლოგია" (Anthology of Georgian Poetry) (1948, 1958), შოთა რუსთაველის "აფორიზმები" და ა.შ. შეადგინა და გამოსცა ინგლისური ენის სახელმძღვანელო და ქრესტომათია. გამოაქვეყნა არა ერთი სტატია თარგმანის თეორიის საკითხებზე. მნიშვნელოვანი ნაშრომია აგრეთვე ვაჟას „გველისმჭამელის“ მისეული თარგმანიც, თუმცა მასში არის გარკვეული ასპექტები, რომლებიც სერიოზულ კითხვებს ბადებს.

თარგმანის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში არ დაკარგულა ორიგინალის რითმა (ჯვარედინი ინტერვალიანი, თუმცა ორიგინალის უმთავრესად

დაქტილური რითმის ნაცვლად ვ. ურუშაძეს ძირითადად ვაჟური რითმა აქვს გამოყენებული) და საზომი (8-მარცვლიანი - იამბიკური ტეტრამეტრი), რომლებიც დედნის ინტონაციასა და რიტმს ძირითადად სწორად გადმოსცემენ. თუმცა საზომის გამოვლენა ყოველთვის არ არის დედნის ინტონაციური ეკვივალენტი თარგმანში, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საზომის და რითმის შენარჩუნებამ ორიგინალის ინტონაციის ანალოგი შექმნა. ვ. ურუშაძისეულ თარგმანში ბევრია მაღალნიჭიერი სტრიქონები, რომლებიც ვაჟას პოეზიის ორიგინალურ რიტმს, ნატიფ ტროპულ აზროვნებას, ფაქიზ ლირიზმთან შეხამებულ ღრმა დრამატიზმს ავლენენ. ამის ნიმუშია სტრიქონები:

„აგონდებოდა თავისი ჩამოთოვილი მთებია	“Dim visions of her snow-capped mounts
ჩაბნელებული ხევები, უსწორ-მასწორო გზებია,	Her winding paths and murmuring streams,
მის ბედის მგლოვიარენი	His parents, kind and cherished friends
დედა, მამა და ძმებია.“	Invaded all his thoughts and dreams.”

აქ „ჩამოთოვილი მთები“ თარგმნილია, როგორც „snow-capped mounts“ („თოვლის ქუდიანი მთები“), რაც უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე იქნებოდა „ჩამოთოვილი“-ს პირდაპირი თარგმანი. ვაჟას ერთი სიტყვის „აგონდებოდა“-ს ნაცვლად ვ. ურუშაძეს აქვს „Invaded all his thoughts and dreams“ („იჭრებოდა მის ფიქრებსა და ოცნებებში“), რომელიც უფრო დინამიური და ემოციის შემცველია, თუმცა არ არის ისე კომპაქტური, როგორც დედანი. ორიგინალის პოეტური ეკვივალენტია აგრეთვე შემდეგი სტრიქონების თარგმანი:

„ცოტა რამ მკრთალი ნათელი	“On Khakhmat’s sacred alter gleamed
ხახმატს ხატშია ჩნდებოდა...	A candle’s quivering feeble light,
-----	-----
სულ-მაბრძოლ სნეულსა ჰგავდა,	Then like a sole in agony of death,
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.”	It flickered low and died.”

თარგმანში „ხატი“ განმარტებულია, როგორც „sacred alter“ („წმინდა საკურთხეველი“), რაც სავსებით სწორია, რადგან ამ სიტყვის უშუალო თარგმანი გაუგებარი იქნებოდა ინგლისელი მკითხველისთვის. „მკრთალი ნათელი“-ს შესატყვისია “quivering feeble light“ (მთრთოლავი სუსტი ნათელი), რომელიც ინგლისურად მეტად პოეტურად ჟღერს.

ხევისბერის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა ოსტატურადაა გადმოცემული თარგმანში:

„წყალობა მოგცეს, მინდიავ,
იმ გულზედა და წესზედა,
რა ფიქრითაცა სწირავდე,
იმედოვნებდე ღმერთზედა.“

“God’s blessings on thee Mindia,
Upon thy faith and sacrifice,
May he thy ardent prayers receive
And hearken to thy endless sighs.”

აქაც და სხვა სტროფებშიც არქაული ფორმების (thy, thee, art...) გამოყენება სიძველისა და ამაღლებულობის ეფექტს ქმნის, რაც ეპოქისა და მოქმედი პირების მეტყველების შესაფერისია.

ხალხური კოლორიტის შენარჩუნების მიზნით ურუშაძე ხშირად იყენებს ინგლისურენოვანი ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელ შემოკლებებს: “ ‘twould turn...to poison”, “once o’er a blazing fire”, “oft would eat”, “ ‘ twas early spring” და ა.შ.

ღირსებებთან ერთად თარგმანში არის საკამათო მომენტებიც. მათ შორისაა ინტერპოლაციების და კუპირების სიმრავლე, კლასიკოსები კი იმიტომაც არიან კლასიკოსები, რომ მათ შედევრებში არაფერია დასამატებელი ან ამოსაკლები. პოემის თარგმანის დასაწყისშივე ვ. ურუშაძემ, რატომღაც, ორიგინალის ორმოცდაოთხი სტრიქონი („სასტუმროს იყენენ ხევსურნი, ლუდი ეღუღა წიქასა...ამ მინდიაზე ამბობენ დაუჯერებელ ამბებსა“) პროზაულად, რამდენიმე სტრიქონით გადმოსცა:

“ An assembled group of Khevsuris are amusing themselves by drinking and singing in honor of warriors whose deeds have made the world wonder. They sing songs of praise to the accompaniment of softly humming panduris. Sitting with them is a pale-faced, grave and dignified figure. Strange tales are told of Mindia’s past.”(სიტყვასიტყვითი თარგმანი, “ხევსურთა ჯგუფი ერთობა სმითა და იმ მეომართა საპატივცემულო სიმღერებით, რომლებმაც ქვეყანა გააოცეს. ისინი მეომართა სადიდებელ სიმღერებს ნაზად მოზუზუნე(!) ფანდურის აკომპანიმენტით ასრულებენ. მათთან ერთად ზის ფერმკრთალი სახის, სერიოზული და ღირსებით აღსავსე კაცი. უცნაურ ამბებს ყვებიან მინდიას წარსულზე”).

თუმცა ორიგინალის ამ მონაკვეთის მოკლე შინაარსი სწორად არის გადმოცემული, პროზაული ფრაზებით პოემის დაწყება დიდი დანაკლისია თარგმანისთვის. დაიკარგა, მაგალითად,

“მსმენელთა გრძნობას უღებდნენ

საგმირო ამბებს ხიდადა...

მოხუცნი ჩიბუხებს სწევდნენ,
ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს,
შენდობა თქვიან გმირთადა.
ახლების საწურთნელადა
იხსენებდიან ქებითა,
“თქვენ იცით, ამას იქითა
კაცად ვინც გამადგებიო!”“

პოემის აზრობრივად და პოეტურად მნიშვნელოვანი საკმაოდ ვრცელი მონაკვეთების მოკლე შინაარსების პროზაულად გადმოცემა პოემის ვ. ურუშაძისეულ თარგმანში ხშირად გვხვდება.

მთარგმნელს გამოტოვებული აქვს სტრიქონები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია აზრობრივად:

„შეიგნო ჭამა გველისა,
ქაჯთაგან იყო ზმანება,
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“
არა ზარობდნენ სათქმელად.“

ვაჟას ამ სტრიქონების თაობაზე დღემდე მიმდინარეობს დავა ლიტერატურათმცოდნეთა შორის, ვინაიდან ეს მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პოემისთვის იდეურ-აზრობრივი თვალსაზრისით, ამიტომ მისი უგულვებელყოფა სერიოზული ნაკლია თარგმანისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ურუშაძეს თარგმანში არ აქვს შენარჩუნებული ვაჟას პოემის თავებად დაყოფა. ზოგიერთი თავი საერთოდ არ არის თარგმნილი. ასეთია, მაგალითად, მე-3 თავი, რომელშიც ვაჟა-ფშაველას მინდიას პოეტური სახე, მისი ბუნების მოვლენებთან, ფლორასთან მიმართება მეტად ექსპრესიულად აქვს დახატული:

„...როცა ყანის მკას დაიწყებს,
გიჟია, გადარეული...“

კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ

თავთავნი ოქროს ფერანი-
არ სწადით ოხრად ლპებოდნენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ჟივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,
რომ მითი გაძლენ მშიერნი, -
მკვდარ კაცთა შანდობა ვუთხრათ,
ძალნი ვახსენოთ ციერნი...”

მე-4, მე-5 და მე-6 თავების შინაარსი მეტად მოკლედ, პროზაულადაა გადმოცემული. “გველისმჭამელში” მე-4 თავი მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთია პოემის იდეის გახსნისთვის. ვაჟამ აქ ერთმანეთს დაუპირისპირა ჩალხიას პრაქტიკულობა, რაციონალიზმი და მინდიას იდეალიზმი; ამასთან, გვიჩვენა საზოგადოების - თემის დამოკიდებულება მათ მიმართ. სწორედ ამიტომ, ამ მონაკვეთის პროზაული თხრობის მეშვეობით რამოდენიმე წინადადებაში გადმოცემა არ არის გამართლებული.

კიდევ უფრო გაუგებარია მე-6 თავის ფაქტობრივი გამოტოვება და მისი მხოლოდ 9 პროზაული სტრიქონით გადმოტანა თარგმანში. ვაჟას პოეზიაში თითოეულ ფრაზას გარკვეული შინაარსობრივი თუ მხატვრული დატვირთვა აქვს. ეს განსაკუთრებით ითქმის მე-6 თავზე. გარდა იმისა, რომ ამ თავში ბუნების ორიგინალური ვაჟასეული ხედვაა მოცემული, მასში დახატულია პოემის ერთ-ერთი კულმინაციური სურათი: მინდიას და მისი ცოლის მზიას დიალოგი, რომელშიც ცხადადაა ასახული მინდიას სულიერი ტრაგედია და მისი მიზეზები. მთარგმნელი კი მხოლოდ რამდენიმე პროზაული ფრაზით შემოიფარგლა.

პოემის მე-8 თავის 46 სტრიქონის („შენა ხარ ჩვენი იმედი, ხევსურთ დავლათიც შენთანა ... ნუ გაუქარწყლებ ვედრებას, კეთილზე დაარიგია“) ნაცვლად ურუშაძისეულ თარგმანში 8 სტრიქონია და შემდეგ ორიოდე პროზაული ფრაზა: “Mindia knelt before the altar and with upraised hands pleaded to God to heed his prayers and bring him back to grace again” (“მინდიამ ჩაიმუხლა საკურთხევლის წინ და ხელაპყრობილი შეევედრა ღმერთს შეესმინა მისი ლოცვა და კვლავ მოელო მასზე წყალობა”). აქ მთავარი, რაც გამოტოვებულია ორიგინალის შესაბამისი მონაკვეთის თარგმნისას, არის ვაჟას მიერ

ოსტატურად გადმოცემული მინდიას შინაგანი დარდი, წუხილი მისი ქვეყნისა და ხალხის მომავლის გამო.

ბერდიას სიტყვების გაგონებაზე:

“ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ

ომი გვექნება მტერთანა,

მანამ ცოცხალი გვყავხარ,

რას გახდებიან ჩვენთანა?!”

მინდიას თვალები ცრემლებით ევსება და ემხოზა საკურთხეველის წინ:

“როგორც მოჭრილი ცულითა,

ჯოყარი რამა, თუ ფიჩხი,

შესაკონავი წნელითა.”

ეს ორიგინალური ძლიერი შედარებები თარგმანში გაუჩინარდა. ბერდიას კიდევაც უკვირს ამგვარ მდგომარეობაში მინდიას ნახვა:

“ასე მხურვალედ მლოცველი

ვერ ნახა ვერა როდისა

წინად ბერდიამ - ეს უკვირს,

უფრო ტანჯვაა გლოვისა,

ვიდრე გულ-დაწყნარებული

წყალობის გამოთხოვისა.”

ყოველივე ეს, სამწუხაროდ, დაიკარგა თარგმანში.

მე-10 თავში გამოტოვებულია ორი გვერდი („დილაზე ფრთა - დაკეცილთა, ნამტირალევთა ღამითა... და არ გაგვხადოს უფალმა დასალევ-დასაკარგადა“) და რამდენიმე წინადადებით პროზაულადაა გადმოცემული:

„Women were seen in a tower praying for the welfare of their country and their men. Mindia's wife, Mzia, was also there. She looked troubled. She confided to Sandua (a Khevsuri woman) how Mindia has changed of late. She told her of a dream she had had” (“ კომკში ჩანდნენ საკუთარი ქვეყნისა და კაცების კეთილდღეობისთვის მლოცველი ქალები. მინდიას ცოლი, მზიაც, იქ იყო. იგი შეწუხებული გამოიყურებოდა. მან გაანდო სანდუას, თუ როგორ შეიცვალა მინდია ბოლო ხანებში და მოუყვა მას სიზმარი“).

თუმცა მოკლე შინაარსი სწორადაა გადმოცემული, ამ გვერდების გამოტოვებით თარგმანმა მაინც მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. მასში არ არის, მაგალითად,

ამ თავის დასაწყისში დახატული ძლიერი წვიმის შემდგომი დილის ვაჟასეული პოეტური სურათი:

„დილაზე ფრთა- დაკეცილთა,

ნამტირალევთა ღამითა,

მთებზე ეძინა ნისლებსა

მიტკლით შაკრულის თავითა...”

ეს მშვენიერი ორიგინალური ვაჟასეული პოეტური სახეები, სამწუხაროდ, საერთოდ არ შესულა თარგმანში. ხოლო მზიას და სანდუას დიალოგი, რომელშიც ექსპრესიულადაა დახატული, თუ როგორ შეიცვალა მინდია, რამდენად ტრაგიკულად განიცდის იგი თავისი ნიჭის - „ძვირი საუნჯის“ დაკარგვას, ოჯახის გამო კომპრომისებზე წასვლამ რომ გამოიწვია, მოკლედაა გადმოცემული რამდენიმე პროზაული სიტყვით. „ველარას ვარგებ ქვეყანას“ - ესაა მინდიას მთავარი სადარდებელი, რაც არ ჩანს თარგმანში. გარდა ამისა, ამავე მონაკვეთში ვაჟა-ფშაველა მზიას პოზიციასაც გვაცნობს:

„ის ცოდვა რად უნდა იყოს,

ფიქრი რო მივეც გარჯისა?

ცოლ-შვილნ თუ უნდა ვაჟკაცსა,

შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა“.

აქ კიდევ ერთხელ ვლინდება ვაჟას აზროვნების სიღრმე და მრავალმხრივობა. მას ჰქონდა უნარი დასმული პრობლემისთვის სხვადასხვა, საპირისპირო კუთხეებიდან შეეხედა და გაეაზრებინა, რაც ნაკლებად იყო დამახასიათებელი იმ ეპოქისთვის, რომელშიც ვაჟა მოღვაწეობდა.

დაიკარგა შესანიშნავი პოეტური სტრიქონები:

“ვისაც მაუკლავს ის მაჰკლავს

ხარსა ირემსა რქიანსა.”

თარგმანში გადმოცემული მზიას სიზმარი შთამბეჭდავია, მაგრამ მეტისმეტად თავისუფალია, კიდევ ერთი გაჯიბრებაა ვაჟასთან! თუმცა შთაბეჭდილება ძლიერია და ორიგინალის შესაბამისი განწყობაა შექმნილი.

მე-11 თავის დასაწყისი 2 გვერდის („შამწკრივდა მთაზე ლაშქარი, დიდს ვაკეზედა გროვდება... თან გადიოლეს მზის სხივი შუბისა წვერთა მბრჭყვინავთა“) შინაარსი პროზაულადაა გადმოცემული რამდენიმე წინადადებით: „The Khevsuris were

ready for the coming fight. They wished Mindia to lead them and did not believe him when he told them that he lost his powers. They vowed that without his leadership they would not fight. He yielded. The place he chose for battle gave rise to apprehension and fear, but having sworn they had no way but to obey.”(„ხევსურები მზად იყვნენ მომავალი ბრძოლისთვის. მათ სურდათ, მინდია გასძლიოდათ და არ დაუჯერეს მას, როდესაც მინდიამ თქვა, რომ დაკარგა თავისი ძალა. მათ დაიფიცეს, რომ მინდიას წინამძღოლობის გარეშე არ იბრძოლებდნენ. მინდიამ დაუთმო. ადგილმა, რომელიც მან აირჩია ბრძოლისთვის, ცუდი წინათგრძობა და შიში აღძრა, მაგრამ ფიცით შეკრულ ხევსურებს სხვა გზა აღარ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ მას დამორჩილებოდნენ“). ვაჟას პოეზიის თითოეული სტრიქონი პოეტური ოსტატობის ნიმუშია და სასურველია თარგმანში მისი შენარჩუნება. და მაინც, სხვა მონაკვეთებთან შედარებით, ამ პასაჟის პროზაულად გადატანა შეიძლება ნაკლებ დანაკლისად ჩაითვალოს თარგმანისთვის, ვინაიდან მასში ნაკლებადაა ვაჟასეული პოეტური მარგალიტები, მონაკვეთის შინაარსი კი მთარგმნელს ზუსტად აქვს გადმოცემული.

საკმაოდაა პოემის თარგმანში ინტერპოლაციებიც. ჩანართია, მაგალითად, შემდეგი სტროფი:

“Thus moments, hours, weeks and months
Through tedious seasons led him on,
Tied to the rope of misery
From blasted hopes and evil’s spun.”

ამ სტრიქონებში ურუშაძე ცდილობს დაწვრილებით, უფრო მძაფრად აღწეროს ქაჯებთან მყოფი მინდიას უბედურება, მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა, რითაც ირღვევა ვაჟას ლაკონურობა და გენიალური სისადავე. ფრაზები: ”Tied to the rope of misery”(„უბედურების თოკზე მიბმული“), „blasted hopes“(„აფეთქებული იმედები“), “evil’s spun“ („ბოროტების მიერ მოქსოვილი ბადე“) არ არის დამახასიათებელი ვაჟასთვის და მის პოეტურ სახეებს სრულიად უცვლის იერს. მთარგმნელის ფანტაზიაა ასევე:

“ He shut his eyes and lo! there glowed
The land of Khevsuri again;

----- -A sickness smote

His every nerve : a chilly sweat
Ran down his face, and he could scarcely
Repress the horror that he felt.”

ამ მონაკვეთის ბოლო სტრიქონებში მთარგმნელმა სცადა უფრო დეტალურად, გამოეხატა ის გულისამრევი შეძრწუნება, რასაც მინდია განიცდიდა გველის ხორცის ჭამისას (“A sickness smote his every nerve” - “გულისრევის გრძნობამ მოიცვა მისი ყოველი ნერვი”, “a chilly sweat ran down his face” - “ცივი ოფლი ჩამოედინა სახეზე”, “he could scarcely repress the horror that he felt” - “ის ძლივს თრგუნავდა ძრწოლას”), რაც ორიგინალში არ არის. ვაჟას მინდია მხოლოდ ზიზღს განიცდის. ვაჟა არ თვლის საჭიროდ დიდხანს შეჩერდეს მინდიას გრძნობების აღწერაზე. მისი მთელი ყურადღება და თხრობის დინამიზმი გარდასახვისკენ არის მიმართული. თარგმანში ეს დინამიურობა და თხრობის ძირითადი აქცენტი იკარგება.

მთარგმნელისეული ინტერპოლაციაა სტრიქონები:

“The lightning leaped from peak to peak,
And deafning thunder rolled on high.”

(„ ელვა გადახტა მწვერვალიდან მწვერვალზე,
დამაყრუებელმა ქუხილმა გაიარა მაღლა“)

ამკარაა, რომ ამგვარი პოეტური სახეები არ არის ვაჟასთვის დამახასიათებელი.

მე-2 თავში ბუნების სურათის თარგმნისას ურუშაძე დედნის ტექსტიგან სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს. სამწუხაროდ, ამგვარი დამოკიდებულება ორიგინალისადმი ხშირად გვხვდება. შეიძლება ითქვას, რომ ვ. ურუშაძე გაზაფხულის საკუთარ მხატვრულ სურათს გვიხატავს. მას თითქოს არ მიაჩნია საკმარისად ვაჟას მიერ დახატული პოეტური სახეები და საკუთარ შემოქმედებით ფანტაზიას მეტისმეტ გასაქანს აძლევს. რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვითი თარგმანი ვერ მოგვცემს შესაბამის პოეტურ შედეგს. მთარგმნელმა უნდა შემოქმედებითად ასახოს, მაქსიმალურად გადაიტანოს ინგლისურ ენაზე ის მხატვრული დატვირთვა, რომელიც აქვს პოეტურ ფრაზას ან სხვა მხატვრულ კომპონენტს, მაგრამ ვ. ურუშაძის დამოკიდებულება დედნისადმი სცილდება შემოქმედებითი თავისუფლების ჩარჩოებს. მაგალითად:

„სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა.

გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი

“In fields the flow’rs breathed fragrant balm,

The hills with verdure fresh were crowned.

The scented buds with bursting smiles

ეკონებიან მწვანესა.”

Peeped forth through emerald and dew.”

თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სტრიქონებში ჩანს ბუნებისადმი ვაჟასეული დამოკიდებულება, მისით აღტაცება. აქაც ბუნება ცოცხალია, გასულიერებულია, სუნთქავს, იღიმება, და ა. შ., ანუ თარგმანი აღძრავს ორიგინალის მსგავს ასოციაციებს, მაგრამ მთარგმნელის ენა, მეტაფორები უფრო მაღალფარდოვანია. დაიკარგა ვაჟას სტრიქონების ბუნებრივი სილაღე და პოეტური სახეები: „სილაღე და სიმხიარულე დასეირნობენ”, „ყვავილნი ეკონებიან მწვანესა”. ამის ნაცვლად გაჩნდა მთარგმნელისეული: “flow’rs breathed fragrant balm”(„ყვავილები ამოისუნთქავდნენ არომატულ კეთილსურნელებას”), “ The hills with verdure fresh were crowned.” („გორაკებს ხასხასა მწვანე გვირგვინი ედგა”), “ buds with bursting smiles peeped forth” („ მოღიმარი კოკრები იჭყიტებოდნენ”).

ვ. ურუშაძე „გველისმჭამელის” მე-8 თავის დასაწყისის თარგმნისას ნაცვლად შებინდების ვაჟასეული სურათისა:

„ბინდდება. ბნელი ხევეები

იმურებიან შავადა.

თვალს ისე ეჩვენებიან

თითქო გამხდარან ავადა

მთები მალღები, კლდეები,

ლადი არაგვი თავადა.”

შემდეგ სტრიქონებს სთავაზობს ინგლისურენოვან მკითხველს:

”Twilight its mantle gray spread o’er

The valley, field and mountain high,

Flowers drooped in prayer as evening strewed

Her purple shadows from the sky.”

სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით:

„ბინდმა თავისი ნაცრისფერი მანტია გადააფარა

ველს, მინდორს და მაღალ მთებს,

ყვავილებმა თავი მოიდრიკეს ლოცვისას,

როცა საღამომ მეწამული ჩრდილები მიმოფინა ციდან”.

მშვენიერი სტრიქონებია, მაგრამ მთარგმნელისაა და არა ვაჟასეული.

ვ. ურუშაძემ ლექსიკურ ერთეულს „ქისტები” თარგმანში შეუსაბამა “Scythians”

(„სკვიტები“), რაც, რა თქმა უნდა, უზუსტობაა .

ბერდიას მიერ მინდიას დახასიათებისას ვ. ურუშაძე წერს:

“The idol of Khevsuri’s heart”.

“Idol”(კერპი)- ამგვარი მეტაფორა ვაჟას არა აქვს და თარგმანში ადამიანის კერპად შერაცხვა (თუნდაც მეტაფორულად), ალბათ, არაკორექტულია.

არცთუ ძლიერადაა თარგმნილი შემდეგი სტრიქონი:

„და კლდეებს არღვევს არაგვი გაბეზრებული, მყვირალი”

“ Below the haughty Aragvi ,
upon the cliff in fury dashed.”

სიტყვასიტყვით:

„ქვემოთ ქედმაღალი არაგვი

გაცოფებული ეხეთქება კლდეს“.

ძლიერი პოეტური სახეებია, მაგრამ მთარგმნელისეული:

“As winged fire in the heavens flashed...

The grass and flowers drooped low in fright,
And shuddered ‘neath the trampling rain.”

სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ,

„ფრთებშესხმულმა ცეცხლმა გაიელვა ზეცაში

ბალახი და ყვავილები შიშით მოიკუნტნენ
და ათრთოლდნენ გამთელავი წვიმის ქვეშ“.

მე-12 თავის დასაწყისში მცირე ფაქტობრივი უზუსტობაა. მთარგმნელთან გვაქვს:

“It was a wounded warrior,

A Khevsuri, whose bleeding head

Was with a Kabalakhi bound

And o’er whose face death’s pallor spread.”

აქ მინდია დაჭრილია, ყაზალახით თავშეხვეული და სახეზე სიკვდილის ფერი ადევს, რაც ვაჟასთან არ არის. დედანში მინდია ჯერ კიდევ საღსალამათია, თუმცა ყაზალახით შებოჭილი. მინდიას ბრძოლის ველიდან გამოყვანის მიზეზი მისი ჭრილობები კი არ

იყო, არამედ მისი მეტისმეტი თავგანწირულობა და შეუპოვრობა. თანამებრძოლებმა მისი გადარჩენა სცადეს, ამ ფაქტიდან ჩანს, თუ როგორ აფასებენ და უფრო ხილდებიან ისინი მინდიას.

რაც შეეხება „გველისმჭამელის“ ბოლო სტროფების ვ.ურუშაძისეულ თარგმანს, იგი დინამიური, ადეკვატური და მაღალი პოეზიის ნიმუშია:

„მთვარემაც გადმოაშუქა	“The waning moon in sorrow gazed
საჯიხვეების სერიითა,	Upon the lifeless form below.
და დააშტერდა თავის მკვლელს	She cast o'er him a silver veil
მოზარე ქალის ფერიითა.”	And drooped her head in silent woe...”

აქ თარგმანი თუმცა საკმაოდ თავისუფალია, სიტყვიერი მასალაც უმეტესად განსხვავებული, მაგრამ პოეტური ხატები, შთაბეჭდილებები დედნის ეკვივალენტურია, რაც დასტურია იმისა, რომ იგი შექმნილია ნიჭიერი მთარგმნელის მიერ:

„ნიავიც მიდ-მოდიოდა	“And breeze came blowing gaily played,
უდარდოდ, წელის მღერიითა...	then for a moment stopped to gaze
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა	Upon the blood-stained deadly blade.
ამოღერებულს ენითა,	It touched the unsheathed dagger's point
შაღებილს ჭიაფერადა	Whittled round the upturned fallen shield,
კაცის გულმკერდის წვენითა.	Then flirted gaily with the grass
და გათამაშდის მწვანეზე	And whistling danced across the field.”
ლაღად, მოლხენით, სტვენითა.”	

საინტერესოა, როგორ აფასებენ ვ. ურუშაძისეულ ინგლისურ თარგმანებს თავად ინგლისელი ლიტერატურათმცოდნეები. პიტერ ფრანსის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში *The Oxford Guide to Literature in English Translation* („ოქსფორდის უნივერსიტეტის მეგზური ინგლისურად თარგმნილი ლიტერატურის სამყაროში“) დ. რეიფილდი ამგვარად აფასებს „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“ (*Anthology of Georgian Poetry*): “The translations of M. Urushadze are so vague, the English so florid, and the verse such doggerel that the originals are barely recognizable; the best we can say of Urushadze is that she is a pastiche of Mrs Hemans prompted by motifs from the Georgian romantics (Al. Chavchavadze and N. Baratashvili)” („თარგმანი იმდენად ბუნდოვანია, ინგლისური იმდენად მაღალფარდოვანი, ხოლო პოეზია იმდენად მდარე (?!), რომ ორიგინალი მნელად თუ იცნობა; საუკეთესო რამ, რაც შეიძლება ურუშაძეზე ითქვას არის ის, რომ

იგი არის სტილიზაცია მისის ჰემანსისა (ცნობილი ინგლისელი პოეტი ქალი), შთაგონებული ქართული რომანტიზმით (ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი)“.

ჩვენი დაკვირვებით, დ. რეიფილდი არცთუ ობიექტურია. ამას მოწმობს თუნდაც „ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე“ სხვა უცხოელ მეცნიერთა გამოხმაურება. ანთოლოგიის შესახებ ჰუგო ჰუპერტი, ცნობილი მეცნიერი, წერდა: „ეს არის პოეზია, ეს არის ინგლისური პოეზია.... ვ. ურუშაძის ანთოლოგია დამუშავებულია სპეციფიკური ინგლისური სალექსო ტრადიციებისა და წესების ფაქიზი, ნამდვილი ცოდნით, აგრეთვე გულისხმიერი ოსტატობით. მასში გამოყენებულია ბრიტანეთის სასიმღერო ლექსის მელოდიური მემკვიდრეობა, ინგლისური ლექსთაწყობის ტექნოლოგიასთან ერთად.“ ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის პროფესორი დ. მ. ლენგი აღნიშნავდა: „ გადავათვალიერე ანთოლოგია, შევიგრძენი უდიდესი მგრძნობელობა, რომლითაც შთაგონებულია თარგმანი; მოხიბლული ვარ თქვენს მიერ ინგლისური იდიომებისა და სალექსო ფორმების შესანიშნავი დაუფლებით. მიმაჩნია, რომ წიგნი ინგლისელ საზოგადოებას სწორ წარმოდგენას შეუქმნის ქართველთა პოეტურ გენიასა და გმირულ სულზე.“

ვენერა ურუშაძე ნამდვილად ნიჭიერი შემოქმედი იყო, მაგრამ ინგლისური ენის მაღალფარდოვნება და ორიგინალისგან დაშორება მისეულ თარგმანში უთუოდ შეიმჩნევა. ვაჟას ენისთვის დამახასიათებელი ხალხური სისადავე მის თარგმანში ხშირად იკარგება. ბევრია მაღალფარდოვანი მეტაფორები და შედარებები. ურუშაძე ხშირ შემთხვევაში ახალ, თუმცა ზოგჯერ პოეტურად იდენტურ, სახეებს ქმნის. დასანანია, რომ ეს გამონაკლისი კი არაა, არამედ თითქმის წესადაა ქცეული.

ვ. ურუშაძისეული თარგმანის კითხვისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, თითქოს მთარგმნელს მიზნად ჰქონდა დასახული არა ორიგინალის, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, რაც შეიძლება ზუსტად გადატანა ინგლისურ ენაზე, არამედ დედნის ძირითადი შინაარსის, განწყობილებების, სიტუაციების გადმოცემა საკუთარი მხატვრული ხერხების და პოეტური სახეების მეშვეობით. ცალკეულ შემთხვევებში ვ. ურუშაძის შემოქმედებითი ფანტაზია იმდენად შორს მიდის, რომ იგი, შეიძლება ითქვას, საკუთარ პოეტურ სტრიქონებს ქმნის და არა თარგმანს. საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებს ეხება. თარგმანის მნიშვნელოვან ნაკლად მიგვაჩნია აგრეთვე დედნის საკმაოდ ვრცელი მნიშვნელოვანი მონაკვეთების შინაარსის პროზაული გადმოცემა.

და მაინც, მთლიანობაში პოემის აზრობრივი შინაარსი, იდეა, განწყობილებები ძირითადად სწორად არის გადმოცემული. თარგმანში იგრძნობა ვაჟასეული სიყვარული და აღტაცება ბუნების საგნებისა და მოვლენების მიმართ. ვ. ურუშაძე „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ (Anthology of Georgian Poetry) წინასიტყვაობაში აღნიშნავს : „ If I have been able to give, however faint, a reflection of the beauty of the original and have succeeded in partly expressing the poetical temperament of some of the exquisite jewels of Georgian poetry, I shall be content“ („თუ შევძელი თარგმანში გადმომეცა ორიგინალის მშვენიერების სუსტი ანარეკლი მაინც და ნაწილობრივ მაინც მოვახერხე გამომეხატა ქართული პოეზიის ზოგიერთი ნატიფი მარგალიტის პოეტური ტემპერამენტი, მაშინ კმაყოფილი ვიქნები“, თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა).

ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ თარგმანში ვ. ურუშაძემ ნამდვილად შეძლო ეს და მისი ნაშრომი, უეჭველია, დასაფასებელია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „გველისმჭამელის“ ვ. ურუშაძისეული თარგმანი, დღესდღეობით, ვაჟას პოემების ერთადერთი თარგმანია, რომელშიც შენარჩუნებულია ორიგინალის რითმა. ზემოთდასახელებული ღირსებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი, მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, ინგლისური მთარგმნელობითი ლიტერატურის შენაძენია. თუმცა, ვ. ურუშაძის მეტისმეტად თავისუფალი მიდგომა დედნისადმი საკამათოდ მიგვაჩნია.

§ 3.2 ვაჟა-ფშაველას პოემა “გველისმჭამელი” დონალდ რეიფილდისეული თარგმანი

“სიმბოლური პოემა “გველისმჭამელი” ვაჟას ქმნილებათაგან ყველაზე მეტად ღრმა და მშვენიერია” - თვლის გ. რობაქიძე (ნარკვევი “ვაჟა-ფშაველა”) – “ მის (მინდიას) შემოქმედებით წარმოსახვაში სამყარო აისახება, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელშიც თვითეულ ნაწილაკს, თვითეულ ნომადას თავისი მნიშვნელობა აქვს, თავისი აზრი გააჩნია. და გენიალური უბრალოებით მიმოხაზავს პოეტი სამყაროს საიდუმლოებაში შეღწევის სურათს... ულმობელი არჩევანი დგება მის წინაშე: ან განერიდოს ქვეყანას, გახდეს მწირ-განდეგილი და გადარჩეს ინდივიდურად; ან კიდევ დარჩეს ამქვეყნად, მიიღოს იგი იმგვარი, როგორც არის, და “ისტორიული” გაგებით კომპრომისზე წავიდეს მასთან. მინდია მეორე გზას ირჩევს, და სწორედ აქ იწყება მისი

ნამდვილი დრამა, დრამა ღრმა განმჭვრეტელისა”

(რობაქიძე : <http://www.ireporter.ge/გრიგოლ-რობაქიძე-ვაჟა-ფშა/>) .

ცნობილი მეცნიერი, მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორი კევინ ტუიტი (K. Tuite) „გველისმჭამელს” ასე ახასიათებს: „თავის ძირითად პოეტურ ქმნილებებში მან (ვაჟამ) მითიური და ესტეტიური ფორმით გამოიკვლია ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, რომელიც კულმინაციას აღწევს შეურიგებელ კონფლიქტში პიროვნების მორალსა და სოციალურ ვალდებულებებს შორის, რაც აისახა პოემა „გველისმჭამელში”“(Tuite2007:

<http://www.mapageweb.umontreal.ca/tuitekj/caucasus/Tuite Vazha+Xevsureti.pdf> .

ვაჟა-ფშაველას პოეზიის სიღრმესა და მშვენიერებას სწორად ჩაწვდა დ. რეიფილდი, თანამედროვე ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და პოეტი. იგი არის მრავალი წიგნის ავტორი ქართული და რუსული ლიტერატურის შესახებ, ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის და რუსისტიკის პროფესორი. როგორც ზემოთ ითქვა, დ. რეიფილდი შემოთავაზებულია იმით, რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში ვაჟას შესახებ ცოტას თუ სმენია და ამ ფაქტს იგი დანაშაულის ტოლფასად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ბრიტანელმა მეცნიერმა სცადა მდგომარეობა გამოესწორებინა და ინგლისურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას სამი პოემა: „გველისმჭამელი”, „სტუმარ-მასპინძელი” და „ალუდა ქეთელაური”.

გარდა ქართული ლიტერატურის ზემოთაღნიშნული და სხვა (გ. ტაბიძე, ო. ჭილაძე...) თარგმანებისა, იგი ავტორია მეტად მნიშვნელოვანი წიგნისა: *The Literature of Georgia: a History*. (Oxford, Clarendon Press, 1994), რომელიც, ვიკიპედიის თანახმად, არის ქართული ლიტერატურის პირველი და ყველაზე სრულყოფილი კვლევა, რაც ოდესმე დაწერილა ინგლისურ ენაზე. წიგნი შეეხება საქართველოს ათასხუთასწლოვან ლიტერატურულ ტრადიციებს მე-5 საუკუნის აგიოგრაფიიდან დაწყებული მე-20 საუკუნის პოეზიის და პროზის ჩათვლით. მასში დიდი ადგილი ეთმობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. წიგნის წინასიტყვაობაში კ. ტუიტი წერს: „ ამ წიგნის მეოთხე თავი მთლიანად ეძღვნება ერთ კონკრეტულ მწერალს და ავტორმა ღირსეული არჩევანი გააკეთა: მთის პოეტი ვაჟა-ფშაველა, მართლაც, როგორც დ. რეიფილდი წერს, „ხარისხობრივად ბევრად უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქართველი მწერალი“.

„გველისმჭამელის“ დ. რეიფილდისეულ თარგმანში აშკარად იგრძნობა ნიჭიერი მეცნიერის და ხელოვანის ძალა, სწრაფვა ვაჟას ძირითადი მხატვრული ჩანაფიქრის ადეკვატურად გამოხატვისკენ. დონალდ რეიფილდმა უდიდესი პასუხისმგებლობითა და დიდი სიფრთხილით მოჰკიდა ხელი პოემის თარგმანს.

აღსანიშნავია, რომ დ. რეიფილდმა თარგმანი უშუალოდ დედნიდან შეასრულა. მას კონსულტაციას უწევდნენ შ. აფრიდონიძე და ნ. აბესაძე, ასევე ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თანამშრომლები. ვაჟას პოეტურ მეტყველებაში ფშავ-ხევსურული დიალექტის გამოყენების გამო მთარგმნელს სერიოზული პრობლემების გადალახვა უწევს. როგორც თავად დ. რეიფილდი აღნიშნავს (vazha-pshavela 1981: 10-11), მისი მთავარი მიზანი იყო თარგმანის სიზუსტე. მან სცადა ორიგინალის რიტმის ადეკვატი მოეძებნა, თუმცა იძულებული გახდა უარი ეთქვა ვაჟასეულ რითმაზე, რაც თარგმანისათვის გარკვეული დანაკარგია.

რეიფილდმა შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება გამოეყენებინა რითმა შექსპირის სტილში, ანუ სტროფების ის მონაკვეთები გაერთიმა, რომლებშიც ვაჟა აზრს ასრულებს, დასკვნას აკეთებს. რითმაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი, მთარგმნელის განმარტებით, იყო ის, რომ ინგლისურ ენაში ორი სიტყვის გართმვის შესაძლებლობა ბევრად ნაკლებია ქართულთან შედარებით ფლექსიების ნაკლებობისა და მარცვალთა სტრუქტურების მრავალფეროვნების გამო. მთარგმნელები, რომლებიც ცდილობენ უცხო ენის რითმის რეპროდუქციას, ხშირად ე.წ. „კლიშე“ რითმების მახეში ებმებიან. რითმის გამოკიდებას ხშირად მოსდევს ბუნებრივი ინგლისური სიტყვათწყობის დარღვევა. დ. რეიფილდი თვლის, რომ ვაჟას შემოქმედებაში რითმა ნაკლებ როლს თამაშობს, ვიდრე სხვა ქართველ პოეტებთან, მაგალითად, გალაკტიონთან. ვაჟასთან, მისი აზრით, ასონანსი და რიტმი უფრო მნიშვნელოვანია. მთლიანობაში, მთარგმნელმა შეძლო სწორად გადმოეცა ორიგინალის ინტონაცია და რიტმი ინგლისურად თარგმნილ ტექსტში მახვილების სწორად განაწილებით და ლექსის მელოდიკის დაცვით.

გ. გაჩეჩილაძე წიგნში „თარგმნის მეტოდოლოგია“ მიუთითებს: „თავისუფალი ლექსი არსებითად ტონური ლექსწყობის ნაირსახეობაა და ფიქსირებული მახვილების ენაზე მას დიდი შესაძლებლობები აქვს“ (გაჩეჩილაძე 1966: 310). ხოლო ზ. გამსახურდია თავისუფალი ლექსის შემდეგ ღირსებებს ასახელებს: „თავისუფალი ლექსი გულისხმობს მეტრიკისადმი ნებისმიერ დამოკიდებულებას, სალექსო სტრიქონში

მახვილების ნებისმიერ განაწილებას, რაც ნაკლებად ბორკავს პოეტს და მიმართავს მკითხველის ყურდღებას ლექსის შინაარსობრივი მხარისადმი” (გამსახურდია ზ. 1972: <http://forum.rustavi2.com/index.php?act=findpost&pid=433196>). როგორც ჩანს, თავისუფალი ლექსის სწორედ ამ ღირსებების გამო აირჩია დ. რეიფილდმა ეს ფორმა. ამგვარად მან შეძლო ვაჟას პოემის შინაარსის, მისი პოეტური სახეების სიზუსტის შენარჩუნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ტრაგედიები უმეტესად თეთრი ლექსით იწერება, „რადგან რითმის გამოდევნება აძნელებს აზრისა და გრძნობის თავისუფალ გადმოცემას“ (გაჩეჩილაძე 1957: 396).

საზომი თარგმანში, ისევე როგორც ორიგინალში, ძირითადად რვამარცვლიანია (დაბალი შაირი), თუმცა გვხვდება შვიდ და ცხრამარცვლიანი სტრიქონებიც. ამ შემთხვევაში რიტმის შენარჩუნება ხერხდება მახვილების მეშვეობით. ინგლისური ენის ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ რიტმი სტრიქონში დამოკიდებულია მახვილიან მარცვლებზე. ასე რომ, შვიდ, რვა ან ცხრა მარცვლიან სტრიქონებს შეიძლება თითოეულ შემთხვევაში ოთხი მახვილი ჰქონდეს და ჰგავდეს რვამარცვლიანს სხვა ენაზე. ამიტომ ინგლისელი პოეტები ხშირად ცვლიან საზომს.

თარგმანში ფაქტობრივად ვერ შეხვდებით კუპიურებსა და ინტერპოლაციებს. დ. რეიფილდი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, დიდი პასუხისმგებლობით მიუდგა ვაჟას პოემის ინგლისურად ამეტყველებას. თარგმანი ზუსტია აზრობრივად და ფორმის თვალსაზრისითაც, თუმცა სიზუსტე სულაც არ ნიშნავს სიტყვასიტყვით თარგმანს. სხვა მთარგმნელებისგან განსხვავებით დ. რეიფილდი არ ცდილობს სუბიექტური თუ ობიექტური რეალობის ავტორისეული ასახვის გადაკეთებას ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად. იგი ახერხებს თხრობის მანერის შენარჩუნებასაც. თარგმანში პოეტური მეტყველება, ისევე როგორც ვაჟასთან, მეტად ენერგიული და დინამიურია. სამყაროს რეიფილდისეული ხედვა ასევე თვალსაჩინოა და საგნობრივი, ბუნება - დიდებული, ობიექტურად მშვენიერი, სიცოცხლით სავსე და გასულიერებული, ეპითეტები და მეტაფორები - შთამბეჭდავი და მოულოდნელი.

ცხადია, სინამდვილის მხატვრულ მოდელს პოეტური აზროვნების ყველა კომპონენტი ქმნის, სიტყვა აზრისგან განუყოფელია. ამიტომ განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ დ. რეიფილდი ცდილობს დედნის რაც შეიძლება ზუსტად, მაგრამ შემოქმედებითად ასახვას. მთარგმნელი ჩაწვდა ვაჟას გენიალურ სისადავეს, ბუნებრიობას, ნათქვამის ცხოველმყოფელობას და სცადა დედნის ეს თვისებები

ზედმიწევნით გადმოეტანა თარგმანში. აქ ვერ შეხვდებით არაბუნებრივ, მაღალფარდოვან ფრაზებს, რაც ნამდვილად წარმოადგენს თარგმანის ღირსებას. მთარგმნელმა ძირითადად შეძლო დედნისეული მხატვრული სამყაროს სწორი ანალოგი შეექმნა თარგმანში. დედნისადმი ერთგულებისა და, ამავე დროს, შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშებია შემდეგი ფრაზების თარგმანი:

„ახლად სული ჩაედგა“ - “his spirits flooded back renewed”;

„მყუდროებაა ყველგანა“ - “peace and quiet reign everywhere“

„უფსკრულს ჩასული ფესვითა“ - “arizing from the bottomless pit”;

“ნასროლი ტყვია მტრისაგან “many enemy bullets

გვერდზე მრავალი ცხებია“ - have spent their force on the tower’s breast”;

ზოგ შემთხვევაში დ. რეიფილდი თითქოს ეჯიბრება კიდევ ვაჟას, ოღონდ ეს გაჯიბრებაც კორექტულია და პატივისცემით აღსავსე. მთარგმნელს თითქოს არ მიაჩნია საკმარისად ქართული სიტყვების ინგლისური ეკვივალენტები და მათ ახალი მხატვრული სახეებით ცვლის; თუმცა ეს სახეები კარგად ერწყმის დედნისეულ მხატვრულ ლოგიკას და ორიგინალის შემოქმედებითი ასახვის ნიმუშებია. მაგ. ფრაზაში -“ახლად სული ჩაედგა” სიტყვას “ჩაედგა” რეიფილდი თარგმნის: “flooded back” (ძლიერი ნაკადით კვლავ შეივსო), რაც ინგლისურად უფრო პოეტურია და დინამიური, ვიდრე იქნებოდა “ჩაედგა”-ს უშუალო ინგლისური თარგმანი. “მყუდროებაა”-ს ბრიტანელი შემოქმედი შესანიშნავ შესატყვისს უძებნის - “peace and quiet reign “(სიმშვიდე და სიწყნარე გამეფებულა), ფრაზას - “ტყვია... მრავალი ცხებია” დ. რეიფილდმა შემდეგი ძლიერი პოეტური სახე მოუძებნა: “bullets have spent their force” (ტყვიების ძალა დაიხარჯა, გაილია), რომლის მხატვრული ეფექტი ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე იქნებოდა პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანის შემთხვევაში. ეს არის შემოქმედებითი თარგმანი და ერთადერთი სწორი გზა. სიტყვა “დაფიქრებულს” მთარგმნელმა შეუსატყვისა “plunged deep in thoughts” (ფიქრებში ღრმად ჩაძირული).

თარგმანი უმეტესად სიტყვიერადაც ახლოსაა ორიგინალთან:

„მოკვდეს და პირი აევსოს
ცივი სამარის თიხითა . “

“Let him die and his mouth be filled
with the sticking clay of a chilly grave.”

მაგრამ მთარგმნელი არ არის მიჯაჭვული ტექსტზე. იგი ხშირად სიტყვებს და ფრაზათა წყობასაც ცვლის, მაგრამ აზრი და ეფექტი შენარჩუნებულია:

„ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,
“The sacred shrine of Gudani

ლუდის სმა არის, ღრეობა,
დიდ მლოცავს მიიპატიუებს
გუდანის ჯვარი დღეობა. “

Draws in pilgrims by the score
To mark the day, the Khevsuri
Celebrate by drinking beer.”

ვაჟას ფენომენის, მისი სტილის დამახასიათებელია ბუნების საიდუმლოებების, მისი მშვენიერების წვდომის დაუცხრომელი სურვილი. ი. ვართაგავა ასე ახასიათებდა ვაჟას ბუნებასთან მიმართებას: “ერთის სიტყვით, ყოველივე საგანს და ბუნების მოვლენას, რომელსაც აგვიწერს ვაჟა, ის ასულდგმულებს, უკეთ რომ ვსთქვათ, აადამიანებს: ადამიანის ხორციით, ნერვებით და სულით აჯილდოებს. და ეს გაადამიანება ბუნებისა ისეთ ხარისხამდე აქვს მგოსანს აყვანილი, რომ ილუზიას ეძლევიტ და გგონიათ, რომ თქვენს თვალწინ იშლება წარმოდგენა ბუნების გამაღმერთებელ და გამაცოცხლებელ ძველის დროის ადამიანისა და არა მე-20 საუკუნის შვილისა!” (ვართაგავა 1958: 35) ანუ, კრიტიკოსმა დაინახა, რომ ვაჟას მხრივ ანთროპომორფისტული და ანიმისტური მიდგომა ბუნების მოვლენებისადმი მხოლოდ მხატვრული ხერხია, მწერალი ასეთ თვისებებს მიაწერს საგნებსა და მოვლენებს.

ბუნების ამსახველი ვაჟასეული პოეტური სახეები დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ამიტომ მათ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დ. რეიფილდი ამ მხრივაც მოწოდების სიმაღლეზე დგას.

წვიმისგან მზინავი, აყვავილებული მთის მშვენიერი სურათია გადმოცემული შემდეგ სტროფში:

„აჩქამდა ბუერაზედა
ანკარა წვიმის ცვარები,
ველებზე ბზინვენ ყვავილნი -
თამარ დედოფლის თვალები.”

“The limpid dropping of the rain
Splatters on the alpine daisies.
The flowers glitter in the field,
Queen Tamara’s very eyes.”

თუმცა მთარგმნელს გაუჭირდა შემდეგი ფრაზის ზუსტი შესატყვისი მოძებნა:

„კლდის პირზე მოსულ პირიმზეს
გულმკერდში ვენაცვალევი.”

და იგი შემდეგნაირად თარგმნა:

“How lovely is the heliotrope
Growing from the crumbling rock edge.”

სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით ქართულად,

„რა მშვენიერია ჰელიოპტროპი,

რომელიც ჩამოშლილი კლდის კიდეზე იზრდება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ ენციკლოპედიის- ვიკიპედიის თანახმად, პირიმზე არის მცენარე (*Diphelypaea coccinea*), რომლის ამართულ დაუტოტავ ღეროზე, ყოველთვის მზისკენ რომ არის მიმართული, მხოლოდ ერთი ლალისფერი ყვავილია. ჰელიოტროპი (*Heliotropium*) კი სხვა სახის მცენარეა, რომელსაც ხვეულა ყვავილედში თავმოყრილი წვრილი თეთრი ან იისფერი ყვავილები აქვს. თუმცა, ვინაიდან პირიმზე მსოფლიოში ნაკლებად გავრცელებულია - მხოლოდ კავკასიაში და თურქეთში ხარობს, მთარგმნელმა სწორად შეცვალა იგი ინგლისურენოვანი მკითველისთვის უფრო გასაგები ჰელიოტროპით. „ვენაცვალეების“ თარგმანი, ბუნებრივია, მან ვერ შეძლო.

თარგმანში პოეტური ეკვივალენტის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს იდიომებისა და ფრაზეოლოგიის სწორი შესატყვისების მოძებნას. დ. რეიფილდის მიერ მისადაგებული იდიომები და ფრაზეოლოგია უმეტეს შემთხვევაში ადეკვატურია და ვაჟას პოეტური სახეების შესაფერისი:

„იმედის სხივი“ - “glimmer of hope”;

„ჩვენზე იყრიდა ბოლოს ჯავრს“ – “he let his anger loose on us in the end”;

„რად არ ყურს გვიგდებ მინდიავ?“ – “Mindia, why don't you lend us an ear?”;

„და განუტევა სულია“ – “its sole departed”;

„არვინ იყიდის ჩალადა“ – “nobody will give a straw”.

პოეტური ექსპრესიულობის მაღალ დონეს აღწევს მთარგმნელი შემდეგი ტროპების თარგმნისას:

„ზღვასავით ღელავდა“ – “as restless as swelling sea” ;

„ჭკვათხელი“ - “bird-brained”;

„იმურებიან შავადა“ - “darken into blackness”;

„კოშკი დაფიქრებული“ – “tower plunged deep in thoughts”;

„ღამეც გახშირდა კარგადა“ – “twilight thickened into night”.

თარგმანში არის მცირე უზუსტობებიც. მაგალითად, დ. რეიფილდის მიერ გამოცემული წიგნის *Vazha – Pshavela, Three Poems* (Transl. from Georgian by D. Rayfield, 1981) 99-ე გვერდზე ფრაზა - “არც რო სულზედა ფიქრობენ” თარგმნილია, როგორც “nor think of any living spirit”, რაც, არასწორი წაკითხვაა. ვაჟასთან მთების სულზეა ლაპარაკი, თარგმანში კი - ნებისმიერ სულიერ არსებაზე. ამავე გამოცემის 94-ე გვერდზე

“მსჯელობა” ნათარგმნია, როგორც “quarrel”, რაც, რა თქმა უნდა, არ არის ზუსტი შესატყვისი.

„ეს იყო გამონასკული აზრი ხევსურთა კრებისა.” “such, in the end, were the common thoughts uttered by the Khevsuri gathering.”

ფრაზა “გამონასკული აზრი” ნიშნავს ერთმანეთთან შეჯერებულ საბოლოო დასკვნას, რაც არ არის, უბრალოდ, “common thoughts”.

ზემოთ მოყვანილი მცირე უზუსტობები, რა თქმა უნდა, ვერ აკნინებს დ.რეიფილდის თარგმანის ღირსებას. პოემის ბოლო სტრიქონებში საოცრად ზუსტადაა გადმოცემული დედნისეული განწყობა და ტრაგიკული სცენის ელეგიური სურათი:

„ნიავიც მიდ-მოდიოდა უდარდოდ, ნელის მღერითა... ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა ამოღერებულს ენითა, შალებილს ჭიაფერადა კაცის გულმკერდის წვენითა. და გათამაშდის მწვანეზე ლაღად, მოლხენით, სტვენითა.”

“And the soft breeze wafted to and fro, Carefree, singing a peaceful song, It brushed its wings on the sword’s sharp point Which jutted out, a bright red tongue Stained by the juice of the human chest It began to frolic over the green, Whistling cheerfully, proud and free.”

მიუხედავად თარგმანის დიდი ღირსებებისა, მისი კითხვისას მაინც ჩნდება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა. აქ მხოლოდ რითმის ნაკლებობაში არ არის საქმე. მთარგმნელის მეცნიერული სიზუსტისკენ მისწრაფება ზოგჯერ კომპრომისის აუცილებლობას ახვევს მას თავს. სადად გადმოცემული, მომაჯადოებელი, ვაჟასეული მაღალი პოეზია რეიფილდის თარგმანში გარკვეულწილად, ბუნებრივია, იკარგება.

თარგმანის სუსტ მხარედ მიმაჩნია ფშავ-ხევსურული დიალექტის უგულვებელყოფა. ვაჟას ენა (ფშავ-ხევსურული დიალექტის და ძველი ქართული ფორმების გამოყენება) მისი მხატვრული სამყაროს ესთეტიკური ღირებულების ძლიერ ფაქტორად ითვლება. მისთვის ხალხურ მეტყველებას აზრის უკეთესად ნათელყოფის და პოეტური ხატების უფრო მკაფიოდ გამოკვეთის ფუნქცია აქვს. მის პოემებში თავისუფალი და ბუნებრივი ენა საოცრად ოსტატურადაა შერწყმული ინდივიდუალურ ხალხურ გენიასთან. ვაჟას პოეტური მეტყველების ორიგინალობა გარკვეულწილად სწორედ მთის მცხოვრებთათვის დამახასიათებელი მეტყველებაა. მართალია, ფშავ-ხევსურული დიალექტის ზუსტი თარგმანი ინგლისურად,

ბუნებრივია, შეუძლებელია, მაგრამ დ. რეიფილდს არც კი უცდია რაიმე მეთოდით მთიელი ხალხისთვის დამახასიათებელი ნიუანსები შეეტანა პოემის გმირების მეტყველებაში. მისი აზრით, ვაჟამ თავად შექმნა დიალექტი, რომელშიც ფშავური და სტანდარტული ქართული შერწყმულია არქაულ ფორმებთან. დ. რეიფილდის მოსაზრებით, შოტლანდიური ენის ან რომელიმე სხვა ბრიტანული დიალექტის გამოყენება ვაჟას თარგმნისას დიდი შეცდომა იქნებოდა. როგორც უკვე ითქვა, ცნობილი მეცნიერის ნიუმარკის აზრით, ეკვივალენტური ეფექტის მიღწევა ნაკლებ სავარაუდოა, თუ მნიშვნელოვანი კულტურული ბზარია საწყის ტექსტსა და თარგმანს შორის. ქართულ და ინგლისურენოვან კულტურებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, რამდენად ბუნებრივად აღიქვამს რეიფილდისეულ თარგმანს ინგლისურენოვანი მკითხველი. შეძლებს თუ არა ის ღრმად ჩაწვდეს ვაჟას სამყაროსა და მის ფილოსოფიას? ვაჟას ნაწარმოებებში ქართული სული ჩანს, სულის გადატანა თარგმანში კი მეტად რთულია, თუმცა არა შეუძლებელი.

მთლიანობაში, დ. რეიფილდმა შეძლო დედნის მთავარი იდეურ-ესთეტიკური პრობლემის, ნაწარმოების ძირითადი კომპონენტების, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის სწორად გადმოცემა. მთარგმნელი სიღრმისეულად ჩაწვდა ვაჟას მხატვრულ ფენომენს. მან დიდი პასუხისმგებლობით შეასრულა “გველისმჭამელის” ინგლისური თარგმანი და გულმოდგინე მეცნიერული და შემოქმედებითი შრომის შედეგად ინგლისურენოვან ლიტერატურულ სამყაროს შესძინა მაღალმხატვრული ნაწარმოები. რაც მთავარია, თარგმანში გადმოცემულია ვაჟას პოემის რიტმი და ინტონაცია, ექსპრესიულობა და დინამიურობა, შთამბეჭდავი პოეტური სახეები. “გველისმჭამელი”-ს დ. რეიფილდისეულ თარგმანში ბევრია ორიგინალური და პოეტური თვალსაზრისით საინტერესო სტრიქონები, რომლებიც დედნის პოეტური იდეის გახსნას ემსახურება.

§3.3 „გველისმჭამელის” ინგლისური თარგმანების შედარებითი

ანალიზი

პოეტური ხელოვნება უმაღლესი ოსტატობაა, რომელიც მკითხველში იწვევს განუმეორებელ ესთეტიურ განცდას. თარგმანში მისი ანალოგის მიღწევა მეტად სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენს, თუ არა შეუძლებელს.

თუ შევადარებთ „გველისმჭამელის“ ვ. ურუშაძისეულ და დ. რეიფილდისეულ თარგმანებს, ვნახავთ, რომ ისინი გარკვეული აზრით ერთმანეთის საპირისპირონი არიან. ერთი - ორიგინალისადმი თავისუფალი დამოკიდებულების ნიმუშია, მეორე კი - დედნისადმი ერთგულებისა, თუმცა ეს ერთგულება არ არის უკიდურესობამდე მისული. ვ. ურუშაძე ცდილობს არ დაკარგოს დედნისული განწყობა, ასოციაციები, მაგრამ ვაჟასეულ სიტყვიერ მასალას, პოეტურ სახეებს, მეტაფორებს, იდიომებს, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ დაუდევრად ეპყრობა. მას არ სურს ორიგინალის ჩარჩოებში მოქცევა და ზოგჯერ საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის შენარჩუნებას ესწრაფვის დედნის მხატვრული კომპონენტების უგულებელყოფის ხარჯზე.

დ. რეიფილდი კი ცდილობს ვაჟას პოეტური სახეები, მისი მხატვრული გამოსახვის ხერხები, ვაჟასეული მეტაფორები, ფრაზეოლოგია შეინარჩუნოს თარგმანში. ამიტომ მიმაჩნია, რომ დ. რეიფილდის თარგმანი უფრო ახლოსაა ვაჟას პოემასთან აზრობრივად, ექსპრესიულობით, სისადავით და პოეტური სახეებით, დედნისეული პოეტური საშუალებების ინგლისურ ენაზე ადეკვატური გადატანით.

ვ. ურუშაძის თარგმანის, როგორც პოეზიის, უდავო ღირსებაა რითმა; მისი თარგმნილი პასაჟები მელოდიურია და უმეტეს შემთხვევაში ორიგინალის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს. მთარგმნელი ცდილობს ფშავ-ხევსურული დიალექტის ასოციაცია შექმნას ინგლისური ხალხური მეტყველების ფორმების და ბალადური ლექსთაწყობის გამოყენებით.

მიუხედავად ამისა, ურუშაძის მეტისმეტად თავისუფალი დამოკიდებულება დედნისადმი ხშირად სცილდება შემოქმედებითი თავისუფლების საზღვრებს და მთარგმნელი ინგლისელ მკითხველს ზოგჯერ ვაჟას პოეზიის ნაცვლად საკუთარ, თუმცა მეტად მგრძნობიარე და ნიჭიერ პოეზიას, სთავაზობს.

საილუსტრაციოდ შეიძლება შემდეგი ნიმუშის მოტანა:

„მთანი ჩამოშრენ, პირთაქვე

ქოთით მოდიან ღვარები,
ხევებში ზვაკი შათხელდა
ვეშაპის მინაგვარები.”

დ. რეიფილდი ამ მონაკვეთის შემდეგ თარგმანს გვთავაზობს:
„The mountains dry out, and torrents
Come rushing downhill with a roar,
Falling rocks crash down like dragons,
Petering out as they reach the gorge.”

სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ:
„მთები გამოშრენ, და ღვარები
ღრიალით მოექანებიან ფერდობზე,
ჩამომსხვეული ლოდები გველემშაპებივით ეხეთქებიან ძირს,
ილევინ, როცა ხეობის ფსკერს აღწევენ.“

რა თქმა უნდა, პწკარედული თარგმანი ქართულად ვერ მოგვცემს სწორ წარმოდგენას რეიფილდისეული სტრიქონების პოეტურობაზე, თუმცა მასში კარგად ჩანს მთარგმნელის ერთგულება დედნისადმი, ძირითადად შენარჩუნებულია ვაჟასეული პოეტური სახეების შთამბეჭდაობა და ექსპრესიულობა (გამონაკლისია სტროფის მე-3 სტრიქონი, რომელშიც ვაჟასეული პოეტური სახე შეცვლილია). თუმცა ზვაკი თარგმანში ვეშაპის ნაცვლად გველემშაპს (დრაკონს) არის შედარებული, ეფექტი ასევე გრანდიოზულია. მთლიანობაში დ. რეიფილდის თარგმანი, შეიძლება ითქვას, დედნის ეკვივალენტურ ეფექტს ახდენს მკითხველზე.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ მიუდგა იგივე ტექსტის თარგმანს ვ. ურუშაძე:
“ The world was wrapped in flimsy veil
As from the sky poured sheeted rain,
Down mountain sides the waters sped
And serpent-like flowed on the plain.”

სიტყვასიტყვითი თარგმანით:
„სამყარო თხელ პირბადეში იყო გახვეული,
როცა ციდან ასხამდა საფარველად ქცეული წვიმა,
მთის ფერდობებზე წყლები მოიჩქაროდნენ
და გველებივით მოედინებოდნენ დაბლობზე.“

პწკარედული თარგმანიდანაც კი ჩანს, თუ როგორ შორდება ურუმადე არა მხოლოდ ორიგინალის ტექსტს, არამედ მის პოეტურ ხატებსაც („ვეშაპის მინაგვარების“ ნაცვლად - „გველის მაგვარი“, დაიკარგა: „მთანი ჩამოშრენ“, „ქოთით მოდიან ღვარები“, „ზვავები“). მთარგმნელისეული პოეტური სახეები უფრო მაღალფარდოვანია. ვაჟას ორიგინალური შედარებები და მეტაფორები ურუმადემ უფრო ბანალურით შეცვალა, რაც ნამდვილად დანაკარგია თარგმანისთვის (ამგვარი გაუცხოება დედნისგან ხშირია ურუმადის თარგმანში, განსაკუთრებით როცა საქმე ბუნების სურათების აღწერას ეხება). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელმა შეძლო ორიგინალის რითმის, მელოდიურობის და რიტმის შენარჩუნება.

მთარგმნელთა განსხვავებული დამოკიდებულება დედნისადმი კარგად ჩანს ვაჟასეული ტროპების შესატყვისების ძიებისას. განვიხილოთ, მაგალითად, შემდეგი მონაკვეთი პოემიდან:

„მთის კალთებს შვენის ცხვარ-ძროხა
როგორც ლამაზ ქალს ხალები.“

ვაჟას მშვენიერი, ორიგინალური შედარება ვ.ურუმადემ შემდეგნაირად თარგმნა:

„The sheep like germs adorned the hills.“

(„ცხვრებს ძვირფასი ქვებივით მოურთავთ გორაკები“), რაც სრულიად ახალი პოეტური სახეა.

ვ. ურუმადე მეტისმეტად თავისუფლად ექცევა ვაჟასეულ შედარებებს, ხშირად ცვლის მათ; თუმცა, არა მგონია, ამ ცვლილებებით თარგმანი იგებდეს. „ლამაზი ხალები“ თარგმანში გაქრა, სამაგიეროდ გაჩნდა ძვირფასი ქვები - “germs”, რაც ნამდვილად არ ჰგავს ვაჟას, რომელიც აღტაცებაში მოჰყავდა ბუნებას და ყოველივე ბუნებრივს და არა ძვირფას ქვებს. ამ ცვლილებით ვ. ურუმადემ განსხვავებულად წარუდგინა მკითხველს გარესამყაროს ვაჟასეული ხედვა.

ვნახოთ, როგორ თარგმნის იგივე მონაკვეთს დ. რეიფილდი:

„Sheep and cattle dot the slopes
like a beautiful woman’s beauty spots.“

სიტყვასიტყვითი თარგმანით,

„ცხვრებს და საქონელს დაუწინწკლავს ფერდობები
მშვენიერი ქალის ხალების მსგავსად.“

ამ შემთხვევაშიც დ. რეიფილდი დედნის ერთგულია, ცდილობს რა შეინარჩუნოს

ვაჟასეული შედარება, თუმცა ორიგინალის ფრაზების მოქნილობა და სისხარტე მაინც იკარგება.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „გველისმჭამელის“ ზემოთგანხილული ორი თარგმანი ორი ნიჭიერი და განსხვავებული შემოქმედის მიერაა შექმნილი. თუმცა არცერთი თარგმანი არ არის უნაკლო, დ. რეიფილდის ნაშრომი, ჩვენი აზრით, უფრო მეტად წარმოაჩენს ვაჟას, როგორც მოაზროვნეს.

§ 3.4 ვაჟა-ფშაველას პოემა “სტუმარ-მასპინძლის” დონალდ

რეიფილდისეული თარგმანი

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ქართველი მკვლევარები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ პოემა “სტუმარ-მასპინძელს”.

კრიტიკოსთა ერთ ნაწილში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვაჟას გმირები თემის ათასწლოვანი ტრადიციების წინააღმდეგ იბრძვიან და ამაში მდგომარეობს მათი ტრაგედია; მაგრამ, როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს, საქმე ის არის, რომ თვით თემი შეიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ, შეუთანხმებელ ტრადიცია-ადათებს. გარკვეულ სიტუაციაში თემს ურთიერთშეთანხმებული ადათები არ მოეპოვება და ეს იწვევს პიროვნების ტრაგედიას. ამიტომ, „საკითხი ისე კი არ შეიძლება გაშუქდეს, რომ თემს ებრძვის პიროვნება, არამედ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით თემი ებრძვის საკუთარ თავს, თვით იგია გაორებული, თვით თემშივეა მოცემული შინაგანი წინააღმდეგობა...ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებულ დამსახურებად სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მან თემის ეს შინაგანი წინააღმდეგობა დაგვიხასიათა. მან, როგორც, შეიძლება ითქვას, არცერთმა სხვა მწერალმა ქართულ ლიტერატურაში, გვიჩვენა, რომ პიროვნების ტრაგედია საზოგადოების შიგნით არსებული წინააღმდეგობის საფუძველზეა აღმოცენებული” (კიკნაძე 1957: 74).

ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი” ვაჟაკური, რაინდული სულისკვეთებით განმსჭვალული ნაწარმოებია. მისი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ჯოყოლა, რომლის სტუმარი ზვიადაური მისი ძმის მკვლელი აღმოჩნდა, ზნეობრივი ნორმების, შინაგანი რწმენის შესაბამისად მოქმედებს. შექმნილმა სიტუაციამ გამოამყდავანა პიროვნებისა და საზოგადოების თვითშეგნებათა შორის არსებული სხვაობა.

ჯოყოლა მზად არის აღასრულოს სტუმარ-მასპინძლობის წესი, დაიცვას სტუმრის ხელშეუხებლობა. შურისძიების გრძნობით აღვსილი თემი კი არღვევს ადათობრივი სამართლის ნორმებს, მოითხოვს სისხლის აღებას. თემმა ჯოყოლას, საკუთარი ადათების საწინააღმდეგოდ, არ მისცა ნება აღესრულებინა მასპინძლის მოვალეობა. მან თავის წევრს წაართვა უფლება, რომ არსებული წესისამებრ თვით ემია შური ძმის მკვლელზე ან შერიგებოდა მას თემისავე ადათების საფუძველზე.

პოემის დედააზრთან დაკავშირებით კიდევ ერთი სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. გიორგი არაბული თვლის, რომ არ არის სწორი საკითხის ზემოაღნიშნულის მსგავსად დაყენება. მისი აზრით, ზვიადაური მთელი თემის სტუმარი არ არის და თემს მის მიმართ არავითარი მორალური მოვალეობა არ ეკისრება; ზვიადაური სტუმარია მხოლოდ ჯოყოლასთვის, მაგრამ მტერია მთელი თემისთვის, „ამიტომ თემი, ახორციელებს რა თავის ნებას მის, როგორც მტრის, მიმართ, ამით სტუმრის დაცვის წესს საერთოდ კი არ აუქმებს, არამედ საკუთარი წევრის (ჯოყოლას) ინტერესსა და უფლებას უგულებელყოფს, მორალურ ზარალს აყენებს მას“ (არაბული 1999: 42).

პოემის ტრაგიკულ კვანძს ადამიანის ნების, მის მორალურ წარმოდგენათა და ცხოვრების რკინისებური აუცილებლობის შეჯახება წარმოადგენს. გ. არაბულს მიაჩნია, რომ პოემის ძირითად თემად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხთა ურთიერთობა. ამავე აზრისაა მკვლევარი ს. გაჩეჩილაძე, რომელიც აღნიშნავს: „თემისა და პიროვნების დაპირისპირება ამ შემთხვევაში იმდენად არის გამოყენებული, რამდენადაც მისი სახით შუქდება პოემის ძირითადი თემის – ხალხთა ურთიერთობის პრობლემა“ (გაჩეჩილაძე 1957: 124). ვაჟა დიდ ადგილს უთმობს პიროვნული ღირსებების მნიშვნელობას ადამიანთა ურთიერთობაში. გ. არაბული პოემის მთავარ იდეას ხედავს იმაში, რომ „ადამიანთა მეგობრობა, აღმოცენებული პიროვნულ ღირსებათა პატივისცემაზე, სძლევს ეროვნულ და რელიგიურ სხვადასხვაობას და სიკეთის ამამაღლებელ ძალად იქცევა“ (არაბული 1999: 53).

ვაჟა ჩვეული ოსტატობით, ორიგინალური და მოულოდნელი მეტაფორებით და შედარებებით ძერწავს პოემის მთავარ მოქმედ პირებს. მისი მხატვრული სახეები, პოეტური მეტყველება მეტად ინდივიდუალურია და უნიკალური, თხრობა დინამიური და ექსპრესიული. ფშავ-ხევსურული დიალექტი კი უფრო თვალსაჩინოდ

გამოკვეთს ამ სახეებს და პოემას კოლორიტს მატებს. ამ პოემაშიც ვაჟას შემოქმედებითი აღმაფრენის ერთ-ერთი მთავარი წყარო ბუნებაა თავისი სიდიადითა და მშვენიერებით.

„სტუმარ-მასპინძელში“ გამოხატულმა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იდეებმა უკვე მიიქცის საყოველთაო ყურადღება. როგორც უკვე ითქვა, ათი წელია ვაჟას პოემის საფუძველზე შექმნილი სცენარის მიხედვით “Synetic Theatre” ვაშინგტონში წარმატებით დგამს „სტუმარ-მასპინძელს“. დღემდე 46-ზე მეტი სპექტაკლი გაიმართა. ამ დადგამს დაიმსახურა ამერიკული თეატრალური ოსკარის The Helen Hayer Award მთავარი პრიზი 2003 წელს, რაც პიესისა და მისი თემისადმი დიდ ინტერესზე მიუთითებს. ამ სპექტაკლზე გაზეთი Washington Post წერდა: „ეს არის კაცობრიობის მარადიული თემა, ეს არის პალესტინა, სომალი, აფხაზეთი, ავღანეთი, ერაყი, დაღესტანი და ყველა ის ცხელი წერტილი, რომლებიც დღეს მსოფლიოს ასე აწუხებს“ (<http://www.washingtonpost.com/wdyn/content/article/2008/09/28/AR2008092802552.html>). 2009 წელს იმავე გაზეთმა Synetic Theatre-ის “სტუმარ-მასპინძელი“ ათწლეულის საუკეთესო სპექტაკლების ათეულში შეიყვანა (<http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2009/12/24/AR2009122400127.html>). ხოლო New-York Times აღფრთოვანებით აღნიშნავდა: “Art with capital A, Breathtaking, Brilliant!” („ეს არის ნამდვილი ხელოვნება, სულისშემძვრელი, ბრწყინვალე!“, თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა) (<http://24saati.ge/index.php/category/culture/2011-06-26/18020>).

რაც შეეხება თავად პოემას, დღესდღეობით „სტუმარ-მასპინძლის“ ორი სრული ინგლისური თარგმანი არსებობს: ერთი ეკუთვნის დონალდ რეიფილდს და მეორე - ლელა ჯგერენაიას.

დონალდ რეიფილდი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი დიდი პატივისცემითა და ჩვეული კეთილსინდისიერებით მიუდგა „სტუმარ-მასპინძლის“ თარგმნას. მის მიერ გამოცემული ვაჟას სამი პოემის თარგმანის (Vazha-Pshavela, Three Poems, translated by D. Rayfield, 1981) შესავალში იგი ინგლისურენოვან მკითხველებს უხსნის სტუმარ-მასპინძლობის და სისხლის აღების ტრადიციებს და ტერმინ „თემის“ მნიშვნელობას. იგი აღნიშნავს, რომ ორივე ტრადიცია აბსოლუტური მოვალეობაა მთიელთათვის და აქედან გამომდინარეობს „სტუმარ-მასპინძლის“ ტრაგიკული დილემა.

დ. რეიფილდი ხედავს, რომ ვაჟას პოემების „მთარგმნელი მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. მიუხედავად თანამედროვე განმარტებითი

ტექსტებისა, სამეცნიერო აპარატისა და, განსაკუთრებით, ორი კარგი მეგობრის უანგარო დახმარებისა, მე მაინც არ ვარ შედეგით სავსებით კმაყოფილი”(თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისაა). ამგვარი თვითკრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი ნაშრომისადმი ბრიტანელი მეცნიერის და პოეტის მაღალი პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების დამადასტურებელია.

„სტუმარ-მასპინძლის” თარგმნისას დ. რეიფილდი კვლავაც მთავარ მიზნად თარგმანის სიზუსტეს და ვაჟასეული პოეტური ხატების შთამბეჭდაობის შენარჩუნებას ისახავს, რასაც, შეიძლება ითქვას, აღწევს კიდეც. თუმცა ამ სიზუსტეს ეწირება ვაჟასეული რითმა, რომელზეც დ. რეიფილდი შეგნებულად ამბობს უარს, მიაჩნია რა, რომ რითმა, სხვა ღირსებებთან შედარებით, ვაჟას პოემებში ნაკლებად მნიშვნელოვანია. მსხვერპლის გარეშე კი პოეზიის თარგმანი შეუძლებელია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში თარგმანი მეტად ექსპრესიულია და უადრესად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. დონალდ რეიფილდი მაქსიმალურ ერთგულებას იჩენს ორიგინალის ტექსტისა და მისი პოეტური სახეებისადმი, თუმცა ეს არ არის სიტყვასიტყვითი თარგმანი. მთარგმნელი ძირითადად შემოქმედებითად უდგება პოემის ტექსტს და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის კიდეც სიტყვიერ მასალას პოეზიის შენარჩუნების მიზნით, თუმცა აზრობრივად დედნის ერთგული რჩება.

თარგმანში სტრიქონების საზომი, ვაჟას პოემისგან განსხვავებით ცვალებადია (7, 8, 9, 10 მარცვალი); თუმცა მთარგმნელს ვერ მოვთხოვთ ზომის ზუსტ გადმოღებას, რაც ყოველთვის არც იძლევა შესაბამის მხატვრულ ეფექტს, მაგრამ ვაჟას რვამარცვლიანი სტროფები მისი პოეტური აზრის მყარი კომპონენტია და თარგმნისას ანგარიშგასაწევი. მიუხედავად ამისა, ინგლისური სიტყვების ძირითადი მახვილების მეშვეობით მთარგმნელმა მთლიანობაში შეძლო ორიგინალის რიტმისა და ინტონაციის შენარჩუნება:

„სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას –ტირილი დისაო,
ტყეს – ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს – ყმული მგლისაო.
ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი,
ხელში – ნატეხი ხმლისაო,

“Death calls for mourning and laments,
a dead man for his sister’s weeping,
the forest for the leaping stag
or sometimes for the howling wolves
a brave man calls for death in war,
a broken sword –stump in his hand,

ომს – ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.“

war calls for victorious feast
and for the enemy's defeat.”

დედნისადმი მთარგმნელის ერთგულების დასადასტურებლად მოგვაქვს რეიფილდის თარგმანის ქართული პწკარედი:

“სიკვდილს გლოვა და მოთქმა შეეფერება,
მკვდარ კაცს - დის ქვითინი,
ტყეს - მონავარდე ხარ-ირემი,
ზოგჯერ კი - მგლების ყმუილი.
მამაც კაცს ომში სიკვდილი შეეფერება,
ხელში გატეხილი ხმლით,
ომს გამარჯვებულის ლხინი შეეფერება
და მტრის დამარცხება.”

ორიგინალის ზმნას „უხდება“ მთარგმნელმა ოსტატურად მოუძებნა მეტად ეფექტური შესატყვისი – “calls for” („შეეფერება“, „სჭირდება“), რაც არ არის სემანტიკურად ზუსტი თარგმანი, მაგრამ უაღრესად ზუსტია აზრობრივი თვალსაზრისით.

რაც შეეხება შემდეგ სტრიქონებს, აქ სიტყვათა წყობა, ისევე როგორც სიტყვიერი მასალა, შეცვლილია, მაგრამ ეფექტი დედნის ადეკვატურია. მონაკვეთის ხალხურ კოლორიტს აძლიერებს რითმა, რომელიც მოულოდნელად შემოდის თარგმანში:

„ყველგან მადლობას სწირავენ
მარჯვენას კაი ყმისასა.“

“The brave young warrior's right hand
Is blessed and revered in every land.”

რეიფილდისეული სტრიქონები სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ:
„მამაცი ახალგაზრდა მებრძოლის მარჯვენა
კურთხეული და პატივცემულია ყველგან.“

მეტად სადად, ლაკონურად და ორიგინალის შესაბამისი რიტმითა და ინტონაციით არის გადატანილი შემდეგი მონაკვეთი:

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა.“

“Today, you see, he is my guest,
though seas of blood be on his hand.”

თარგმანის ანალიზისას აშკარა ხდება, რომ დ. რეიფილდი, უპირველეს ყოვლისა, ესწრაფვის სიზუსტეს შინაარსისა და პოეტური სახეების თვალსაზრისით. ამის ნათელი დადასტურებაა სტრიქონები, რომლებშიც შესანიშნავადაა დახატული

პერსონიფიცირებული ბუნების მხატვრული სახეები: თეთრთმიანი შავი მთა (white hair that covered the mountain blackness)), სალი კლდის ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი სახე (The grief embroidered, woven face) და ა.შ.:

„ დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი, აღარ ელავდა ქვიშაო; აღარსადა სჩანს, გამქრალა თეთრი თმა შავის მთისაო; ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი სახე იმ სალი კლდისაო, რო მუდამ მგლოვიარეა, ცრემლი ანკარა სდისაო.“	“The sun rays froze and ceased to move, the glimmering sand no longer shone. No-one could see, for it had dimmed The white hair that covered the mountain’s blackness, the grief-embroidered, woven face of that black rock which always mourns and drops down many a limpid tear.”
--	--

დედნისეული რითმის არარსებობა თარგმანში ერთგვარი უკმარისობის გრძნობას ტოვებს.

ისევე როგორც დ. რეიფილდის მიერ თარგმნილ სხვა პოემებში, „სტუმარ-მასპინძლის“ თარგმანშიც ფაქტობრივად არ არის კუპიურები და ინტერპოლაციები, რაც მის დიდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს. სხვა საქმეა დედნისადმი შემოქმედებითი მიდგომა და უარის თქმა პედანტურ ერთგულებაზე. უდავოა, რომ ამგვარი შემოქმედებითობა არათუ დასაშვებია, არამედ აუცილებელია კარგი თარგმანისთვის. დედანში მოცემული პოეტური სამყაროს სწორი ანალოგის შექმნა სხვაგვარად წარმოუდგენელია:

„ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა, პირს სინანული წაესო, თითქოს ნატყორცი ისარი ზედ გულის კოვზზე დაესო.“	“A fleeting thought held Joqola back, a twinge of remorse suffused his face as if an arrow had been fired and struck the middle of his heart.”
--	---

„შეფიქრდა“-ს ნაცვლად დ. რეიფილდმა მთელი ფრაზა მოიხმო: “A fleeting thought held Joqola back”, (სიტყვასიტყვით, „გაელვებულმა აზრმა ჯოყოლა შეაყოყმანა“), „სინანულის“ ნაცვლად კი –“a twinge of remorse” („სინდისის ქენჯნის ტკივილი“). ყოველი სიტყვის თუ ფრაზის თარგმანი იმის მიმანიშნებელია, რომ მთარგმნელი ცდილობს მაქსიმალურად შეინარჩუნოს დედნის მხატვრული სახეები და პოეტური თხრობის ექსპრესიულობა.

დ. რეიფილდს სიღრმისეულად აქვს გაცნობიერებული სამყაროს ვაჟასეული

ხედვა, მისი მხატვრული ფორმები, რაც არსებითად განსაზღვრავს მისი წერის მანერას. თუმცა ხალხური ენის ადეკვატის ძიებაზე უარის თქმა გარკვეულად ცვლის თარგმანს, მაგრამ ავტორისეული მსოფლალქმისა და მისი მხატვრული მეთოდების გათავისება დიდად ეხმარება მთარგმნელს დედნის ფუნქციონალური ეკვივალენტის ძიებაში.

გასაოცარია დ. რეიფილდის ფაქიზი დამოკიდებულება ვაჟასეული პოეტური სახეების მიმართ; განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ბუნებას და მის მოვლენებს. ეს დამოკიდებულება ჩანს დილის მშვენიერი სურათის თარგმანში:

“მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა.”

“The sun’s first rays had not yet shone,
the dew still slumbered on the grass,
the breese had not begun to blow
or fan itself low on the ground.”

მეტად ექსპრესიული და დინამიურია შემდეგი მონაკვეთის თარგმანიც:

“-მაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!-
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხი - თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულისთქმასაო,
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა
ქედჩაჟანგებულ მთასაო.“

“ “A dog is all your corpse deserves,”
the young man raises up his voice,
fury makes his hair prick up
like the hackles of a panther.
Fire like a lime-kiln seizes hold
of the victim’s inner feelings.
What can bend his clouded brows,
his sun and wind-tanned mountain neck!”

აქ, ისევე როგორც ვაჟასთან, პოეტური ხატები მოცემულია არა გაშუალებულად, აღწერილობით, არამედ უშუალოდ, დინამიკაში. აღწერილი სცენის ეფექტი აქაც ძლიერი და დრამატულია.

დახვეწილი სახეები საოცარი ბუნებრიობით წარმოდგებიან ინგლისურენოვანი მკითხველის წინაშე:

„ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯღალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.“

“no earthly power or cunning words
undoes for us the claws of death.”

ან

„სიცოცხლე ქრება, სისხლი სდის –
ზვიადაური კვდებოდა.“

“Life was ebbing, blood was gushing,
Zviadauri was dying.”

„ebbing”, „gushing” ემოციურად უფრო შთამბეჭდავი ინგლისური შესატყვისებია, ვიდრე იქნებოდა „ქრება” და „სდის”-ის პირდაპირი თარგმანი.

ორიგინალის ეკვივალენტური თარგმანის ნიმუშია ასევე სტროფი:

„მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს	“The river thunders and it rages
ზედ ასქდებოდის ლოდებსა,	breaks off boulders and sweeps them away.
დღესაც ისევე ბოროტობს,	Today the river is wreaking evil,
არ იცის რისთვის გოდებსა.“	It does not know for what it howls.”

აქ შესანიშნავადაა გადმოცემული მთის მრისხანე, მგრგვინავი მდინარის ხატი. „ზედ ასქდებოდის”-ს ნაცვლად დ. რეიფილდს აქვს “breaks off boulders and sweeps them away”, (სიტყვასიტყვით, „ამსხვრევს ლოდებს და შორს მიაქანებს“), რაც დინამიურსა და ენერგიულს ხდის მოქმედებას.

„სტუმარ-მასპინძელი“ მეტად მდიდარია დიალოგებით, ამიტომ მათ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთლიანობაში პოემის თარგმანის შეფასებისას. დ. რეიფილდი ამ მიმართებითაც დიდ სიზუსტესა და როგორც აზრობრივი, ასევე ემოციური ადეკვატურობისკენ სწრაფვას ამჟღავნებს. ორიგინალის ეკვივალენტურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე შემდეგი მონაკვეთის თარგმანი:

„იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,	“I may have sinned against you and God,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!...	but I burst into tears, what could I do?...”
-მაგისთვის როგორ შეგრისხავ?	“How could I chide you because of that?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.	Speaking the truth is better than lies.
იტირე?! მაღლი გიქნია,	You wept? You did a gracious thing.
მე რა გამგე ვარ მაგისა?	How can I be the judge of this?
დიაცს მუდამაც უხდება	It always has been fitting that
გლოვა ცაჟკაცის კარგისა.“	a woman mourns a good brave man.”

უნდა აღინიშნოს, რომ რეიფილდის თარგმანში, უმეტეს შემთხვევაში, პოემის გმირების მეტყველების ხალხური ფორმები ვერ აისახა. ზვიადაურის, ჯოყოლას, ალაზას და სხვათა მეტყველება, მათი დიალოგები მეტისმეტად ლიტერატურულია, რითაც ხალხურობის კოლორიტი იკარგება და, რაც მთავარია, პოემის მთავარ მოქმედ პირებს, ორიგინალისაგან განსხვავებით, უშუალოა აკლიათ. თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ამა თუ იმ დიალექტის სწორი ადეკვატის მოძებნა თარგმანში (მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ამგვარად განსხვავებულ

კულტურებს) ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, თუმცა შეუძლებელი არ არის.

პოეზიის მთარგმნელის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა პოეტური მეტყველების ელემენტების – მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების და სხვათა ადეკვატური ასახვა თარგმანში. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება განსაკუთრებით მდიდარია ტროპებით. მისი მეტაფორები, შედარებები, ეპითეტები ორიგინალური და მოულოდნელია. ამ მხრივ გამოირჩევა პოემა „სტუმარ - მასპინძელი“. ამიტომ მისი თარგმანის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩეროთ სწორედ მეტაფორების, ეპითეტების და შედარებების წარმოსახვაზე.

საოცარი შედარებები აქვს ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ შემდეგ სტროფში:

„გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა,
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა.“

ქისტების სოფლის ქალის მკერდთან შედარება კიდევ უფრო ექსპრესიულია და მაღალი ესთეტიური ღირებულების მქონე, ვიდრე პირველი შედარება – არწივის ბუდესთან.

ვნახოთ, თუ როგორ გაართვა თავი დ. რეიფილდმა ამ მონაკვეთის თარგმანს:

“Yonder appears the Chechen village,
An eagle’s nest, as beautiful
To look at as a woman’s breasts.”

სიტყვასიტყვით ქართულად:

„აი, იქ მოსჩანს ქისტების სოფელი,
არწივის ბუდე, შესახედად ისეთივე მშვენიერი,
როგორც ქალის მკერდი.“

მშვენიერი თარგმანია, უაღრესად ზუსტი, დედნისეული რიტმით. აქ რითმაც შენარჩუნებულია (თუმცა ვაჟური რითმაა დედნისეული დაქტილურისგან განსხვავებით). იგივე შეიძლება ითქვას სხვა სტრიქონების თარგმანზეც:

„წამოდგა, იხედებოდა
როგორც დამფრთხალი ნადირი.“

“she rose to her feet, looked around
like a startled, hunted beast.”

პოეტური, ზუსტი, ამაღლებული და დედნის ადეკვატური ღირებულებისაა შემდეგი სტრიქონის თარგმანი:

„ფერი დაედო მგლისაო” – “his face took a wolfish tint”

(„მისმა სახემ მგლისებური ელფერი (გამომეტყველება) მიიღო“).

მთარგმნელისთვის ადვილი არ არის ვაჟასეული, მეტად ორიგინალური და თავისებური ეპითეტების თარგმნა. მიუხედავად დედნისადმი იშვიათი ერთგულებისა და სიზუსტისკენ სწრაფვისა, საჭიროების შემთხვევაში დ. რეიფილდი თავს არიდებს ეპითეტების პირდაპირ თარგმნას და მათ აზრობრივი და ემოციური ეკვივალენტებით ცვლის:

„რა მოსდრეკს წარბდადრუბლილსა, “what can bend his clouded brows,
ქედ-ჩაჟანგებულ მთასაო.“ his sun and wind – tanned mountain neck!

„ქედ-ჩაჟანგებულს” რეიფილდმა ოსტატურად მოუძებნა შესატყვისი “Sun and wind – tanned” (სიტყვასიტყვით, „მზითა და ქარით გარუჯული“), რაც აზრობრივადც და ემოციურადაც სწორედ ის არის, რასაც ვაჟა გულისხმობდა. „ქედ-ჩაჟანგებულის” პირდაპირი თარგმანი სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

სწორი შესატყვისები მოუძებნა მთარგმნელმა ეპითეტებს:

„ლაქარდიანის ენითა” – “honeyed words”,
„უჯიშო გვარია” – “mongrel stock”,
„გულამღვრეული ჯავრითა” – “seething inwardly with wrath”
„გამტკნარებულის სახითა” – “her face was drained off colour”.

დედნის ადეკვატური თარგმანია:

„იმათ მიწა სჭამს უენო “Relentless and insatiable,
სასტიკი, გაუმაძღარი.” The tongueless earth devours them.”

(სიტყვასიტყვით, „უმოწყალო და გაუმაძღარი, უენო მიწა შთანთქავს მათ“)

ისევე როგორც:

„ლამ-დადრენილი, სასტიკი, “The cruel blackness of the abyss
შავი ხეობა მძვინვარებს”. rages with its jaws agape.”

(სიტყვასიტყვით, „სასტიკი სიშავე (სიბზნელე) უფსკრულისა ყბადაღებული მძვინვარებს“). რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვითი, პწკარედული თარგმანი ვერ გვაძლევს სრულ წარმოდგენას რეიფილდის მიერ თარგმნილი ინგლისური სტრიქონების მხატვრულ ღირებულებაზე. მათი პოეტური ხიბლი არა მხოლოდ ვაჟასეული შთამბეჭდავი, დინამიური, ძლიერი პოეტური სახეების შენარჩუნებაშია, არამედ მათ მელოდიკაში, შინაგან პოეტურ რიტმში.

მეტაფორა ერთ-ერთია იმ პოეტურ ხერხთა შორის, რომლის სწორად ასახვა თარგმანში მეტად მნიშვნელოვანია. დ. რეიფილდი უმრავლეს შემთხვევაში ავლენს ამა თუ იმ ტროპის, მათ შორის მეტაფორის, სწორი ეკვივალენტის შერჩევას არაჩვეულებრივ უნარს, თანაც იმგვარად, რომ ზუსტად იქნას გადმოცემული დედნის მხატვრული სამყარო. მაგალითად:

„გადმოხრილიყვნენ მთანიცა, ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა” –	“The mountains had bent down to wash their hands and faces in the flood”;
„ენასა ლესავს შხამითა” –	„putting a venomous edge on his tongue”;
„ენას აკვესებს კვესითა” –	“his tongue is flashing like flint and steel”;
„სისხლმა იდინოს მილითა” –	“blood should gush like water in pipe”;
„ჩვენ კი ტალახში გაგვრია” –	“ rubbed our faces in the dirt”.

სხვა სტროფში ვაჟას ტროპის სხვადასხვა სახის კრიალოსანი აქვს ასხმული: შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები, რომლებმაც ადეკვატური შესატყვისები ჰპოვეს რეიფილდის თარგმანშიც:

„არჩვი ყელ-გადაგდებული თმა-ხშირი, მთვარე პირადა, ეკერებოდა გულმკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა.”	“She was a gazelle with its head arched back, her thick-flowing hair and moon-shaped face made her an adornment to her husband like a pearl button on his chest.”
--	--

გაპიროვნების ეკვივალენტური თარგმანის მშვენიერი ნიმუშია შემდეგი სტრიქონები:

„სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა დაფიქრებულის სახითა.”	“Over the village a black mist sleeps, deeply sunken in its thoughts.”
---	---

„დაფიქრებულის სახითა” რეიფილდმა თარგმნა, როგორც “ deeply sunken in its thoughts.” (სიტყვასიტყვითი თარგმანით „ფიქრებში ღრმად ჩაძირული”), რაც საკმაოდ ძლიერი პოეტური სახეა.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ტროპების თარგმანი არცთუ პოეტურია და მაღალმხატვრული. მაგალითად:

„თემისა პირის გამტეხი” –	“who disobeyed the village’s will“;
„მკერდს ხანჯლის წვერით უწერენ” -	“a dagger stabs his chest”;

ორივე შემთხვევაში მეტაფორების თარგმანი განმარტებითია, პროზაული. ფრაზას „სხივიმიხდილ ვარსკვლავს მაგონებს” დ. რეიფილდი თარგმნის, როგორც

“reminds me of a star extinguished”, რაც არცთუ ზუსტი თარგმანია: “extinguished” ნიშნავს „ჩამქრალს”, „სხვიმიხდილი” კი ჯერ კიდევ ჩაუმქრალ, მაგრამ მეტად შესუსტებული გამოსხივების მქონეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტროპების ამგვარი თარგმნის შემთხვევები გამონაკლისია.

პოემა „სტუმარ-მასპინძელი” განსაკუთრებით მდიდარია იდიომებითა და ფრაზეოლოგიით, რომლებიც უაღრესად სპეციფიკური და ეროვნულია. როგორც ნ. საყვარელიძე აღნიშნავს, „ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებული სიფრთხილით საჭიროებენ მოპყრობას თარგმანში, რამდენადაც ... ეს სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნები უფრო მეტად ავლენენ ეთნოკულტურულ სპეციფიკას, ვიდრე ბუნებრივი ენის სხვა ერთეულები“ (საყვარელიძე 2001: 178). დონალდ რეიფილდი ცდილობს მოძებნოს იდიომატური გამოთქმების ზუსტი შესატყვისები ინგლისურ ენაში, მაგრამ თუ ასეთი არ არსებობს, იგი ცდილობს ამა თუ იმ მხატვრული ხერხის გამოყენებით მოარგოს ინგლისურ ენას მისთვის უცხო გამონათქვამები, ისე რომ არ დაიკარგოს პოეტური აზრის სიღრმე. დ. რეიფილდი არ გაურბის სიმძნელებს და არ უგულებელყოფს ძნელად გასაგებ თუ სათარგმნ ფრაზებს.

რა თქმა უნდა, მხოლოდ აზრობრივი სიზუსტე არ არის საკმარისი მხატვრული თარგმანის შესრულებისას. დ. რეიფილდის შემოქმედებითი ფანტაზია საშუალებას აძლევს მას ინგლისურ ენაზე მაქსიმალურად სრულად გადაიტანოს ის მხატვრული დატვირთვა, რომელიც აქვს კონტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულს. ამის ნიმუშია შემდეგი ფრაზების თარგმანი:

- | | |
|---|--|
| „ქისტებს ბევრს სისხლი ავალა” – | “Much Chechen blood cried out for vengeance”; |
| „თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა “ – | “though seas of blood be on his hand”; |
| „ვაგემოთ გემო მწარეა” – | “Let us try to give him a taste of bitter gall”; |
| „ცხვირიდან უნდა ვადინოთ
ზვიადაურსა ძმარია” – | “We must make vinegar flow
out of Zviadauri’s nose”; |
| სოფლის განზრახვა არა გზით
მას არ ჩაუგდოს ყურადა” – | “ Not to alert him in any way
to the village’s intent”; |
| „თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?” – | “Why foul yourself with a pitcher of dirt?” |

(აქ მცირეოდენი უზუსტობაა: თარგმანში ქისტები საკუთარ თავს ასხამენ ლაფს, თუმცა შესაძლოა რეიფილდს იმის თქმა უნდოდა, რომ ამგვარი ქცევით ქისტები საკუთარ თავს ირცხვენდნენ, თუმცა ეს მისეული ინტერპრეტაციაა).

„თემის პირს რომ სტეხ”	–	“If you defy the common voice”;
„გრისხავდეს ცა-ქვეყნის მადლი”	-	“May earth’s and heaven’s grace abhor you”;
„ბოდმა მიტომ ჰკლავს ვაჟკაცსა”	–	“Bile is eating the young man’s life”;
„სინათლეს სული ამოჰხდა”	–	“Light gives up the ghost”;
„ხელაღებული სულზედა”	–	“Washed my hands of my immortal sole”.

ფრაზას „გავაფრთხოვინო სულიო” დ. რეიფილდმა შემდეგი ინგლისური ეკვივალენტი მოუძებნა: “I’d make the rest fear for their soles”, რაც არ არის დედნის შესაბამისი ლექსიკური ერთეულის სემანტიკურად ზუსტი თარგმანი, მაგრამ აზრობრივად და ემოციურად ადეკვატურ შესატყვისს წარმოადგენს.

ქართულ იდიომატურ ფრაზას „არ გაჭმევ იმის ჯავრს” მთარგმნელმა შეუსაბამა: “you shall be avenged” („შენთვის შურს იძიებენ”), რაც შინაარსობრივად სწორი თარგმანია, მაგრამ არა იდიომატური.

სიტყვასიტყვით, მაგრამ არცთუ ზუსტად (ემოციური და შინაარსობრივი თვალსაზრისით) და პოეტურადაა თარგმნილი შემდეგი სტრიქონები:

„გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.”

But the hand of foe could not kill his heart,
His heart stayed a heart right to the end.

„გული გულადვე რჩებოდა” - ამ ფრაზაში ვაჟა გულისხმობს, რომ ზვიადაური ბოლომდე შეუდრეკელი, გულმტკიცე დარჩა, რაც არ ჩანს რეიფილდის თარგმანში, თუმცა სიტყვები სწორადაა გადატანილი. გარდა ამისა, ეს ფრაზა მეტისმეტად პროზაულად ჟღერს დედნისგან განსხვავებით. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც პოეტური ნაწარმოების სიტყვასიტყვით, ზუსტ თარგმანს არ მოაქვს სასურველი პოეტური შედეგი.

თარგმანის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია მისი აზრობრივი სიზუსტე დედანთან მიმართებაში. ლირიკულ პოეზიაშიც კი, სადაც გრძნობა წარმმართველი ძალაა, უმთავრესია, თუ რისი თქმა უნდოდა პოეტს მისი სუბიექტური განცდების წარმოჩინებით. ამ მხრივ დ. რეიფილდი მეტად მაღალი პასუხისმგებლობის მქონე და ყურადღებიანი მთარგმნელია. „სტუმარ-მასპინძლის” ინგლისური თარგმანი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის და იგი, უმეტეს შემთხვევაში, უაღრესად ზუსტია. თუმცა არის შემთხვევები, როცა მთარგმნელს, ჩანს, მცდარად ესმის ორიგინალი ტექსტი. პოემის დასაწყისის პირველივე სტროფში, მცირე უზუსტობაა:

„ღამის წყვდიაღში ჩაფლული,
“Buried in the gloom of night,

გამტკნარებული სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.“

cold and pallid to behold
the Chechen country seems to be
the bare rock's throne.”

თუმცა ღამის წყვდიადში ჩაფლული ქისტების სოფლის მხატვრული სურათი მშვენივრად დახატული, სოფელი ჩანს სალი კლდეების ტახტად, მაშინ როცა ორიგინალში სალი კლდეები უწევენ ტახტის მაგივრობას ქისტების სოფელს.

იქვე კიდევ ერთი აზრობრივი განსხვავებაა (თუმცა ასევე არაარსებითი):

„ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რომ მოდის გზაზედა.“

„They thirst for fratricidal blood
and a man is approaching on the track.”

ინგლისურ თარგმანში “They”, წინა სტრიქონებიდან გამომდინარე, მთებია; გამოდის, რომ მთებს სწყურიათ ძმის მკვლელის სისხლი(!), რაც, რა თქმა უნდა, არ არის დედანში. გარდა ამისა, ფრაზა “and a man is approaching on the track”, გარკვეულწილად, კონტექსტიდან ამოვარდნილად აღიქმება.

მეორე თავის დასაწყისში დედანში არის ფრაზა: „ ფეხზე შემდგარის თოფითა”, რაც სასროლად მომზადებულ, ჩახმახშეყენებულ თოფს ნიშნავს. დ. რეიფილდი კი თარგმნის: “propping his rifle on the ground” („თოფს მიწაზე აყრდნობს“).

მთარგმნელმა ვაჟასეულ ფრაზას: „ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი” შეუსაბამა: “all I want is a tiny bit” – რაც არ არის ზუსტი თარგმანი. ვაჟასთან ეს ფრაზა ნიშნავს „ზედმეტი არაფერი მინდაო”, რეიფილდთან კი მოთხოვნა მეტისმეტად მორიდებულია - „სულ მცირე (ციცქნა) რამ მინდაო”.

მცირე უზუსტობაა შემდეგი სტრიქონების თარგმანშიც:

„ჩამიგდეთ ხელში ძალღებო,
კარგი დაგიდგათ დარია“

“Should you ever fall in my hands, you dogs,
I'd give you something to remember.”

ვაჟასეულ სტრიქონებში ზვიადაური სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქისტებმა ჩაიგდეს ხელში უიარალო, თარგმანში კი ტყვე თავად ემუქრება ქისტებს - „ოდესმე ხელში რომ ჩამვარდნოდით, ისეთ საქმეს დაგმართებდით, ვერასოდეს დამივიწყებდითო”, რაც საკმაოდ უადგილო ჩანს ქისტების მიერ შეპყრობილი, უიარალო, დაჭრილი ზვიადაურის მხრიდან.

დ. რეიფილდი ჩოხას “tunic”-ად თარგმნის, რაც, განმარტებების გარეშე, ქართულ ჩოხას ეროვნულ კოლორიტსა და ელფერს უკარგავს. რეიფილდმა „დევები” თარგმნა, როგორც “deamons”, რაც ასევე მეტისმეტად ზოგადი შესატყვისია. ქართული

ზღაპრების ამ კოლორიტული გმირის უგულვებლყოფა დანაკარგია თარგმანისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ მთარგმნელს (რუსებს, უკრაინელებს) სიტყვა „დევი“ უცვლელად გადააქვთ თარგმანში, სქოლიოში სათანადო განმარტებით.

რა თქმა უნდა, ზემოთმოყვანილი უზუსტობები არაარსებითია და დიდ ჩრდილს ვერ აყენებს „სტუმარ-მასპინძლის“ დ. რეიფილდისეულ თარგმანს.

დედნის ტექსტთან და პოეტურ სახეებთან მაქსიმალური სიახლოვე დ. რეიფილდის თარგმანის პოზიტიური შტრიხია. სამწუხაროდ, რითმა მსხვერპლად შეეწირა სიზუსტეს, რაც ერთგვარ უკმარისობის გრძნობას იწვევს ვაჟას პოეზიის მელოდიკას შეჩვეულ ქართველ მკითხველში.

დ. რეიფილდის თარგმანის ის მონაკვეთები, რომლებშიც რითმა შენარჩუნებულია (თუმცა ერთმარცვლიანი), მოხდენილია. რითმის არარსებობა ხომ ხალხურ კოლორიტს, ინტონაციას უკარგავს ტექსტს. ვაჟასეული მელოდიკა უფრო მეტად ისმის სტროფებში:

„გადმოხრილიყვნენ მთანიცა
ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა.“

“The mountains had bent down to wash
their hands and faces in the flood;
many a man had died on their slopes,
they could not bear the feel of blood.”

ან

„წავა, გადივლის გორებსა,
ქედებსა ყინულიანსა;
აბნელებს, უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა.“

“it will depart and cross the hills
and the ridges gripped in ice,
darkening the land as it conceals
What was visible from the eyes.”

ასევე

„არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.“

“The brave man did not bend an inch,
his eyebrows did not even twitch.”

(თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში რითმა მოსაზღვრეა).

უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანობაში პოემის თარგმანი უფრო კოლორიტული და „ვაჟასეული“ იქნებოდა, დ. რეიფილდს რითმა რომ შეენარჩუნებინა; თუმცა რითმის ნაკლებობით გამოწვეული უკმარისობის ეს გრძნობა ალბათ არ გაუჩნდება რეიფილდის თარგმანის იმ ინგლისურენოვან მკითხველს, რომელიც ვაჟას შემოქმედებას ორიგინალში არ იცნობს. იგი აღიქვამს ქართველი გენიოსის საოცარ

პოეტურ სამყაროს, აზროვნების სიღრმეს და მასშტაბებს, იმ ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, რომლითაც გამსჭვალულია პოემა. თარგმანის სუსტ მხარედ ჩანს აგრეთვე მასში მეტყველების ხალხური ფორმების უგულებელყოფა.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, „სტუმარ-მასპინძლის” დ. რეიფილდისეული თარგმანი მაღალმხატვრული ცდაა თითქმის შეუძლებლის მიღწევისა – ვაჟას ურთულესი და უმშვენიერესი პოეზიის ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გადაშლისა. შთამბეჭდავი პოეტური სახეები, დინამიური და ექსპრესიული თხრობა, ზუსტად გადმოცემული აზრობრივი შინაარსი და პოემის იდეა, სწორად მოძებნილი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები, ფაქიზი დამოკიდებულება დედნის ტექსტისადმი და ლექსიკური ერთეულებისადმი, ტროპების ადეკვატური შესატყვისები, დედნისეული რიტმის შენარჩუნება - ის უდავო ღირსებებია, რომლებიც აღნიშნულ თარგმანს ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად აქცევს.

§ 3.5 ვაჟა-ფშაველას პოემა “სტუმარ-მასპინძლის”

ლელა ჯგერენაიასეული თარგმანი

ყოველი თარგმანი უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს თავად მთარგმნელს. ქართველი კლასიკოსის პოემების მდარე თარგმანი მცდარ წარმოდგენას შეუქმნის უცხოელ მკითხველს ვაჟასა და, საერთოდ, ქართულ პოეზიაზე. შექსპირის რეპუტაციას ვერაფერს დააკლებს მისი ნაწარმოებების კიდევ ერთი, თუნდაც მეტად წარუმატებელი თარგმანი, მაშინ როცა მსგავსმა ფაქტმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს ქართველი მწერლისა და, საერთოდ, ქართული კულტურის რეპუტაციას. ამიტომ, გასაგებია იმ სკეპტიკოსთა პოზიცია, რომლებიც თვლიან, რომ სჯობს საერთოდ არ ითარგმნოს ვაჟა-ფშაველა, თუ თარგმანი არ იქნება მისი გენიის შესაბამისი. სწორედ ამიტომ გამოცდილი მთარგმნელები თავს არიდებენ ვაჟას შემოქმედების უცხო ენაზე გადატანას. ამ პასუხისმგებლობას არ შეუშინდა ლელა ჯგერენაია, რომელმაც ინგლისურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი”, რომელიც გამოქვეყნდა უელსლის კოლეჯის მიერ გამოცემულ წიგნში - Translations of World Literature (Editor: A.S. Kline) (http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:BoYE6mKKajsJ:imbooks.weebly.com/editions_vazha-pshavela.html+&cd=8&hl=ru&ct=clnk&client=opera) და ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე, მათ შორის, ონლაინ ლიტერატურულ ჟურნალში Poetry in

ranslation (<http://www.poetryintranslation.com/>).

ლელა ჯგერენაია სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტია (აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახიდან), რომელმაც 2009 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა (ონლაინ ჟურნალის The Messenger Online – ს თანახმად). ამჟამად იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში უელსლის კოლეჯის სტუდენტია საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, მაგრამ უკვე საკმაოდ მრავალმხრივი შემოქმედებითი გამოცდილება აქვს. მან თარგმნა 15 წლის ასაკიდან დაიწყო. 2007-2008 წწ. სწავლობდა Freedom High School of Future Leaders Exchange Programs Studies –ის პროგრამით აშშ-ი, მორგანტონში. 2006 წლიდან სხვადასხვა წლებში იყო ინტერნი მსოფლიო ბანკში, რეინტეგრაციის სამინისტროში, საქართველოს საელჩოში (ბელგიაში), ამერიკულ საბჭოებში; მუშაობდა უფროს მასწავლებლად გაეროს საზაფხულო სკოლაში. ამჟამად, უელსლის კოლეჯში სწავლასთან ერთად, იგი არის ბრიუსელში „წამების მსხვერპლთა საერთაშორისო რეაბილიტაციის საბჭოების“ ინტერნი. ამასთანავე ლელა არის საგამომცემლო-მთარგმნელობითი ორგანიზაციის პრეზიდენტი და ა.შ. მისი ყველა რეგალიის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ლელა ჯგერენაიას ბიოგრაფია ნიჭიერებასთან ერთად მის ამბიციებსა და თავდაჯერებულობაზე მეტყველებს. სწორედ ამ პიროვნულმა თვისებებმა მისცა მას იმის გამბედაობა, რომ ისეთ რთულ საქმეს შესჭიდებოდა, როგორც ვაჟას დიდებული პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ ინგლისური თარგმანია. ახალგაზრდა მთარგმნელისთვის, როგორც აღმოჩნდა, არ იყო ცნობილი „სტუმარ-მასპინძლის“ დ. რეიფილდისეული თარგმანი. ეჭვი არ გვეპარება, რომ ლ. ჯგერენაია ინგლისურს საკმაოდ კარგად ფლობს; მაგრამ არის კი ეს საკმარისი იმისათვის, რომ ჯერ კიდევ სტუდენტმა, რომელსაც, მისივე აღიარებით, არა აქვს საკმაო გამოცდილება მთარგმნელობით სფეროში, ადეკვატურად თარგმნოს ვაჟას ერთ-ერთი საუკეთესო პოემა? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ძნელია.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: იქნებ ეს ახალგაზრდა სტუდენტის გატაცებაა? რა საჭიროა ამ ნაშრომის ამგვარი სერიოზული განხილვა? მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მისი თარგმანი გამოიცა როგორც ბეჭდვითი სახით, ასევე გამოქვეყნდა ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ფართო საერთაშორისო საზოგადოება შეიძლება გაეცნოს, და ვაჟაზე წარმოდგენა სწორედ ლ. ჯგერენაიას თარგმანით შეიქმნას.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მკითხველს გაუჭირდება ლ. ჯგერენაიას თარგმანში დიდი შემოქმედის აღქმა, მისი სულისა და გენიის, საქართველოს მთის კოლორიტის, ვაჟასეული ლექსის მუსიკის, მისი ძლიერი პოეტური სახეების შეგრძნება. თუმცა თარგმანის ავტორი ძირითადად ცდილობს გადმოსცეს დიდი ქართველი მწერლის სათქმელი და თარგმანში არის კიდევ მეტნაკლებად წარმატებული და შინაარსობრივად ადეკვატური მონაკვეთები, მასში ბევრად მეტია სემანტიკურად არაზუსტი, არაბუნებრივი და, ზოგ შემთხვევაში, არასწორი ინგლისურით თარგმნილი პასაჟები. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ვაჟასეული პოეტური ხატების, ტროპების, იდიომებისა და ფრაზების თარგმანში დაშვებული ლაფსუსები.

„სტუმარ-მასპინძლის“ ლ. ჯგერენაიასეულ ვარიანტში არ არის შენარჩუნებული ვაჟას პოემის რითმა. როგორც თავად ლ. ჯგერენაია აღნიშნავს, პოემის თარგმნისას იგი შინაარსზე იყო კონცენტრირებული. მისი ერთადერთი მიზანი იყო სიტყვასიტყვით თარგმნა ის, რასაც ვაჟა წერდა და მკითხველისთვის მიეცა ინტერპრეტაციის საშუალება. მთარგმნელის სიტყვით, იგი მაქსიმალურად ცდილობდა მკითხველისთვის თავს არ მოეხვია ნაწარმოების მისეული აღქმა, რითმას კი მისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

ლ. ჯგერენაია აღიარებს, რომ ვაჟასეული რიტმი და ინტონაცია მეტად რთული დასაცავია და შიშობს, ამაზე რომ მოეხდინა ყურადღების კონცენტრირება, შინაარსს ასე ზუსტად ვერ გადმოსცემდა (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი სიზუსტის მხრივაც სცოდავს). ლ. ჯგერენაია აცხადებს, რომ სურს ვაჟას პოეზიის ყოველ თარგმანში მისი ლექსის სული და გული იგრძნობოდეს; თითოეული სიტყვა, რომელიც ვაჟამ თავის დროზე ასე ფრთხილად შეარჩია, უნდა რომ ჩანდეს თარგმანში. მისასალმებელია ამგვარი სურვილი, მაგრამ მოახერხა თუ არა მთარგმნელმა ეს?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანში არ არის დაცული არც ორიგინალისეული რითმა, არც საზომი. რითმა კი ლექსის ძირითადი მათრგანიზებელი პარამეტრია. იგი განაწყობს მკითხველს გარკვეული მოლოდინისადმი და სემანტიკურად რელევანტურს ხდის გართმულ ერთეულებს; ამასთან, სისხარტესა და სიმსუბუქეს სძენს შინაარსის გამომხატველ ფორმას. მასზე უარის თქმა დიდი დანაკლისია თარგმანისთვის. საზომი მეტად ცვალებადია (3 – 9 მარცვალი) და არ შეინიშნება არავითარი კანონზომიერება. ამასთან, ლ. ჯგერენაია ვერც მახვილების მეშვეობით ახერხებს ორიგინალისეული რიტმისა და ინტონაციის შენარჩუნებას. პოეტური ნაწარმოების მეტრი, რიტმი, რითმა,

ინტონაცია, მელოდიკა კი ის პარამეტრებია, რომელთა გარეშე არ არსებობს პოეზია და, ბუნებრივია, რომ ვაჟას შემოქმედების თავისებურებათა უგულვებლყოფით მთარგმნელი ვერ ახერხებს შექმნას დედნის ფუნქციონალური პოეტური ეკვივალენტი.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი მთლიანობაში გამოხატავს დედნის ძირითად იდეას, ფორმას, რომლითაც ეს იდეაა გადმოცემული, სამწუხაროდ, უმეტესწილად შორს არის მაღალი პოეზიისგან. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ლ. ჯგერენაიას ნაშრომი ვერ შექმნის დედნისეულ განწყობას პოემის ინგლისურენოვან მკითხველში.

აღნიშნული თარგმანისადმი სერიოზული პრეტენზიები არ ნიშნავს, რომ მასში არაფერია პოზიტიური. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მთარგმნელის მისწრაფება აზრობრივი სიზუსტისკენ. თუმცა ამ სიზუსტეს ხშირად სიტყვასიტყვითი თარგმანისკენ მიჰყავს ტექსტი, რაც მიუღებელია, ვინაიდან ე.წ. ბუკვალიზმი ხელს უშლის მთარგმნელს შექმნას დედნისეული მხატვრული სამყაროს სწორი ანალოგი.

და მაინც, ლ. ჯგერენაიას ნაშრომში არის მონაკვეთები, რომლებიც ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭიერებისა და დიდი პოტენციალის მაჩვენებელია. აზრობრივად, ემოციურად და ინტონაციურად ადეკვატური თარგმნის ნიმუშია:

„მაგრამ მტერს მტრულად მოექცე,	”But “treat your enemy with harshness”
თვითონ უფალმა ბრძანაო,	God himself commands us,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით	The sooner then must we
გულში ჩავურჭოთ დანაო.“	Drive knife into their heart.”

ზოგჯერ ლ. ჯგერენაია თავს აღწევს სიტყვასიტყვით თარგმანს და ახერხებს დედნისეული ლექსიკური ერთეულების სწორი პოეტური შესატყვისების მოძებნას:

„სტიროდა, მაგრამ ტირილი	“She was crying without tears,
არ იყო, ეხათრებოდა:	Constrained by respect:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,	Respect for the tribe on the one hand,
მეორით – ღმერთი აშინებს,	On the other, her fear of God,
ქისტეთის მტრისა მოზარეს	Grieving for an enemy
თავს რისხვას გადმოადინებს.“	Would bring their anger upon her.”

ამ მონაკვეთის პირველი ორი სტრიქონი არ არის სემანტიკურად ორიგინალის იდენტური, მაგრამ სწორად გამოხატავს დედნის აზრს და განწყობას. მესამე

სტრიქონში სიტყვა „თემის“ თარგმნა “tribe”-ად (იგივე თარგმანი პომის სხვა მონაკვეთებშიც გვხვდება) არ არის გამართლებული (tribe – ტომი, მოდგმა, ჯიში), რადგან ის არ შეესაბამება „თემს“ არც სემანტიკურად და არც შინაარსობრივად. ლექსიკური ერთეულის - „თემი“ უფრო ზუსტი შესატყვისი იქნებოდა “community” ან „village”.

ვაჟასეული ლაკონურობაა შენარჩუნებული შემდეგ სტრიქონებში:

„სიკვდილსა გლოვა უხდება
მკვდარ ძმას – ტირილი დისაო.“

“For death, mourning is fitting,
For a dead brother – a sister’s weeping.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თარგმანში მოსაზღვრე რითმია გამოყენებული (ვაჟასეული რითმისგან განსხვავებით), სწორად შერჩეულმა ლექსიკურმა ერთეულებმა და რითმამ ამ სტრიქონებს პოეტურობა შესძინა.

კარგად მოუძებნა ინგლისური შესატყვისი ახალგაზრდა მთარგმნელმა შემდეგ ფრაზას:

„მაღე მოვიყვან ჭკუაზე.“ - “I’ll knock the foolishness out of him”.

ორიგინალისეული ექსპრესიულობა და შთამბეჭდავი პოეტური სახეებია შენარჩუნებული შემდეგ სტროფში:

„მაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“
ვაჟაკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო.

“May this dog die for you!”-
The stranger’s voice is heard,
His heckles are rising,
His hair – like a tiger’s.”

ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელი დინამიურობა აქვს მთარგმნელს შენარჩუნებული ღამის დელგმის შემდეგი სურათის გადმოცემისას:

„მდინარე მოჰქუხს,
ზედ ასქდებოდის ლოდებსა.“

“The river thunders angrily
Bursting over the bolders.”

თარგმანის პოზიტიური მხარეა ის, რომ მასში თითქმის არ არის კუპიურები და ჩანართები. გამონაკლისია ჩანართი მეორე თავის დასასრულს:

“Lead me wherever you wish, brother,
I long to be there – How far is it?”

სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით,

„გამიძებ, საითაც გინდა, ძმაო,

ძალიან მინდა იქ ყოფნა – რამდენად შორს არის?”

„სტუმარ-მასპინძელში” ზვიადაურს მსგავსი არაფერი უთქვამს ჯოყოლასთვის. თუმცა ეს ჩანართი არაარსებითია და არ ამახინჯებს დედნისეულ მხატვრულ ქარგას და მის იდეას.

სამწუხაროდ, ამით მთავრდება თარგმანის დადებითი მომენტების ჩამონათვალი. ჯგერენაიას ნაშრომში ბევრად მეტია სერიოზული ცდომილებანი, რომლებიც პოემის მხატვრულ და აზრობრივ ელფერს ცვლიან. შინაარსობრივი უზუსტობები, შეუსაბამობები თარგმანში საკმაოდ ხშირია. მაგალითად, „ჩონგურის” შესატყვისად ჯგერენაიას შემოაქვს “Lyre”, რომელიც „ლირას” ნიშნავს, რაც არ არის სწორი. ქართული ეროვნული საკრავის სახელწოდება უცვლელად უნდა გადავიდეს თარგმანში, სათანადო განმარტებით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ „ჩოხას” ჯგერენაიამ ტრანსლიტერაციის მეთოდით სწორი შესატყვისი მოუძებნა “chokha”. ასევე უნდა მოქცეულიყო იგი ამ შემთხვევაშიც.

პოემის პირველივე სტრიქონის თარგმნისას იკვეთება თარგმანის ერთი თვალშისაცემი ნაკლი: ლ.ჯგერენაია ვერ ახერხებს ორიგინალის სადარი კომპაქტური, მოქნილი ფრაზებით თარგმნას, რის შედეგადაც იცვლება ვაჟას პოეტური ფრაზის მოძრაობა:

„ღამის წყვდიადში ჩაფლული,	“Veiled in the gloom of night
გამტკნარებული სახითა,	The sweet face of Kisteti
მოსჩანს ქისტეთის მიდამო	Appears, among hills around,
სალის კლდეების ტახტითა“	A rocky throne among cliffs.”

ამ მონაკვეთში შინაარსობრივი უზუსტობაცაა - ლ. ჯგერენაიას თარგმანში ქისტების სოფელი ჩანს სალი კლდეების ტახტად, მაშინ როცა ორიგინალში სალი კლდეები უწევენ ტახტის მაგივრობას ქისტების სოფელს.

ზოგ შემთხვევაში ჯგერენაია ცვლის ვაჟასეულ პოეტურ სახეებს. როგორც ჩანს, მას ჰგონია, რომ ხატის მისეული ფორმით უფრო აძლიერებს ემოციას, რაც მეტად საეჭვოა. ზოგი მონაკვეთის თარგმნისას შინაარსობრივ ცვლილებასაც აქვს ადგილი:

„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე	“Our deadly enemy, you Kists,
შემოგვეპარა ღამითა,	Walks with you, disguised, in the night.
ჩანს, რომ ჯოყოლა ვერ იცნობს,	It seems, Jokhala fails to know him,
არ უნახია თვალითა.“	His eyes have not pierced his disguise.”

თარგმანის მიხედვით გამოდის, რომ ზვიადაური შენიღბული შეიპარა

ქისტებთან და ჯოყოლა ამის გამო ვერ ცნობს მას, მაშინ როცა ვაჟასთან უბრალოდ აღნიშნულია, რომ ჯოყოლა ვერ ცნობს ზვიადაურს, როგორც ჩანს თვალთ არ უნახიაო. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მთარგმნელისეული გაგება სრულიად განსხვავებულია ორიგინალისგან.

ფრაზა „ქისტის შვილები“ ლ. ჯგერენაიამ შემდეგნაირად თარგმნა – “Kists’ children” („ქისტების ბავშვები“), რაც შეუსაბამო თარგმანია, ვინაიდან ვაჟა „ქისტის შვილებში“ ზოგადად ქისტებს გულისხმობდა (სავარაუდოა, კონტექსტიდან გამომდინარე, მამრობითი სქესისას. ა.ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონის“ თანახმად „ქისტისშვილი“ - ქისტს ნიშნავს (ჭინჭარაული 1969: 276)) და არა ბავშვებს:

„აღელდნენ ქისტის შვილები,
ყველამ შაიბა ხმალი.“

“the Kists’ children were stirred,
Everyone strapped a sword.”

ამ, ერთი შეხედვით, მცირე აზრობრივი ცვლილებით ორიგინალის შეუსაბამო თარგმანი მივიღეთ, რომელმაც მკითხველში შესაძლოა შემფოთება გამოიწვიოს ბავშვების ძალადობრივ ქმედებებში ჩარევის გამო, რაც, რა თქმა უნდა, არ არის ვაჟასთან. ინგლისურში „შვილების“ მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზა „the sons of“ (რა თქმა უნდა, როდესაც ვაჟებზეა საუბარი). ალბათ აჯობებდა ეს ფრაზა თარგმნილიყო, როგორც: „The sons of Chechnya were roused: each one girded himself with a sword“.

ორიგინალისეულ ფრაზას „აბდაუბდაობ შტერადა“ ჯგერენაიამ არასწორი კოლოკაცია (სიტყვათშეთანხმება) მიუსადაგა: “foolish nonsense” („სულელური უაზრობა“). ინგლისურში „უაზრობის“ მიმართ ზედმეტი, შეუსაბამო ზედსართავია „სულელური“. იგივე ფრაზა დ. რეიფილდმა ასე თარგმნა: „you have been talking a madman’s drivel“ (სიტყვასიტყვით, „შემოილი კაცივით უაზრობას ლაპარაკობ“), რაც უფრო მართებულია.

ზოგ შემთხვევაში მთარგმნელი ვერ ახერხებს ემოციური, გამომხატველობითი თვალსაზრისით ეკვივალენტური სემანტიკური ერთეულების მოძებნას. მაგალითად: „ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო.“ - “you have seized me, you dogs”; „ჩამიგდეთ ხელში“ ნიშნავს, რომ ზვიადაური მოტყუებით, მიპარვით შეიპყრეს, რაც არ ჩანს სიტყვაში “ceased” – (უბრალოდ, „შეიპყრეს“).

ფრაზა „და გაუბანდოს ჯღანია“ ჯგერენაიამ რატომღაც “wash their feet” –ით შეცვალა („დაბანოს ფეხები“).

არცთუ იშვიათად ლ. ჯგერენაია ინგლისურის მხრივაც სცოდავს. მაგალითად იგი იყენებს სიტყვას „slaughter” ერთი ადამიანის მიმართ. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის თანახმად კი, ეს სიტყვა ნიშნავს:

1. the killing of animals for their meat
2. the cruel killing of large numbers of people at one time, especially in a war

ანუ, „slaughter” მასობრივ სისხლისღვრას, ხოცვა-ჟლეტას ნიშნავს ან საქონლის დაკვლას ხორცის დამზადების მიზნით. არცერთი აღნიშნული მნიშვნელობა არ შეესაბამება კონტექსტს.

ფრაზას „ყელში ამბობდა” ახალგაზრდა მთარგმნელმა შეუსაბამა “murmured in his throat”. „murmur” ნიშნავს „ბუტბუტს”, „დუდუნს”, „რაკრავს“ და მითითებულ ფრაზაში ამ სიტყვის გამოყენება უადგილოა.

სიტყვასიტყვითი და არცთუ ზუსტია ამ სტრიქონების თარგმანი:

გული ვერ მოკლა მტრის ხელმა, “But the enemy’s hand could not quench his heart
გული გულადვე რჩებოდა His heart was still his heart.”

“quench” – „მოკვლის” მნიშვნელობით წყურვილის, სურვილის და მსგავსი გრძნობების მიმართ გამოიყენება ინგლისურში; ხოლო ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა „ჩაქრობა” მეტაფორულადაც კი ადამიანის გულის მიმართ ნაკლებ გამოსადეგია არსებულ კონტექსტში. უკეთესი იქნებოდა ამგვარი თარგმანი: „The enemy’s hand could not crush his courage“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონაკვეთის თარგმანი მეტისმეტად სიტყვასიტყვითი და პროზაულია. არაპოეტური და მკითხველისთვის გაუგებარია “His heart was still his heart” (სიტყვასიტყვით, „მისი გული ჯერ კიდევ მისი გული იყო”).

მთარგმნელი ალაზას მიმართ იყენებს სიტყვას “melted”:

და ამ სურათის მნახველი “And witnessing all this
ერთი დიაცი ბნდებოდა. One lovely woman melted.”

რაც ასევე არასწორია – ეს სიტყვა ქართულად ნიშნავს „დადნა”, რაც სულაც არ არის „ბნდებოდა” - „ცუდად ხდებოდა, გული მისდიოდა”. სიტყვა „ცულს” ჯგერენაიამ “scythe” შეუსაბამა, რაც სინამდვილეში „ცელს” ნიშნავს და სულ სხვა დანიშნულების იარაღია.

შინაარსობრივად არაზუსტადაა თარგმნილი შემდეგი მონაკვეთი:

„დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ, “Today he is in our hands, let’s see

ვაგემოთ გემო მწარია,
მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
გვყავს უპატრონო მკვდარია.“

If we can make him taste the bitterness
Of those Khevsur killed this summer ;
We have unburied dead.”

გარდა იმისა, რომ ვაჟასეული პოეტური აზრის მდინარეა აქაც დარღვეულია, ბოლო სტრიქონში ნახსენებია „unburied dead” („დაუმარხავი მკვდარი“), რაც სრულიად შეუსაბამოა იმასთან, რასაც ვაჟა გულისხმობდა „უპატრონო მკვდარში“.

უცნაურია, რატომ არის ამდენი აზრობრივად არაზუსტად თარგმნილი მონაკვეთები თარგმანში, რომელსაც თავად ავტორი „სიტყვასიტყვით“ უწოდებს და რომლის უპირველესი მიზანი, მისივე სიტყვით, სიზუსტე იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს გარკვეული მონაკვეთების არასწორ გაგებასთან, მცდარ ინტერპრეტაციასთან. აზრობრივად შეცვლილია შემდეგი სტრიქონების თარგმანიც:

„მირბის და მისდევს შმაგადა,
კლდიანის ხევის პირასა.“

აქ საუბარია ალაზაზე, რომელიც ძაღლს მისდევს, რომ არ მიუშვას ზვიადაურის გვამთან. ხოლო თარგმანში გვაქვს:

“The dead run behind her menacingly,
Along the edge of the rocky ravine.”

ე.ი. მკვდრები მისდევენ მუქარით ალაზას კლდიანი ხევის პირას.

ფრაზის „ქუდზე კაც უნდა წავიდეს“ ნაცვლად ჯგერენაიამ შემდეგი ინტერპრეტაცია შესთავაზა ინგლისურენოვან მკითხველს: „A man from every clan“, რაც არასწორი თარგმანია, ვინაიდან „ქუდზე კაცი“ „ოჯახიდან ერთ კაცს“ ნიშნავს, თარგმანში კი ყოველი კლანიდან - გვარიდან ერთ კაცს ავალდებულებენ მხოლოდ.

სუსტად და აზრობრივად შეუსაბამოდაა თარგმნილი შემდეგი სტრიქონიც: „თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“ - “Why do you drench my head with mud?” “drench” – დაღობას, გაჟღენთვას ნიშნავს, რაც ამ სიტუაციაში უადგილოა.

არაბუნებრივი, მოუხეშავი ინგლისურითაა თარგმნილი შემდეგი სტრიქონებიც: „ძმობითა, მეგობრობითა” “Beneath brotherhood and friendship” შემოგვაპარა ლაშქარი.“ He concealed an army.”

(სიტყვასიტყვით, „ძმობისა და მეგობრობის ქვეშ მან არმია დამალა“). ინგლისურად ეს ფრაზა არაბუნებრივად და შეუსაბამოდ ჟღერს. კიდევ ერთი შეუსაბამობაა შემდეგი ფრაზის თარგმანში:

„რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!”

მთარგმნელი გვთავაზობს:

“Don’t I wear a bride’s head-scarf?!”

რა შუაშია “bride” – „პატარძალი”?

თარგმანის წარმატებას, მის მხატვრულ ღირსებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების, გაპიროვნებების ადეკვატური შესატყვისების მოძებნა მთარგმნელის ენაზე. კარგმა მთარგმნელმა ტროპის არცერთი სახე არ უნდა დაკარგოს. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ლ. ჯგერენაია ამას ახერხებდეს. ვაჟასეული ტროპების თარგმანი ხშირ შემთხვევაში მოიკოჭლებს.

პოემის დასაწყისშივე ფრაზას : „გამტკნარებული სახითა” ჯგერენაია თარგმნის, როგორც “sweet face of “ („ტკბილი, საყვარელი სახე”), რაც სემანტიკურად და აზრობრივად არაზუსტი შესატყვისია.

არაადეკვატურად და კონტექსტისთვის შეუსაბამოდ არის თარგმნილი ვაჟას იგივე ეპითეტი სხვა შემთხვევაშიც:

„ქალი ვერაფერს ამბობდა,

“The woman could not speak,

გამტკნარებოდა სახეო.“

Though her face looked calm.”

„სახეგამტკნარებული“ - სახეგაქვავებულს, გამშრალ-გაოგნებულს ნიშნავს (ჭინჭარაული 1969: 244), “calm” – კი მშვიდს. არსებულ კონტექსტში, ამაღელვებელი, შიშისმომგვრელი მოვლენების შემდეგ აღაზა მშვიდი ვერასგზით ვერ იქნებოდა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა მთარგმნელი ვერც შედარებების და მეტაფორების ადეკვატური თარგმანით დაიკვეხნის. უკეთეს შემთხვევაში თარგმანი სიტყვასიტყვითია, თუმცა არის სასიამოვნო გამონაკლისებიც. მაგალითად, ვაჟასეული „არჩვი ყელგადაგდებული“-ს ჯგერენაიასეული შესატყვისია “a chamois with neck bent gracefully” („გრაციოზულად ყელმოღერებული არჩვი”). „ყელგადაგდებული” სიტყვასიტყვით რომ ეთარგმნა, მეტად სასაცილო ფრაზას მივიღებდით.

სტრიქონებს:

„ბნელ ხევზე მოჰყეფს მდინარე

გულამღვრეული ჯავრითა.“

ლ. ჯგერენაიამ ამგვარი თარგმანი შეუსაბამა:

“The river moans in the dark ravine

Turbid, with grief at its heart.”

აქ მეტაფორა „მოჰყევს მდინარე“ რატომღაც გადაიქცა “The river moans”(„მდინარე კვნესის“), „გულამღვრეული” – “turbid” („მღვრიე“), რაც, ბუნებრივია, ძნელია ჩაითვალოს ადეკვატურ თარგმანად. ვაჟასეული კოლორიტული, ორიგინალური მეტაფორები და თხრობის დინამიურობა დაიკარგა.

ზვიადაურის მოკვლის სცენის აღწერისას დედნისეული „შეურაცხყოფილი” ქისტების ნაცვლად თარგმანში გვაქვს “ashamed” („დარცხვნილი“), რაც სავსებით განსხვავებული ინტერპრეტაციაა მოცემულ კონტექსტში.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა მთარგმნელს გაუჭირდა ვაჟას შესანიშნავი მეტაფორის: „სინათლეს სული ამოჰხდა” თარგმნა და ის შეცვალა სრულიად განსხვავებული, არცთუ პოეტური, ბანალური ფრაზით: “The sun sank to rest”(„მზე დასასვენებლად ჩაიძირა”). ნამდვილად ძნელია შევადაროთ აღნიშნული თარგმანი დ. რეიფილდისეულს: „Light gives up the ghost”.

ფრაზაში „გადაიქცა ზღურბლზედა” ჯგერენაიამ, ალბათ, სიტყვა „გადაიქცა” არასწორად გაიგო და შემდეგნაირად თარგმნა: “poured out like water on the threshold” („წყალივით გადაიქცა ზღურბლზე“), რაც სრულიად შეუფერებელია.

როგორც ჩანს, მეტაფორები ლ. ჯგერენაიას „აქილევსის ქუსლია”. უმეტეს შემთხვევაში იგი ვერ ახერხებს მათ ადეკვატურ პოეტურ თარგმანს; ზოგჯერ პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადააქვს და შედეგი ნაკლებ პოეტურია, ინგლისურისთვის არაბუნებრივი; როგორც, მაგალითად, შემდეგ სტრიქონებში:

„ფშავ-ხევსურეთის იმედი
ქავ-ციხე, რკინის კარია.“

“The hope of Pshav-Khevsureti,
Their Fortress, their Iron Door.”

ამკარაა, მთარგმნელი თავადაც გრძნობდა ამ თარგმანის არაბუნებრიობას და სცადა მისგან თავის დაღწევა იმით, რომ მეტაფორები ინგლისურ ტექსტში დიდი ასოებით შეიტანა (როგორც საკუთარი სახელები), მაგრამ ვეჭვობ, ეს საქმეს შველოდეს.

სხვა შემთხვევაში ლ. ჯგერენაია საერთოდ თავს არიდებს მეტაფორის თარგმნას და მას შინაარსობრივად გადმოსცემს. მაგალითად:

„მკერდს ხანჯლის წვერით უწერენ” – “Pierced his chest with their sabre tips”
(სიტყვასიტყვით, ხმლების წვერებით მკერდი განუგმირეს“).

ვაჟასეული მეტაფორის მხატვრული ღირებულება თარგმანში სავსებით გაუჩინარდა.

მწერლის სტილის მნიშვნელოვანი კომპონენტია იდიომები და ფრაზეოლოგია, რომელთა სწორი შესატყვისების მოძებნა უაღრესად მნიშვნელოვანია თარგმნისას.

სამწუხაროდ, „სტუმარ-მასპინძლის“ ლ.ჯგერენაიასეულ თარგმანში ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი, რბილად რომ ვთქვათ, არასათანადოდ არის წარმოდგენილი. იდიომებისა და ფრაზეოლოგიის დიდი უმრავლესობა სიტყვასიტყვითაა ნათარგმნი. შედეგად მივიღეთ ფრაზები, რომლებიც უცნაური და არაბუნებრივია იმ მკითხველისთვის, ვისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა.

კალკირების შედეგად, სამწუხაროდ, თარგმანში სავსებით იკარგება ვაჟასეული იდიომებისა და ფრაზების მაღალი მხატვრული ღირებულება, ლაკონურობა და ექსპრესიულობა. ამგვარი არაეკვივალენტური თარგმანის ნიმუშებია:

„ენასა ლესავს შხამითა“ - “sharpening his tongue with poison”;
„მით ვერ მიაბამთ ჩემს გულსა - “You can’t tie my heart
თქვენს გულისთქმასა ძაფითა.” - “To your wishes with a thread”;
„მტრისა არ გაჭმევთ ჯავრსაო“ - „No longer swallow your anger against your foe”
„არ შეიხრიდა წარბსაო“ - “Unwavering his brow”.

პირველი ოთხი ფრაზა სიტყვასიტყვით ზუსტად არის თარგმნილი, მაგრამ ინგლისურად არაბუნებრივად და არაპოეტურად ჟღერს. რაც შეეხება ფრაზას „Unwavering his brow“, სიტყვა ”Unwavering“ ჯგერენაიას ზმნად აქვს გამოყენებული, მაშინ როცა ეს სიტყვა ინგლისურში მხოლოდ ზედსართავია და „შეუდრეკელს“ნიშნავს. იმ შემთხვევაშიც კი, ზედსართავად რომ გამოყენებინა, „შეუდრეკელი წარბი“ უადგილო სიტყვათშეთანხმებაა.

ზოგჯერ ახალგაზრდა მთარგმნელი ცდილობს თავი აარიდოს სიტყვასიტყვით თარგმნას, მაგრამ შედეგი მაინც არაადეკვატური და ნაკლებ პოეტურია:

„ცხვირიდან უნდა ვადინოთ - “We must bring bitterness
ზვიადაურსა ძმარია.” - to Zviadauri’s nostrils”;

სიტყვასიტყვით,

„ჩვენ უნდა მივიტანოთ სიმწარე

ზვიადაურის ნესტოებთან“

ზოგ შემთხვევაში კი თარგმანი არათუ არაბუნებრივი და არაადეკვატურია, არამედ უხამსი ელფერის შემცველიც კი (ბუნებრივია, არაგამიზნულად). მაგალითად, შემდეგი ფრაზების თარგმანი:

„ჩაიგდეს ჩემი კაცობა, - “They have my manhood in their hands
ფეხქვეშ ტყლაპივით სთელავენ.” - And they crush it as they crush the grapes.”

და

„განანებთ, თუმცა ძმანი ხართ
ჩემი კაცობის ქელვასა!“

“You’ll regret this though you are my brothers,
Trampling like this on my manhood!”

ინგლისურენოვან მკითხველს (ბრიტანელს, ამერიკელს) ან გააცინებს, ან გააწითლებს-სწორედ ამგვარი კომენტარი გაუკეთა ამ მონაკვეთების ლ. ჯგერენაიასეულ თარგმანს დ. რეიფილდმა, როდესაც მას თარგმანის არაადეკვატურობის თაობაზე ჩვენი ეჭვების დასაზუსტებლად მივმართეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პოემის თარგმანის ბოლო სტრიქონებში სიტყვა „პირიმზე“ ჯგერენაიას თარგმნილი აქვს, როგორც “beauty” („ლამაზმანი“, „მშვენიერება“), ვაჟას კი მხედველობაში აქვს უფსკრულის თავზე ამოსული ყელმოღერებული ყვავილი. კიდევ ერთხელ დაიკარგა მშვენიერი პოეტური სახე. დედანში აღაზაზე რომ არ არის საუბარი, კონტექსტიდან ჩანს. აშკარაა, რომ ჯანლის ჩამოწოლის შემდეგ აღაზა, ჯოყოლა და ზვიადაური აღარ ჩანან, ასე რომ, ამ კონტექსტში მშვენიერი აღაზა ვერ იქნება ყელმოღერებული უფსკრულის თავზე.

„მთარგმნელი შუაკაცია ავტორსა და უცხოენოვან მთხრობელს შორის და ამ შუაკაცის ნიჭსა და ერუდიციაზეა დამოკიდებული, როგორ წარდგება უცხო მკითხველის წინაშე მწერალი, მისი ენა, სტილი, თხრობის მანერა; მხატვრულ სახეთა ძერწვის ხელოვნება, აზრთა და ემოციათა სიღრმე და სისტემა“ (წიბახაშვილი 2000: 11)-წერს გიორგი წიბახაშვილი.

მხატვრული ნაწარმოების თარგმანი (განსაკუთრებით როცა საქმე კლასიკოსებს ეხება) სერიოზული, რთული ფილოლოგიური კვლევა და, ამასთანავე, შემოქმედებითი პროცესი უნდა იყოს; ხოლო მთარგმნელი არა მხოლოდ ორივე ენის – დედნისა და თარგმანის ენების, არამედ ორივე კულტურის შესანიშნავად მცოდნე და, ამავე დროს, მეცნიერიც. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კლასიკოსის გენიის შესატყვისი ეკვივალენტური თარგმანი, რომელიც შეასრულებს იმ დიდ ლიტერატურულ ფუნქციას, რომელიც თარგმანს აკისრია.

ლ. ჯგერენაიას თარგმანზე ჩვენი დაკვირვება, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, იმას ადასტურებს, რომ ახალგაზრდა მთარგმნელის ნაშრომი ვერცერთ ზემოხსენებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რამდენიმე პოზიტიური მომენტისა, ჯგერენაიასეულ თარგმანში, მასში არსებული სერიოზული ხარვეზების, შინაარსობრივი უზუსტობების, ვაჟასეული

რიტმის, რიტმისა და მელოდიკის უგულებელყოფის, ორიგინალისეული ტროპების, იდიომებისა და ფრაზეოლოგიის არასწორი შესატყვისების გამო, ინგლისურენოვანი მკითხველი ვერ აღმოაჩენს დიდ ვაჟას, მის მაღალ პოეზიას, შთამბეჭდავ პოეტურ სახეებს.

დასანანია, რომ ამ ნაშრომს, როგორც ჩანს, არ გაუვლია რედაქტირება, თუმცა, როგორც ინტერნეტის სხვადასხვა საიტზე, ასევე ბეჭდვით გამოცემაშიც მითითებულია რედაქტორის სახელი და გვარი. უფრო მეტად სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებულ ბევრ სერიოზულ საიტზეც კი მითითებულია „სტუმარ-მასპინძლის“ ლ. ჯგერენაიასეული და არა დ. რეიფილდისეული თარგმანი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ ლ. ჯგერენაიას თარგმანის გავრცელებამ ინტერნეტის ქსელსა თუ სხვა მედიაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქართველი მწერლის და, საერთოდ, ქართული კულტურის რეპუტაციას იმ ქვეყნებში, სადაც მას კარგად არ იცნობენ.

§ 3.6 „სტუმარ-მასპინძლის“ ინგლისური თარგმანების

შედარებითი ანალიზი

„სტუმარ-მასპინძლის“ ზემოგანხილული ორი თარგმანი სხვადასხვა დონის ნაწარმოებებია, რომელთა შედარება, შეიძლება ითქვას, არც კი შეიძლება. ერთი მათგანი შესრულებულია ბრიტანელი მეცნიერის და პოეტის, გამოცდილი მთარგმნელის, ქართული კულტურის და, კერძოდ, ვაჟას შემოქმედების ღრმა მცოდნის მიერ ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევის შედეგად. მეორე კი სრულიად ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი მთარგმნელის მიერ.

როდესაც ახალგაზრდა მთარგმნელი ხელს ჰკიდებს ქართველი კლასიკოსის შედეგის ინგლისურად თარგმნას, მას დიდი სიფრთხილე და პოეტური ალღო ესაჭიროება. მან საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს არა მხოლოდ დედანი, არამედ უკვე არსებული თარგმანებიც და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს, შეძლებს თუ არა ახალი სიტყვა თქვას ქართული კლასიკური ლიტერატურის თარგმნის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ლ. ჯგერენაიას თარგმანის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მას არასაკმარისად აქვს შესწავლილი დედანი; ხოლო რაც შეეხება პოემის დ. რეიფილდის მიერ შესრულებულ

თარგმანს, მისთვის საერთოდ არ იყო მის შესახებ ცნობილი. მხატვრული თარგმანი კი არა მხოლოდ შემოქმედებითი პროცესის, არამედ რთული ფილოლოგიური კვლევის შედეგია, რის გარეშეც მაღალი დონის თარგმანის შექმნა შეუძლებელია.

განხილულ თარგმანებს ერთი რამ აქვთ საერთო: ორივეს ავტორი მთავარ მიზნად თარგმანის სიზუსტეს, დედანთან მაქსიმალურ სიახლოვეს ისახავს. დ. რეიფილდი აღწევს კიდევ მიზანს, მაშინ როცა ლ. ჯგერენაიას თარგმანში ბევრი შინაარსობრივი უზუსტობაა, რომლებიც, ერთი მხრივ, დედნის სათანადო მონაკვეთების არასწორი გაგებიდან მომდინარეობს, მეორე მხრივ კი - თარგმანში ორიგინალის ლექსიკური ერთეულების არაკვივალენტური შესატყვისების გადატანიდან. ხშირად სიზუსტისკენ სწრაფვას ლ. ჯგერენაია სიტყვასიტყვითი თარგმანისკენ მიჰყავს, რისი შედეგიც არაბუნებრივი, ნაკლებად პოეტური ინგლისური ფრაზებია.

ვერცერთ განხილულ თარგმანში ვერ იქნა შენარჩუნებული ვაჟას რითმა, მაგრამ დ. რეიფილდის თარგმანში დაცულია დედნისეული რიტმი და ინტონაცია, რითაც ადეკვატური მხატვრული ეფექტი მიიღწევა; რასაც ვერ ვიტყვით ლ. ჯგერენაიას თარგმანზე, თუმცა არის გამონაკლისები.

დ. რეიფილდი შესანიშნავად ახერხებს ვაჟასეული პოეტური ხატების გადატანას თარგმანში ისე, რომ შენარჩუნებული იქნას მათი ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალა, პოეტური აზრის სიღრმე. სათანადოდ არის ასევე მის მიერ თარგმნილი შემოქმედის სტილის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორებიცაა იდიომები და ფრაზეოლოგია. რაც შეეხება ჯგერენაიას, მის თარგმანში კალკირების შედეგად ხშირად იკარგება ორიგინალის იდიომების და ფრაზების მაღალი მხატვრული ღირებულება და ლაკონურობა. სიძნელეებს აწყდება იგი, დ. რეიფილდისგან განსხვავებით, ტროპების თარგმნის დროსაც. მის მიერ ინგლისურ ენაზე გადატანილი ვაჟასეული მეტაფორები, შედარებები და ეპითეტები ხშირ შემთხვევაში ბანალურია და არაბუნებრივი.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ. ერთ შემთხვევაში ჯგერენაია სტრიქონს:

„მაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“

თარგმნის, როგორც

“Your dead are dogs”,

(სიტყვასიტყვით, „თქვენი მკვდრები ძაღლები არიან“). ეს ფრაზა მეტად არაკორექტულია, შეურაცხყოფას აყენებს მიცვალებულებს, რაც ორიგინალში არ არის, რასაც ვაჟა არ ამბობს და არც იტყოდა. დ. რეიფილდი იგივე ფრაზას შემდეგი სახით თარგმნის:

„A dog is all your corpse deserves”

(სიტყვასიტყვით, „თქვენი მიცვალებული მხოლოდ ძაღლს იმსახურებს“), რაც აზრობრივად ახლოსაა დედანთან და არავითარ უხერხულობას არ იწვევს.

ვაჟას პოემის სათაური შემთხვევით არ შეურჩევია, იგი მთიელებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტრადიციას - სტუმარმასპინძლობას, სტუმრის, როგორც ღვთის წყალობის, აღქმას ეძღვნება. ზვიადაურის შინ მიყვანისას ჯოყოლა შემდეგი სიტყვებით მიმართავს ცოლს:

„აი, სტუმარი მოგვარე,-

ღვთის წყალობაა ჩვენზედა,-

როგორ დახვდები დიაცო,

ახლა ჰკიდია შენზედა.“

ლ. ჯგერენაია კი თარგმნის:

“ ‘See, I have brought you a guest.’

‘Mercy be to God’.

How you will treat our guest , wife,

That is for you to say.”

ჯერ ერთი, პუნქტუაცია აქ გაუმართავია, რადგან დედანში ოთხივე სტრიქონი ჯოყოლას ეკუთვნის, მაშინ როცა მთარგმნელმა მეორე სტრიქონი ალაზას მიაწერა. გარდა ამისა, გაუმართავი ფრაზაა: “Mercy be to God” (“გულმოწყალება ღმერთს“?!). კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცდომილება კი ის არის, რომ ჯოყოლა ალაზას ეუბნება, შენზეა დამოკიდებული რას იტყვი, როგორ დახვდები სტუმარსო. შეუძლებელია, მთიელმა კაცმა ოჯახში სტუმარი მოიყვანოს და ცოლს შეეკითხოს, რას იტყვიო. მაშინ ხომ სტუმარი ღვთის წყალობა აღარ იქნებოდა. ორიგინალში ჯოყოლა მეუღლეს მხოლოდ აქეზებს, აბა, შენ იცი, როგორ დაგვხვდებიო, რაც სულ სხვა რეალიაა.

იგივე მონაკვეთი უაღრესად ზუსტად აქვს თარგმნილი, როგორც ემოციური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, დ. რეიფილდს:

“Here now, I have brought a guest-

this is the grace of God upon us-
now it is up to you to show
how you will receive us, wife.”

აქ, გარდა იმისა, რომ ყველა სტრიქონი ჯოყოლას ეკუთვნის და მეორე სტრიქონში, ისევე როგორც დედანში, ნათქვამია, რომ სტუმარია ღვთის წყალობა, ჯოყოლა ცოლს აქეზებს, შენზეა, როგორ დაგვხვდებიო.

აზრობრივად არასწორადაა აქვს თარგმნილი ლ. ჯგერენაიას სტრიქონი:

„ჩიქილის ტოტში შეხვია” – “She wrapped them round coarse twig”.

„ჩიქილის ტოტი” – ქალის თავსაბურავის ნაწილია, თარგმანში კი უხეშ ხის ტოტზეა საუბარი. როგორც ჩანს, მთარგმნელმა სწორად ვერ წაიკითხა დედანი და „ტოტი” ხის ტოტად ჩათვალა. დ. რეიფილდისეულ თარგმანში ეს მონაკვეთი სწორადაა გააზრებული :

„ wrapped them up in her silk scarf ’s hem”.

უზუსტობაა დაშვებული ლ. ჯგერენაიას თარგმანში შემდეგი მონაკვეთის თარგმნის დროსაც:

„ბილიკზე მოსუნსულებდა
სასაფლაოსკენ მყეფარი.“

“He glided along the path,

He hawled towards the graveyard.“

ვაჟასთან „მყეფარი” ძაღლის აღმნიშვნელია, რომელიც ბილიკზე მოსუნსულებდა, ხოლო თარგმანში აღაზას ძმის სულზე გრძელდება თხრობა. შედარებისთვის მოვიყვან განხილული მონაკვეთის დ. რეიფილდისეულ თარგმანს:

“A baying dog was trotting off

Along the track towards the grave.”

ლ.ჯგერენაიასგან განსხვავებით, საოცარი სიზუსტით გადმოცემს რეიფილდი პოემის ამ მონაკვეთის შინაარსს.

არასწორად გაუგია, როგორც ჩანს, ახალგაზრდა მთარგმნელს ზვიადაურის დედის სიტყვები:

„როგორ ვიგონო თავის ძე,
ურჯულოთ არე-მარეთა?!”

რაც ნიშნავს: „როგორ შეიძლება მეგულებოდეს ჩემი ძე ურჯულოების მიწაზე?!”

ლ.ჯგერენაიამ კი შემდეგი თარგმანი შემოგვთავაზა:

„How can I remain

On sacriligious soil?!“

ანუ ზვიადაურის დედა ჩივის: „როგორ შემძლია დავრჩე ურჯულოთა მიწაზეო?!“, რაც სრულიად შეუსაბამოა არსებულ კონტექსტში. რაც შეეხება დ. რეიფილდს, იგი ამ შემთხვევაშიც მოწოდების სიმალეზე დგას და სწორად გადმოსცემს დედნის შინაარსს:

„How can I bear to think of my son
lying in unbelievers' land?!“.

სიტყვასიტყვით,

„როგორ შემძლია ავიტანო ფიქრი იმაზე,
რომ ჩემი ვაჟი ურჯულოთა მიწაზე წევს?!“

შინაარსობრივად არაზუსტია შემდეგი მონაკვეთის ჯგერენაიასეული ვარიანტიც:

„იმათ ჭამს მიწა უნო, სასტიკი, გაუმადლარი; მასში ეშლება ყველასა ადამიანის იერი.“	“The voiceless ground devours them Harsh and insatiable; Everyone thinks of it As the very likeness of a human being.”
--	---

ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, მთარგმნელს არასწორად ესმის ორიგინალის ტექსტი. ვაჟა ამ მონაკვეთში მიცვალებულის მიწად ქცევას გულისხმობს, ჯგერენაიასთან კი სულ სხვა შინაარსია – მიწის ადამიანთან მსგავსებაზეა საუბარი. ვნახოთ, თუ როგორ გაართვა თავი ამ მონაკვეთის თარგმნას დ. რეიფილდმა:

“Relentless and insatiable,
the tongueless earth devours them;
the human form of everyone
Is obliterated in it...”

სიტყვასიტყვით,

„სასტიკი და გაუმადლარი
უნო მიწა შთანთქავს მათ;
მასში ეშლება ყველას
ადამიანური ფორმა...“

აბსოლუტურად ზუსტი და ამავე დროს მხატვრულად ეკვივალენტური თარგმანია! რასაც, ბუნებრივია, ვერ ვიტყვით ლ. ჯგერენაიას შესაბამის სტროფზე. არაზუსტად აქვს თარგმნილი ლ. ჯგერენაიას შედარება: „ფერი დაედო

მგლისაო” – “ He took on the mask of the wolf ” (სიტყვასიტყვით, „მან მგლის ნიღაბი მოირგო”, დ. რეიფილდს აქვს: „his face took a wolfish tint” („მისმა სახემ მგლისებური გამომეტყველება მიიღო“).

ახალგაზრდა მთარგმნელის მიერ ტროპების არაზუსტი, არაეკვივალენტური თარგმანი სრულიად ცვლის ვაჟასეულ შთამბეჭდავ პოეტურ სახეებს შემდეგ მონაკვეთში:

„რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა, “Will this subdue his rage,
ქედ-ჩაჟანგებულს მთასაო!“ A blade with a rusted edge!”

თარგმანში სრულიად დაიკარგა შესანიშნავი ეპითეტები „წარბ-დაღრუბლილი”, „ქედ-ჩაჟანგებული ” და გაჩნდა “ A blade with a rusted edge“ („დაჟანგული პირის მქონე დანა“). შედარებაც კი არ შეიძლება! ამგვარი შინაარსობრივად არაზუსტი თარგმანი ამახინჯებს ვაჟას პოეტურ სახეებს და მცდარ წარმოდგენას ქმნის მასზე ინგლისურენოვან მკითხველში. რაც შეეხება დ. რეიფილდს, მან ოსტატურად მოუძებნა ამ ეპითეტებს შესატვისები: „clouded brows”, “his sun and wind-tanned mountain neck!”

ასევე არაზუნებრივად ჟღერს ლ. ჯგერენაიას მიერ ინგლისურად სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი ვაჟასეული შესანიშნავი მეტაფორა:

„ეკერებოდა გულ-მკერდზე “She was sewing herself like a pearl button
ქმარს მარგალიტის ღილადა.“ To her husband’s chest.”

სიტყვასიტყვით:

„ის თავის თავს მარგალიტის ღილივით აკერებდა
მისი ქმრის მკერდს.“

შედარებისთვის მოვიყვანთ იგივე მონაკვეთის დ. რეიფილდისეულ თარგმანს:

“her thick-flowing hair and moon-shaped face
made her an adornment to her husband
like a pearl button on his chest.”

სიტყვასიტყვით:

„მისი თმის მსხვილი ნაკადი და მთვარის ფორმის სახე
ისე შვენოდა მისი ქმრის მკერდს,
როგორც მარგალიტის ღილი.“

თუმცა რეიფილდის თარგმანში მეტაფორა შედარებით შეიცვალა, რაც მთავარია, თარგმანი აზრობრივად და მხატვრული ემოციურობის თვალსაზრისით ადეკვატურია

და ინგლისურად ბუნებრივად ჟღერს.

უზუსტობა და არაეკვივალენტური თარგმანი (არა მხოლოდ დინამიური, არამედ ფორმალური თვალსაზრისითაც) პოემის ლ. ჯგერენაიასეული ინგლისური ვერსიის დასასრულსაც დააღონებს ორიგინალის მცოდნე მკითხველს:

„მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ	“Yet something dark appears
კურუმად შავის ფერისა,	Filling your sight,
დაეფარება სანახავს	Dense, black in colour,
წერა-მწერელის წერითა.“	As the words of the poet.”

„ჯანლი“ საერთოდ არ არის თარგმნილი, ხოლო “something dark” – საერთოდ გაუგებარია, რა არის. მკითხველისთვის ასევე ბუნდოვანი და სემანტიკურად სრულიად შეუსაბამო თარგმანია:

“Black in colour
as the words of the poet”.

ეს მონაკვეთი სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ: „შავი ფერის, როგორც პოეტის სიტყვები“. ამგვარი რამ ვაჟას „სტუმარ - მასპინძელში“ არ არის! უცნურია, რატომ არის პოეტის (the არტიკლის გამოყენება მიუთითებს, რომ პოემის ავტორზეა საუბარი) სიტყვები შავი და, საერთოდ, რატომ ჩათვალა ლ. ჯგერენაიამ საჭიროდ ამგვარი ინტერპოლაცია, სრულიად შეუსაბამო პოემის იდეასა და ვაჟას მსოფლმხედველობასთან. მართალია, ადვილი არ არის ვაჟასეული სტრიქონის „წერა-მწერელის წერითა“ შესატყვისის მოძებნა ინგლისურად, მაგრამ ჯგერენაიასეული ინტერპრეტაცია სრულიად მიუღებელია. ა. ჭინჭარაულის ლექსიკონის თანახმად, „წერა-მწერელი“ ნიშნავს ადამიანის ბედ-იღბლის იმთავითვე განმსაზღვრელს, „წერა“ კი - ბედს, ხვედრს (ჭინჭარაული 1969: 325).

საინტერესოა, როგორ თარგმნის იმავე მონაკვეთს დ.რეიფილდი:

“but an impenetrable fog looms up,
like a mist that is dyed with black.
It seals the spectacle from the light
as though it were a writ of Fate.”

სავსებით ნათელი, შინაარსობრივად და პოეტური ემოციის თვალსაზრისით ეკვივალენტური თარგმანია. შესანიშნავად მოუძებნა ბრიტანელმა მეცნიერმა და

შემოქმედმა ადეკვატური შესატყვისი ვაჟასეულ ფრაზას „წერა-მწერელის წერითა“ – „writ of Fate“.

ჩვენს მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზი იმის დასტურია, რომ დედანთან ადეკვატურობისა და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ამ ორ თარგმანს შორის დიდი სხვაობაა. აუცილებელია დ. რეიფილდის თარგმანის პოპულარიზაცია და მისი გავრცელება როგორც ბეჭდვით, ისე ვირტუალურ სივრცეში, რათა ინგლისურენოვან მკითხველს მიეცეს საშუალება შეადაროს ის უკვე ფართოდ გავრცელებულ ლ. ჯგერენაისეულ თარგმანს და სწორი წარმოდგენა შეექმნას ქართველი კლასიკოსის შედეგზე, და, შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაზე.

§ 3.7 ვაჟა-ფშაველას პოემა „აღუდა ქეთელაურის“

დონალდ რეიფილდისეული თარგმანი

როგორც უკვე ითქვა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას პიროვნებასა და საზოგადოებას (თემს) შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენს. ამ თემას ეძღვნება პოემა „აღუდა ქეთელაური“.

იპოლიტე ვართაგავამ აღუდა ქეთელაურში ნებისმიერი ეროვნებისა და რწმენის ადამიანის დამფასებელი პიროვნება დაინახა და ამის გამო იგი მსოფლიოს გენიალურ მწერალთა მიერ შექმნილი ტიპების გვერდით დააყენა. „აღუდა ქეთელაური ნამდვილი მსოფლიო და მასთან იშვიათი სულიერი ღირსების მატარებელი გმირია“ - წერდა იგი ნარკვევში „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“.

ი. ვართაგავა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონფლიქტის დაწყების სათავეს ხედავს აღუდას საქციელში, როცა მან მუცალს მარჯვენა არ მოაჭრა სიკვდილის წინ გამოჩენილი განსაკუთრებული ვაჟკაცობისათვის. „აღუდას საქციელში გასაკვირველი და უჩვეულო ის არის, რომ მან უარყო მამაპაპათაგან დაკანონებული და უტყუარად მიჩნეული ჩვეულება - არ მოსჭრა მოკლულ მტერს მარჯვენა და სასახელო ტროფეად არ წაიღო თავის თემში სახელისა და პატივის კიდევ უფრო გასადიდებლად“ (ვართაგავა 1958: 67). ამ ფაქტით დაიწყო აღუდას სულიერი კრიზისი, დაიმსხვრა მისი ძველი შეხედულებების სისტემა.

აღუდას სიზმარი, ვართაგავას აზრით, სიმბოლური ხასიათისაა და გვიჩვენებს, რომ „აღუდა მთელი თავისი არსებით წინააღმდეგია სისხლის ღვრისა, „კაცის ხორცის

ჭამისა“ “ (ვართაგავა 1958: 72) და თუ ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ამხედრებულა ამ საქციელის წინააღმდეგ, გულში მაინც თვლის მას „უმსგავს, შაჩვენებულ“ აქტად. ვართაგავას მიაჩნია, რომ ალუდას მიერ კურატის შეწირვა მუცალის სულის მოსახსენიებლად, ეს არის რელიგიური შემწყნარებლობის და დიდი კაცთმოყვარული გრძნობის გამოხატვის აქტი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გარემოება არ იქნება მოულოდნელი მათთვის, ვინც საქართველოს ისტორიასა და კულტურას იცნობს, რადგან „როგორც ალუდა, ძველი ქართველიც უპირველეს სათნოებად თვლიდა გმირობას, ვაჟკაცობას და ამ თვისებებს მტერშიაც დიდად აფასებდა; როგორც ალუდა, ქართველი კაციც შურით და სიძულვილით არ იყო აღვსილი სხვა ერთა წარმომადგენლებისადმი; როგორც ალუდა, ქართველი კაციც არ იყო არასდროს სარწმუნოებრივი ფანატიკოსობით გაჟღენთილი“ (ვართაგავა 1958: 74). ვართაგავა თვლის, რომ ალუდა ზოგადსაკაცობრიო ტიპია, რადგან მის აზროვნებასა და გრძნობას ახასიათებს „ისეთი რამ ზოგადი, საკაცობრიო ფიქრ-ზრახვა და განცდა-დაკვირვება, რომელიც მოეთხოვება მსოფლიო ტიპს, როგორც ადამიანის ღირსეულ და იშვიათ წარმომადგენელს“ (ვართაგავა 1958: 65).

ალუდას დიდი მსხვერპლის გაღება მოუხდა -იგი თემმა მოიკვეთა, მაგრამ „ამ უკანასკნელ საბედისწერო მომენტშიაც ალუდა ნამდვილი გმირია - გმირი გონებით მაღალი და გრძნობით სპეტაკი. საზოგადოების უღმობელობამ, მისმა სიმკაცრემ და პირადი უბედურების სიმწვავემ ვერ შეურყია გმირს გულის სიმშვიდე, ვერ შეაძულეს ის, რაც წინათ უყვარდა... სამშობლო მიწა-წყალი, თემი, „დიდი ბატონი“ - ყოველივე ეს კვლავ წმინდა და სასიამოვნო მოსაგონებელ საგნად დარჩა სამშობლოდან გამევევებულ, თემის სიმკაცრით განწირული და „დიდი ბატონის“ მსახურიდან დაწყევლილი ალუდასთვის“(ვართაგავა 1958: 77) .

გრ.კვიციანი თვლის, რომ მკლავის მოჭრა არ იყო ადათობრივი სამართლის ნორმა. თემს ალუდა იმიტომ არ გაუბევებია, რომ მან მკლავი არ მოჭრა მუცალს, „ალუდა ქეთელაურის შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ იგი სარწმუნოებრივ სფეროში შეიჭრა, თვითნებობა აქ გამოიჩინა, სარწმუნოებრივი სამართლის ნორმა დაარღვია“ (კვიციანი 1957: 64). კვიციანის აზრით, ვაჟას პერსონაჟების ტრაგედია იმით არის გამოწვეული, რომ თვით თემი შეიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ, შეუთანხმებელ ტრადიციებს-ადათებს და ვაჟას მთავარ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ მწერალმა თემის ეს შინაგანი წინააღმდეგობა დაგვიხასიათა.

კრიტიკოსი დ. წოწკოლაური თვლის, რომ მუცალმა პირველმა გაარღვია ტრადიციული მოქმედების ჩარჩოები, როდესაც დააფასა მტრის სიმამაცე და ისურვა, რომ იგი ამიერიდან მხოლოდ მისნაირი ვაჟკაცის - ალუდას ხელში ყოფილიყო. მტრის საქციელმა და სიტყვებმა ალუდას მთელი არსება შეძრა და მისთვის ხელის მოჭრის ნაცვლად მწარედ ატირდა მის ცხედართან. თუმცა იქვე ალუდამ მუცალის ძმას ხელი მოაჭრა და მისი იარაღიც წამოიღო. ჩანს, რომ ზოგადად ხელის მოჭრის, როგორც ადამიანისათვის შეუფერებელი საქციელის საშინელება ალუდას ჯერ გაცნობიერებული არ აქვს. ამავე ასპექტს ეხება თ. ჩხენკელი, რომელიც აღნიშნავს: „კარგი ვაჟკაცის ხელის მოჭრა ცოდვად მისაჩნევი იქნებოდა ღვთისა და ადამიანური სინდისის წინაშე... და ამიტომაც იტყვის მის მიმართ „ღმერთმა გაცხონოს“, რაც არავითარ შემთხვევაში არ ითქმის ურჯულოს მიმართ“ (ჩხენკელი 1971: 161).

მუცალის საქციელის შედეგად ალუდას პიროვნებაში ახალმა შეგნებამ გაიღვიძა. „ალუდა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მუდმივ ბრძოლაში გამარჯვებული არავინ იქნება.“შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 63). თუმცა ალუდა ისეთ დროში და საზოგადოებაში ცხოვრობს, რომ მტრის მოკვლაზე, ზოგადად, საყოველთაოდ უარს ვერ იტყვის...მტრობას აქ მხოლოდ რელიგიური და ეროვნული სხვადასხვაობა კი არ განაპირობებს, არამედ, პირველ რიგში, ეკონომიკური პირობები, არსებობისათვის ბრძოლის დაუწერელი კანონი“ (არაბული 1999: 22-23).

უთანხმოება თემთან კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა ალუდას მოქმედება სარწმუნოებრივ დოგმებს შეეხო. მუცალის პიროვნებისადმი პატივისცემამ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვი ალუდას შეგნებაში, რომ კურატი მიიყვანა ხატში, რათა მუცალის სულის მოსახსენიებლად დაეკლა. „ალუდა ალალი გულით და ღვთაების ყოვლისმცოდნეობის და მიმტევებლობის იმედით მიდის ხატის კარზე... ხატის ნების აღმსრულებელი კი ხევისბერია; ამიტომ კონფლიქტი გარდაუვალი იყო...ალუდამ თვითონ დაკლა სამსხვერპლო მოზვერი. თემმა სასტიკი მსჯავრი გამოუტანა მას თვითნებური მოქმედებისათვის. მან მოიკვეთა და სამშობლოდან გააძევა ალუდა, მაგრამ ვერც ამ უკანასკნელმა მკაცრმა ღონისძიებამ ვერ შეიტანა ცვლილება ალუდას შეგნებაში...მისი მოქმედება დაგმობაა საზოგადოებრივ ეთიკაში, მორალში, რელიგიურ რწმენაში არსებული ყველა უარყოფითი ნორმისა და დოგმისა, რომლებიც ხალხთა ურთიერთობას შეეხება. ამ პოემაში მთავარია თვით ალუდას შინაგანი გარდაქმნა,

მისი ამაღლება სხვა ეროვნების ფანატიკური სიძულვილით შეპყრობილი ხევსურიდან კაცის პირადი ღირსებების დამფასებელ ადამიანამდე და შემდეგ მისი პრინციპული სწრაფვა თავისი ახალი მრწამსის დაცვისათვის“ (არაბული 1999: 35).

როდესაც “ალუდა ქეთელაურზე“ და მის თარგმანებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ შევეხოთ ვაჟა-ფშაველას, როგორც მწერლის, ენას; მით უმეტეს, რომ ამ პოემაში განსაკუთრებით გამოკვეთილად არის გამოყენებული ფშავ-ხევსურული დიალექტი და მეტყველების ხალხური ფორმები. ამ კონტექსტში ყურადსაღებია თავად ვაჟას შეხედულება ენის ფენომენის თაობაზე.

ქართული მწერლობის ენისადმი მიძღვნილ წერილებში ვაჟა ხაზს უსვამს ენის ძირითადი არსის, მისი შინაგანი ბუნების უცვლელობას. ამავე დროს, მას ენის “წარმატებად”, ენის “წინსვლად” მიაჩნია ლექსიკის გამდიდრება, ახალ ცნებათათვის საჭირო სიტყვების შემოტანა, სინონიმთა სიმრავლე, ძველი ლიტერატურული ენის იმ გაუქმებული ფორმების აღდგენა, რომელთაც ცოცხალი დასაყრდენი გააჩნიათ დიალექტებში. ვაჟას თვალსაზრისით, ყველა ეს პროცესი ქართული ენის შინაგანი ბუნების შესაბამისად და მისი შინაგანი მიზანდასახულების ნიშნით უნდა მიმდინარეობდეს. ეს პროცესები ვაჟას გარდუვალად მიაჩნდა, ვინაიდან თვლიდა, რომ მისი თანამედროვე ლიტერატურული ენა ახალი იყო და სიახლის გამო ბევრ ფორმებს, ბევრ სიტყვებს მოკლებული. მისი აზრით, ყოველი საერო მწერალი მოვალე იყო ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გაეცნო ლიტერატურული ენისთვის, თუ ეს სიტყვები და ფორმები შეეფერებოდა ენის ბუნებას.

პოეტის ენა და ამ ენის მეშვეობით გაცხადებული მხატვრული რეალობა - განუყოფელი მთლიანობაა. ვაჟა მართებულად თვლიდა, რომ ყოველ მწერალს საკუთარი ენა უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მწერლის ინდივიდუალობას, ვაჟას თვალსაზრისით, მისი ენა და სტილი ავლენს, მწერლის სული ენაში სახიერდება.

მწერლის ფრაზეოლოგიასა და სურათებსაც შემოქმედის თავისებურების ბეჭედი უნდა ედოს. მაგრამ ყველაფერი ეს ვაჟას მწერლის ნიჭის გარეგან ნიშნებად მიაჩნდა. შინაგანი ღირსება კი, მისი აზრით, ის არის, თუ რა მოვლენები გაუხდია მას თავის მწერლობის საგნად და რამდენად ცხოვლად, მკაფიოდ, ძლიერად გვიხატავს ამ მოვლენებს.

„ვაჟა ხედავს სათქმელისა და თქმის დიალექტიკურ კავშირს, სადაც მხატვრული

ექსპრესიის ბუნებას განსაზღვრავს იმ მოვლენების შინაგანი ღირებულება, რომელთა მხატვრულ სიტყვაში განსახიერებაცა აქვს განზრახული შემოქმედს. ასე რომ, ვაჟასთან მწერლის მსოფლმხედველობა განსაზღვრავს მხატვრული ექსპრესიის ბუნებას, რომელიც ენისა და სტილის მეშვეობით ცნაურდება“ (ჩხენკელი 2010: <http://armuri.4forum.biz/t596-topic>) - აღნიშნავს თ. ჩხენკელი.

ვაჟა ლაპარაკობს ახალი სალიტერატურო ქართულის ორ განმსაზღვრელ წყაროზე, რომელთა გაუთვალისწინებლადაც მას ვერ წარმოუდგენია ლიტერატურული ენის... „გაუკეთესება“ და „გაწმენდა“. ეს ორი წყაროა: ერთი მხრივ, ძველი ქართული მწერლობა და მეორე მხრივ, შეუბღალავი ცოცხალი ხალხური ენა. პირველის მაგალითად ვაჟა ასახელებს რუსთაველსა და გურამიშვილს, ხოლო მეორისას – ქართველ მთიელთა ენას, კერძოდ, ფშაურს.

„რისთვის დასჭირდა ვაჟას თავისი პოემების წერისას ასე ღრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებში?...რატომ ვხვდებით “ფშაურ კილოს” უპირატესად ვაჟას პოეზიაში, განსაკუთრებით ეპოსში მაშინ, როცა მისი პროზა, პუბლიცისტიკა და ლექსების დიდი ნაწილი არ ამჟღავნებს ფშავ-ხევსურულის სპეციფიკას?“ -სვამს კითხვას თ. ჩხენკელი და იქვე პასუხობს: „იმიტომ, რომ ვაჟას ეპოსის საფუძველი პიროვნების შინაგანი გარდაქმნის ურთულეს პრობლემას ეხება. ამ ეპოსის სიტუაციები და კოლიზიები ფშავ-ხევსურეთის საკრალური თემის მიკროეთნოგრაფიულ წიაღში იშლება და, მაშასადამე, პოეტური ექსპრესიის დინამიკა შესაბამისს სახეებსა და ფაქტურას მოითხოვს“ (ჩხენკელი 2010: <http://armuri.4forum.biz/t596-topic>).

რაც შეეხება პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ინგლისურენოვან თარგმანებს, დღესდღეობით მხოლოდ ორი თარგმანი არსებობს - დონალდ რეიფილდისა და ნინო რამიშვილის. პირველ რიგში განვიხილავთ პოემის დ. რეიფილდისეულ თარგმანს, რომელიც გარდა თბილისში გამოცემული ვაჟას სამი პოემის მისეული თარგმანებისა, დაიბეჭდა აგრეთვე ბრიტანულ ჟურნალში Modern Poetry in Translation (Reifield 1983: 116-132).

როგორც დ. ფანჯიკიძე აღნიშნავს, „თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები. იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან, იგი გვევლინება, როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამომჟღავნების შედეგი, სადაც უცხო და

მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული“ (ფანჯიკიძე 1988: 9) ცნობილი მთარგმნელის და თარგმანმცოდნის ეს აზრი მეტად საყურადღებოა. სწორედ აღნიშნულის გამო თარგმანი შეუძლებელია იდეალური იყოს.

განსაკუთრებით ძლიერია ამბივალენტურობა, როცა საქმე ეხება იმგვარად განსხვავებულ კულტურებს, როგორც ქართული და ბრიტანული კულტურებია. ქართულ და ინგლისურ ენებში სრულიად განსხვავებულია მხატვრული გამომსახველობის საშუალებები. ინგლისურ ენაზე შექმნილ პოეზიაში სტრიქონთა მეტრი მთლიანად დამოკიდებულია მახვილთა რაოდენობაზე. ქართულში უფრო მეტი შესაძლებლობებია აზრის უფრო ლაკონურად გამოხატვისა, ვიდრე ინგლისურში. ქართულ ლექსში ხშირად ხერხდება აზრის ერთ სტრიქონში მოთავსება (როგორც, მაგალითად, ვაჟას პოეზიაში), რისი გაკეთებაც ინგლისურში ძნელია. ასევე, ქართულ ენაში ბევრად მეტია სიტყვათა გართიმვის შესაძლებლობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქართულიდან ინგლისურად მთარგმნელს მნიშვნელოვანი სიმძნელების გადალახვა უწევს.

„ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისეული ინგლისური თარგმანის, ისევე როგორც ბრიტანელი მეცნიერისა და პოეტის მიერ შესრულებული თარგმანების უმრავლესობის უმნიშვნელოვანესი ღირსებაა სიზუსტე შინაარსობრივი და პოეტური სახეების შენარჩუნების თვალსაზრისით. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული მკვლევარი-მეცნიერი და შემოქმედი. მთარგმნელის უმთავრესი მიზანია შეიყვანოს მკითხველი ვაჟას სამყაროში და დაანახოს მწერლის სიდიადე. ფართო ერუდიციამ საშუალება მისცა მთარგმნელს ღრმად ჩაწვდომოდა ბრიტანელი პოეტებისგან სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის, ესთეტიკის მქონე ქართველი გენიოსის პოეზიის სიღრმეებს და პოემის თარგმანში დედნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აზრობრივი და მხატვრული კომპონენტი წარმოედგინა.

ვაჟა-ფშაველამ მრავალსაუკუნოვან ქართულ რითმას, ხალხურ პოეზიაზე დაყრდნობით, ახალი ელვარება შესძინა. რითმა აძლიერებს ვაჟას ლექსის მუსიკას, უფრო მელოდიურს ხდის მას; კომპოზიციურად კრავს სტროფს და გამოკვეთილ სახეს აძლევს. ვაჟას ლექსების და პოემების აბსოლუტური უმრავლესობა რვამარცვლიანი დაბალი შაირითაა დაწერილი, რომლის ბოლო ტერფი, როგორც წესი დაქტილურია და რითმაც თითქმის ყოველთვის დაქტილური გვაქვს. „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველისმჭამელი“ მთლიანად ინტერვალური რითმითაა დაწერილი.

ამასთან, „ალუდა ქეთელაურის“ შესავალში ვაჟა სუფიქსიან ზედსართაულ რითმას იყენებს.

როგორც ო. უაილდი აღნიშნავდა: „ ნამდვილი ხალოვანის ხელში რითმა მხოლოდ ლექსთაწყობის სინატიფის საფუძველი აღარაა და აზრისა და ვნების სულიერ ელემენტად იქცევა“. სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ დანაწევრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას პოემების, მათ შორის, „ალუდა ქეთელაურის“ დ.რეიფილდისეულ თარგმანში ორიგინალისეული რითმა ფაქტობრივად უგულვებელყოფილია, რითაც მცირდება ვაჟას ლექსის კეთილხმოვანება და ძნელდება პოეტის აზრისა და ვნების სრულყოფილად გამოხატვა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისური პოეზიისათვის დაქტილური რითმა ისეთივე მისაღები და ბუნებრივი არ არის, როგორც ქართულისთვის. ინგლისურ პოეზიაში ვაჟური, ქალური და დაქტილური რითმები ნებისმიერად ენაცვლება ერთმანეთს. ინგლისური ენის ბუნების შესაბამისად, ამ რითმებში ვაჟური რითმა ჭარბობს. თუმცა დ.რეიფილდმა ვერც ამგვარი რითმის გამოყენება ვერ მოახერხა თარგმანში (გამონაკლისების გარდა).

დანაწევრებით უნდა ითქვას, რომ მის მიერ გამოცემული ვაჟას სამი პოემის თარგმანის შესავალში (Vazha-Pshavela 1981: 12) დ.რეიფილდი არცთუ კორექტულად მსჯელობს ხევსურების რელიგიური სამყაროს შესახებ. იგი აცხადებს, რომ სიტყვები „ჯვარი“, „ბატონი“ აქ გამოიყენება განსხვავებული, წარმართული მნიშვნელობით და რომ ხევსურები მხოლოდ ნომინალურად იყვნენ ქრისტიანები. მღვდლის მოვალეობას ხევსბერი ასრულებდა, ხოლო ქრისტიანული რელიგიის ნებისმიერი წარმომადგენელი, მაგალითად, დიაკვანი, ფუნქციონირებდა, როგორც მედიცინის სფეროს წარმომადგენელი ან spell-caster (შემლოცველი). „ჯვარი“, მისი განმარტებით, არის სალოცავი, სადაც თემი მსხვერპლს სწირავს ადგილობრივ ღვთაებებს, რომლებიც ემორჩილებიან სამ ღმერთს: ღმერთი, მზე და კვირია. დ. რეიფილდმა ამ ღმერთების შემდეგი ეკვივალენტები მოუძებნა: ზევსი, მზე და სატურნი.

დ. რეიფილდი უხსნის ინგლისურენოვან მკითხველს, რომ სისხლის აღება და სტუმართმოყვარეობა აბსოლუტური მოვალეობაა ხევსურისთვის. მტრის მოკვლის შემთხვევაში მისგან მოელიან, რომ მარჯვენას მოსჭრის მტერს და კარებზე გადმოკიდებს, როგორც ნადავლს.

ბრიტანელ მეცნიერს საქართველოს მთიანეთის მცხოვრებთა სამყარო

მეტისმეტად ძალადობრივად ეჩვენება. იგი ამგვარად უხასიათებს ინგლისურენოვან მკითხველს ხევსურთა საზოგადოებას: „თემს დანის პირზე უხდება ცხოვრება. გარშემორტყმულნი არიან რა მტრებით, მათი(ხევსურთა) ერთადერთი მეგობარი მათივე იარაღია. მტრობა ვნებად იქცევა და ძნელია მისი გარჩევა სიყვარულისგან. ამგვარად, ალუდას პატივისცემა მის მიერ მოკლული ჩეჩენისადმი, ან ჯოყოლას პატივისცემა მისი სტუმრისადმი დაღვრილი სისხლით იკვებება“(თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა) (Vazha-Pshavela 1981: 12).

პოემის თარგმანის საზომი ცვალებადია (8-10 მარცვალი), თუმცა, ისევე, როგორც სხვა პოემების თარგმნისას, რეიფილდი სტრიქონში თანაბარი რაოდენობის მახვილების მეშვეობით ახერხებს ორიგინალისეული რიტმის შენარჩუნებას. მთარგმნელისთვის დამახასიათებელი მისწრაფება აზრობრივი და ემოციური სიზუსტისკენ, ვაჟასეული პოეტური სახეების შენარჩუნებისკენ, აიძულებს მას უარი თქვას ორიგინალის რითმაზე. როგორც რეიფილდი თავად აღნიშნავს, მან შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება გამოეყენებინა რითმა შექსპირის სტილში, ანუ სტრიქონების მხოლოდ ის მონაკვეთები გაერთიმა, რომლებშიც თხრობაში წყვეტა ხდება ან სადაც ვაჟა გარკვეულ დასკვნას აკეთებს. ასეა თუ ისე, ვაჟასეული რითმა მისი პოეზიის განუყოფელი ნაწილია, მისი პოეტური ძალისა და მომხიბლაობის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი და მასზე უარის თქმა მნიშვნელოვანი დანაკლისია თარგმანისათვის.

დ. რეიფილდის, როგორც მთარგმნელის, დამახასიათებელი შტრიხია დედნის მაქსიმალური ერთგულება და თარგმანის შინაარსობრივი სიზუსტე. იგივე შეიძლება ითქვას „ალუდა ქეთელაურის“ მისეულ თარგმანზეც, რომელშიც ფაქტობრივად ვერ შეხვდებით კუპიურებს ან ინტერპოლაციებს. რეიფილდს ასევე შენარჩუნებული აქვს ორიგინალის თავებად დაყოფა და ვაჟასეული სტროფიკაც, სადაც ტერფებს შორის საზღვარი მოძრავია და ამ მიჯნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაარსობრივი ნიუანსების დასადგენად.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მის პოემებს ერთდროულად ამაღლებული, ეპიკური ჟღერადობა აქვს და, ამავე დროს, ხალხური ინტონაციებითაა აღსავსე. ორივე ეს მომენტი განპირობებულია ფშავ-ხევსურული დიალექტის გამოყენებით, რომელიც, ერთი მხრივ, ხალხურ კოლორიტს მატებს პოემებს; მეორე მხრივ კი, მასში გამოყენებული არქაული ლექსიკური ერთეულები ამაღლებულობის, ეპიკურობის ელფერს ანიჭებენ ნაწარმოებებს.

დიალექტზე უარის თქმით მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე დგება, თუ როგორ მოახერხოს ვაჟას სტილის დამახასიათებელი ამ ორი ასპექტის: ამაღლებულობის და ხალხურობის შენარჩუნება თარგმანში. რეიფილდი პოეტური ენისთვის ამაღლებული ტონის მინიჭებას ცდილობს ხაზგასმული ლიტერატურული ენით, ზოგიერთ შემთხვევაში არქაული, ნაკლებად თანამედროვე ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. თუმცა მას გაუჭირდა თარგმანში ხალხურობის კოლორიტის შეტანა.

პოემა იწყება რიტმულად მძაფრი, დინამიური სურათით. საგანგაშო მდგომარეობა გადმოცემულია ლაკონური ფრაზით: „მაცნე მოიდა შატილსა“. თარგმანში რეიფილდმა შეინარჩუნა ეს ლაკონურობა და ამ ემოციურად მნიშვნელოვანი, სადა ფრაზის ზუსტი შესატყვისი შემოგვთავაზა: „A messenger came to Shatili“. პოემის ორიგინალის პირველ მონაკვეთში ერთი და იგივე რითმაა გამოყენებული, რითაც ხაზგასმულია საგანგაშო მდგომარეობის და მთავარი გმირის განუყოფლობა. თუმცა ამ ერთიანობის ჩვენება დ.რეიფილდმა ვერ შეძლო დედნისეული რითმის უგულებელყოფის გამო, ალუდას სახე ორიგინალის ადეკვატურად, ცოცხლადაა დახატული:

„ალუდა ქეთელაური	“Aluda Qetelauri
კაცია დავლათიანი,	is a man smiled on by fate,
საფიხვნოს თავში დაჯდების,	in village assemblies he sits at the head,
სიტყვა მაუდის გზიანი,	his words when he speaks are to the point,
ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა,	he has proven his sharp-edged sabre
სცადა ფრანგული ფხიანი.“	and hacked many Chechens right hand off.”

ფრაზა „კაცია დავლათიანი“ თარგმნილია ზუსტი აზრობრივი შესატყვისით, ვინაიდან ა.ჭინჭარაულის მიერ გამოცემულ ვაჟას ლექსიკონში სიტყვა „დავლათიანი“ განმარტებულია, როგორც „დავლათის, ილბლის მქონე, სვებედნიერი“ (ჭინჭარაული 1969: 109). რეიფილდის მიერ მიგნებული „is a man smiled on by fate“ (სიტყვასიტყვითი თარგმანით, „კაცი, რომელსაც ბედი უღიმის“) სწორად ახასიათებს ალუდას პოეტურ სახეს. სიტყვა „საფიხვნო“ რეიფილდმა, სავსებით მართებულად, განმარტებითი თარგმანით შესთავაზა ინგლისურენოვან მკითხველს: „village assemblies“ („სოფლის თავყრილობები“). ადეკვატური შესატყვისი მოუძებნა მთარგმნელმა შემდეგ ფრაზას: „სიტყვა მაუდის გზიანი“ – „his words when he speaks are to the point“ (სიტყვასიტყვით, „ლაპარაკისას მისი სიტყვები ზუსტად შესაფერისია, სწორად შერჩეული“). „გზიანი“

მართლაც „გონივრულს, გამოსადეგს, გარემოებების შესაბამისს“ ნიშნავს (ჭინჭარაული 1969: 97).

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთში დ. რეიფილდი ბევრად უფრო უხვსიტყვიანია, ვიდრე ვაჟა. ზოგჯერ ამას განმარტების აუცილებლობა იწვევს, თუმცა მთლიანობაში ალუდას პოეტური სახე დედნის ეკვივალენტურია.

მეომრული განწყობილების ფონზე პოემაში სწრაფად იცვლება კადრი და ვაჟა გარიჟრაჟის მშვიდ სურათს გვიხატავს, რომელიც მშვენივრადაა გადატანილი თარგმანშიც, რომელშიც ასევე ხაზგასმულია კონტრასტი ბუნების სიმშვიდესა და კაცთა შფოთით აღსავსე ცხოვრებას შორის:

„გათენებისას ჭიუხში	“As dawn breaks over the rocky screes,
შურთხმა დარეკა ზარიო,	the snow pheasant’s bell-like call rings out.
ძაღლებს კი სძინავ თივაზე,	But the dogs still sleep in their pens,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.“	the sheep have not yet left their folds.”

უაღრესად ექსპრესიულად აქვს ვაჟას დახატული ალუდას და მუცალის ორთაბრძოლა. ამ მონაკვეთის მხატვრული გამომსახველობის მნიშვნელოვანი ელემენტია რითმა. როგორც თ. ჩხენკელი აღნიშნავს: „ბრძოლის აღწერილობაში ვაჟას პოეტური მეტყველების ბგერით-რიტმული სტრუქტურა სრულყოფილად განგვაცდევინებს მებრძოლთ ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მოძრაობის დინამიკას“ (ჩხენკელი 2010: <http://armuri.4forum.biz/t596-topic>). სამწუხაროდ, ორიგინალის რითმის მნიშვნელოვანი ფაქტორი თარგმანში იკარგება, მაგრამ, სხვა მხრივ, დ. რეიფილდმა შეძლო დედნისეული განწყობის, თხრობის სიმძაფრისა და დინამიურობის შექმნა თარგმანში, რომლის მკითხველიც ასევე ორთაბრძოლის თვითმხილველად გრძნობს თავს:

„ერთ ქურდ-კანტალას ღილღველსა	“One thieving Engush tribesman met
ცუდი დაუდგა წამიო;	evil instant of his end.
გადავარდება ცხენზეით,	His body topped from his horse,
ყელთავქვე ეკიდებისა;	hanging over upside down,
ნატყვიარი სჭირს ბეჭისთავს,	pierced by a ball in the shoulderblade.
ზედ ცეცხლი ეკიდებისა.“	He feels fire spreading from the wound.”

უნდა აღინიშნოს, რომ დ. რეიფილდს „ქისტი“, „ღილღველი“ ზოგჯერ ნათარგმნი აქვს, როგორც „Engush“, რაც არ არის შეცდომა. ვაჟასთან ქისტი და ღილღველი ერთი

ცნებაა და ნიშნავს ქისტს. ქისტები და ინგუშები მონათესავე ხალხია საერთო ენით და რელიგიით, მსგავსი კულტურული ტრადიციებით. ინგლისურენოვანი მკითხველისთვის ალბათ ინგუშები უფრო მეტად არიან ცნობილნი, ვიდრე ქისტები.

ორთაბრძოლის დროს მუცალისა და ალუდას დიალოგი მთარგმნელს უაღრესად ზუსტად, ექსპრესიულად და დინამიურად აქვს აღწერილი. თუმცა, დიალექტის უგულვებელყოფა გარკვეულწილად ცვლის მოქმედი პირების მხატვრულ სახეებს:

„-არა გჭირსაა, რჯულძაღლო?!-“

“Haven’t I hit you, heathen dog?”

მუცალი ეუბნებოდა.

Mutsali called out to his foe.

-ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულძაღლო,

“Don’t you believe it, heathen dog,

ყმასა გუდანის ჯვრისასა.

I am a vassal of Gudani shrine”.

ხმა ალუდაის თოვისა

The bang that came from Aluda’s gun

ჭექასა ჰგვანდა ცისასა.“

was thunder striking from the sky.”

მთავარი ის არის, რომ დ.რეიფილდმა ამ მონაკვეთის თარგმნისას შეინარჩუნა დედნის რიტმი, ინტონაციური ჟღერადობა, ექსპრესიულობა, შექმნილი სიტუაციის სიმძაფრე. იგრძნობა მთარგმნელის გულწრფელი მისწრაფება ვაჟასეული სამყაროს შექმნისაკენ. თარგმანი ინგლისურად თავისუფლად იკითხება და დედნის ერთგულების ნიმუშია.

ვაჟასეული ინტერვალისანი ხდ. რითმის ნაცვლად დ.რეიფილდი ზოგჯერ იყენებს მოსაზღვრე რითმას:

„გულს არ ჰხვდა, ნუ გეგონების,

“His heart’s unhurt, don’t be misled,

ამტვრევდა წამლის ქისასა.“

Just my gunpowder pouch was smashed.”

ადეკვატური, აზრობრივად და ემოციური გამომსახველობის თვალსაზრისით ზუსტი თარგმანია შესრულებული შემდეგ მონაკვეთში:

„შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,

“Let your hand on your heart go back to dust,

ნუმც ხარობს ქავის კარიო.“

the stone wall’s door shall not have your hand

hanging up to gladden it.”

როგორც ვხედავთ, დ. რეიფილდი სიტყვასიტყვით არ თარგმნის ორიგინალის ყველა ლექსიკურ ერთეულს. მაგალითად, სიტყვას ”დამიწდეს“ მან შემდეგი შესატყვისი მოუძებნა: „go back to dust“ - რაც სავსებით სწორი ეკვივალენტია, ინგლისურისთვის ბუნებრივი და ორგანული. ფრაზის „ნუმც ხარობს ქავის კარიო“ გადმოსაცემად დ. რეიფილდმა შემდეგი განმარტებითი ფრაზები მოიხმო: „the stone

wall's door shall not have your hand hanging up to gladden it“ („ქვის კედლის კარებზე არ დაეკიდება შენი ხელი მის გასახარად“). თუმცა აქაც რეიფილდი საკმაოდ უხვსიტყვიანია და ვაჟასეული ლაკონურობა ირღვევა, მაგრამ ორიგინალის შესაბამისი ფრაზის პირდაპირი თარგმანი გაუგებარი იქნებოდა ინგლისელი მკითხველისთვის.

„აღუდა ქეთელაურში“, ბუნებრივია, ვაჟა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ბუნების დიდებული სურათების შექმნას, რომლებშიც განსაკუთრებით ვლინდება გარესამყაროს მისეული ორიგინალური ხედვა. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება საოცრად მეტყველი, შთამბეჭდავი ხატები, რომელთა თარგმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დ. რეიფილდი ცდილობს ადეკვატურად გადმოსცეს ეს ხატები:

„მზემ აიწია ცაზედა, ნისლებმ დაწირეს ხევები, მისჯარებიან ცის კიდეს კავკასიონის დევები.“	“The sun has risen in the sky, the mists dispersed and left the gorges, the deamons of the Caucasus crowd against the heaven's edge.”
---	--

სიზუსტისკენ სწრაფვა აშკარაა. თარგმანი ძირითადად ორიგინალის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს ინგლისურენოვან მკითხველში. შთამბეჭდავია „crowd against the heaven's edge“ („მისჯარებიან ცის კიდეს“); მაგრამ რეიფილდს „დევები“ თარგმნილი აქვს, როგორც „deamons“ (დემონები). „კავკასიონის დევებში“ ვაჟა-ფშაველა გულისხმობს კავკასიონის ბუმბერაზ მთებს. ინგლისურ თარგმანში კი მკითხველს გაუჭირდება ფრაზაში „the deamons of the Caucasus“ (კავკასიონის დემონები) მთების აღქმა.

ვაჟასეული სამყაროა შექმნილი შატილის ბუნების გრანდიოზული სურათის თარგმნისას:

„შატილს ჯერ არ ჩასწვდომია შუქი შუადღის მზისაო, არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა ცა ახურია კლდისაო.“	“The midday sun had not yet sent its rays of light to Shatili, they do not light a man's descent, a sky of rocks stands over him.”
---	---

თარგმანი ეკვივალენტურია, თუმცა მთარგმნელი არ არის მიჯაჭვული ორიგინალის ტექსტზე და სიტყვიერ მასალასაც საჭიროებისამებრ ცვლის, პოეტური სახეები უაღრესად ზუსტადაა გადატანილი ინგლისურ ენაზე. თარგმანის ენა სრულიად ბუნებრივია და ორიგინალის შესაბამის ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს

მკითხველზე. რეიფილდი რითმის შენარჩუნებასაც ცდილობს, თუმცა თარგმანში ac რითმაა მოცემული ვაჟასეული bd რითმის ნაცვლად.

ეკვივალენტური პოეტური ფორმების მოძებნა შეძლო ბრიტანელმა მეცნიერმა შემდეგი მონაკვეთის თარგმნისას, სადაც ვაჟა სოფელში განთიადის მშვენიერ სურათს გვიხატავს. თარგმანი ლექსიკურადაც მეტად ახლოსაა ორიგინალთან:

„თენდება, მთის წვერნ დაწითდენ, ნისლნი აგროვდნენ მთებზედა, დგება, იღვიძებს სოფელი, მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა. სოვნი სამგზავროს წავიდნენ, მთა-ბარს გაავლეს თვალთა. რამდენ ფრამ-ფრამში არიან, ცას ვერ გაავლეს კვალთა!“	“Day is breaking. The peaks have reddened, the mists have furled up on the hills, the village rises and awakens, the paths are trod by travelers. The vultures too have started their travels, scanning the mountains and the valleys, but however hard they flap, they cannot leave their trail in the sky!”
---	--

შესანიშნავად გადმოსცა დ. რეიფილდმა ვაჟას ის სტროფები, რომლებშიც პოეტი მწვავედ ილაშქრებს ყოველგვარი ძალადობის, სისხლისღვრის წინააღმდეგ, აღწერს რა წუთისოფელში ადამიანთა ურთიერთმტრობის ამაზრზენ სურათს. მთარგმნელს შენარჩუნებული აქვს ორიგინალისეული ინტონაცია, პოეტური ხატები და ტროპები, თხრობის ექსპრესიულობა. გარკვეული სიტყვების გამეორების გზით მთარგმნელმა შეძლო ძლიერი მხატვრული ეფექტის მიღწევა და დედნისეული შემზარავი მხატვრული რეალობის ეკვივალენტურად გადატანა თარგმანში:

„ვისაც მტერობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დალეუდეს, პურადაც მოსახმარია.“	“Whoever thirst for enmity let his house-door open wide, let his hearth be a dam of blood, let his feet stand in the pool, let him drink not wine but blood, let him have it for his bread.”
--	---

აღნიშნულ მონაკვეთში თორმეტი სტრიქონის დასაწყისში სიტყვა ‘let’-ის (დაე) და ხუთი სტრიქონის ბოლოში სიტყვა ‘blood’ -ის (სისხლი) გამეორებით რეიფილდმა შეძლო ამაღლებულობა და კატეგორიულობა მიენიჭებინა თარგმნილი სტრიქონებისთვის.

ბუნებრივი, ადეკვატური თარგმანის ნიმუშია შემდეგი სტრიქონები,

რომლებშიც შენარჩუნებულია ორიგინალის ექსპრესიულობა და ინტონაცია, ზუსტადაა მოძებნილი მნიშვნელოვანი ლექსიკური ერთეულების შესატყვისები:

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მოელით ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან,
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?“

“We should say that we are men,
only we are raised by mothers,
that our souls find rest, while infidels
must gasp eternally in pitch.
If that’s what we say, we’re talking drivel.
The gods of the shrine know better than that.
Do all speak truth who swear an oath?”

დ.რეიფილდის ეს თარგმანი დედნის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს ინგლისურენოვან მკითხველში და დააფიქრებს მას ზოგადსაკაცობრიო პრობლემაზე - განსხვავებული რწმენის ადამიანებისადმი შემწყნარებლობაზე.

ადვილი არ უნდა ყოფილიყო რეიფილდისთვის ფშავ-ხევსურულ დიალექტზე შექმნილი პოემის თარგმნა. საოცარია, შინაარსობრივად როგორი სიზუსტით თარგმნის იგი ფშავური კილოკავის ლექსიკურ ერთეულებს. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რამდენად ღრმა, შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული მთარგმნელს, სანამ პოემის უშუალო თარგმნას შეუდგებოდა. აღნიშნულის ნიმუშია შემდეგი მონაკვეთი:

„დღესვე მოგივით მინდია
სანამ დაბრძანდეს მრავალი.“

“Mindia will be with you today
until the stars of the Bear set.”

მთარგმნელმა გამოიკვლია ფრაზის „სანამ დაბრძანდეს მრავალი“ მნიშვნელობა და იგი შინაარსობრივად ზუსტი შესატყვისით თარგმნა: „until the stars of the Bear set.“

ვაჟას პოეზია გარეგნული ეფექტების სიმცირის ფონზე უდიდესი შინაგანი პოეტურობით ხასიათდება, რომლის გამეორება თარგმანში თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, რეიფილდმა შეძლო თარგმანში ვაჟასეული პოეტური ძალა, ორიგინალის რიტმი და ინტონაცია, შთამბეჭდავი პოეტური სახეები შეენარჩუნებინა. ზემოთქმულის სანიმუშოდ მოვიყვან პასაჟს ალუდას სიზმრიდან, რომელიც ფსიქოლოგიურად მეტად საინტერესო ადგილია, სადაც პოემის გმირის სულში მიმდინარე უღრმესი პროცესებია ნაჩვენები:

„დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,

“I sat down, I was served a bowl:
a juicy piece of human flesh.

ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული,
„ჭამეო - რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული“.

I ate it, but a bony piece
of human hand or foot appalled me.
“What am I doing?” I raged,
“horrible outcast that I am...”
“Eat –something called across to me,
behave like a man insane...”

მაღალი ლიტერატურული გემოვნება და მდიდარი პოეტური ალლო ეხმარება მთარგმნელს, რომ ადეკვატურად გადმოსცეს ორიგინალის ინტონაცია; ფრაზები და პოეტური სახეები ცოცხლადაა გამოკვეთილი. ამაში დავრწმუნდებით, თუ თარგმანს ქართულ პწკარედს შევადარებთ:

„დავჯექი, ჯამი მომართვეს
ადამიანის ხორცის წვნიანი ნაჭრით,
მივირთვი, მაგრამ ადამიანის ხელ-ფეხის
ძვლიანმა ნაჭრებმა შემზარა.
„რას ჩავდივარ?“ - ვბრაზობდი,
მე- საშინელი შეჩვენებული...
„ჭამეო! - რაღაცამ გადმომძახა
ნუ იქცევი შეშლილივით“.

პწკარედიდან კარგად ჩანს რეიფილდის ინგლისური თარგმანის შინაარსობრივი სიზუსტე და პოეტური სახეების ადეკვატურობა. თუმცა, თარგმანის ემოციური და ინტონაციური ჟღერადობა, რიტმიკა, მხატვრულობა, ბუნებრივია, იკარგება.

დედნის ტოლფასოვანი გამომსახველობითი ელემენტებია გამოყენებული თარგმანის ამ მონაკვეთში:

„ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ
გული-დ გონება ძმანია.“

“Don’t let one oppress the other:
heart and mind should be like brothers.

თარგმანი ზედმიწევნით ზუსტია და, ამასთანავე, ემოციურად შთამბეჭდავი. შენარჩუნებულია აფორისტული ინტონაცია, რასაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს მოსაზღვრე რითმა.

ორიგინალის ადეკვატური ექსპრესიითაა აღბეჭდილი შემდეგი სტრიქონების თარგმანი:

„წესი არ არის მტრის მოკვლა,

“ ‘It isn’t right to kill the foe

თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.

unless his right is hacked of with a knife!'-

ვაი ეგეთას სამართალს,

wow to your idea of justice,

მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“

it is a sin for a man baptized.”

აქ მთარგმნელმა შეძლო შეენარჩუნებინა ორიგინალის ემოციური ჟღერადობა, კარგად გამოხატა ალუდას აღშფოთება მოძველებული, ძალადობრივი ჩვეულების მიმართ.

დედნისადმი ერთგულების კიდევ ერთი ნიმუშია შემდეგი მონაკვეთი:

„ეს ვინღა მოდგა , ნისლივით,

“Who then is standing there like a mist,

თითბრით ნაზიკის ხმალითა?

with his sword that is chased with brass?

ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,

hands a bullock to the priest

დადგა დახრილის თავითა.“

and stands still with his head bent down.”

აქ თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვითია, მიუხედავად ამისა, ეს მონაკვეთი ინგლისურად სრულიად თავისუფლად, ბუნებრივად იკითხება და ვაჟასეული უჩვეულო შედარებაც: “მოდგა ნისლივით“ – „is standing there like a mist,“ შენარჩუნებულია.

ადეკვატურად თარგმნა დ. რეიფილდმა შემდეგი სტრიქონებიც:

„მამით არ მოდის ანდერძი,

“This is no part of our fathers’ law,

პაპით და პაპის- პაპითა.“

testament of our forfathers.”

რა თქმა უნდა, ვაჟა მართლაც მამა-პაპათა კანონებს გულისხმობს, რაც ზუსტად აისახა თარგმანში: „This is no part of our fathers’ law...“. დედნისეული განწყობა ხაზგასმითაა შენარჩუნებული შემდეგი მონაკვეთის თარგმანში:

„ქისტის მარჯვენას ბალღები

“The Chechen’s right hand

დაბლა ათრევენ კავითა.“

was fixed by children to a crooked stick

and dragged along across the ground.”

თუმცა აქ დ.რეიფილდი ბევრად უფრო სიტყვაუხვია. იგი ცდილობს კიდევ უფრო გაუსვას ხაზი დედანში წარმოსახულ საზარელ სურათს, რაც სავსებით მართებულია.

ალიტერაციის გამოყენება მხატვრობას და მელოდიურობას მატებს პოემის ინგლისური თარგმანის შემდეგ სტრიქონებს:

„Dark has fallen. The waters weep”,

“now is the time of the twinkling stars”,

“from the graves to sing their soft song”.

ვაჟას საოცარი მხატვრული სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი განუმეორებელი, მოულოდნელობებით აღსავსე ტროპები, რომლებიც მის პოეტურ ენას განსაკუთრებულ ფერადოვნებას ანიჭებენ. აღსანიშნავია, რომ დ. რეიფილდმა უმეტეს შემთხვევაში მოახერხა მათთვის სწორი ეკვივალენტების მოძებნა, რომლებიც ასევე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ ინგლისურენოვან მკითხველზე. მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს:

„ცა ახურია კლდისაო“ - „a sky of rock stands over him“;
„პირს დასწოლია ნისლეები“ - „his face is clouded,
გულით ნადენი, შავია“ - heavy and dark – his heart“;
„ეს ვინღა მოდგა ნისლივით“ - „who then is standing there like a mist“;
„ფრანგული ფხიანი“ - „sharp-edged sabre“.

მაღალი მხატვრული გამომსახველობით ჰყავს რეიფილდს დახასიათებული მინდია იმ მომენტში, როცა მას ალუდას ამბავს შეატყობინებენ “სიტყვითა შხამიანითა“:

„ალუდას აუგს ეტყოდნენ“ - “Mindia is told of Aluda’s shame,
სიტყვითა შხამიანითა,
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა.” - the words are laced with poisonous venom,
Mindia was pained, he furrowed his brow
with wrinkles awesome to behold.”

მთარგმნელმა ეპითეტებს “შხამიანითა“ და „ზარიანითა“ შემდეგი შესატყვისები მოუძებნა: „laced with poisonous venom“ (სიტყვასიტყვით, „შხამიანი ღვარძლის შემცველი“) და „awesome to behold“ (სიტყვასიტყვით, „ხილვისას მოკრძალების აღმძვრელი“), ხოლო მეტაფორას „შუბლი დაკეცა“ შეუსაბამა: „furrowed his brow“ („შუბლი შეჭმუხნა“). თუმცა ვაჟასეული ლაკონურობა დაიკარგა, რეიფილდი უფრო უხვსიტყვიანია, მაგრამ თარგმანი ადეკვატურ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

„ალუდა ქეთელაური“ მდიდარია აფორიზმებით, რომელთა სათანადო სტილში გადატანა უცხო ენაზე ასევე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თარგმანის წარმატებას. დ. რეიფილდის მიერ თარგმნილი აფორიზმები უაღრესად ზუსტია აზრობრივადაც და ემოციურადაც. მან შეძლო თარგმანში აფორისტული სტილის შენარჩუნებაც:

„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი.“ - “The bad man has no need to fight,
the good man can always meet the foe.”;

“შენ რომ სხვა მაჰკლა, შენც მაგკვლენ, „You who have killed will be killed in turn,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.“ the kinfolk will not spare the killer.”

საყურადღებოა რეიფილდის მიერ თარგმნილი იდიომები და ფრაზეოლოგია, რომლებზეც მოდის მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა. შეიძლება ითქვას, რომ ბრიტანელ მეცნიერს და პოეტს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს დედნისეული გამომსახველობა და მაღალმხატვრულობა:

„ დალია სულია“ - „ gave up the ghost“;
„გონს მოდი“ - „come to your senses“;
„ემმაკს ნუ მისდევ“ - "cast of the devil“;
„ როგორ ამოგცდა ბაგითა“ - „How could such words escape your lips?“;
„ ფერი დაედო მგლისაო“ - „ his face took on a wolfish hue”.

ზოგიერთ შემთხვევაში რეიფილდი ფრაზის განმარტებით ან სიტყვასიტყვით თარგმანს მიმართავს, მაგრამ მაინც ახერხებს ექსპრესიულობის შენარჩუნებას:

„ტყუილად იცვეთ პირსაო“ - „ you wear out your lips to no good end“;
„ცანი დამექცენ“ - „ heavens should fall“;
„ზურგი გამისკდეს მიწისა“ - „ the back of the earth break open beneath me“;
„ ჰრისხავდეს ჩვენი ბატონი“ - „ Let him feel the wrath of the spirit of our shrine”.

ზემოღნიშნულ ღირსებებთან ერთად, „ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისეული თარგმანი არ არის დაზღვეული გარკვეული უზუსტობებისა თუ სხვა ხარვეზებისგან. მაგალითად, ერთ-ერთ მონაკვეთში რეიფილდს რატომღაც გამოტოვებული აქვს სიტყვა „ჯვარი“(?!), რომელსაც მნიშვნელოვანი აზრობრივი და სულიერი დატვირთვა აქვს და მის ნაცვლად შემოტანილია ფრაზა „victory-bringing forces” („გამარჯვების მომტანი ძალები”). გაუგებარია, რატომ ამჯობინა მთარგმნელმა ეს ცვლილება, მით უმეტეს, რომ ამით ვაჟასეული ლაკონურობაც ირღვევა:

„-არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო, “No, I’m not, you heathen dog,
ყმასა გუდანის ჯვრისასა, the vassal of Gudani shrine
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების, is followed by victory-bringing forces
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.“ that envoke the powers of God.”

ზოგჯერ დ. რეიფილდსაც უჭირს ვაჟასეული პოეტური ფრაზების მოქნილობისა და რიტმის შენარჩუნება. ვაჟა-ფშაველა არასოდეს იწყებს ახალ აზრს შუა სტრიქონიდან,

რასაც დ. რეიფილდი საკმაოდ ხშირად მიმართავს. ნიმუშად მოვიყვან სტროფს, რომელშიც მთარგმნელი რამდენიმეჯერ იწყებს ახალ აზრს სტრიქონის შუიდან, რითაც ორიგინალის რიტმი და ინტონაცია ირღვევა:

„მალე შააგდო ალუდამ
ქისტების ნადავლს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოფმა გაიღო ჩქამიო.“

“Aluda’s eyes soon fell upon
the Chechen’s tracks. Moments later
he caught them up. His gun went off.”

სიტყვასიტყვით,

„ ალუდამ მალე შეავლო თვალი
ქისტების კვალს. რამდენიმე წუთის შემდეგ
იგი მათ დაეწია. მისმა თოფმა გაისროლა.“

არცთუ ეკვივალენტურადაა თარგმნილი შემდეგი მონაკვეთი:

„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.“

“Man whom I have killed
God let your body rest in peace.”

რეიფილდის თარგმანს სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით ისევ ქართულად, მივიღებთ:

„ჩემგან მოკლულო კაცო,
დაე, ღვთის ძალით, მშვიდად განისვენოს შენმა სხეულმა.“

ვაჟასეულ სტრიქონებში სულის ცხონებაზეა ლაპარაკი, მაშინ როცა თარგმანში მხოლოდ მიცვალებულის სხეულია ნახსენები.

სერიოზულ ფაქტობრივ უზუსტობას აქვს ადგილი შემდეგი მონაკვეთის თარგმანში:

„ქისტებ წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიც ფრთიანი.“

“The Chechens had driven off , he heard,
Aluda’s own fleet-footed horses.”

ანუ, თარგმანში მხოლოდ ალუდას ცხენები „წაუსხამთ“ ქისტებს. ასე რომ, ისე გამოდის, თითქოს ალუდა მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო დაედევნა მათ, რაც გარკვეულწილად ელფერს უცვლის გმირის სახეს.

დედნისადმი ერთგულებისკენ სწრაფვამ რეიფილდი ერთ შემთხვევაში ორიგინალის ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმნამდე მიიყვანა და შედეგად მივიღეთ ინგლისურენოვანი მკითხველისთვის არაბუნებრივი ფრაზა:

ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
“I am a vassal of Gudani shrine

ხევსური თქვენის წყლისაო.

a Khevsuri of your waters.”

დ. რეიფილდს ტერმინი „ხევისბერი“ თარგმნილი აქვს ზოგჯერ როგორც “chieftain” (რაც შოტლანდიურად ხალხის, გვარის ლიდერს ნიშნავს), სხვა შემთხვევაში კი, როგორც “priest” (მღვდელი), რამაც, სათანადო განმარტების გარეშე, შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს მკითხველში.

ბუნდოვანია შემდეგი მონაკვეთის თარგმანი:

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,

“I want death, I cannot die,

მამკალო”, მითხრა ხვეწნითა.

you killed me”, he said, beseeching me.”

სიზმარში მუცალი ევედრება ალუდას, მომკალიო. ინგლისურ თარგმანში კი გვაქვს (სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანით): „შენ მომკალი“-თქვა მან მუდარით“. აქ ზმნა „მომკალი“ (killed) ნამყო მარტივ დროშია ჩასმული, ასე რომ, გაუგებარია, მაშინ რაღას ეხვეწება მუცალი.

როგორც ჩანს, არასწორად გაუგია დ. რეიფილდს ორიგინალის შემდეგი სტრიქონიც:

„კალთა გვეხურვის ღამისა“

“the lap of night is hidden from us” (“ღამის კალთა დამალულია ჩვენგან“).

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ხარვეზები ვერ ანელებენ დ. რეიფილდის თარგმანისგან მიღებულ შთაბეჭდილებას. თარგმანში მიღწეულია უმთავრესი - გადატანილია დედნის ძირითადი იდეა, მისი რიტმი, ინტონაცია, პოეტურ სახეთა ვაჟასეული სისტემა, შექმნილია ვაჟასეული სამყაროს მხატვრული ანალოგი.

დ. რეიფილდის თარგმანის დამახასიათებელი ნიშანი და მისი წარმატების ერთ-ერთი საწინდარი ის არის, რომ ის ვაჟას მიერ შექმნილი უმაღლესი პოეტური სამყაროს ინგლისურ ენაზე მაქსიმალურად გადატანის სერიოზული ცდაა. მისი პოეტური ენა ასევე ძარღვიანია და ექსპრესიული, პოეტური სახეები - ასევე შთამბეჭდავი და გრანდიოზული. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემის ფინალური თავის თარგმანი. იგი იწყება ქარიშხლიანი, თოვლით „ყელებ შაკრული“ მთების საოცარი სურათით:

„თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,

“Falling snow and raging winds

ყელებ შაკრულა მთებისა;

have covered up the mountain passes,

ჩამოდის ხევად ზოვები,

landslides sweep down through the gorge,

ჩამონასხლეტი კლდებისა,

slipping and toppling from the rocks.

გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა.“

The water's breast and rivers' arms
are bound by ice in bonds of blue.”

პოეტური ხატები ამ მონაკვეთის თარგმანშიც მეტად ექსპრესიულია, თხრობა ისეთი დინამიური, რომ მკითხველი თავად გრძნობს თავს ამ სტიქიის თვითმხილველად. შთამბეჭდავია, როგორ აღწევს დ. რეიფილდი დედნის შინაარსისა და პოეტური სახეების სიზუსტის, რიტმისა და ინტონაციის ერთდროულად შენარჩუნებას. ბოლო სტრიქონში მთარგმნელი ალიტერაციას იყენებს: “ are hound by ice in honds of blue”, რაც თარგმანს პოეტურ კეთილხმოვანებას მატებს.

„პოემა მთავრდება კლასიკური ტრაგედიის ღირსი გრანდიოზული სურათით“ (გ. ქიქოძე). მკითხველს თვალწინ წარმოუდგება თოვლსა და ქარბუქში მთის გაუკვალავ ბილიკებზე მიმავალი ალუდა და მისი ოჯახი, რომლებიც საბოლოოდ ემშვიდობებიან საკუთარ კერასა და მშობლიურ საჯიხვეებს. ასეთივე შთამბეჭდავ სურათს აღიქვამს რეიფილდის ინგლისური თარგმანის მკითხველიც, რომელიც ასევე მძაფრად შეიგრძნობს ტრაგიკული სიტუაციის მთელ სიმძიმეს, პოემის გმირთა სულიერ მდგომარეობას და ალუდა ქეთელაურის გაუტეხელობას, მის სულიერ სიმტკიცეს:

„გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა,
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხავილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ სჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.“

“Now the travelers had left forever
the land and waters of their birth.
The mountain peaks seemed to stand by blankly,
Only the wind's hoarse howl resounds.
They crossed the ridge to the other side ,
the tracks that they gouge in the snow have
vanished,
the only sound that still is heard
is the sound of a woman's bitter sobbing.”

ადეკვატური ლექსიკური შესატყვისები მოუძებნა მთარგმნელმა საკმაოდ ძნელად სათარგმნ ვაჟასეულ ფრაზებს: „შტერად დამდგარან მთის წვერნი“ – „The mountain peaks seemed to stand by blankly“, „ისმის ხავილი ქარისა.“ – „only the wind's hoarse howl resounds“. თარგმანი ლექსიკურადაც ახლოსაა დედანთან და მხატვრული გამომსახველობითაც.

თუ შევაჯამებთ, „ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისეულ თარგმანს იგივე ნაკლი აქვს, რაც „სტუმარ-მასპინძლის“ თარგმანს. არცერთ მათგანში არ ჩანს ვაჟას

რითმა, არც ფშავ-ხევსურული დიალექტის მნიშვნელობა. ოღონდ ვაჟამ, „სტუმარ-მასპინძელთან“ შედარებით, „ალუდა-ქეთელაურში“ უფრო ფართოდ გამოიყენა მთის კილო, ამიტომ ამ შემთხვევაში ეს დანაკლისი განსაკუთრებით იგრძნობა, მაგრამ თარგმანი მსხვერპლშეწირვის გარეშე არ არსებობს.

ვაჟას პოემაში ძირითადი აქცენტი მიმართულია პიროვნების შინაგანი სამყაროს გახსნისკენ. დ. რეიფილდი მაღალი მხატვრული ოსტატობის წყალობით ახერხებს ინგლისურენოვან მკითხველსაც აგრძნობინოს ვაჟას გმირების არსებითი თვისებები, დაგვიხატოს მათი შეუდრეკელი და დაუმორჩილებელი ბუნება, აზროვნების თავისუფლება. რეიფილდის მიერ მოხმობილი პოეტური ხერხები დედნისეულ განწყობას ქმნიან და ბუნებრივად ერწყმიან ინგლისურ ენობრივ ქსოვილს. ორიგინალის ტროპების და ფრაზეოლოგიის ადეკვატური შესატყვისები, ფრაზის ვაჟასეული დინამიკა და ენერგიულობა, დედნის რიტმისა და ინტონაციის შენარჩუნება აღნიშნული თარგმანის მნიშვნელოვანი ღირსებაა.

§ 3.8 ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაურის“

ნინო რამიშვილისეული თარგმანი

გასაგებია, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიის თარგმნა უაღრესად რთული ამოცანაა. მთარგმნელი, თუ დარწმუნებული არ არის საკუთარ ძალებში, ალბათ ვერ გაბედავს ხელი მოჰკიდოს ასეთ საქმეს. გარკვეული აზრით, მთარგმნელი ხომ ავტორის მეტოქეა, ამიტომ ადვილი არ არის შეეჭიდო დიდ პოეტს. სწორედ ამგვარი გამბედაობა გამოიჩინა ახალგაზრდა მთარგმნელმა და პოეტმა ნინო რამიშვილმა, რომელმაც კიდევ ერთი მეტად საინტერესო თარგმანი შემატა ინგლისურ მთარგმნელობით ლიტერატურას.

ნინო რამიშვილი ინგლისური ენის სპეციალისტია. მას ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის თარგმნის ხელოვნების ფაკულტეტი და ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურა აქვს დამთავრებული. 2006 წელს იგი ვაჟა-ფშაველას სახ. სტიპენდიანტი იყო. 25 წლის ასაკში მან შექსპირის სონეტების თარგმანი დაიწყო და ხუთ წელიწადში წიგნად გამოსცა. ამას მოჰყვა ბაირონის ლექსების კრებული და ცოტა ხნის წინ გამოცემული ვაჟა-ფშაველას 15 ლექსის, 8 მოთხრობისა და პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ინგლისური თარგმანი. გარდა

ამისა, ნ. რამიშვილი საკუთარი ლექსების სამი კრებულის ავტორიცაა. 2009 წელს მისმა ერთ-ერთმა ლექსმა „მიწა“ მსოფლიო ინტერნეტ-პოეზიის კონკურსში გაიმარჯვა და ავტორმა „პირველი ვარსკვლავის“ ტიტული მოიპოვა. 2010 წელს დორეულის ლექსის „დაკარგულები“ მისეული თარგმანი იტალიის ჯაკომო ლეოპარდის სახელობის საერთაშორისო პოეტურ კონკურსზე საპატიო ათეულში მოხვდა და იტალიაში რჩეულ პოეტურ კრებულში შევიდა. ლიტერატორები ახალგაზრდა პოეტს და მთარგმნელს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ (www.ptpress.ge/index.php).

„თარგმნის პროცესი ძალიან საინტერესო და ცოცხალია. ამ დროს ყველა სიტყვის სიღრმეში ჩადიხარ და სულ სხვანაირად წვდები თითოეულ ნაწარმოებს“- აღნიშნავს ნინო რამიშვილი (www.ptpress.ge/index.php); ამ აზრის სიმართლეში „ალუდა ქეთელაურის“ მისეული ინგლისური თარგმანის გაცნობით რწმუნდებით. მთარგმნელს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ვაჟას პოემა, ნათლად აქვს გაცნობიერებული ქართველი გენიოსის მსოფლადქმა და ნაწარმოებში გადმოცემული კონცეფცია, მისთვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები და ცდილობს მაქსიმალურად გადმოსცეს ისინი თარგმანში. შეიძლება ითქვას, რომ „ალუდა ქეთელაურის“ ნინო რამიშვილისეული ინგლისური თარგმანი უაღრესად საინტერესო ცდაა ვაჟას პოემის ინგლისურ ენაზე ამეტყველებისა.

თარგმანის გაცნობისას ყურადღებას იქცევს დედნის ტექსტისადმი ერთგულება, პოემის იდეურ-აზრობრივი შინაარსის, პოეტური სახეების, ავტორისეული მხატვრული არსენალის - ტროპების, იდიომებისა და ფრაზეოლოგიის რაც შეიძლება ზუსტად გადმოცემისაკენ სწრაფვა. მთარგმნელს ძირითადად შენარჩუნებული აქვს ორიგინალისეული სტროფიკა, თუმცა ტაეპების რაოდენობა სტროფებში ზოგჯერ განსხვავებულია; არის მცირე ჩანართები და კუპიურები, მაგრამ ეს ცვლილებები არ არის არსებითი, ისინი თარგმანის მხატვრული ფორმის შენარჩუნებას ემსახურებიან და არ არღვევენ ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ მთლიანობას.

ზოგჯერ მთარგმნელი ორ სტრიქონში გამოხატულ პოეტურ აზრს ერთი სტრიქონით გადმოსცემს, რასაც ხშირად მოჰყვება ხოლმე მთარგმნელისეული მცირე ინტერპოლაციები, რომელთა მიზანია დედნის შესაბამისი მონაკვეთის აზრის ნათელყოფა და სტრიქონთა რაოდენობის შენარჩუნება. ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, აღნიშნული ინტერპოლაციებით კუპიურების კომპენსაცია ხდება.

პოეზიაში კომპოზიციური თავისებურება ეფუძნება მყარ მეტრულ სისტემას,

რის გამოც მთარგმნელმა, პირველ რიგში, თარგმანის მეტრის შერჩევაზე უნდა იფიქროს. ნინო რამიშვილმა უცვლელად დატოვა ორიგინალის საზომი - რვამარცვლიანი შაირი, რომლის მათარგმანიზებული ფუნქციის დახმარებით იგი უმეტეს შემთხვევაში ახერხებს დედნის რიტმის გადმოცემას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მარცვლების რაოდენობის შენარჩუნებისაკენ მისწრაფება იწვევს დედნის რიტმის გარკვეულწილად დარღვევას ტაქტებში მახვილიანი მარცვლების რაოდენობის ცვალებადობის გამო. ინგლისური ლექსის რიტმს კი, როგორც ცნობილია, განაპირობებს ტაქტში მახვილიანი მარცვლების რაოდენობა. სტრიქონში მარცვლების რაოდენობის შენარჩუნების ცდა ხდება ასევე კუპიურების და ინტერპოლაციების მიზეზიც.

სამწუხაროდ, ნ. რამიშვილმა ვერ შეძლო ვაჟას პოემის თარგმნისას რითმის შენარჩუნება, რომელიც აქაც შინაარსობრივმა და პოეტური სახეების სიზუსტემ შეიწირა; თუმცა ეს მან წარმატებით მოახერხა ვაჟას ლექსების თარგმანებში, რისი წყალობითაც ეს თარგმანები უაღრესად მელოდიური და „ვაჟასეულია“. არადა, ვაჟას რითმა მისი მხატვრულ-სტილისტური თავისებურების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ისევე როგორც ფშავ-ხევსურული დიალექტი, რომელიც ასევე დაიკარგა განხილულ თარგმანში. როგორც ჩანს, მთარგმნელის აზრით, ვაჟას პოემების თარგმნისას უფრო მნიშვნელოვანია აზრობრივი შინაარსის, პოეტური სახეების, იდიომებისა და ფრაზების ადეკვატური გადმოცემა.

„აღუდა ქეთელაურის“ ნ. რამიშვილისეულ თარგმანში საკმაოდ მრავლადაა მონაკვეთები, რომლებიც ორიგინალის ადეკვატური თარგმნის ნიმუშებს წარმოადგენენ (რიტმას თუ არ ჩავთვლით). ასეთია, მაგალითად, სტროფი:

„ცისკრის ხანია, მტერს მისდევს კლდის შევარდენი ჩქარიო. გათენებისას ჭიუხში შურთხმა დარეკა ზარიო.“	“Dawn. Aluda chases the foe Like the falcon chases its prey. There among the high and bare rocks Cried a snowcock from its eyrie.”
--	---

სიტყვასიტყვით თუ კვლავ ვთარგმნით ქართულად:

„ცისკრის ხანია. აღუდა მისდევს მტერს
როგორც შევარდენი მისდევს თავის მსხვერპლს.
იქ, მაღალ და შიშველ კლდეებს შორის
შურთხის ხმა გაისმა მისი საცხოვრებლიდან.“

(თუმცა, აქ ერთი მცირე უზუსტობაა: ფრაზა „შურთხმა დარეკა ზარიო“ ნიშნავს, რომ „შურთხმა განგაში ატეხა“, რაც არ არის ზუსტად „შურთხის ხმა გაისმა მისი საცხოვრებლიდან“).

ბუნებრივია, მოყვანილი პწკარედიდან სრულყოფილად არ ჩანს თარგმანის მხატვრული მხარე. ემოციურ სიზუსტესთან ერთად ამ მონაკვეთის თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის რიტმი, ინტონაცია, მხატვრული სახეები. თუმცა სიტყვიერი მასალა ყოველთვის არ არის იდენტური, ფრაზები ლაკონურია, ბუნებრივი და კომპოზიციურად შეკრული. მთარგმნელმა შესანიშნავად გამოიყენა სიტყვა „eyrie“-ის გადატანითი მნიშვნელობა, რაც შემალღებულ, ძნელად მისაღწევ ადგილზე აგებულ საცხოვრებელს ნიშნავს. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ პასაჟზეც, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია პოემის იდეური გახსნისთვის:

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ ,
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი;
ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მოელით ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთისშვილთ უკეთეს იციან,
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინცა ჰფიციან?!“

“We boast we are the only men,
Brought up decently by mothers,
We boast, we are blest by heaven,
Whereas infidels groan in hell.
Alas! We boast very often,
Only the Lord knows who’s who, though.
Everyone can swear by heaven,
Not everyone tells the truth, though.”

თარგმანი ისევე ექსპრესიულია და შთამბეჭდავი, როგორც ორიგინალი. ნ. რამიშვილმა ოსტატურად მიაგნო დედნის ლექსიკური მასალის ადეკვატურ შესატყვისებს, რომლებიც სწორად გამოხატავენ დედნის ავტორის მოსაზრებას და ემოციურ განწყობას: „ვიტყვით“ – „We boast“, „ვწარამარაობთ“ – „We boast very often“, „ღვთისშვილთ უკეთეს იციან,“ – „Only the Lord knows who’s who“. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელი აზრის დასაზუსტებლად დამატებით ან განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს იყენებს, რაც ინგლისურენოვანი მკითხველისთვის აუცილებელია: „ვცხონდებით,“ – „we are blest by heaven“, „მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი“ – „Brought up decently by mothers“ („მხოლოდ ჩვენ გვზრდიან დედები ღირსეულად“, სიტყვასიტყვით თუ ვთარგმანით). თუმცა მთარგმნელი უფრო უხვსიტყვიანია, მაგრამ, რაც მთავარია, აზრი ნათლად და მხატვრულად არის გადმოცემული.

ნ. რამიშვილი თარგმნის პროცესში სხვა შემთხვევებშიც არ არის მიჯაჭვული ტექსტზე და საჭიროების შემთხვევაში განსხვავებულ ლექსიკურ მასალას იყენებს დედნის აზრის და ემოციის შესანარჩუნებლად:

„გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების “The Gudani Cross attends me,
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.“ Blessing me with holy power.”

აქ ფრაზა: „ძალს შაახვეწებს ღვთისასა“ შეცვლილია შემდეგი ფრაზით: „Blessing me with holy power“ (სიტყვასიტყვითი თარგმანი: „დამლოცავს რა წმინდა (ღვთიური) ძალით“), რაც ორიგინალის აზრს სწორად გამოხატავს და პოეტურადაც მისი ტოლფასია. პირდაპირი თარგმანი გაუგებარი იქნებოდა ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. ეს არის დედნის შემოქმედებითი გარდასახვა.

იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ სტრიქონებზეც:

„ჯიხვნი მამბნენ მყინვარსა, “Ibex stood upon the mountains
მაღლი რქათ ადგა ღვთისაო“ With long curved horns haloed with grace.”

მხატვრულ სახეს „მაღლი რქათ ადგა ღვთისაო“ მთარგმნელმა შემდეგი შესატყვისი მოუძებნა: „With long curved horns haloed with grace“ (სიტყვასიტყვითი თარგმანით, „ გრძელი, დაგრებილი რქებით, რომელთაც ღვთიური ნათელი ადგათ "). ტერმინ „ჯიხვი“-ს უკეთესად თარგმანი ინგლისურად ალბათ ძნელია. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში Ibex სწორედ ასეა განმარტებული : „ a mountain goat with long curved horns“(„მთის თხა გრძელი დახვეული რქებით“).

დედნის ემოციური ჟღერადობა კარგად არის შენარჩუნებული ალუდასა და მუცალის ბრძოლის ამსახველი მონაკვეთის თარგმანში:

„-გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძალლო, “- Alas! my heart’s badly hurt now,
ვაჰ, ცდასა მუცალისასა! All my efforts have been in vain!
ძმაც ხომ მამიკალ, მეც მამკალ, You’ve slain me, you’ve slain my brother,
რა ვუთხრა მაღლსა ღვთისასა?!“ Providence proves hostile to me!

შორისდებული „Alas!“ კარგად გამოხატავს დედნისეულ ინტონაციას. თარგმანი არ არის სიტყვასიტყვით ზუსტი, მაგრამ ადეკვატურია აზრობრივად და ემოციურად. ხაზგასმულად კლასიკური ლექსიკური ერთეულები: „slain“ („მოკვლა“), „Providence“ („განგება“), „in vain“ („ამაო“) მეტ ამაღლებულობას და ტრაგიზმს ანიჭებს თარგმანს.

ნ. რამიშვილი პოემის თარგმნისას ზოგჯერ ტაეპების რაოდენობას კვეცს, ზოგჯერ კი მცირე ჩანართებით ავსებს. ამგვარი ჩანართია, მაგალითად:

„Defying all odds it stands still”,

რომელიც აძლიერებს რამდენიმე სტრიქონის ზემოთ მოყვანილ მსგავს ფრაზას:

“The Imeda stone wall lives still”.

“ალუდა ქეთელაურში” მეტად მნიშვნელოვანი მომენტი ალუდას სიზმარი, რომლის დანიშნულება ასე ესმის რევაზ სირაძეს: „ეს სიზმარი არ შეიცავს წინასწარმეტყველებას და არც ალუდას წინათგრძნობას ავლენს. მისი გამართლება გმირის შინაგან სულიერ დინამიკაშია და არა ამბავთა დინამიკაში. ესაა ქვეცნობიერი გაგრძელება იმ წუხილისა, რაც მუცალის სიკვდილს აღუძრავს. ვაჟა სიზმრით ფრიად საჭირო ქვეტექსტს ქმნის. ვაჟა გვაგრძნობინებს, რომ ალუდას მწუხარება მისი სულის ისეთ სიღრმეებს წვდება, რომლებიც გარეგნულად არც კი გამოძვლავნებულა“ (სირაძე 1975: 384). მთავარი გმირის ამ შინაგან სულიერ დინამიკას კარგად გამოხატავს ალუდას სიზმრის ნ. რამიშვილისეული თარგმანი, რომელიც დედნის ტოლფას განწყობას ქმნის:

„დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,

კაცის ხორც იყო წვნიანი,

ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა

კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.

“I sat; someone put before me

A bowl full of stew of man’s flesh,

I ate. yet I felt repugnance

To that dish of man’s hand and feet.

მიმატეს კაცის უღვაშით

წვენ-ხორცი შანელელებული.“

Flesh was added into my bowl,

And juice seasoned with moustaches.”

საოცარი სიზუსტეა როგორც ლექსიკის, ასევე მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისითაც. თარგმანის მკითხველისთვის ეს მონაკვეთი ისეთივე საზარელია, როგორც დედნის მკითხველისთვის. მასაც ასევე გაუჩნდება პროტესტის გრძნობა კაცთაკვლის და, საერთოდ, ძალადობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიზუსტით გამოსახა მთარგმნელმა შემდეგი შემადრწუნებელი ხატები: „კაცის ხორც ...წვნიანი“ – „stew of man’s flesh“, „უღვაშით წვენ-ხორცი შანელელებული“ – „ juice seasoned with moustaches”.

ორიგინალის ინტონაცია, ემოციური ჟღერადობა კარგად არის გადმოცემული შეღამების ელემენტურ სურათში:

„დაბნელდა, წყალნი ტირიან,

კალთა გვეხურვის ღამისა,

დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,

“Dark has fallen; weep the waters ,

Night has draped its lap o’er men’s heads,

It is time for stars to twinkle,

მცვრევა ბალახზე ნამისა.

It is time for dew to wet grass.

მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარისა.“

Time for dead man to leave their graves,
And sing a soft song of theirs.”

აქ პოეტურ ფუნქციას ასრულებს ფრაზის: „It is time“ გამეორება სტრიქონების დასაწყისში და სტრიქონების დამასრულებელი „s“-ები. მთარგმნელი იყენებს ასევე ალიტერაციასაც: „sing a soft song“. ნ. რამიშვილი თარგმანში ხშირად მიმართავს ინვერსიას, როგორც მხატვრულ ელემენტს: „weep the waters“.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის პოეტურობის ამაღლების მიზნით ნ. რამიშვილი ხშირად იმეორებს სიტყვას ან ფრაზას ტაეპების დასაწყისში. თუმცა ეს მხატვრული ხერხი არ არის დამახასიათებელი ვაჟასთვის, ინგლისურისთვის ის ორგანული და ბუნებრივი ელემენტია, რომელსაც ხშირად მიმართავდა შექსპირი. იგი მეტ ეპიკურობას და ამაღლებულობას ანიჭებს პოეტურ ტექსტს, რაც ვაჟას განხილული პოემის თარგმნისას დადებითი შტრიხია:

„დიდია ჩვენი ბატონი,
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან
ღვთითა და ღვთისა ძალითა.“

“Mighty is the Gudani shrine,
Mighty through the spirit in it,
Mighty are the men who serve it,
The Lord’s grace is lavished on them.”

იგივე მხატვრული ელემენტია გამოყენებული შემდეგი მონაკვეთის თარგმანში, სადაც ტაეპების დასაწყისში სიტყვა “Let”-ის გამეორება ეპიკურ და ტრაგიკულ ტონს მატებს ინგლისურ ტექსტს, რომელიც დედნისადმი ერთგულების ნიმუშია და სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელმა წარმატებას მიაღწია:

„ვისაც მტერობა მოსწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევედეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.“

“He who thirst for hostility
Let him open wide his house-door,
Let his hearth be flooded with blood,
Let his feet stand within that blood,
Let him confound red wine with blood,
Let him have that blood for his bread,
Let him cross himself, let him pray,
As if in the church praying to God.”

ნინო რამიშვილის შემოქმედებითი ნიჭი განსაკუთრებით გამომჟღავნდა პოემის იმ მონაკვეთების თარგმნისას, რომლებშიც ბუნების შთამბეჭდავი სურათებია

მოცემული. მთარგმნელმა შეძლო ვაჟასეული ელვარება მიენიჭებინა ინგლისური თარგმანისთვის:

„მზემ აიწია ცაზედა,	“Rose the sun upon the ether,
ნისლებმ დაწირეს ხევები,	And the mists abandoned chasms,
მისჯარებიან ცის კიდეს	The Caucasian giant mountains
კავკასიონის დევები.	Surged like ogres in the heavens.
აშლილან სანადიროდა	Hawks, hell-bent on early hunting,
ქორებ, ფრინველთა მლევლები;	Flew up as relentless killers,
სოვნნი არწივებს მისდევენ,	Greedy vultures followed eagles
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.“	To freeload upon carcasses.”

სწორი შესატყვისები მოუძებნა მთარგმნელმა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: „დაწირეს“ – „abandoned“, „მისჯარებიან“ – „Surged“ („აზვირთებულან“), „მუქთად ჭამისთვის“ – „To freeload“. თუმცა აქ ერთი მომენტია ყურადსაღები: „ogre“ ინგლისურად კაციჭამია ულმობელ გოლიათს ნიშნავს (ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის თანახმად, a cruel and frightening giant who eats people). მართალია, არც ქართული ზღაპრების პერსონაჟი „დევია“ ლმობიერი და კეთილი არსება, მაგრამ ვაჟას ამ სტრიქონებში ტერმინ „დევს“ არა აქვს უარყოფითი კონოტაცია. ინგლისურენოვანი მკითხველისთვის კი ალბათ „ogre“ ნეგატიური ელფერის შემცველი იქნება.

ახალ პოეტურ სახეებს ქმნის მთარგმნელი შემდეგ სტრიქონებში, მაგრამ ეს სახეები მეტად გამომსახველობითია და დედნის ხატების ტოლფასი ღირებულებისაა:

„თენდება, მთის წვერნ დაწითდენ,	“Dawn breaks; glow the mountain summits,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.	Veils of mists blind lofty mountains;
დგება, იღვიძებს სოფელი,	Life stirs and starts in the village,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.“	Early passers walk to and fro.”

სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით კვლავ ქართულად:

„თენდება, მთის მწვერვალები ელვარებენ,
ნისლის საბურველი აბრმავეს უზარმაზარ მთებს,
სიცოცხლე შეირხა და იწყება სოფელში,
ადრეული მგზავრები მიდი-მოდინ.“

მშვენიერი პოეტური სტრიქონებია: „Veils of mists blind lofty mountains“ – „ნისლის საბურველი აბრმავეს უზარმაზარ მთებს“, „Life stirs“ – „სიცოცხლე შეირხა“.

თარგმანის მკითხველიც, ორიგინალის მსგავსად, თითქოს თავად ხდება მთიან სოფელში განთიადის მშვენიერი სურათის თვითმხილველი. თუმცა სიტყვასიტყვითი თარგმანი, რა თქმა უნდა, ვერ შეგვიქმნის წარმოდგენას ამ სტრიქონების პოეტურ ღირებულებაზე.

შთამბეჭდავად აქვს ნ. რამიშვილს გადმოცემული თოვლითა და ყინულით დაფარული, ქარიშხლიანი მთების ავისმომასწავებელი სურათი პოემის ფინალური თავის დასაწყისში:

„თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს, ყელებ შაკრულა მთებისა; ჩამოდის ხევად ზოვები, ჩამონასხლეტი კლდებისა. გაუბამ ყინულს ლურჯადა უბე-კალთები წყლებისა. მიუნაქრია ერთიან ვიწრო სავალი გზებისა.“	“It blows; whirls the wind and blusters, Snow clogs the mountain passes, And the avalanche fills the gorges, Plunging down from high and bare crags. Ice spans all lakes and rivers, Tinting waters with a blue tinge. Blows the wind, the snowdrift covers All the passes of the village.”
--	--

ამ პასაჟის თარგმანის ენა ბუნებრივია და ექსპრესიული. ნ. რამიშვილმა უმეტეს შემთხვევაში შეძლო მოეძებნა შინაარსობრივად და ემოციურად ზუსტი შესატყვისები, თუმცა ლექსიკური მასალა განსხვავებულია. დასანანი, რომ მთარგმნელმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ვაჟასეული ორიგინალური, მეტად ექსპრესიული მხატვრული სახეები: „ყელებ შაკრულა მთებისა“, „ჩამონასხლეტი კლდებისა“, „უბე-კალთები წყლებისა“, მაგრამ ამ პასაჟით მიღებული შთაბეჭდილება დედნის ეკვივალენტურია.

ადეკვატურადაა თარგმნილი აგრეთვე შემდეგი მონაკვეთი:

„ზოგჯერ ავდარი დადგება, ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.“	“Sometimes weather threatens the wall And sometimes the sun strokes its head.”
--	---

მთარგმნელი არ არის მიჯაჭვული ტექსტზე, გასაქანს აძლევს შემოქმედებით ფანტაზიას, მაგრამ, ამასთანავე, დედნის ერთგული რჩება, ვაჟას სათქმელს გადმოსცემს ინგლისური ენის ქსოვილით. მშვენიერი პოეტური მიგნებაა: „And sometimes the sun strokes its head.“ (სიტყვასიტყვითი თარგმანით, „ზოგჯერ მზე ეაღერსება მის თავს“).

პოემა „ალუდა ქეთელაურში“ მნიშვნელოვანი მხატვრული დატვირთვა აქვს აფორიზმებს, რომელთა ადეკვატური თარგმნა აუცილებელია. ნ. რამიშვილმა შეძლო აფორიზმების შენარჩუნება თარგმანში :

„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!“
ან

“There are no foes for a dull man,
A good man’s luck is to have foes!”

„ შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მაგკვლენ,
მტერს არ შარჩენს გვარია“

“If you killed a man- they’ll kill you,
His kin will wreak vengeance on you.”

საინტერესოა, რომ ზოგი მონაკვეთის თარგმნისას ნ. რამიშვილი არა მხოლოდ აფორისტულ სტილს ინარჩუნებს, არამედ რითმის მეშვეობითაც კრავს მას კომპოზიციურად. მაგალითად:

„ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
გული-დ გონება ძმანია.“

“Don’t you let one sway the other-
Heart and mind should be like brothers.”

ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ასპექტია მისი ორიგინალური იდიომები და ფრაზეოლოგია, რომელთა თარგმნისას ნ. რამიშვილმა, უმეტეს შემთხვევაში, კონტექსტუალური სემანტიკური სიზუსტე და შემოქმედებითობა გამოავლინა. ფრაზეოლოგიის ეკვივალენტური თარგმნის ნიმუშებია:

- „ღმერთმა გაცხონოს მკვდარია!“ - ” God give rest to your soul!”;
- “ზნელი ჩამიდგა სვეტადა“ - ”darkness dwells in my heart”;
- „ ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა“ - “This lot God has given to us”;
- „ძალი ძაღლის ძვალს არ სტეხსო“ - “ The dog won’t gnaw on the dog’s bone”;
- „კალთა გვეხურვის ღამისა“ - „Night has draped its lap o’er men’s heads”.

ადეკვატური მხატვრული შესატყვისი მოიხმო ნ. რამიშვილმა შემდეგი ფრაზის თარგმნისას: „მაუწყლიანდეს თვალები“ - „ tears welled up in his eyes” (სიტყვასიტყვით, “ცრემლებით აევსო თვალები“). ინგლისურად ეს ფრაზა მეტად შთამბეჭდავად ჟღერს და სწორად ახასიათებს მოქმედი პირის - მინდიას ემოციურ მდგომარეობას. ასე რომ, ფრაზა მხატვრულადაც ძლიერია და ინტონაციურადაც ზუსტი.

ვნახოთ, როგორი შესატყვისი მოუძებნა მთარგმნელმა ფრაზას:

„ეს ვინლა მოდგა, ნისლივით?“ - „ A man lingered there like a mist.”

როგორც ვხედავთ, ფრაზის ინტონაცია შეიცვალა, თარგმანში კითხვითის ნაცვლად თხრობითი წინადადებაა. დედანში კითხვითი წინადადება გაკვირვებას, მოლოდინს გამოხატავს და მკითხველის ყურადღებას მკვეთრად მიაპყრობს მომსვლელს. თარგმანი უფრო აღწერილობითია, მშვიდი, ნაკლებ ექსპრესიული. და მაინც, „lingered there like a mist“ ზუსტი პოეტური სახეა.

საინტერესოა, როგორ ქმნის მთარგმნელი ქართული ეროვნული სპეციფიკის მქონე და მითოლოგიური პერსონაჟების შესაბამის ლექსიკურ შესატყვისებს. ნ. რამიშვილს სიტყვა „ნაბადი“ განმარტებითი თარგმანის მეთოდის გამოყენებით გადმოცემული აქვს, როგორც „felt cloak“ („ქეჩის მოსასხამი“), რაც სავსებით მისაღებია. რაც შეეხება სიტყვას „ალი“, მთარგმნელმა მას მიუსადაგა: „ ill spirits“ („ავი სულები“), რაც არცთუ სწორი თარგმანია მეტისმეტი ზოგადობის გამო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ალი“ მხოლოდ ერთხელ გვხვდება ტექსტში და მას დიდი შინაარსობრივი ან მხატვრული დატვირთვა არ აქვს.

იგივე შეიძლება ითქვას ქართული ზღაპრების გმირის „დევის“ თარგმანზე - „ogre“ („ულმოხელი კაციჭამია გოლიათი“), რომელიც აზრობრივად დიდად არ განსხვავდება ქართული დევისგან, მაგრამ ქართული მითოსის კოლორიტი აქაც ილახება. ზოგ შემთხვევაში ირღვევა ამ ტერმინის კონტექსტუალური სემანტიკური მნიშვნელობაც.

რაც შეეხება ტერმინს „ხევისბერი“, რომელიც უაღრესად საპატიო თანამდებობა იყო საქართველოს მთიანეთში, ნ. რამიშვილისეული თარგმანი არცთუ ზუსტია სემანტიკურად - „chief priest“ („ მთავარი მღვდელი“). მართალია, ხევისბერი მთიანეთში უმაღლესი სასულიერო პირიც იყო, მაგრამ მისი მოვალეობები ამით არ შემოიფარგლებოდა. უმჯობესი იქნებოდა ზემოაღნიშნული ტერმინები ტრანსლიტერაციის მეთოდით თარგმნილიყო კომენტარებში სათანადო განმარტებებით. თარგმანში სიტყვის ტრანსლიტერაციული ტრანსპოზიციის მეთოდი გამართლებულია, თუ იგი გამოხატავს ისეთ ეთნო-კულტურულ რეალიას, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი თარგმანის ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ყოფაში. სიტყვის აზრის უფრო ნათლად გამოხატვის საჭიროების შემთხვევაში, იგი განმარტებული უნდა იქნას კომენტარებში (დასაშვებია შიდა ტექსტობრივი კომენტარებიც).

ვაჟა-ფშაველას ტროპები მისი მხატვრული აზროვნების მნიშვნელოვანი კომპონენტია; ამიტომ მათ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვაჟასთვის დამახასიათებელია კონტექსტის არაჩვეულებრივი გრძნობა. ნებისმიერი პოეტური ხატი მისთვის საუკეთესო გარემოში ჰპოვებს რეალიზაციას. ნ. რამიშვილის თარგმანის უდავო ღირსებაა ის, რომ იგი ყოველთვის ინარჩუნებს იმ კონტექსტს, რომელშიც ჩნდება ესა თუ ის პოეტური ხატი, რაც მეტად მნიშვნელოვანია. მის თარგმანშიც, ისევე როგორც ვაჟასთან, როცა ტროპი ან პოეტური შედარება ჩნდება,

კონტექსტი ყოველთვის ემოციურად დამუხტულია.

მაგალითად, თავისთავად ცალკე აღებული მეტაფორული ხატი “მთის გაშტერება“ არ არის ორიგინალობის და მშვენიერის გამოხატულება, მაგრამ „აღუდა ქეთელაურის“ დასასრულის კონტექსტში ის მეტად შთამბეჭდავია. ნ. რამიშვილმა შემლო სათანადო შესატყვისი მოეძებნა ვაჟას ამ უჩვეულო მეტაფორისთვის:

„შტერად დამდგარან მთის წვერნი.“ - „Gaped the summits of the mountains.”
(„გაოგნებისგან გაშტერებული მთების მწვერვალები პირდაღებულები იდგნენ“)

დედნის ადეკვატურ ემოციურ და ესთეტიკურ გრძნობებს აღძრავს შემდეგი მეტაფორები და შედარებები:

„შუბლი დაკეცა“ - „knitted his brow” („შუბლი შეიკრა, წარბები შეკმუხნა“);
„ნიავეპარივით მავალი“ - „flew like the tempest” („ქარიშხალივით გაფრინდა“);
„სიტყვითა შხამიანითა“ - „The words laced with spite and venom”
(„ზიზღით და შხამით სავსე სიტყვები“);
„კალთა გვეხურვის ღამისა“ - „Night has draped its lap o’er man’s head”
(„ღამემ კალთა გადაახურა თავზე ადამიანებს“);
“ გული შამეკრა რადამე“ - „Pangs of anguish stab at my heart”;
(„ტანჯვის ტკივილებმა დაუსერა გული“).

ზუსტი შესატყვისები შემოგვთავაზა მთარგმნელმა ვაჟასეული ტროპებისთვის შემდეგ ტაეპებში :

„ირემს ჰგავ მინდის წითლაი
შუბლითა მთვარიანითა.“ “Mindia’s steed was like a reindeer
with the moon upon its forehead.”

ვაჟასეული ეპითეტები უმეტეს შემთხვევაში ეკვივალენტურად არის თარგმნილი. თუმცა ზოგჯერ ნ. რამიშვილი ერთ-სიტყვიანი ეპითეტის ნაცვლად მთელ ფრაზას მოიხმობს, მაგრამ სათანადო ეფექტი მაინც მიღწეულია:

„გაწირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა.“ - “They forsook Ketelauri,
Their hearts full of stinging nettles.”

ეპითეტი „ნარიანითა“ აქ გადატანილია, როგორც „full of stinging nettles“ („სავსე მჩხვლეტავი ჭინჭრით“), რაც ემოციურად ეკვივალენტური შესატყვისია.

მთარგმნელის შემოქმედებითი აღმაფრენა ვლინდება ქვემოთ მოყვანილი მონაკვეთის თარგმანში:

„ფერი ედება ბერდიას
ფერი სხვა-რიგის შიშისა.“

“A hew of infernal fear
Covered the priest's pale complexion.”

ნ. რამიშვილმა საინტერესო შესატყვისი შესთავაზა მკითხველებს ეპითეტისთვის „სხვა-რიგის“ – „infernal“ („საშინელი, ჯოჯოხეთური“). მშვენიერი მიგნებაა, სწორედ ის არის, ალბათ, რასაც ვაჟა გულისხმობდა. კარგად არის გადმოცემული პოემის ერთ-ერთი გმირის განცდის ინტენსივობა.

პოემის ნ. რამიშვილისეული თარგმანის ეს და სხვა წარმატებული ზემოგანხილული მომენტები იმის მაჩვენებელია, რომ ახალგაზრდა მთარგმნელი კარგად იცნობს ვაჟას პოეტურ სამყაროს, მის სულს და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი პოეტური ემოციით გადაიტანოს ის ინგლისურ ენობრივ გარემოში.

პოეტური თარგმანი მხატვრული აზროვნების სირთულეების გარდა მრავალი სხვა დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს, რომელთა დაძლევა დიდ ნიჭს, გემოვნებას, პოეტურ ინტუიციას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაშიც კი, იდეალური პოეტური თარგმანი არ არსებობს. ყოველი ენობრივი სისტემა წარმოადგენს ამ ენის მატარებელი ეთნოსის მიერ აღქმული სამყაროს მოდელს, ხატს. ამდენად, ენობრივ სისტემათა სხვადასხვაობა განაპირობებს ამ სისტემების მიერ შექმნილი სამყაროს ხატების არაერთგვაროვნებას. ეს განსაკუთრებით შეეხება პოეტურ თარგმანს, რომლის შესრულებისას მთარგმნელი თითქმის გადაუწყვეტელი ამოცანის წინაშე დგას: შეინარჩუნოს როგორც შინაარსის სიზუსტე, ასევე მხატვრული ფორმა.

ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თარგმანის ენაზე ადეკვატური გადმოცემისკენ სწრაფვა „ალუდა ქეთელაურის“ ნ. რამიშვილისეულ თარგმანში ნამდვილად შეიმჩნევა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელი იძულებული გახდა იდეურ-აზრობრივი სიზუსტისთვის შეეწირა ფორმის გარკვეული ელემენტები: რითმა და დიალექტი. ნ. რამიშვილის თარგმანს გააჩნია ზოგი სხვა ხარვეზიც, რომელიც ნაწილობრივ ელფერს უცვლის დედნის გარკვეულ მონაკვეთებს. განვიხილოთ, მაგალითად, მონაკვეთი, რომელიც სიმბოლური მეტყველების ნიმუშია ვაჟასთან:

„ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.“

ნ. რამიშვილი შემდეგ თარგმანს გვთავაზობს:

“Instantly he tore out his sword,
Shining brightly through the sun rays.”

თუ ამ მონაკვეთს სიტყვასიტყვით ვთარგმნით კვლავ ქართულად, მივიღებთ:

„მან მყისიერად იშიშვლა(ამოგლიჯა) მახვილი,
რომელიც ბრწყინავდა მზის სხივებში.“

მართალია, ორიგინალის შინაარსი ზუსტად არის გადმოცემული, მშვენიერი ვაჟასეული მეტაფორა „შუქი ამოხდა მზისაო“ დაიკარგა.

ნ. რამიშვილი ტაეპების დასაწყისში ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულის შექსპირისეულ გამეორებებს მიმართავს პოეტური ეფექტის მისაღწევად, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი უკიდურესობამდე მიდის და თითქმის მთელ სტრიქონებს იმეორებს, შედეგად ნაკლებად პოეტურია და ვაჟას სტილისთვის შეუსაბამო, მაგალითად:

„გუმან აქვ, გადაავლიონ	“Aluda’s steed too among them.
არხოტის თავი მთიანი	The hooves of the stolen horses
გადაბერტყინონ ნალითა	Trampled on the mountain flowers,
ქუჩი მთებისა ცვრიანი.“	Trampled on the dewy flowers.”

აქ მთარგმნელს ორი თითქმის იდენტური სტრიქონის „Trampled on the mountain flowers“ ჩართვა შესაძლოა სტრიქონების რაოდენობის შესანარჩუნებლად დასჭირდა, ვინაიდან ამ მონაკვეთში „გუმან აქვ, გადაავლიონ“ თარგმანში საერთოდ არ არის, მაგრამ შედეგად არცთუ პოეტური გამეორებები მივიღეთ, რითაც თხრობის დინამიკა და ექსპრესიულობა ნელდება.

მსგავსი გამეორებები გვხვდება სხვა სტრიქონების თარგმანშიც:

„კარგადაც დამიწყალობნე,	“Sacrifice my offering well,
გამიმეტებავ მისთვისა.“	I don’t grudge it for Mutsali,
	I don’t grudge this bull for his soul.”

ვერც ამ შემთხვევაში ასრულებს გამეორება მხატვრულ ფუნქციას.

სტრიქონებში (უმეტესად სტრიქონების დასაწყისში) ერთსა და იმავე ლექსიკური ერთეულების გამეორების ხერხს იყენებს ნ. რამიშვილი შემდეგ მონაკვეთშიც:

„ზაფხულს თოფის ხმას იყურებს,	“The wall which hears guns in summer,
ზამთარ ჩამუდის ზვავია	Has the avalanche in winter,
ბევრჯერ მასწრო დელგამა,	Has the deluge upon his head,
ჰყეფდა ყორანი შავია.“	Hears the calling of black ravens.“

აქ სიტყვების „Has“, „Hears“ გამეორება ვერ ქმნის მხატვრულ ეფექტს.

მიუხედავად იმისა, რომ პოემის ნ. რამიშვილისეული თარგმანის ერთ-ერთი ღირსებაა ორიგინალის ერთგულება და, უმეტეს შემთხვევაში, შინაარსობრივი სიზუსტე, მასში არის მონაკვეთები, რომლებშიც გარკვეული უზუსტობა შეიმჩნევა. მაგალითად:

„ბევრ დაღონება არ გვინდა,	“We have no need of affliction.
ერთი დღის მეყოს საგძალი,	I’ll take one day’s victuals with me,
გზა-კვალი არ ამერევა,	And I’ll go to seek Aluda,
ყოველ მხრივ ვიცი სავალი.“	I know all the paths to find him.”

ფრაზა „And I’ll go to seek Aluda“ არასწორია, მინდია ალუდას საძებნელად არ წასულა (ალუდა არსად დაკარგულა), არამედ იმის დასაზუსტებლად, მართლაც მოკლა თუ არა ალუდამ მუცალი. „ადვილ გავიგო მართალი“, - ამბობს მინდია; მისი გამგზავრების მიზანი ამ ორი ადამიანის ბრძოლის ადგილის დათვალიერება და სიმართლის დადგენა იყო.

თარგმანში არის მოკლე ჩანართები, რომელთა უმეტესობა აზრის ნათელყოფას ან ლექსის ფორმის შენარჩუნებას ემსახურება და არ ცვლის პოემის აზრობრივ-იდუურ შინაარსს. ასეა, მაგალითად:

“That they’ve brought you up so valiant.”

მაგრამ სხვა ჩანართზე იგივე არ ითქმის:

„That Kist made you forget your faith“

(სიტყვასიტყვით, „იმ ქისტმა შენი რჯული დაგავიწყა“).

ვაჟას პოემაში ამგვარი აზრი არ არის გატარებული. თარგმანში ბერდიას ეს სიტყვები სერიოზული ბრალდებაა, რომელიც ორიგინალში არ არის. ბერდია მხოლოდ აფრთხილებს ალუდას, რომ ურჯულოსთვის კურატის შეწირვა არ შეიძლება, რომ ამით ის თავადაც „გაურჯულოვდება“; ამით კონკრეტული მოქმედების მიზანშეუწონლობის შესახებ აფრთხილებს ალუდას. ალუდას ღმერთი, რჯული არ დავიწყებია, თუმცა იგი თავისი მოქმედებით, გარკვეულწილად, მის კანონებს ეწინააღმდეგება. მას მიაჩნია, რომ „ღვთისშვილთ უკეთეს იციან“, ანუ რწმენის გარკვეული ინდივიდუალური გაგების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე, რომელიც თემში რელიგიის ტრადიციულ გაგებას ეწინააღმდეგება. შესაძლოა ალუდა ცდება, მაგრამ მას სწამს თავისი რჯული, თავისი ღმერთი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მსხვერპლის შესაწირადაც არ მივიდოდა სალოცავში.

ინტერპოლაციაა აგრეთვე:

Said the priest: "you sport with fire"

(სიტყვასიტყვით, "მღვდელმა თქვა: „ცეცხლს ეთამაშები“).

სიტყვა „sport“ მეტისმეტად თანამედროვე და კოლოკვიალური ზმნაა, რომელიც შეუფერებელია პოემის ეპოქის სასულიერო პირის მეტყველებისთვის. გარდა ამისა, არცთუ ზუსტია ინტონაციურადაც, ვინაიდან, ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის თანახმად, ნიშნავს: „to play in a happy and lively way“ („მხიარულად და ცოცხლად თამაში“), რაც აღნიშნული კონტექსტისთვის უადგილოა.

ზოგ შემთხვევაში ნ. რამიშვილის თარგმანში ვაჟას ფრაზების ლაკონურობა, მოქნილობა და შინაგანი პოეზია იკარგება, თუმცა შინაარსი ზუსტად არის გადმოცემული. მაგალითად:

„აქეთ წასულმა უშიშავ,	“When I left here, I chased the foe,
კვალი შავაჭერ მთისასა,	I chased, and I saw the hoofprints
მოკლედვე გადავეწივე,	Of their horses; I soon reached them.
ნავალ დავატყვე ქვიშასა.“	In the sand I noticed their trace.”

ფრაზის „I chased“ გამეორება ანელებს თხრობის დინამიკას და ექსპრესიულობას. დაიკარგა „კვალი შავაჭერ მთისასა“, რომელშიც ვაჟას ლაკონურად აქვს გატარებული ის აზრი, რომ ალუდა ისე ჩქარობდა, რომ მოკლედვე გადაჭრა გზა და მთის ბილიკს გაჰყვა. გარდა ამისა, მეორდება აგრეთვე ერთი და იგივე აზრობრივი მონაკვეთი სხვადასხვა ფორმით : „I saw the hoofprints“ („მე დავინახე ჩლიქების ანაბეჭდი“), „In the sand I noticed their trace“ („ქვიშაში მე შევნიშნე მათი (ცხენების) კვალი“). თანაც, მეორე შემთხვევაში აღნიშნული ფრაზა მოჰყვება ფრაზას: „I soon reached them“ („მე მალე დავეწიე მათ“), ამიტომ ის კომპოზიციურად და შინაარსობრივად უადგილოა. საერთოდ, ამ მონაკვეთის თარგმანი ვაჟას სტრიქონებთან შედარებით ნაკლებად პოეტურია.

არასწორადაა თარგმნილი შემდეგი ფრაზა:

„თავს აჭრეინებთ ცულითა!“ - „ You let your minds be beheaded!“

(სიტყვასიტყვითი თარგმანით, „ნებას აძლევთ, რომ თქვენს გონებას თავი წაეჭრას“). ამგვარი ფრაზა ინგლისურისთვის არაბუნებრივია და მისი გამოყენება, მეტაფორულადაც კი, მიზანშეუწონელია.

მცირე უზუსტობაა შემდეგ მონაკვეთში:

„გამეეგებნენ ალუდას
ძმა, ძმისწულები სამნია.“

“Aluda is greeted warmly
By the people of his village.”

მთარგმნელმა „ძმა, ძმისწულები სამნია“ შეცვალა ფრაზით „By the people of his village“ („სოფლის მცხოვრებნი“). ნათესაობის დაკონკრეტებით ვაჟას ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ ალუდას ახლო ნათესავებიც იყვნენ მათ შორის (სხვა სოფლებთან ერთად), ვინც იგი შერისხეს მუცალის და ალუდას ბრძოლის ისტორიის მოსმენის შემდეგ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ალუდას საზოგადოებასთან დაპირისპირების სურათს. თარგმანში კი ნათესავები საერთოდ არ ჩანან, ამით თხრობის სიმძაფრე კლებულობს.

პროზაულია შემდეგი მონაკვეთის თარგმანი:

„ნაძოძი ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაემლებოდა.“

“And its debris hit aluda.”
(„ მისი ნამსხვრევები მოხვდა ალუდას“).

ლაკონურობის მეტისმეტი მცდელობის შედეგად პროზაიზმი მივიღეთ.

არაბუნებრივი ჩანს შემდეგი ფრაზა თარგმანში:

„You can never hurt me , rival!“ (სიტყვასიტყვით, „შენ ვერასოდეს ვერ მომაყენებ ზიანს, მეტოქე!“), რომელიც მთარგმნელისეული ინტერპრეტაციაა.

თარგმანში დაიკარგა ვაჟას საოცარი ტროპი:

„კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!“ ,
რომლის ნაცვლად მთარგმნელი გვთვაზობს:

“Alas! High crags of the homeland!”
(სიტყვასიტყვით, „ვაჰმე, სამშობლოს მაღალო კლდეებო!").

ეს არ არის ცუდი თარგმანი: ინტონაცია შენარჩუნებულია, გმირის ემოციური განწყობაც სწორად არის გადმოცემული, მაგრამ ორიგინალის ტოლფასად მაინც ვერ ჩაითვლება.

შესაძლოა, ზოგ მკითხველს ერთი შეხედვით მოეჩვენოს, რომ ნ. რამიშვილს არასწორად აქვს თარგმნილი მიმართვები:

„ურჯულო“ – „pagan“, “რჯულ-ძაღლო“ – „dog-pagan”.

მაგრამ სიტყვას „pagan“, ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის თანახმად, ორი მნიშვნელობა აქვს :

1.a person who holds religious beliefs that are not part of any of the world's main religions.

(პიროვნება, რომლის რელიგიური რწმენა არ ეკუთვნის რომელიმე ძირითად

რელიგიური მიმართულებას);

2. used in the past by Christians to describe a person who did not believe in Christianity.

(გამოიყენებოდა წარსულში ქრისტიანების მიერ არაქრისტიანის დასახასიათებლად).

სწორედ მეორე მნიშვნელობით იყენებს ნ. რამიშვილი ამ ტერმინს, რაც სავსებით მისაღებია პოემაში აღწერილი ეპოქის გათვალისწინებით.

საერთოდ, ნ. რამიშვილის მიერ გამოყენებული ინგლისური ლექსიკა მეტად საინტერესოა. თუმცა მან ვერ გადმოიტანა თარგმანში მთიელი ხალხისთვის დამახასიათებელი მეტყველება, ზოგ შემთხვევაში მიმართავს ინგლისური ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელ შემოკლებებს (“Tis” - It is, ”o’er” - over):

„თავის მიწა-წყლის გაწირვა
მნელი ყოფილა მეტადა.“

“Tis so hard to leave the homeland,
Tis so hard to leave the dwelling.”

გარდა ამისა, ხაზგასმულად კლასიკური, ზოგჯერ არქაული ინგლისური ლექსიკის გამოყენება : “bereft“ (მძიმე დანაკარგის მქონე), “distraught” (ძალიან შეწუხებული, თავგზააზნეული), “angwish” (ტანჯვა) ამაღლებულობას და ეპიკურობას ანიჭებს თარგმანს. მაგრამ ზოგჯერ ეს კლასიკური, ზოგჯერ ზედმეტად ფორმალური ლექსიკური ერთეულები (მაგალითად, Henceforth) შეუფერებელი ჩანს მოქმედი პირების, მაგალითად, ალუდას მეტყველებაში.

ამაღლებულად და ეპიკურად ჟღერს პოემის ტრაგიკული ფინალი ნ. რამიშვილისეულ თარგმანში:

„გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.

“Then Aluda and his family
Left their native land and waters.

შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხავილი ქარისა.

Gaped the summits of the mountains,
And the tempest whirled and blustered.

გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.

The poor travelers went o’er the hills;
There was no trail left behind them.

ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.“

Once a woman’s bitter sobbing
Sounded clearly in the distance.”

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზები დიდ ჩრდილს ვერ აყენებენ პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ნ. რამიშვილისეულ თარგმანს. მასში შერწყმულია ნიჭიერი შემოქმედისა და დაკვირვებული მკვლევარის შრომა. მთარგმნელი ღრმად ჩასწვდა ორიგინალის მრავალ მნიშვნელოვან ნიუანსს და უმეტეს

შემთხვევაში შეძლო ინგლისურენოვან გარემოშიც ადეკვატურად აეხდებინა ვაჟას პოემის არა მხოლოდ იდეურ-აზრობრივი შინაარსი, არამედ მისი ექსპრესიული რიტმი და ფერთა პალიტრაც.

ნ. რამიშვილის, როგორც მთარგმნელის წარმატების დამადასტურებელია ლიდია ვესტის, ბაირონის საზოგადოების წევრის სიტყვები, რომლებიც მთარგმნელის მიერ გამოცემულ კრებულს წინ უძღვის:

„ნინო რამიშვილმა, ახალგაზრდა პოეტმა და მთარგმნელმა, ოსტატურად და მეტად შემოქმედებითად თარგმნა ქართული ლიტერატურის ამ უდიდესი წარმომადგენლის (ვაჟა-ფშაველას) ნაწარმოებები. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნინოს ინგლისური პოეტური მეტყველების მშვენიერებამ. მისი ნაშრომის წყალობით ახლა მე ვიცი, თუ რატომ არის ამდენი ადამიანი აღტაცებული ვაჟა-ფშაველათი. ხშირად ამბობენ, რომ პოეტურ თარგმანში სწორედ პოეზია იკარგება, მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად სხვა სიტუაციაა. ალბათ ნამდვილი პოეტი უნდა იყო, რომ შექმნა ჭეშმარიტად პოეტური თარგმანი“ (თარგმანი ლ. ჩხარტიშვილისა).

ამ სიტყვებით ბევრი რამ არის ნათქვამი: თუ მთარგმნელმა შეძლო ინგლისურენოვან მკითხველამდე მიეტანა ვაჟას გენია და აღფრთოვანებინა იგი ვაჟასეული სამყაროთი, მისი იდეებით, საოცარი პოეტური ხატებით, მშვენიერი და ბუნებრივი ინგლისურით, მან მთავარს მიაღწია. ჩვენი ლიტერატურის შედეგების ინგლისურ ენაზე თარგმნის ძირითადი მიზანიც ეს არის - ქართული მხატვრული აზროვნება საყოველთაო მონაპოვრად იქცეს.

§ 3.9 „ალუდა ქეთელაურის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი

პოეტური ნაწარმოების თარგმანთა ურთიერთშედარება ცხადყოფს (თუნდაც ორივე თარგმანის კარგი რეპუტაციის პირობებში), რამდენად ზუსტად და ობიექტურად ასახავს შემოქმედის პოეტურ სამყაროს ერთი ან მეორე მთარგმნელი. თავისთავად ის ფაქტი, რომ ვაჟას ზოგი პოემის ორი ინგლისური თარგმანი არსებობს, დიდად საყურადღებოა ქართული საზოგადოებისთვის, მაგრამ კითხვები, კონკრეტულად რომელი თარგმანია უკეთესი ან რა უპირატესობა აქვს ერთს მეორესთან შედარებით, მაინც წამოიჭრება; აუცილებელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

„ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისა და ნ. რამიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანებს, მიუხედავად ავტორებს შორის ეროვნული და კულტურული სხვაობისა, მაინც ბევრი ასპექტი აქვთ საერთო, თუმცა არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც.

ორივე თარგმანი ვაჟას შემოქმედებისადმი დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით არის შესრულებული. ორივეში ჩანს როგორც დაკვირვებული მეცნიერი, ასევე ნიჭიერი შემოქმედიც. ორივეში არის სწრაფვა დედნისადმი მაქსიმალური ერთგულებისა; ორივეში არის ცდა, მკითხველს აგრძნობინონ ვაჟას პოეტური სამყაროს სიდიადე და მშვენიერება.

პოემის როგორც დ. რეიფილდისეულ, ასევე ნ. რამიშვილისეულ თარგმანებში ძირითადად გადატანილია ვაჟასეული შთამბეჭდავი პოეტური ხატები, თხრობის დინამიურობა და ექსპრესიულობა. ორივე თარგმანი უაღრესად ზუსტია აზრობრივი შინაარსის თვალსაზრისით.

განხილული თარგმანები თითქოს ნაკლითაც ჰგვანან ერთმანეთს. ვერც ერთმა მთარგმნელმა ვერ შეძლო ორიგინალის რითმის შენარჩუნება. ვერ მოხერხდა აგრეთვე ფშავ-ხევსურული დიალექტური ფორმების სათანადოდ გადმოცემა თარგმანში, თუმცა დ. რეიფილდიც და ნ. რამიშვილიც ხაზგასმული კლასიკური, ზოგჯერ არქაული ლექსიკური მასალით ცდილობენ თხრობისთვის ამაღლებული და ეპიკური ტონალობის მინიჭებას. გარდა ამისა, ნ. რამიშვილი გარკვეული ლექსიკური ერთეულების შემოკლებებით ცდილობს გმირთა მეტყველებისთვის ხალხური კოლორიტის შემატებას.

დ. რეიფილდისგან განსხვავებით ნ. რამიშვილმა შეინარჩუნა ორიგინალის რვამარცვლიანი საზომი. რეიფილდთან, როგორც უკვე ითქვა, სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა ცვალებადია (7,8,9,10), მაგრამ რიტმის შენარჩუნებას იგი უმეტეს შემთხვევაში ახერხებს სტრიქონში მახვილიან მარცვალთა თანაბარი რაოდენობის გამოყენების გზით.

ნ. რამიშვილის თარგმანში 8-მარცვლიანი საზომი გარკვეულ მაორგანიზებულ როლს ასრულებს ვაჟას პოეზიის მელოდიკისა და რიტმის შენარჩუნებაში. მეორე მხრივ, მარცვალთა რაოდენობის სტაბილიზაციისკენ სწრაფვა ზოგჯერ დედნის სტროფიკის რღვევას იწვევს, თარგმანში ჩნდება კუპიურები და ინტერპოლაციები, რაც დ. რეიფილდთან არ გვხვდება. ძალიან ძნელია ვაჟას პოეტური სახეების და ეპიკური მოვლენების რთული ერთიანობის „ჩატევა“ 8-მარცვლიან საზომში. თუმცა

ორიგინალის ავტორი ამ ფარგლებში ლაღად გრძნობს თავს. ზოგ შემთხვევაში ნ. რამიშვილს უძნელდება ვაჟას სტრიქონებში ჩაქსოვილი უდიდესი პოეტური ძალის გადმოცემა 8-მარცვლიანი საზომის მარწუხებში.

ვაჟასეული რითმის ნაკლებობის კომპენსაციას ნ. რამიშვილი ზოგჯერ ცდილობს ტაეპების დასაწყისში გარკვეული ლექსიკური ერთეულების გამეორების გზით (თავრითმა), რომელიც ხშირ შემთხვევაში პოეტურ ფუნქციას ასრულებს და თარგმანს მელოდიურობას ანიჭებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამგვარი ლექსიკური ერთეულების, ზოგჯერ მთელი ფრაზების გამეორება თხრობის დინამიკას ანელებს და თარგმანს პროზაულ ელფერს აძლევს.

დ. რეიფილდი იმავე პრობლემის კომპენსაციას დროდადრო მოსაზღვრე ან შიდა რითმის მეშვეობით ცდილობს, რაც ხელს უწყობს თარგმანის პოეტური მელოდიურობის ზრდას. თუმცა, არც მოსაზღვრე ან შიდა რითმა და არც თავრითმა არ არის ვაჟასთვის ნიშანდობლივი მხატვრული ელემენტი, ამიტომ ყველა შემთხვევაში თარგმანში დანაკარგი გარდაუვალია.

იმ ფაქტმა, რომ დ. რეიფილდი არ შეიზღუდა 8-მარცვლიანი საზომით, მის პოეტურ სტრიქონებს მეტი გასაქანი და მოქნილობა მიანიჭა; ხოლო ძირითად მახვილთა მეშვეობით გამოკვეთილი რიტმული ჟღერადობა ორიგინალის შესატყვისია. და მაინც, დედნისეული რითმის არარსებობა ვაჟასეული მელოდიკის ნაკლებობას გვაგრძნობინებს.

პოემის პირველივე სტროფის თარგმანში ჩანს განსხვავება მთარგმნელებს შორის:

„მაცნე მოიდა შატილსა:
-ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები ,
ავნია, ავი-ზნიანნი.“

დ. რეიფილდი:

“A messenger came to Shatili:

“The Chechens have struck a blow against us,
these evil men of evil ways

have sent our shepherds scattering.” ”

ნ. რამიშვილი:

“Came a herald to Shatili:

“Kists wreaked havoc on us, fellows;

Looting, stealing from the shepherds,

Vicious they are and ill-natured.” ”

ნ. რამიშვილის თარგმანი იწყება მისთვის დამახასიათებელი ინვერსიით. მან

უცვლელად გადაიტანა ლექსიკური ერთეული „ქისტი“ - „Kist“, თუმცა სქოლიოში განმარტებაც დაურთო. მეორე სტრიქონში მთარგმნელს ჩასმული აქვს სიტყვა „fellows”(თანამომძმეები, მეგობრები), რომელიც ზედმეტი ჩანს ამ კონტექსტში. ზედმეტია აგრეთვე „Looting“-ის(ძარცვა) შემდეგ სიტყვა „stealing“ (მოპარვა). თავდამსხმელებს, რომლებმაც დააწიოკეს მწყემსები, მალულად მოპარვა აღარ დაჭირდებოდათ, მაგრამ მარცვალთა რაოდენობის შენარჩუნება თავის მსხვერპლს ითხოვს. დ. რეიფილდის თარგმანში ტერმინი „ქისტი“ შეცვლილია „ჩეჩენით“. მარცვლების რაოდენობა ტაეპებში ცვალებადია. მიუხედავად ამისა, მახვილიანი მარცვლების მეშვეობით სტროფის რიტმი შენარჩუნებულია. ორივე შემთხვევაში ვაჟასეული რითმის და დიალექტის არარსებობის გამო ამ სტრიქონებს აკლია ხალხური, ფშავ-ხევსურული კოლორიტი და თავისებური მელოდიკა.

ზოგი სტროფის თარგმნისას ნ. რამიშვილისთვის რთული აღმოჩნდა ვაჟას მეტყველი პოეტური ხატების შენარჩუნება:

„მატილს ჯერ არ ჩასწვდომია	„It was morning in Shatili,
შუქი შუადღის მზისაო,	And the noonday sun was coming.
არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,	The sun rays were marred, obstacled
ცა ახურია კლდისაო.“	By the crags as high as welkin.”

სიტყვასიტყვით კვლავ ქართულად თარგმნით ასეთ სურათს მივიღებთ:

„მატილში დილა იყო,
და შუადღის მზე მოდიოდა.
მზის სხივებს ჩრდილს აყენებდა და დაბრკოლებას უქმნიდა
ზეცასავით მაღალი კლდეები.“

პწკარედული თარგმანით, ბუნებრივია, სტროფის ინგლისური თარგმანის მხატვრულობაზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ მთარგმნელისეული ხატები ნაკლებად პოეტურია, თუმცა შინაარსი სწორად არის გადმოცემული. დაიკარგა ვაჟასეული „ცა ახურია კლდისაო“, „მატილს ჯერ არ ჩასწვდომია“.

დ.რეიფილდმა იმავე მონაკვეთის ასეთი თარგმანი შემოგვთავაზა:

“The midday sun had not yet sent
its rays of light to Shatili,
they do not light a man’s descent,
a sky of rocks stands over him.”

სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით ქართულად:

„შუადღის მზეს ჯერ ვერ ჩაეგზავნა
მისი სხივები შატლში,
ისინი გზას ვერ უნათებენ ადამიანს ჩასვლისას,
კლდეების ცა ადგას მას თავს.“

ვფიქრობთ, დ.რეიფილდმა უკეთესად შეძლო ვაჟასეული პოეტური სახეების შენარჩუნება. თარგმანის ენა ბუნებრივია და ორიგინალის ადეკვატურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

პოემის იდიომების და ფრაზეოლოგიის თარგმნას ორივე მთარგმნელი სერიოზულად მიუდგა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ხშირ შემთხვევაში დ. რეიფილდის მიერ მოძებნილი შესატყვისები უფრო ადეკვატური და ექსპრესიულია:

„ემშაკს ნუ მისდევ“ - ნ. რამიშვილი: “Shoo the Devil”
დ. რეიფილდი: „Cast off the devil”;
“გონთ მოდი“ - ნ. რამიშვილი: „don't be senseless”
დ. რეიფილდი: „come to your senses”;
„ტყუილად იცვეთ პირსაო“ - ნ. რამიშვილი: “wasting your tongue speaking like that”
დ. რეიფილდი: “you wear out your lips to no good”;
„შუქი ამოხდა მზისაო“ - ნ. რამიშვილი: “Shining brightly through the sun's rays”
(„რომელიც ბრწყინავდა მზის სხივებში“)
დ. რეიფილდი: “beam of sunlight glanced from it”
(„ მზის სხივმა ამოიხედა იქიდან(ქარქაშიდან)“).

რაც შეეხება ვაჟას მხატვრული სამყაროს მნიშვნელოვან ასპექტს - მის განუმეორებელ ტროპებს, ორივე მთარგმნელმა საინტერესო შესატყვისები მოუძებნა მათ. ძნელი სათქმელია, თუ მთლიანობაში რომელი მათგანის ტროპები ახდენს უფრო ვაჟასეულ შთბეჭდილებას მკითხველზე:

„შუბლი დაკვეცა“ - ნ. რამიშვილი: „knitted his brow”
დ. რეიფილდი: “he furrowed his brow”;
“ეს ვინღა მოდგა ნისლივით“ - ნ. რამიშვილი: „A man lingered there like a mist”
დ. რეიფილდი: “who is standing there like a mist?”;
„შუბლით მთვარიანითა“ - ნ. რამიშვილი: “with the moon upon his forehead”
დ. რეიფილდი: “his white brow-spot is like the moon”;

„ნიავექარივით მავალი“ - ნ. რამიშვილი: “flew like the tempest”
 დ. რეიფილდი: “moved off like the breeze”;
 „დალია სულია“ - ნ. რამიშვილი: “breathed his last”
 დ. რეიფილდი: “gave up the ghost”.

ნ. რამიშვილი, ალბათ, გაეცნობოდა დ. რეიფილდისეულ თარგმანს, სანამ თავად შეუდგებოდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს - მისი თარგმანი რეიფილდის ნაშრომის გამოქვეყნებიდან 30 წლის შემდეგ გამოვიდა. ეს მეტნაკლებად ჩანს თარგმანის ტექსტიდანაც, სადაც ზოგ შემთხვევაში ნ. რამიშვილის და დ. რეიფილდის ლექსიკური ერთეულები, გრამატიკული სტრუქტურები და მხატვრული ხერხები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად:

„კარგადაც დამიწყალობნე,
 გამიმეტებავ მისთვინა,
 როგორც უნდომლად მოკლულის
 თავის ლამაზის ძმისთვინა.“

დ. რეიფილდი:	ნ. რამიშვილი:
<u>“Sacrifice my offering well,</u>	<u>“Sacrifice my offering well,</u>
<u>I don’t grudge it for his soul,</u>	<u>I don’t grudge it for Mutsali,</u>
do it as though for a handsome brother	I don’t grudge this bull for his soul,
whom <u>unwittingly</u> I had killed.”	He <u>unwittingly</u> slain by me.”

ანალოგია აშკარაა, საეჭვოა, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყოს. პირველი სტრიქონი ორივე თარგმანში სავსებით იდენტურია. რა თქმა უნდა, შეიძლება დედნის შესაბამისი ფრაზის სხვაგვარად თარგმნა. ინგლისურად ფრაზას „მსხვერპლის შეწირვა“ სხვა სინონიმიც აქვს: “immolate”, ხოლო სიტყვა „მსხვერპლი“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც: oblation, prey, sacrifice. ნ. რამიშვილის თარგმანის მეორე სტრიქონშიც ფრაზის უმეტესი ნაწილი დ. რეიფილდისეული ფრაზის ანალოგიურია. ორივე ფრაზა ანტონიმურ თარგმანს წარმოადგენს („არ მენანება...“). სიტყვას „დანანება“ ასევე რამდენიმე სინონიმი აქვს ინგლისურში: begrudge, deplore, grudge, spare. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ფრაზა სულ სხვაგვარად თარგმნილიყო. თუ შემდეგი მონაკვეთის თარგმანს დავაკვირდებით, ასევე ბევრ საერთოს დავინახავთ როგორც ლექსიკის, ისე მხატვრული ხერხების თვალსაზრისით:

„ვისაც მტერობა მოსწყურდეს,

გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევედეს,
პურადაც მოსახმარია.“

დ. რეიფილდი:

“Whoever thirst for enmity
let his house-door open wide,
let his hearth be a dam of blood,
let his feet stand in the pool,
let him drink not wine but blood,
let him have it for his bread.”

ნ. რამიშვილი:

“He who thirst for hostility
Let him open wide his house-door,
Let his hearth be flooded with blood,
Let his feet stand within that blood,
Let him confound red wine with blood,
Let him have that blood for his bread.”

ორივე თარგმანში ერთი და იგივე მხატვრული ხერხია გამოყენებული: სტრიქონების დასაწყისში სიტყვის ან სიტყვების გამეორება (let his..., let him...). ბევრი დამთხვევაა ლექსიკური მასალის მხრივაც (house-door , open wide, hearth , let his feet stand, let him have, for his bread).

ფრაზის „რომ არ გაუტყდეს ხმალი“ შესატყვისში მთარგმნელები ერთი და იგივე გრამატიკულ სტრუქტურას იყენებენ:

დ. რეიფილდი:

“Lest the sword should break its hilt”

ნ. რამიშვილი:

“Lest it should break in the battle”.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა იმავე აზრის გამოხატვა სხვა გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენებით; მაგალითად: “ not to break it in the battle”.

ზემოაღნიშნულის ნიმუშად კიდევ რამდენიმე ფრაზის თარგმანს მოვიყვანთ:

„დაე, დააკლდეს სახელსა,

მე გირჩევნივარ მრჩევლადა“ -

დ. რეიფილდი: “So be it, let your fame diminish
you prefer me to wield command.”,

ნ. რამიშვილი : “Rather let your fame diminish
Than betray what you think is right.”;

„ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი“ -

დ. რეიფილდი : “Let him feel the wrath of the spirit of our shrine”,

ნ. რამიშვილი : “Let him feel the Spirit’s anger”;

„ფერი დაედო მგლისაო“ –

დ. რეიფილდი : “his face took a wolfish hue“,

ნ. რამიშვილი : “his face took a wolf’s hue“;

„ბერდია ჯაგარამლილი“ –

დ. რეიფილდი : „Berdia, his hackles rising“,

ნ. რამიშვილი : „Then Berdia, his hackles rising“.

ყველა ამ შემთხვევაში შეიძლება აზრის განსხვავებულად თარგმნა სინონიმების და განსხვავებული გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით.

თუ შევაჯამებთ ჩატარებულ ანალიზს, შეიძლება ითქვას, რომ პარაგრაფის დასაწყისში დასმულ კითხვებზე ცალსახა პასუხების გაცემა მეტად ძნელია. განხილულ თარგმანებს ბევრი რამ აქვთ საერთო როგორც ღირსების, ისე ნაკლოვანების მხრივ. მეტად მნიშვნელოვანია, რომ როგორც დ. რეიფილდის, ასევე ნ. რამიშვილის თარგმანებიც დედნის ერთეულების ნიმუშებია აზრობრივი შინაარსისა და პოეტური სახეების თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ქართველი მთარგმნელის ინგლისური პოეტური მეტყველების ბუნებრიობა და მშვენიერება, რომლითაც მან შეძლო ინგლისელი მკითხველისთვის საინტერესოდ, მაღალ დონეზე წარმოესახა ვაჟას პოეზია.

საზომისა და მელოდიკის მხრივ ნ. რამიშვილის თარგმანი უფრო ახლოსაა ორიგინალთან, მაგრამ დ. რეიფილდის თარგმანის ენა უფრო ეპიკური და დახვეწილია; მასში ორიგინალის ფრაზეოლოგია და მეტაფორები უფრო ადეკვატურად არის გადმოცემული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნ. რამიშვილის თარგმანში ზოგჯერ იგრძნობა დ. რეიფილდის ნაშრომის გარკვეული ზეგავლენა ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების თუ მხატვრული ხერხების შერჩევის თვალსაზრისით. მთლიანობაში, ორივე მთარგმნელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვაჟას პოემის, მისი პოეტური სამყაროს მსოფლიოსთვის გაცნობის უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

დასკვნა

ვაჟა-ფშაველას შედეგებში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები უდიდესი პოეტური ძალით და ორიგინალური მხატვრული ფორმით არის წარმოდგენილი. ამიტომ მისი შემოქმედება შეიძლება საინტერესო იყოს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის ადამიანისთვის.

აქედან გამომდინარე, ვაჟას შემოქმედების თარგმანებს, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა ამ თარგმანების ყოველხმრივი შესწავლა, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო ნაკლებად იცნობს ქართველი პოეტის შემოქმედებას, მთარგმნელებზეა დამოკიდებული მისი და, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენად ადეკვატური თარგმანით წარუდგენენ ვაჟას ინგლისურენოვან მკითხველს მთარგმნელები.

ნაშრომში განხილულია ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისური თარგმანები, გამოკვლევულია თარგმანების მხატვრული და ლინგვისტური შესაბამისობა დედანთან. გაანალიზებულია, რამდენად ეკვივალენტურია თითოეული თარგმანი მხატვრული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით; სწორად არის თუ არა გადმოცემული თარგმანში დედნის ძირითადი იდეურ-ესთეტიკური პრობლემა და მისი მხატვრული განსახიერების ფორმა; არის თუ არა თარგმანში კუპიურები და ინტერპოლაციები, შენარჩუნებულია თუ არა მასში ორიგინალის ავტორის სტილი, ორიგინალის რიტმი, ინტონაცია, რითმა; სწორად არის თუ არა მოძებნილი დედნის იდიომების, ფრაზეოლოგიისა და ტროპების ზუსტი შესატყვისები და ა. შ.

თარგმანების ანალიზისას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო პოზიტიურის წარმოჩენასა და შეფასებას თარგმანში. მრავალი ნიმუშით არის ნაჩვენები, რამდენად შეძლეს მთარგმნელებმა დედნისეული მხატვრული სამყაროს სწორი ანალოგის შექმნა.

ვაჟას პოემების ინგლისური თარგმანების შესწავლისას ამოსავალი იყო თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და თარგმანთმცოდნეობის მიღწევები თარგმნის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და თარგმანების შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ჩვენთვის კვლევის უმიშვნელოვანესი პრინციპი იყო დინამიური ეკვივალენტურობის პრინციპი.

ვაჟას პოემების თითოეული თარგმანი დამოუკიდებელი შემოქმედებითი

მთლიანობაა, რომელშიც ასახულია პოემის ავტორის თვალთახედვა, გარდატეხილი მთარგმნელის მსოფლმხედველობით პრიზმაში. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნით თითოეული თარგმანის დამოუკიდებლად შესწავლა, რათა თვალსაჩინოდ შევასებულიყო, რამდენად სწორად გადმოსცემს მთარგმნელი ორიგინალის აზრსა და პოეტურ სამყაროს. ცალკეული თარგმანების ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების გამთლიანებამ შექმნა სრული სურათი იმისა, მოცემულ ეტაპზე როგორი სახე აქვს ვაჟას პოემებს ინგლისურ ენაზე.

ვაჟას პოემებიდან დღესდღეობით ინგლისურად თარგმნილია მხოლოდ სამი: „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“. ამასთან, თითოეული მათგანის ორ-ორი თარგმანი არსებობს. „გველისმჭამელი“ ინგლისურად თარგმნეს დ. რეიფილდმა და ვ. ურუშაძემ, „სტუმარ-მასპინძელი“ - დ. რეიფილდმა და ლ. ჯგერენაიამ, ხოლო „ალუდა ქეთელაური“ - დ. რეიფილდმა და ნ. რამიშვილმა. საინტერესო ფაქტია, რომ ვაჟას პოემები სამი სხვადასხვა თაობის მთარგმნელებმა გარდასახეს ინგლისურ ენაზე; ამდენად, თითოეული პოემის არსებული თარგმანების შედარებითი ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

„გველისმჭამელის“ ორივე თარგმანს გააჩნია როგორც ღირსებები, ასევე ნაკლოვანებებიც. დ. რეიფილდის თარგმანი უფროა ახლოსაა ვაჟას პოემასთან ზრობრივად, ექსპრესიულობით, სისადავით და პოეტური სახეების შთამბეჭდაობით, დედნისეული მეტაფორების ინგლისურ ენაზე ადეკვატური გადატანით; თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაკლია ვაჟას რითმასა და დიალექტზე უარის თქმა.

რაც შეეხება ვ. ურუშაძის თარგმანს, მისი დადებითი მხარეა რითმა; გარდა ამისა, მისი მიერ თარგმნილი პასაჟები მელოდიურია და უმეტეს შემთხვევაში ორიგინალის ადეკვატურ ასოციაციებს აღძრავს. მთარგმნელი ცდილობს ფშავ-ხევსურული დიალექტის ასოციაცია შექმნას ინგლისური ხალხური მეტყველების ფორმების და ბალადური ლექსთაწყობის გამოყენებით.

პოემა "სტუმარ-მასპინძლის" დ. რეიფილდისეული თარგმანის პოზიტიური შტრიხია დინამიური და ექსპრესიული თხრობა, ზუსტად გადმოცემული აზრობრივი შინაარსი, სწორად მოძებნილი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტები, ხატოვანი მეტყველების ელემენტების ადეკვატური თარგმანი, დედნისეული რიტმის შენარჩუნება - ეს ღირსებები თარგმანს ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად აქცევს.

რაც შეეხება პოემა "სტუმარ-მასპინძლის" ლ. ჯგერენაიასეულ თარგმანს,

მიუხედავად რამდენიმე პოზიტიური მომენტისა, მისი სერიოზული ხარვეზების, შინაარსობრივი უზუსტობის, ვაჟასეული რიტმისა და მელოდიკის დაკარგვის, ორიგინალისეული ტროპების სხვადასხვა სახის, იდიომებისა და ფრაზეოლოგიის არადეკვატური შესატყვისების გამო, ინგლისურენოვანი მკითხველი ვერ აღმოაჩენს ვაჟას დიდ პოეზიას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული თარგმანის გავრცელებამ ინტერნეტის ქსელსა თუ სხვა მედიაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ქართველი პოეტისა და, საერთოდ, ქართული კულტურის რეპუტაციას იმ ქვეყნებში, სადაც მას ჯერ კარგად არ იცნობენ.

პოემა „ალუდა ქეთელაურის“ დ. რეიფილდისეული ინგლისური თარგმანის, ისევე როგორც რეიფილდის მიერ შესრულებული სხვა თარგმანების, უმნიშვნელოვანესი ღირსებაა შინაარსობრივი სიზუსტე და ვაჟასეული პოეტური სახეების შთამბეჭდავად გადატანა თარგმანში. დასანანი ნაკლია უგულებელყოფა ვაჟას რითმისა და ფშავ-ხევსურული დიალექტისა (რომელიც ვაჟას „ალუდა ქეთელაურში“ განსაკუთრებით გამოკვეთილია). ორიგინალის ტროპების და ფრაზეოლოგიის ადეკვატური შესატყვისები, ვაჟასეული დინამიზმის, ენერჯის, დედნის რიტმისა და ინტონაციის შენარჩუნება აღნიშნული თარგმანის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

„ალუდა ქეთელაურის“ თარგმანში ნ. რამიშვილმა ინგლისურ ენობრივ გარემოშიც ადეკვატურად ააჟღერა ვაჟას პოემის არა მხოლოდ იდეურ-აზრობრივი შინაარსი, არამედ მისი ექსპრესიული რიტმი და მხატვრულ ფერთა პალიტრაც. ნ. რამიშვილმა შეძლო ბუნებრივი ინგლისურით უცხოელ მკითხველამდე მიეტანა ვაჟას გენია და მისი სამყაროს მშვენიერება, თუმცა რითმის უგულებელყოფა და მცირე ხარვეზები ორიგინალის ფრაზეოლოგიისა და მეტაფორების შესატყვისების მხრივ თარგმანს ერთგვარად ელფერს უცვლის.

„ალუდა ქეთელაურის“ ინგლისური თარგმანების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე თარგმანს ბევრი რამ აქვს საერთო როგორც ღირსებების, ისე ნაკლოვანებების თვალსაზრისით. თუმცა ნ. რამიშვილის თარგმანი უფრო ახლოსაა ორიგინალთან საზომისა და მელოდიკის მხრივ, დ. რეიფილდის ნაშრომის ენა უფრო ეპიკურია და დახვეწილი. მისი ფრაზეოლოგია და მეტაფორები უფრო ადეკვატურ შესატყვისებად მივიჩნიეთ.

თუ შევაჯამებთ ზემოხსენებული ანალიზის შედეგებს, მიმდინარე ეტაპზე ვაჟა-ფშაველას პოემების ინგლისურენოვანი თარგმანების სფეროში არსებული მდგომარეობა

შეიძლება ამგვარად შეფასდეს:

1. ამ ეტაპზე ვაჟას შემოქმედების და, კერძოდ, მისი პოემების თარგმანები ინგლისურად მეტად მწირია;
2. რაც შეეხება არსებული თარგმანების დონეს, მათი უმრავლესობა (გარდა ლ.ჯგერენაიასეული თარგმანისა) შემოქმედებითად და პასუხისმგებლობით არის შესრულებული, თუმცა ნაკლისგან არცერთია დაზღვეული. ყოველი ენა არა მხოლოდ ასახავს ჩვენს გარშემო არსებულ რეალობას, არამედ მის გარკვეულ ინტერპრეტაციასაც ახორციელებს. ამა თუ იმ კულტურის ყველა ნიუანსი მის ენაში აისახება, რომელიც უნიკალური და სპეციფიკურია. ამიტომ ბუნებრივია, რომ განსხვავებული კულტურის ელემენტები თარგმანის პროცესში ნაწილობრივ, ზოგჯერ მთლიანადაც, იკარგება. აქედან გამომდინარე, სრული ენობრივი ადეკვატურობის მიღწევა მთარგმნელობით პროცესში განუხორციელებელი ამოცანაა.
3. ძირითადი ღირსება თარგმანების ერთი ნაწილისა (დ. რეიფილდი, ნ. რამიშვილი) არის აზრობრივ-შინაარსობრივი სიზუსტე და ვაჟასეული პოეტური სახეების შთამბეჭდავად წარმოსახვა. თარგმანები არ არის სიტყვასიტყვითი; ლექსიკური მასალა ზოგჯერ განსხვავებულია, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, დედნის ტოლფასი ღირებულებისა. განსაკუთრებით საყურადღებოა ფრაზეოლოგიის და ტროპების თარგმანი, რომლებიც ვაჟას მხატვრული სამყაროს მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ.
4. თითქმის ყველა თარგმანის (გარდა ვ. ურუშაძისეული „გველისმჭამელისა“) ნაკლია ის, რომ მთარგმნელებმა ვერ მოახერხეს ვაჟასეული რითმის შენარჩუნება; თუმცა ისინი სხვადასხვა მხატვრული ხერხით ცდილობენ ურითმობის კომპენსირებას ტექსტში. ასევე, ვერც ერთმა მთარგმნელმა ვერ შეძლო ფშავ-ხევსურული დიალექტის ადეკვატის მოძებნა, რაც თავისთავად მეტად რთული ამოცანაა. სამაგიეროდ მთარგმნელთა უმრავლესობას გადმოცემული აქვს ორიგინალის რიტმი და ინტონაცია.
5. ზემოგანხილული თარგმანები ძირითადად მეცნიერ-შემოქმედთა სერიოზული ნამუშევრებია. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის, ქართული სულიერების ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

„თარგმანის ტექსტის კონსტრუქციაზე, გარდა შეპირისპირებულ ენათა სისტემისმიერი ფაქტორებისა, მოქმედებს აგრეთვე ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც:

... მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორი, გარეენობრივი კულტურული ფონი და მასთან უშუალო კავშირში მყოფი თარგმანის მიმღები ეთნოკულტურული კოლექტივის ფაქტორი“ (საყვარელიძე 2001: 219). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორს. აქედან გამომდინარე, თარგმანმცოდნეობის სპეციალისტებს არაერთგზის დაუსვამთ პრობლემა: ვინ უნდა თარგმნოს დედანი, როდის არის თარგმანის ხარისხი უკეთესი, როდესაც ის მთარგმნელის მშობლიურ ენაზეა თუ მშობლიური ენიდან უცხოურზე? ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. თარგმანმცოდნეობის ისტორია იცნობს არაერთ ბრწყინვალე თარგმანს, რომლებიც მთარგმნელის მშობლიურ ენაზე შეიქმნა. ასეთია, მაგალითად, ნ. ზაბოლოცკის თარგმანები (მით უმეტეს, რომ ისინი ბჭკარედიდან შესრულდა). თუმცა, ასევე მრავლადაა მშობლიური ენიდან უცხოურზე თარგმნილი შედეგები. ვაჟას პოემების ინგლისური თარგმანების შემთხვევაში, როგორც ბრიტანელი დონალდ რეიფილდის, ასევე ქართველი მთარგმნელების ქმნილებებს უდავო ღირსებებთან ერთად გააჩნიათ ნაკლოვანებებიც. ზოგ შემთხვევაში ისინი გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთს.

იდეალური შემთხვევა იქნებოდა, რომ ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ ინგლისური ენის ნიუანსების, არამედ ბრიტანული კულტურის, ლიტერატურის, ყოფის ბრწყინვალე მცოდნე და ბრიტანეთში ცხოვრების გამოცდილების მქონე ნიჭიერ, ვაჟას სულიერად მონათესავე, მისი შემოქმედების ღრმა მცოდნე, გამოცდილ, ტიტანური შრომის უნარის მქონე ქართველ პოეტს ეთარგმნა, რომელიც, გაითვალისწინებდა რა წინამორბედთა მიღწევებსა და შეცდომებს, შეძლებდა უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობად ექცია, თარგმანისა და დედნის ისეთი სიახლოვისთვის მიეღწია, როდესაც თარგმანი მკითხველს შეუქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ვაჟა უშუალოდ ელაპარაკება მას, ყოველგვარი შუაკაცის გარეშე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბრიტანელი მეცნიერის და შემოქმედის დონალდ რეიფილდის თარგმანები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ თუ უცხოელი მთარგმნელი ნიჭიერი შემოქმედი და ღრმა, პასუხისმგებლობის მქონე მეცნიერია, ქართველი სპეციალისტების დახმარებით მას ძალუმს შექმნას მაღალი დონის, დედნის ეკვივალენტური თარგმანები.

ვაჟა-ფშაველას პოემების ქართველ მთარგმნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია პერსპექტიული ახალგაზრდა პოეტისა და მთარგმნელის ნინო

რამიშვილის წარმატება. საინტერესოა ბაირონის საზოგადოების წევრის ლიდია ვესტის აზრი ნ. რამიშვილისეულ თარგმანებზე, რომელიც თარგმანის მიხედვით აღიქვამს ვაჟას დიდ პოეტად, რაც საკმაოდ იშვიათია.

ვაჟა - ფშაველა ღრმა აზროვნების პოეტი იყო, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა მისი თხზულებების თითოეულ ნიუანსს. აი, რას წერდა იგი წერილში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“: „წერის დროს ზოგიერთს ნაწარმოებს რამდენიმე ხნით შეუყენებივართ, ცოტა რამეს ერთ ან ორ ტაეკს, ზოგისას დასასრულს. „სტუმარ-მასპინძელში“, მაგალითად იმ ადგილმა, როცა ქმარი ჯოყოლა ჰკითხავს ცოლს, ალაზას, ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბაასმა მთელი ორი თვე შემაჩერა. ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემში სულიერი რყევა, თუ რა პასუხი უნდა მიეცა ჯოყოლას ცოლისათვის, როგორ შეჰხვედრილიყო ალაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენი მეგობრისთვისაო“. „გველის მჭამელის“ დასასრულმაც ერთ თვემდე ყოყმანში ჩამაგდო“ (ვაჟა-ფშაველა, <http://armuri.4forum.biz/t71p15-topic>).

სწორედ ამიტომაც არის ძნელი ვაჟას შემოქმედების თარგმნა, არა მხოლოდ ენებს და კულტურებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო. ვაჟას თარგმნა ენების ცოდნასა და პოეტურ ტალანტთან ერთად, ტიტანური შრომის, თითოეულ ნიუანსზე დაკვირვებისა და იმის გადაწყვეტის უნარსაც მოითხოვს, რა უნდა გადავიდეს თარგმანში აუცილებლად და რაზე შეიძლება უარის თქმა.

იმედი გვაქვს, ნაშრომში ჩატარებული ანალიზი დაეხმარება მომავალ მთარგმნელებს, რომ დაისახონ ის ორიენტირები, რომლებსაც უნდა გაჰყვნენ მომავალში წინამორბედთა შეცდომების გათვალისწინებით, რათა რაც შეიძლება შთამბეჭდავად და ადეკვატურად წარმოჩინდეს ვაჟას გენია ინგლისურენოვან სამყაროში.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას შესახებ ბევრი დაწერილა, ლიტერატორები აღნიშნავენ, რომ 21-ე საუკუნის გადასახედიდან ის ჯერ კიდევ ბოლომდე შეუცნობელი ფენომენია. ვაჟა-ფშაველა ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაიცნოს და შეიმეცნოს მსოფლიომ.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

1. აბაშიძე 1912 : აბაშიძე კ., „ეტიუდები“, ტ 2, ქუთაისი, 1912.
2. არაბული 1999: არაბული გ., „ვაჟა-ფშაველას სამი პოემა (თემატურ-იდეური ანალიზი)“, თბილისი, 1999;
3. გამსახურდია 1972: გამსახურდია ზ., „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“. თბილისი, 1972;
4. გამსახურდია 2005: გამსახურდია კ.ზ., „ვაჟა-ფშაველა, კავკასიის დიადი სულის მესტიყვე“, „ხუთი ლექცია“, „მერანი“, თბილისი, 2005;
5. გამსახურდია : გამსახურდია კ. „ვაჟა-ფშაველა“
http://www.myvideo.ge/?video_id=871759;
6. გაჩეჩილაძე 1966: გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, თბილისი, 1966;
7. გაჩეჩილაძე 1959: გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები: რეალისტური თარგმანის პრობლემა“, თბილისი, 1959;
8. გაჩეჩილაძე 1957: გაჩეჩილაძე ს., „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, თბილისი, 1957;
9. ვართაგავა 1958: ვართაგავა ი., „კრიტიკული წერილები“, I ტ., თბილისი, 1958;
10. ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად“, ტ. III, პოემები, თბილისი, 1964;
11. ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად“, ტ. IV, პოემები, თბილისი, 1964;
12. ვაჟა-ფშაველა 1962: ვაჟა-ფშაველა, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბილისი, 1962 ;
13. ვაჟა-ფშაველა 1910: ვაჟა-ფშაველა, „ნიჭიერი მწერალი“, ელექტრ. ბიბლიოთეკა „ვახტანგ VI“, www.webmix.ge/vvi/doc.php?doc=1524;
14. ვაჟა-ფშაველა : ვაჟა-ფშაველა, „კრიტიკა ბ.იპ. ვართაგავასი“,
<http://armuri.4forum.biz/t71p15-topic>;
15. ვაჟა-ფშაველა 2011: ვაჟა-ფშაველა (1861-1915), ლექსები და მოთხრობები = Poems and stories / ვაჟა-ფშაველა ; თარგმანი ნინო რამიშვილისა, თბილისი, 2011;
16. კიკნაძე 1966: კიკნაძე გრ., „ვაჟას ფენომენი“, ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი

- კრებული, თბილისი, 1966.;
17. კიკნაძე 1957: კიკნაძე გრ., „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, თბილისი, 1957;
 18. კიკნაძე 1975: კიკნაძე გრ., „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, თბილისი, 1975. ;
 19. კვიციანი 1971: კვიციანი ე., „ვაჟა-ფშაველას რითმა“, თბილისი, 1971;
 20. კონტრიძე 1982: კონტრიძე ნ., „ნიკოლოზ ზაბოლოცკი - ვაჟა-ფშაველას პოემების მთარგმნელი“, „ვაჟას კრებული“, II ტ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 1982;
 21. მერაბიშვილი 1998: მერაბიშვილი ი., „პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი“, თბილისი, 1998.
 22. მუქერია 2006: მუქერია ლ., „ანარეკლი: ვაჟა-ფშაველა სხვა ენობრივ სამყაროში“ ტ.I, ტ.II, თბილისი, 2006;
 23. ნათაძე 1986: ნათაძე მ., „ინგლისურ-ქართული და გერმანულ – ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვო – სტილიტური პრობლემები“, თბილისი, 1986;
 24. ოძელი 1998: ოძელი მ., „ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისთვის“, თბილისი, 1998.
 25. ჟორდანიას 1982: ჟორდანიას ს., „პოეტური ხატების საკითხისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, „ვაჟას კრებული“, II ტ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, 1982 ;
 26. რობაქიძე გრ., „ვაჟა-ფშაველა“, ნარკვევი ,
http://gruni.edu.ge/download.php?file=uploads/content_file
 27. საყვარელიძე 2001: საყვარელიძე ნ., „თარგმანის თეორიის საკითხები“ (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები), თბილისი, 2001;
 28. სირაძე 1975: სირაძე რ., „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, თბილისი, 1975;
 29. სულხანიშვილი 1970: სულხანიშვილი ლ., „ვაჟას სტილის თავისებურებათა შესახებ“, ვაჟას კრებული, თბილისი, 1970;
 30. ურუშაძე 1960: ურუშაძე ვ. „ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე“, „მნათობი“, 1960, #1;
 31. ფანჯიკიძე 1988: ფანჯიკიძე, დ. „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1988;
 32. ქიქოძე 1935: ქიქოძე გ., ნარკვევები „ვაჟა-ფშაველა“, თბილისი, 1935;
 33. ყუბანიშვილი 1961: ყუბანიშვილი სოლ., ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, ილიას

- ფაქსიმილე. თბილისი, 1961;
34. ჩიქოვანი ს. „შენიშვნები ვაჟა-ფშაველას სალიტერატურო ენის გამო“, <http://armuri.4forum.biz/t71p15-topic> ;
 35. ჩხენკელი 1961: ჩხენკელი თ., „ალუდა ქეთელაური“, 1961; <http://armuri.4forum.biz/t596-topic> ;
 36. ჩხენკელი 1970: ჩხენკელი თ., ტრაგიკული ნიღბები, „პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი“, 1970; <http://armuri.4forum.biz/t596-topic>;
 37. ცერცვაძე 2005: ცერცვაძე ლ., „ადამიანის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, 2005;
 38. წიბახაშვილი 2000: წიბახაშვილი გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები : დამხმ. სახელმძღვ. / [რედ.: ო. ბაქანიძე]. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამბა, 2000;
 39. ჭინჭარაული 1969: ჭინჭარაული ა., „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“, თბილისი, 1969;
 40. ხახანაშვილი 1913: ხახანაშვილი ა., „ქართული სიტყვიერების ისტორია“, თბილისი, 1913;
 41. ხვედელიძე 1982: ხვედელიძე რ., „ვაჟა-ფშაველას ლირიკის ა. მალიშკოსეული უკრაინული თარგმანი“, „ვაჟას კრებული“, II ტ., თბილისი, 1982;
 42. ჯიბლაძე 1955: ჯიბლაძე გ., „კრიტიკული ეტიუდები, თბილისი, 1963;
 43. Bouatchidze 1989: Bouatchidze G., Vaja-Pchavela, Le mangeur de serpent et autre poems, Paris, 1989;
 44. Clifford 2001: Clifford, E. Landers, Literary Translation: a Practical Guide, Clevedon, 2001 ;
 45. Dimitrova 2004: Dimitrova Brigitta Eglund, Translation of Dialect in Fictional Prose, Stockholm, 2004;
 46. Encyclopedia Britannica <http://www.britannica.com/EBchecked/topic/481396/Vazha-Pshavela>
 47. France 2004: France P., The Oxford Guide to Literature in English Translation, Oxford, 2004;
 48. Morgan 1959: Morgan, B., Bibliography chapter in Brower, On Translation,

- Humboldt, A Letter to A. W. Vou Schlegel, 23 July, 1796, New York, 1959;
49. Magaroto 1996: Magaroto L.& Giaroberto S., Vaza – Psavela, “L’Homo che mangio carne di serpent e altri poemetti: Parisian di Piaco, 1996;
 50. Lang 1962: Lang D.M., A modern History of Georgia, London, 1962;
 51. Newmark 1981: Newmark, Approaches to Translation, Oxford, 1981;
 52. Nida 1975: Nida E., Linguistic Structure and Translation, Stratford, 1975;
 53. Nida 1964: Nida E., Toward a Science of Translating , Leiden: E.J. Brill, 1964;
 54. Rayfield 1983: Rayfield, D., Vazha-Pshavela, Aluda Ketelauri, Modern Poetry in Translation, London, 1983;
 55. Rayfield 1994 : Rayfield D., The Literature of Georgia, Oxford, 1994;
 56. Trudgill 2004: Trudgill P., Dialects , New-York and London, Poutledge, 2004;
 57. Tuite 2007: Tuite K., The banner of Xaxmat’is-Jvari: Vazha-Pshavela’s Xevsureti
http://www.mapageweb.umontreal.ca/tuitekj/caucasus/Tuite_Vazha+Xevsureti.pdf
 58. Urushadze 1958: Anthology of Georgian Poetry, Translated by V. Urushadze, State Publishing House, «Soviet Georgia», Tbilisi, 1958 –
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000091/Anthology%20of%20Georgia20poetry.pdf>
 59. Vazha-Pshavela : Vazha-Pshavela, Host and Guest, Translated by Lela Jgerenaia , Edited by A.S.Kline, Poetry in Translation;
<http://www.poetryintranslation.com/PITBR/Georgian/HostandGuest.htm>;
 60. Vazha-Pshavela 1981: Three poems / Vazha-Pshavela ; [transl. from Georg. by D. Rayfield ; Tbilisi, Ganatleba, 1981];
 61. Бархударов 1975: Бархударов Л., “Язык и перевод” (Вопросы общей и частной теории перевода), М., "Междунар. отношения", 1975;
http://samlib.ru/w/wagapow_a_s/barhud-trdoc.shtml
 62. Комиссаров 1990: Комиссаров В., „Теория перевода“, Учеб.для ин-тов и фак. иностр. яз. - М.: Высш. шк., 1990;
 63. Смирнов 1934: Смирнов А., „Перевод“, Литературная энциклопедия, т. 8, Москва, 1934;
 64. Федоров 2002: Федоров А., „Основы общей теории перевода“, Москва, 2002;s
 65. Швейцер 1976: Швейцер А.Д. „Современная социоллингвистика. Теория, проблемы, методы“, М.,Наука, 1976.